მიხეილ თუმანიშვილი

○○○

წიგნი მესამე

საერთაშორისო თეატრალური ლაბორატორია –
ფონდი **„ტერა ინკოგნიტა“**

თბილისი 2004

იდეის ავტორი
ქეთი დოლიძე

წიგნზე მუშაობდნენ:
ნათელა ურუშაძე
მანანა გეგეჭკორი

დიზაინი
გესიკ დანელია

მენეჯერი
ფატი დავითულიანი-გვიმრაძისა

**ფინანსური მხარდაჭერისა და თანადგომისთვის
უღრმესი მადლობა ბიზნესმენსა და ქველმოქმედს,
ბატონ ბადრი პატარკაციშვილს,
რომელსაც კარგად ესმის მიხეილ თუმანიშვილის
შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობა
ქართული კულტურისთვის.**

ნიგნში გამოყენებულია მიხეილ თუმანიშვილის
ჩანახატები და სქემები

ფოტოები: მიხეილ თუმანიშვილის, ნათელა ურუშაძის
და ქეთი დოლიძის კერძო არქივებიდან,
„ქართული თეატრის საცავის“ ფონდიდან

გარეკანზე: მიხეილ თუმანიშვილი სპექტაკლის
„ჩვენი პატარა ქალაქი“ შემდეგ

ნიგნში გამოყენებულია იური მეჩითოვის ფოტოები

დაიბეჭდა „სეზანში“

ISBN 99928-0-896-9 (ყველა ნიგნის)
99940-0-155-8 (ნიგნი მესამე)

© 2004 , საერთაშორისო თეატრალური ლაბორატორია – ფონდი „ტერა ინკოგნიტა“

მიხეილ თუმანიშვილი — შეგოქმედი

რას თხზავს რეჟისორი? როგორც ყველა სხვა ხელოვანი – მხატვრულ ქმნილებას, მომავალ სპექტაკლს, რადგან ისაა რეჟისორის შემოქმედების ნაყოფი. თხზავს ანუ წარმოისახავს დრამატურგიულ ნაწარმოებში მოქმედ ადამიანთა ცხოვრების ამბავს, რომელსაც შემდგომ თვითონვე განახორციელებს სცენაზე სხვა შემოქმედ ადამიანთა გუნდთან ერთად, როგორც მათი თავკაცი.

ამ ურთულესი აღნაგობის ქმნილებისთვის, რეჟისორს საკუთარ წარმოსახვაში გაცოცხლებული პიესის მოქმედ პირთა ცხოვრება სიტყვიერი აღწერით ქაღალდზე გადმოაქვს და უწოდებს სარეჟისორო გეგმას, ექსპლიკაციას. უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტებით – „explicatio“ ახსნაა, გაშლა. სათეატრო ტერმონოლოგიით – სპექტაკლის შემოქმედებითი გეგმა, რომელსაც ერთვის რეჟისორის მითითებანი გაფორმების, მოქმედ პირთა დახასიათებისა და მისთანათა შესახებ“ („განათლება“ თბ. 1989 წ. გვ. 64). თეატრალური ენციკლოპედიის განმარტებით კი – „პიესის თავისებური ეგზემპლარი, სადაც მისი დამდგმელი რეჟისორის მიერ მითითებულია ყველაფერი, რისგანაც მომავალი წარმოდგენა შედგება. ამ თავისებურ სიტყვიერ პარტიტურას ხშირად თან ახლავს მისივე ავტორის ჩანახატები – მოქმედ პირთა

ადგილსამყოფელი, ნივთიერი გარემო, სამოსელი, მიზანსცენა და სხვ." (Театральная энциклопедия, М. 1965, IV ტ. გვ. 563).

რისთვის ქმნის რეჟისორი ამ უჩვეულო გეგმას? ის ემზადება მომავალი წარმოდგენის სცენაზე განმახორციელებელ გუნდთან შესახვედრად, აქ ამთავრებს ის თავისი შემოქმედების ინდივიდუალურ პერიოდს, როდესაც მარტოა და თვითონ წარმოისახავს მომავალი წარმოდგენის ცოცხალ მხატვრულ სახეს. შემდეგ ამ სიცოცხლეს მას მსახიობები მიანიჭებენ. მათთან შეხვედრისათვის ემზადებოდა მ. თუმანიშვილიც თავისი სარეჟისორო გეგმით.

1975 წლის 14 იანვარს გაზ. „ქართული თეატრის დღეში" გამოქვეყნებულ საუბარში თეატრმცოდნე ნ. დევიძესთან ასეც ამბობდა:

„რეპლიკებისა და რემარკების საშუალებით ვცდილობთ გავიგოთ – რა მოქმედება აიძულებთ „გაყრის" გმირებს წარმოთქვან ესა თუ ის სიტყვა". „ვცდილობთ გავიგოთ" – ანუ უკვე არა მარტო მან, არამედ მონაწილეთა გუნდის წევრებთან ერთად ანსამბლურ შემოქმედებით მუშაობაში რეპეტიციაზე, რისთვისაც ქმნიდა იგი გეგმას – ნიადაგს ერთობლივი შემოქმედებისათვის. იმათთან, ვისაც რეპეტიციაზე მოსვლამდე აგრეთვე გავლილი აქვს როლზე ინდივიდუალური მუშაობის გარკვეული ეტაპი. ახლა ისინი იწყებენ მომავალ სპექტაკლზე ერთობლივ მუშაობას, მაშასადამე, ერთობლივ თხზვასა და განხორციელებას.

ვერ გავიზიარებ სარეჟისორო გეგმის შესახებ თვით ისეთი ავტორიტეტული შემფასებლის აზრს, როგორიცაა თეატრალური ენციკლოპედია, სადაც ვკითხულობთ:

„სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სარეჟისორო ეგზემპლარები – ესაა ნამდვილი სამეცნიერო შრომები, რომლებშიც აღმოჩენილია ნაწარმოების იდეა, სტილი და მოცემულია მისი ღრმა და ახლებური განმარტება" (დასახელებული ტომის გვ. 563).

სარეჟისორო გეგმა არაა მეცნიერული (თანაც, ნამდვილად მეცნიერული!) ნაშრომი – ის თხზულებაა, წარმოსახვის ნაყოფია, უჩვეულო მხატვრული ქმნილებაა, წერილობით მომცველი ყველაფრისა, რისგანაც დრამატული თეატრის წარმოდგენა შედგება.

ეს წარმოდგენა თეატრის ქმნილებაა. რეჟისორი – თეატრის ხელოვანი. მაშასადამე, მისი სადადგმო გეგმა უთუოდ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენია მას ამ ხელოვნების რაობა – რანაირი თეატრისთვის თხზავს იგი თავის მხატვრულ ქმნილებას.

მ. თუმანიშვილს თეატრი წარმოედგინა ისეთ ხელოვნებად, რომელსაც შეუძლია მრავალ ადამიანთა გაერთიანება ერთი აზრითა და გრძნობით როგორც სცენაზე, ისე მაყურებელთა დარბაზში, სპექტაკლის რაობას ასე განსაზღვრავდა:

„სპექტაკლი – ეს მხოლოდ გასულიერებული ცხოვრება კი არა, ახალი, რეალურად არსებული ფენომენია. თუ გნებავთ, ესაა ფილოსოფიური გააზრება ცხოვრებისა, მოდელი ადამიანის ყოფიერებისა პოეტის „წარმოსახვის ტეხილში" მოწოდებული" („რეჟისორი თეატრიდან წავიდა". 1989 წ. გვ. 161).

მისი შემადგენელი ნაწილების სიმწყობრესა და მხატვრულ მთლიანობას რეჟისორის ჩანაფიქრი განაპირობებს – „მთელი სპექტაკლის დამაკავშირებელი აზრია... ამიტომ, ვიდრე სპექტაკლზე მუშაობას დაიწყებდეს, რეჟისორი ყოველთვის სათანადოდ უნდა მოემზადოს, შექმნას მომავალი მუშაობის გეგმა... მან უნდა იცოდეს, საით წაიყვანოს თეატრალური წარმოდგენის შემოქმედთა მრავალრიცხოვანი არმია" („სანამ რეპეტიცია დაიწყება..." 1977. გვ. 31).

„ხელოვნება, ალბათ, იწყება იმ მომენტიდან, როცა აღმოცენდება „აღელვება", რომელიც მოითხოვს გამოსავალს და იძენს „სხეულს" – ფორმას. იდეებისა და გრძნობების სფეროდან ის მატერიალური ფორმების სფეროში გადადის" („რეჟისორი თეატრიდან წავიდა", გვ.258).

და ბუნებრივად წამოჭრილი კითხვა – როგორ იქმნება მომავალი დადგმის გეგმა, მომავალი სპექტაკლის მოდელი?.. და პასუხიც: „სარეჟისორო გეგმა მხატვრულ სახეთა და მოქმედებათა დიდი და რთული სისტემაა, აურაცხელი რაოდენობის ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთზემოქმედ ელემენტთა კომპლექსი. მომავალი სპექტაკლის მოდელის აგება, ე. ი. მხატვრული „პროექტის" შეთხზვა რეჟისორისაგან მოითხოვს ცოდნას, თეატრალური ტექნიკის დაუფლებას, ნიჭს. ბუნებით უნდა ჰქონდეს მომადლებული შემოქმედებითი წარმოსახვის ნიჭი. ერთი სიტყვით, ხელოვანი უნდა იყოს, ხელოვანი „თავიდან ფეხებამდე" („სანამ რეპეტიცია დაიწყება..." გვ. 50).

ამ სიტყვების შემდეგ, ნამდვილად ძნელია სარეჟისორო გეგმას სამეცნიერო შრომა უწოდო. ის ხელოვანის ქმნილებაა, თხზულებაა.

თხზვა – წარმოსახვით შექმნაა, შემდეგ კი მისი გადმოტანა მწერლის მიერ ქაღალდზე, კომპოზიტორის მიერ სანოტო რვეულში, მხატვრის მიერ ტილოზე, კინემატოგრაფისტის მიერ ეკრანზე, მსახიობის მიერ სცენაზე, რეჟისორისთვის კი – ჯერ ქაღალდზე ე. წ. სარეჟისორო გეგმის სახით. სპექტაკლი ქაღალდზე მხოლოდ მისი თხზულებაა.

შემდეგ, ამ თხზულების გათვალისწინებით, დაიწყება გუნდური შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც უკვე როგორც ერთობლივი, გაიშლება არა ქაღალდზე, არამედ ჯერ სარეპეტიციო დარბაზში, შემდეგ სცენის სივრცეში განფენილ ცოცხალ პროცესად, მხოლოდ ერთი საღამოს განმავლობაში, მრავალი მაყურებლის თვალწინ.

შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორის შემოქმედება ინდივიდუალურია (რო-

ცა მისი წარმოსახვა თხზავს), ქაღალდზე დაწერილიცაა (როცა წარმოსახვით შეთხზული ქაღალდზეა აღწერილი) და ანსამბლურიც (როცა სპექტაკლი სცენაზე გაცოცხლდება). ამ საშუალებათა შორის მხოლოდ რეჟისორის კუთვნილება მისი სადადგმო გეგმაა. აქედან ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს გეგმა რეჟისორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დასადგენად. ცხადია, ამგვარი გეგმის შეთხზვა შეუძლია მხოლოდ იმ რეჟისორს, ვისაც წარმოსახულის სიტყვებით გადმოცემის უნარიც აქვს.

მ. თუმანიშვილის არქივში დაცულ მრავალ სარეჟისორო გეგმათაგან სამტომეულის მესამე წიგნისთვის „მიხეილ თუმანიშვილი თხზავს", სანიმუშოდ შერჩეულ იქნა სამი: ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებანი" (1945), ჟან ანუის „ანტიგონე" (1968) და თორნთონ უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი" (1983).

რატომ ჰ. იბსენის „მოჩვენებანი"?

ეს გეგმა სტუდენტი რეჟისორისაა, თანაც მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტისა. ამ სახით აბარებდა იგი გამოცდას სპეციალობაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ გეგმის ავტორი მომავალი სპექტაკლის მონაწილეებთან სარეპეტიციო მუშაობის დაწყებისთვის არ ემზადებოდა – ის გამოცდას აბარებდა რეჟისურაში. ამიტომ ამჯერად მისი ადრესატი მასწავლებელია, რომელმაც უნდა შეიტყოს, როგორ აითვისა სტუდენტმა ის, რასაც ამ ხნის განმავლობაში ასწავლიდნენ. ვითარება გვატყობინებს ორ უმნიშვნელოვანესს: რას ასწავლიდა გ. ტოვსტონოგოვი მომავალ რეჟისორებს და რა ისწავლა სტუდენტმა. მ. თუმანიშვილმა ორი სასწავლო წლის განმავლობაში.

მან ისწავლა მომავალი სპექტაკლის სარეჟისორო გეგმის შეთხზვა, მაშასადამე, უკვე იცის, რისგან შედგება რეჟისორის სცენური ქმნილება – სპექტაკლი. ამიტომ ეს გეგმა ორი შემოქმედის შესახებ არსებული უძვირფასესი მასალაა.

იმ 1945 წელს ამ ორთაგან არც ერთი არ იყო სახელოვანი, ასეთები ისინი შემდგომ გახდებიან. ამიტომ ყოველი მათგანის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის ეს მასალა ფასდაუდებელი იქნება. ამიტომაც გადაწყდა ამ უაღრესად საინტერესო და საზოგადოებისათვის უცნობი მასალის წინამდებარე წიგნში შეტანა.

მაშ, ასე – რა იცის მეორე კურსის სტუდენტმა მიხეილ თუმანიშვილმა? რას გვაუწყებს მისი სარეჟისორო გეგმა?

პირველ ყოვლისა, იცის, რომ ნებისმიერი სპექტაკლის საფუძველი მუდამ დრამატურგიაა, ლიტერატურული ნაწარმოები და მისი სარეჟისორო

გეგმაც, ვრცელი თეორიული და ისტორიული ნარკვევის შემდეგ, ნორვეგიისა და ჰ. იბსენის შესახებ, ამით იწყება:

„სპექტაკლის მხატვრული სახეა – „ღრმა ხეობა"... „მოჩვენებებზე" მუშაობა რომ დავიწყე, ჩემ წინაშე დადგა იბსენის ტრაგედიის აღნაგობის საკითხი. მივხვდი, რომ ყველაფერი უმნიშვნელოვანესი უკვე მოხდა ამ ნაწარმოების გმირთა ცხოვრების დაწყებამდე, ახლა არის ზღვარი, რომლის შემდეგაც მითი ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს".

იცის, რომ პიესის მოქმედ პირებს სცენაზე მსახიობები აცოცხლებენ სახეობრივ მეტყველი მოქმედებებით. მოქმედება – აქტიური ქცევაა.

სარეჟისორო გეგმის გვ. 60:

„ენგსტრანი – მინდა ფრთხილად მოვიმადლიერო რეგინა.

ორივეს ამოცანა აქტივობის მომატებას უწყობს ხელს. ორივეს უნდა, რომ მეორემ მისი ამოცანა შეასრულოს –

რეგინას – მამა როგორმე აქედან მოაშოროს.

ენგსტრანს – როგორმე დაიყოლიოს რეგინა

ესაა ძირითადი, მელიისა და მგლის ფრთხილი ტაქტიკა".

იცის, რომ გარდა სიტყვიერი და უსიტყვო მოქმედებისა, პიესის პერსონაჟებს აქვთ რაღაც ისეთიც, რაც მხოლოდ მათ იციან და გარეგნულად არ ავლენენ, და სტუდენტი რეჟისორი თხზავს მათ დღიურებსა და ჩანაწერებს, რომლებიც, არსებითად, თავისი შინაარსით ე. წ. შინაგანი მონოლოგია ანუ ის, რასაც ადამიანები ფიქრობენ და განიცდიან.

იცის, რომ ეს პერსონაჟები სადღაც ბინადრობენ. გეგმის ასეთ მონაკვეთებში, გარდა სიტყვიერი მინიშნებისა, საინტერესო ჩანახატებიცაა, ისინი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ მიგვანიშნებენ იმას, თუ როგორ ხედავს მომავალი რეჟისორი სცენის სივრცეს და საერთოდ სცენოგრაფიულ გარემოს, ტექსტი კი ასეთიცაა –

„სპექტაკლის ფარდა. ის თავისთავად უნდა იყოს მაღალი დონის მხატვრული ქმნილება. ასეთი ერთადერთი მხატვარი ვრუბელია. ფარდა მაყურებელში უნდა იწვევდეს შეშფოთებას, ფერადი ლაქებითა და მძაფრი ხაზებით მის სულს უნდა აფორიაქებდეს... „შეშლილი" ფარდა! საზარელიც კი!"

და იქვე

„დეკორაციამ ზედმიწევნით უნდა გამოხატოს მთლიანად სპექტაკლის მხატვრული სახე. ეს ბნელი უფსკრულის ღრმა ფსკერია".

იცის, რომ ნებისმიერი ადგილსამყოფელი საგანთა სამფლობელოცაა, ზოგჯერ ერთი რომელიმე საგანი წარმოდგენის ორ ეპოზოდშიც შეიძლება იყოს ჩართული, ოღონდ განსხვავებული შინაარსით დატვირთული. მაგალითად:

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ XVIII . „ᲠᲔᲥᲕᲘᲔᲛᲘ“ ᲐᲜ „ᲛᲐᲛᲘᲡ ᲐᲘᲠᲓᲘᲚᲘ“.

„ელენე რაღაც უცნაურად იქცევა... სიტუაცია იძაბება. მუსიკა: ორკესტრში IX ნაკვეთის თემა „Andante“ ჟღერს... უცებ, ფრუ ალვინგი გამოფხიზლდა, გონს მოვიდა – „მამა“, გაუელვა მას გონებაში... დიახ, ოსვალდის სურვილებსა და საუბარში სწორედ მისი მამა გამოჩნდა... პროჟექტორის შუქმა კამერჰერ ალვინგის პორტრეტი გაანათა... კი მაგრამ, ელენემ ხომ ჩამოხსნა იგი, როგორ აღმოჩნდა ისევ კედელზე? ფრუ ალვინგს ურუანტელმა დაუარა... ის კვლავ აქ არის!... ყველაფერს მიხვდა.

და უშუალოდ ამის მომდევნო ნაკვეთი XIX „წარუმატებელი მცდელობა“.

„ფრუ ალვინგი – „ახლა ყველაფერს მივხვდი“... პორტრეტი ქრება (ის მოჩვენებასავით უკანა მხრიდან ნათდებოდა). პაუზას მუსიკალური ფრაზა ავსებს. ეს უკვე „Allegro moderato-ა“.

იცის, რომ მოქმედ პირთა ცხოვრების ნებისმიერი მომენტი თავისებური სინათლითაა გარემოცული. ამის მაგალითი ეს-ეს არის ვიხილეთ კამერჰერ ალვინგის პორტრეტთან დაკავშირებით. არის სხვა სახის ნიმუშებიც:

„წყვდიადს ბურუსის სინათლით, ფერების გამუქებით უნდა მივაღწიოთ. ეს პირველი ვარიანტია, მეორე ვარიანტი – გამოვაჩინოთ სახურავის სიბრტყე და სინათლით სველი ზედაპირი შევქმნათ“.

„მეორე მოქმედება, ალვინგი პასტორთან მარტო რჩება. მანდერსი აუჩქარებლად მიემართება ფანჯრისაკენ, რომლიდანაც მოჩანს, რომ გარეთ ბურუსია და ბინდდება (სინათლე).

რა მოსაწყენი და ცივი ატმოსფეროა. კარგი იქნება, თუ სცენიდან დარბაზისკენ სიცივე წამოვა ან ვენტილატორებით ან უბრალოდ ღია ფანჯრებიდან“.

„მესამე მოქმედება. ხანძარი ქრება... თუმცა დრო და დრო მინავლებული ცეცხლის ათინათი ხავერდის კლდეზე სუსტად გაიელვებს, ჟოლოსფერი – რუხ ცისფერ ხავერდზე.. ჰოლში ყველაფერი ძველებურადაა – ფართოდ გაღებული შემოსასვლელი კარი, ჩამოგლეჯილი ალუბლისფერი ფარდა იატაკზე და როიალის სკამზე, ჯერ ადგილზე არ დაუბრუნებიათ... სევდის მომგვრელად ანათებს ლამფა...“

გაისმის ხმები

„ხეობის თავზე საკლესიო ზარის ხმა ისმის დასაწყისში, გემის მოსვლასთან ერთად, ხანძრის დროს და ბოლოს, თითქოს ფრუ ალვინგისა და ოსვალდის სულის მოსახსენიებლად“.

„ნაკვეთი 16. „უეცრად, პასტორის ფიქრებს შეწყვეტს როიალის თავსახურის დანარცხების ხმა“.

XIII ნაკვეთი. „დედა, მოკალი შვილი“

„ზოგჯერ ჩურჩულია კულმინაცია და არა ყვირილი. ფრუ ალვინგს ყვირილი არ შეუძლია, იგი ხმაჩახლეჩილი ჩურჩულით პასუხობს შვილს, რომელიც, თავის მხრივ, თითქოს მშვიდად არწმუნებს მას რაღაც ჩვეულებრივ ამბავში“.

ყღერს მუსიკა

პირველი მოქმედება, ნაკვეთი N3

„პასტორის ამოცანა – მინდა წარსულში ჩავიძირო. ორკესტრში ვიოლონჩელი იმეორებს ფრუ ალვინგის თემას. ის შეუმჩნევლად აღმოცენდება და ნელ-ნელა ქრება.

ორკესტრი მოჩვენებათა თემას იმეორებს. ამან შეიძლება დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინოს, რაც ატმოსფეროს დაამძიმებს.

„ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო!“

„ოსვალდი ზურგს შეაქცევს პასტორს და როიალის თავსახურს ახსნის, იღებს აკორდს... მეორეს... პირქუშს, დაბალს... სულის შემხუთველი მუსიკა“.

ბინდი ჩამოწვა. სინათლე, უმთავრესად, ოთახის სიღრმეს ეცემა. პასტორი თავის კუთხიდან გამოდის და ფრუ ალვინგის საუბრისას, პირქუში მოჩვენებასავით, ლანდივით ბოლთას სცემს, მძიმედ და მოღუშულად, სულ ფიქრობს“.

ნაკვეთი IX. „დაუფარავი უხერხულობა“

„სცენაზე ნელ-ნელა ბინდდება.

მუსიკა – ორკესტრში მოჩვენებათა მუსიკალური თემა აჟღერდება. მომდევნო ნაკვეთებში იგი ტემპს იკრებს და უფრო მაღალ ტონებში ყღერს, თანდათან აძლიერებს მაყურებელში რაღაც საშინელი მოვლენის მოლოდინის განწყობილებას, იგი შეუმჩნევლად აღმოცენდება და ასევე ქრება, ფაგოტის, ჩელოსა და კონტრაბასის მსგავსი“.

ნაკვეთი XII. „საშინელი სიმართლე“

„სანთელი ანთია. ოსვალდი დინჯად დადის. მართალია, შინაგანი მდგომარეობა სირბილისკენ უბიძგებს, მაგრამ იგი ამას მთელი ძალით ეწინააღმდეგება. ფრუ ალვინგი დაჟინებით უყურებს მას.

ოსვალდი უცებ გაჩერდა. ჯიქურ მივარდება ფანჯარას და დიდ პორტიერას გადმოწევს. დედის წინ დგება. ამ წუთიდან ორკესტრში ყღერს „განთიადი“ ე. გრიგის „პერ გიუნტიდან“, რომელიც ოსვალდის ტრაგიკული აღსარების კონტრასტულია, ეს მუსიკა სიმსუბუქითა და გამჭვირვალობით ისე აღიქმება, თითქოს ბუნება ადამიანთა ტრაგედიას დასცინის... ნერვიულად და ბოროტად“.

სარეჟისორო გეგმიდან აქ მოხმობილი ადგილები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რა და რამდენად იპყრობს მეორეკურსელი რეჟისორის ყურადღებას.

ამ გეგმის კიდევ ერთი თავისებურება – მას თან ერთვის მოქმედ პირთა გამჭოლი მოქმედებები და ზეამოცანები სარეჟისორო ნაკვეთების თანამიმდევრობის შესაბამისად. აგრეთვე პიესის გამჭოლი მოქმედება და მოქმედ პირთა დახასიათებები. გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია და რამდენიმე მშვენიერი ნახატი სცენოგრაფიისათვის. ესეც სტუდენტური ნამუშევრის თავისებურებაა.

რატომ „ანტიგონე“?

60-იან წლებში უკვე ძალიან წვალობდა მ. თუმანიშვილი იმის გამო, რომ არსებული სინამდვილისადმი პროტესტის გამოსახატავად მზადმყოფი, ვერ ახერხებდა სპექტაკლით იმ ერთი პატარა, მაგრამ მისთვის რა ხანია ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვის – „არას“ თქმას...

პიესაც მოსაძებნი იყო. როგორც იქნა, მიაგნო – ჟან ანუის „ანტიგონეს“! არჩევანი ზუსტი იყო, მით უფრო, ოთარ და თამაზ ჭილაძეების ბრწყინვალე თარგმანით.

ჟ. ანუიმ დროთა კავშირი დაამყარა შორეულ ანტიკურსა და ახლობელ თანამედროვეობას შორის. მის პიესაში ანტიგონეს დაღუპვის მიზეზი ბედისწერით აღარაა განპირობებული. აქ კონფლიქტი პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა პრიზმაშია განხილული – კრეონტისა და ანტიგონეს განსხვავებულ მსოფლმხედველობათა შორის, მათ შეურიგებელ ზნეობრივ ორიენტირებში.

„ანტიგონე“ 1968 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. მისი სარეჟისორო გეგმა, ცხადია, 1967 წელს უკვე არსებობდა – ჰ. იბსენის „მოჩვენებათა“ სადადგმო გეგმის შექმნიდან 22 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მ. თუმანიშვილმა 36 სპექტაკლი დადგა თბილისის რუსთაველისა და ა. გრიბოედოვის, მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრებში, თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე და საქართველოს ტელევიზიაში. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მისი შემოქმედების, ისე ქართული თეატრისათვის, როგორც ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ და სხვ.

მ. თუმანიშვილის რეჟისორული ხელწერის ჩამოყალიბებას, რა თქმა უნ-

და, ეს წლები ნამდვილად დაჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა მის გარშემოც და თვით მასშიც. გამდიდრდა მისი პირადი გამოცდილება, გაფაქიზდა შეგრძნების, განცდისა და გააზრების უნარი. უფრო სადა, მკაფიო და დახვეწილი გახდა მისი სპექტაკლების მოქმედ პირთა ცხოვრების ფსიქოლოგიური ნახატი, მიზანსცენა უფრო ზუსტი, სხარტი და გრაფიკული. ასეთი შეხვდა იგი ჟ. ანუის „ანტიგონეს“.

ამ სპექტაკლში ყველაფერი სათეატრო ხელოვნების ენით იყო წარმოჩენილი – ცოცხალი, ხან სიტყვიერი, ხან უსიტყვო მოქმედების ენით, მაყურებელი არა მარტო ისმენდა იმას, რასაც მოქმედი პირები წარმოთქვამდნენ, არამედ თვალს ადევნებდა მათ სულში მიმდინარე პროცესებს, მათ მიერ ჩადენილ ქცევათა ლოგიკას, იმ საშუალებებს, რომლებსაც მიმართავენ ისინი მათ წინაშე აღმართულ წინააღმდეგობათა გადასალახავად ანუ ყურადღება მთლიანად მსახიობს იყო მოჯაჭვული.

„ანტიგონე“ იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მისი დადგმით, არსებითად, დასრულდა რუსთაველის თეატრის ის სახეცვლილება, რომელიც ახალგაზრდა მსახიობთა ერთმა ჯგუფმა მ. თუმანიშვილის თავკაცობით, ჯერ კიდევ 50-იან წლებში ნამოიწყო.

ახალი პრინციპების დამკვიდრებას წლები დასჭირდა. მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, 60-იანი წლების დასასრულისთვის ეს თეატრი უკვე აღარ იყო ღია რომანტიკული პათოსის გმირული თეატრი. ის გახდა ცხოვრებისეული სიმართლის სიღრმივ მწვდომი ანსამბლის თეატრი, რომლისთვისაც საინტერესო იყო ყოველი ადამიანის შინასამყარო, ფუძისეული პრინციპი – ანსამბლი, ორკესტრი, იდეალი – სოლისტების ორკესტრი. სათქმელის გამოვლინების გზა – ხასიათის სიღრმივი წვდომა, ადამიანთა შორის რთული ურთიერთობების ამოხსნა და მათი წარმოჩენა ავტორის მწერლური ინდივიდუალობის შესატყვისი სახეობრივი ქმედების ენით. ეს ძიებები უმაღლესი მხატვრული დონის „ანტიგონემ“ დააგვირვინა.

ამ სპექტაკლით მ. თუმანიშვილი პიროვნების თავისუფლებას და ადამიანურ მაღალ ზნეობას ქადაგებდა. გაბატონებულ ძლიერთა მიერ დამკვიდრებულ ცხოვრების წესს ამით უპირისპირდებოდა, თან როდის? – 1968 წელს, პრაღის მთელ მსოფლიოში გახმაურებული ტრაგიკული გაზაფხულის წელს, როდესაც საბჭოთა ტანკებმა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში სისხლში ჩაახშეს დემოკრატიული რევოლუცია!

ბენვზე ეკიდა სპექტაკლის ბედი. მახსოვს, როგორ განაცხადა მისი ჩაბარების დღეს საქართველოს კულტურის მინისტრმა – ეს წარმოდგენა ყოველნაირი ხელისუფლების წინააღმდეგია, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგიცაა.

ჭკვიანი კაცი იყო მინისტრი და სწორად ამოიკითხა ის, რაც ამოძრავებდა „ანტიგონეს“ დამდგმელ რეჟისორს. ისიც, თუ რა ძალით გაჟღერდა ეს მამოძრავებელი მიზანი იმ თეატრალური მიმართულების წყალობით, რომლის ერთგულიც იყო ეს რეჟისორი ყველაფრის მიუხედავად. სწორად ამოიკითხა მინისტრმა ის „არა!“ ყველას გასაგონად რომ ითქვა სცენიდან.

დასაღუპად განწირული შემოქმედის პასუხი მოკლე იყო და მშვიდი – „თუ ასეა, მოხსენით ნარმოდგენა“. მოხსნა არავინ იდო თავს – მაშინ ვიღაცას ხომ უნდა ეგო პასუხი იმაზე, რომ მისი ხელმძღვანელობის დროს რესპუბლიკის ნამყვან თეატრში ანტისაბჭოთა წარმოდგენა დაიდგა!

„ჩანაფიქრი, ალბათ ისაა, რაც ძალზე მაფორიაქებს მე, როგორც მოქალაქეს და ადამიანს, რაც მოსვენებას არ მაძლევს. ესაა გრძნობათა, განცდათა შენადედი“ – ამბობდა მ. თუმანიშვილი.

რა აფორიაქებდა? რა აღელვებდა? რისი თქმა უნდოდა?

სარეჟისორო გეგმიდან

„20. მთელი ქვეყანა ამ ფაშისტების ხელთაა, სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას უწოდებენ ისინი თავის თავს – კაპიტალისტებს, კომუნისტებს თუ ალი-ბაბას გამოქვაბულის ყაჩაღებს. მათი ლოზუნგები და მოწოდებები შინაარსგამოცლილ, ფუყე სიტყვებად იქცა. საზოგადო საქმიანობის ნიღაბს ამოფარებულნი, საკუთარ საქმეებს აკვარახჭინებენ, ხელისუფლებაში მოხვედრისას, პრესის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ყველაფერი იყიდება: სასამართლო, მილიცია, სამხედრო კომისარიატი, ჯარი. სიმართლეს ვერ იპოვი კაცი. მათ ყველაფრის უფლება აქვთ. ისინი განაგებენ სწავლა-განათლებას, სკოლას, ხელოვნებას, განსაზღვრავენ ქცევის, ეთიკის ნორმებს...

ეს სპექტაკლი ხეპრეობის და ფაშიზმის წინააღმდეგ ამბოხებაზე მოგვითხრობს. ვიღაცამ პირველმა დახუჭა თვალი სახელმწიფო დანაშაულზე საკუთარი სარგებლის გამო და როცა უნდა ეთქვა „არა“, თქვა – „კი“. დემოკრატია გაიყიდა... თანდათან ეჩვეოდნენ სიყალბეს და ლოზუნგს „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გარშემო ყველაფერი სიყალბემ მოიცვა...“

ძალიან საინტერესოა ის, რომ 1967-68 წლებში დაწერილი ეს ყველაფერი, 1992 წელს დაიბეჭდა ჟურნ. „ხელოვნებაში“ (N 7-8), შემდეგ კი 1998 წელს მ. თუმანიშვილის წერილების კრებულში „ახლა კი, ფარდა!“

მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ამ სარეჟისორო გეგმის სრული სახით გამოქვეყნება. იგი შეიცავს ჩემს პირად არქივში დაცულ „ანტიგონეს“ ექსპლიკაციას და კრებულში „ახლა კი, ფარდა!“ გამოქვეყნებულ მასალას სახელწოდებით: „ჟან ანუის „ანტიგონე“.

პიესა იმნაირადაა აგებული, რომ დედააზრის ტვირთს ყველა მოქმედი პირი ეზიდება, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ და როდის აღმოჩნდება წამყვან პერსონაჟებთან ამა თუ იმ სახის ქმედით კავშირში. სისხლის მიმოქცევის მსგავსად, დედააზრიც მოძრავია – ხან „აორტაში" გაივლის, ხან „კაპილარში", მაგრამ მუდმივ მოძრაობს და ასე „კვებავს" ნანარმოების მთლიან სხეულს. ასეა ეს პიესაში.

სარეჟისორო გეგმიდან:

„თემა – პატიოსნებაზე, ღირსებაზე, ხეპრეობაზე, ფაშიზმზე.

N2 – პიესის უმთავრესი ვითარება – დას მკვდარი ძმის დატირებას უკრძალავენ.

N33 – დაიბადე, ანტიგონე! გაიღვიძე, ანტიგონე! მოდი, ანტიგონე!

ანტიგონე საზოგადოების სინდისია, მისი იმედი".

გეგმაში აშკარა პრიორიტეტი მსახიობთა შემოქმედებას ეთმობა – დაწვრილებითაა აღწერილი მათი მოქმედების მიზეზები, საგანგებოდაა დადგენილი მათი ზეამოცანები და გამჭოლი მოქმედებები:

„ანტიგონე (20 წლის). ზეამოცანა: ავაფეთქო ეს კეთილდღეობა, ეს ხეპრეობა.

გამჭოლი მოქმედება: დავძლიო შიში იმისთვის, რომ ეს ჩავიდინო.

კრეონტი. გამჭოლი მოქმედება – გავაჩუმო და გადავარჩინო ანტიგონე.

ჰემონი. გამჭოლი მოქმედება – არ დავკარგო ანტიგონე.

ისმენე (22-23 წლის). გამჭოლი მოქმედება – არ გავიფუჭო ურთიერთობა ხელისუფლებასთან".

ამ გეგმაში მ. თუმანიშვილი რატომღაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპექტაკლის პროგრამას:

„შევადგინო „ანტიგონეს" პროგრამა.

1. მითი.
2. ანუის შესახებ.
3. ფრაზები გაზეთებიდან.
4. პართენონი (ფოტო).
5. მოქმედი პირნი და შემსრულებელნი".

სცენოგრაფია

ამ სპექტაკლის ზოგიერთი ეპიზოდის ფოტოსურათიც საკმარისია იმისთვის, რომ ნათელი გახდეს მიზანსცენისა და სცენოგრაფიის სახეობრივი ნახატის პლასტიკური გამომსახველობა. თუნდაც იმ ეპიზოდისა, სადაც სამთავრობო სკამზე მჯდომი ჩაფარი და სკამის ფეხზე ძაღლივით ჯაჭვით მიბმული ანტიგონეა ან სკამებზე გაშხლართული სამი უხამსი, მოხარხარე ჩა-

ფარი, მათ წინ კი იატაკზე დაგდებული მაღალი ზნეობის განსახიერება – ანტიგონე.

საგანთა სამყარო ძალიან ძუნწადაა წარმოდგენილი და უთუოდ რომელიმე მოქმედ პირთან უშუალო კავშირში: კრეონტის სამუშაო ოთახის სკამები, ევრიდიკეს ძაფის გორგალი... ასევე სამოსელი: კრეონტის პიჯაკი, ანტიგონეს სანდლები, ანტიგონეს მოოქროვილი კოტურნები, ღუნღულა მოსასხამი, ისმენეს მძივები...

განათებაც ასევე – მოქმედ პირებთან უშუალო კავშირში:

„1. ანტიგონე ბნელ ოთახში შემოდის (ოდნავ რძისფერი სინათლე კარიდან, რომელსაც შეაღებს). დარაბები დახურულია. ძიძა სანთლით ხელში ეპიზოდის მიმდინარეობის დროს, დარაბებს აღებს. ფანჯრის მიღმა – რძისფერი შუქი. „ნისლში“ ოდნავ ჩანს პართენონი.

2. ისმენესთან სცენა – ერთი ფარანი ანთია. გმირთა ფსიქოლოგიის შესწავლა. ანატომირება იწყება.

3. კრეონტთან ორთაბრძოლის ფინალში ყველა ფარანი ანთია – კულმინაცია.

4. ნელ-ნელა ყველაფერი ქრება.

5. ფინალში მსახური ლუმინისცენციურ სინათლეს ანთებს (დღის სინათლე). ფანჯარაში ღამის შუქით განათებულ გისოსებს მიღმა პართენონი მოჩანს (როგორც მცხეთის ჯვარი).

6. როდესაც კრეონტი და პაჟი გადიან, ღია კარიდან სინათლის ყვითელი სხივი გამოდის, თითქოს კარგად განათებული ოთახიდან“.

ხმები

ჩაფარი, ლამის თოკით რომ შემოათრევდა ანტიგონეს ოთახში, იქვე მდგომ სკამზე დასვამდა და თვითონაც იქვე ჩამოჯდებოდა, ჯიბიდან თხილით სავსე პატარა პარკს ამოიღებდა, იქიდან თითო-თითოდ იღებდა თხილს, ამტვრევდა და პირში იყრიდა, შექმნილი ვითარებით შეძრწუნებული ანტიგონე იატაკზე დაეშვებოდა, თავს სკამზე ჩამოდებდა და საკუთარი გრუზა თმით დაფარული, თითქოს არ ჩანდა, მდუმარება სუფევდა სცენაზე, დარბაზშიც სულშეგუბებული სიჩუმე იდგა. ერთი ხმა ისმოდა მხოლოდ – რეგვენი ჩაფარის ძლიერ ყბებში მოქცეული თხილის ნაჭუჭის გაპობის ხმა. შემზარავი იყო იგი.

ცხოვრებაზე საპირისპირო თვალსაზრისები იბრძოდნენ სცენაზე, მის მიღმა კი, სადღაც მოშორებით, საშინელი სისწრაფით ამოძრავებული მანქანები ეჯახებოდნენ ერთმანეთს, მოისმოდა მუხრუჭის ჭრიალი, ლითონის ღრჭიალი, სასწრაფო დახმარების მანქანების საყვირის ხმები.

სარეჟისორო გეგმიდან

„25. საგანგებო სირენის გაბმული ხმა.

12. განგაში.

მთელ თეატრში ზარების რეკვა ატყდება. გაბმულად კივის სირენა, აციმ-ციმდნენ მილიციის მანქანის ნათურები, გაუთავებლად რეკავს რამდენიმე ტელეფონი. ყველა სადღაც გარბის, კარებს აჯახუნებენ. ოჯახური საქმე პოლიტიკურად იქცევა. ბრძოლაში სამთავრობო ორგანოები ჩაერთვებიან. შეშინებული ჩაფარი კრეონტს ატყობინებს, რომ მეამბოხის ცხედარს მიწას აყრიდა ვიღაც გოგონა, რომელიც მან, მადლობა ღმერთს, დაიჭირა და აქ მოათრია. ანტიგონე! ო, ოიდიპოსის ეს წყეული მოდგმა! კრეონტი ცდილობს სწრაფად გაიაზროს მომხდარი, გამოსავალი იპოვოს და, რაც შეიძლება მალე მიჩქმალოს ეს ამბავი, რომ მან ოპოზიციამდე, თებემდე არ მიღანიოს“.

მუსიკა

„16. რაღაც სისულელე ჩაიდინა ამ გოგომ, ახლა კი კრეონტმა იმტვრიოს თავი, ეძებოს გამოსავალი. „ახლავე წახვალ და იტყვი, რომ ეს ყველაფერი ბავშვობაა, თამაში, რომ შენ არ გინდოდა კანონის დარღვევა“. მაგრამ ანტიგონე ჯიუტი ბავშვივით მოიკრებს ძალას, შიშის გრძნობას დაძლევს და იტყვის „არა!“

მუსიკა. ბეთჰოვენის „ბაგატელები“.

„ოთახში ისმენე შემორბის. კიდევ ერთხელ ცდილობს დაარწმუნოს ანტიგონე მოიქცეს ისე, როგორც ბიძას სურს. ისმენეს არ უნდა მთავრობასთან ურთიერთობა გაიფუჭოს. ანტიგონე მტკიცედ უცხადებს, რომ აკრძალვის მიუხედავად, ისინი ვალდებულნი არიან ძმის ცხედარი მიწას მიაბარონ. ეს მათი წმინდათა-წმინდა ვალია. და ანტიგონე კვლავ ძმის ცხედრისაკენ გაეშურა. ჩიხი. გამოუვალი მდგომარეობა.

მუსიკა. ბეთჰოვენის „ბაგატელები“.

24. ანტიგონე ხვდება, რომ კრეონტი ცდილობს აიძულოს ისე იფიქროს და იმოქმედოს, როგორც ეს ბიძას თავის მტრებთან ბრძოლაში სჭირდება, დღეს არსებულ ვითარებაში.

მუსიკა. ბეთჰოვენის „ბაგატელები“.

27. ჰემონი ემუდარება მამას გადაარჩინოს ანტიგონე... აქ სპექტაკლის კულმინაციაა.

მუსიკა, ბეთჰოვენის „ბაგატელები“.

შუბერტის მუსიკაც ხმიანდება ს. რიხტერის შესრულებით. წყვეტილად, მცირე მონაკვეთებით, მოქმედ პირთა ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი ხან იწყებოდა მუსიკალური ფრაზით, ხან მთავრდებოდა, ასე, კრეონტი რომ ან-

ტიგონეს იატაკზე დაანარცხებდა, მოკლე მუსიკალური ფრაზა ეპიზოდს ნერტილად დაესმებოდა.

ძალიან საინტერესოა სარეჟისორო გეგმის ის ადგილები, სადაც კომპონენტები ერთადაა: ავეჯი, განათება, ცხოვრების ხმები, მუსიკა, მოქმედ პირთა ქცევები და ყველა ერთად ნაწარმოების დედააზრს, რეჟისორის სათქმელს დაქვემდებარებული. რეჟისორის დიდოსტატობის უტყუარი საბუთი.

რატომ „ჩვენი პატარა ქალაქი"?

ეს სპექტაკლი კინომსახიობთა თეატრში 1983 წელს დაიდგა, ამ დროისთვის პატარა თეატრმა, დღეს რომ მ. თუმანიშვილის სახელობისაა, მსოფლიო თეატრალურ რუკაზე თავისი ადგილი უკვე დაიკავა. ცხადია, მისმა შემქმნელმა და ამ სპექტაკლის დამდგმელმაც. ხშირ შეკითხვაზე – რომელია თქვენი უსაყვარლესი სპექტაკლი, მ. თუმანიშვილი უყოყმანოდ ასახელებდა: „ჩვენი პატარა ქალაქი".

ვფიქრობ, არა მარტო უსაყვარლესი, არამედ უმნიშვნელოვანესიც, ვინაიდან ამ დროისათვის ყველა მისმა შემოქმედებითმა უნარმა, გამოცდილებამ და ოსტატობამ თავი მოიყარა და უჩვეულო ძალით გადმოიღვარა ამ ქმნილებაში. ძალიან ახლობელი აღმოჩნდა მისთვის თორნთონ უიალდერის ნაწარმოები და რევაზ გაბრიაძის მიერ ასე ოსტატურად ქუთაისში ჩამოსახლებული მისი გაქართველებული ადამიანების ცხოვრების ამბავი. და წარმოსახვაც მთელი ძალით ამუშავდა. წარმოსახვის სამყაროში ყოფნა ნეტარება იყო მისთვის. წერდა კიდეც: „ბედნიერი ვარ, რომ წარმოსახვით მაინც შემიძლია სადაც მინდა იქ – წინ გნებავთ, თუ უკან – გადავსახლდეო".

თავისი მრავალარხოვანი აგებულებით ეს პიესა რომანს ჰგავს და ამის გამო მრავალი სირთულეც ახლავს. უმთავრესი მათ შორის ისაა, რომ რომანისგან განსხვავებით, წარმოდგენა ერთი საღამოს დროითაა შემოსაზღვრული. ამის გამო ყოველი მისი მოქმედი პირის სცენური სიცოცხლეც ამ ერთი საღამოს ასტრონომიული დროის რომელიღაც ნაწილია. ასე რომ, დროის ანგარიში უზუსტესი უნდა ყოფილიყო – ყოველი წუთი უცდომლად მხოლოდ იმით დატვირთული, რა ფუნქციაც ეკისრება მას მოქმედ პირთა ცხოვრების იმ მონაკვეთში, ახლა რომ მიმდინარეობს მაყურებელთა თვალწინ.

ამ სირთულემ გამოიწვია იმის აუცილებლობა, რომ მ. თუმანიშვილს ხშირად მიემართა სპექტაკლში მონაწილე მსახიობებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის მანამ, სანამ მისთვის საბოლოოდ ნათელი გახდებოდა ამ ცალკე „ძაფებით" როგორ მოქსოვდა სპექტაკლის მთლიან ქსოვილს. გასააზრე-

ბელი და დასადგენი იყო ყოველი მოქმედი პირის სცენური ცხოვრების ხაზი, მისი ტეხილები, მათ შორის კავშირები და გადაკვეთანი, ეს ყოველივე განვითარებასა და ცვალებადობაში. განსაცვფირებელია მის მიერ შეთხზული ვერსიები შესახებ იმისა, თუ როგორ იმალება ამ პიესის ყოველი მოქმედი პირის დღევანდელობის მიღმა მისი წარსული ცხოვრება.

„ჩვენი პატარა ქალაქის" სარეჟისორო ექსპლიკაცია სპექტაკლის დადგმის რამდენიმე ვარიანტს შეიცავს. ვცადეთ მათი დალაგება, შეძლებისდაგვარად, ქრონოლოგიის დაცვით, ჩანაფიქრის განვითარებისა და სრულყოფის კვალობაზე.

ამ დროისათვის მ. თუმანიშვილი უკვე ის დირიჟორია, რომელსაც ორკესტრის ყოველი მუსიკოსი ფრთხილად მიჰყავს სიმფონიის ერთი ტაქტიდან მეორისაკენ იმის ზუსტი ცოდნით, თუ ვის ეკუთვნის ამ წუთებში ინიციატივა, მომდევნო წუთში კი ვისთან და როგორ გადაინაცვლებს იგი.

პიესის ავტორის შესატყვისად, რეჟისორიც თითქოს რომელიღაც მაღალი წერტილიდან დასცქერის პატარა ქალაქს და ყველაფერს ხედავს, ყველაზე ფიქრობს, უნიჭიერეს მხატვარზეც და მოხუც მეშუშეზეც კი... ყველაფერზე, რაც ამ სამყაროშია და მიღმიერშიც იცქირება. მისთვის ჩვეულებრივი და ჩვეული უჩვეულოსა და არაჩვეულებრივსაც მოიცავს.

„ჩვენი პატარა ქალაქის" მოსახლეობის საბინადროც ხაზგასმით ჩვეულებრივი იყო (მხატ. ი.გეგეშიძე) – სცენაზე ხომ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება უნდა გაიშალოს! არავითარი სოციალური კატაკლიზმები: იღვიძებენ, საუბრობენ, დედები და მეუღლეები სასწავლებლებსა და სამსახურებში ისტუმრებენ შვილებსა და ქმრებს, გოგო-ბიჭებს ერთმანეთი მოსწონთ, ჩაისახება უმშვენიერესი გრძნობა სიყვარულისა... ამაშია ამ ნაწარმოების უჩვეულო სისადავის ხიბლი...

ასეთია პირველი ორი მოქმედება – სააქაოში. მესამე კი სრულიად საპირისპირო – საიქიო: მიღმიერი სამყარო, სადაც საკუთარ საფლავის ქვებად ქცეული, ამ ქვეყნიდან წასული ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟები განისვენებენ. რა უბრალო, რა უჩვეულოა მ. თუმანიშვილის ეს მიგნება: სხეული მათი უძრავია, სული კი ცოცხალი – ისინი ხომ ფიქრობენ, განიცდიან, ერთმანეთში საუბრობენ... მაშ, ცოცხალია სული!.. ავტორსაც და რეჟისორსაც მიაჩნიათ, რომ მიწიერი და ზეციური ცხოვრება ათასნაირ კავშირშია ერთმანეთთან.

ეს სპექტაკლი თეატრალური პოლიფონიის ნამდვილი სასწაული იყო: პიესის სიტყვიერი ზედაპირის ქვეშეთიდან, დიდოსტატი რეჟისორის წყალობით, ამოიზრდებოდნენ ის ხელშეუხები ძალები, რომლებიც ქმნიდნენ ადამიანურ ურთიერთობათა იმ სურათს, განსაკუთრებული განწყობილებით რომ ავსებდა სცენასა და მაყურებელთა დარბაზს – სპექტაკლის ატმოსფეროს.

მაყურებლის თვალწინ იყო ადამიანთა სულიერი ცხოვრების, მათი ფიქრის, განცდათა და ურთიერთობათა ისეთი ფსიქოლოგიური კვლევა, რომელსაც მხოლოდ მიკროსკოპის ქვეშ მიმდინარე ოპერაცია შეიძლება შეედაროს. განსაცვიფრებელი იყო ის, რაც ამ დროს სცენაზე ხდებოდა. იქნებ, უფრო განსაცვიფრებელი ის იყო, რაც ამ დროს ხდებოდა მაყურებელთა დარბაზში!..

თურმე როგორ სწყურიათ ადამიანებს საკუთარ ცხოვრებაში ჩაღრმავება...

ამ სპექტაკლის სცენოგრაფიაც, უმთავრესად, საგანთა სახეობრივი ფუნქციით იყო აღჭურვილი. ჩავიხედოთ მ. თუმანიშვილის სარეჟისორო გეგმაში:

„ფანჯრის ჩარჩოები. ერთ ჩარჩოზე აბლაბუდა. გრიშა ბაბუას ოჯახური პორტრეტის დაბრეცილი ჩარჩო.

აქვეა დიდი, ნახევარი მეტრის სიმაღლის ქვიშის საათიც. ისინი საგანგებოდ უნდა გავაკეთებინოთ ქარხანაში ორი კოლბისაგან.

ყოველ სცენაში აუცილებლად ვიპოვოთ ყოფის კონკრეტული ელემენტები დეკორაციაში. ქუჩა, ბუფეტი, სახლი – ბინა, ქალაქი და ა. შ.

საფლავის ქვა ნათდება.

თანაშემწეს ატმის რტო უჭირავს. სცენის შუაგულში გამოაქვს XI-XII საუკუნის საქართველოს რუკა.

ვიღაცამ გარეცხილი თეთრეული გამოიტანა და ონკანის ქვეშ ავლებს. მერე თოკს ჭიმავს, თეთრეულს ფენს, თოკს ჯოხს შეუდგამს.

მეწაღე კუთხეში ჯდება. გამოაქვს თავისი სკამი, აბრა (დახატული ფეხსაცმელი), მაგიდა ხელსაწყოებით. მუშაობას იწყებს. აფექტურად ურტყამს.

გამჭვირვალე ფარდა ეშვება – იგი სამყაროს სიკვდილ-სიცოცხლედ ჰყოფს.

სცენის წინ კუბები დგას; მათზე სიმბოლოები, ადამიანები – აჩრდილები სხედან. ისინი მკვდრები არიან, მდუმარების სამყაროში გადასულნი. ეს ნინელია, დედაჩემი და სხვები. ისინი მუდამ ჩვენთან არიან. თავიანთი უძრაობით ჩვენ მოძრაობას უსვამენ ხაზს, აუღელვებლობით კი – ჩვენ ფუსფუსს. ისინი ცოცხლებს „ახმოვანებენ“. წინ, რამპაზე, პატარა, გახვრეტილი გლობუსი დევს“.

ყოველ ეპიზოდში აქტიურადაა ჩართული განათება.

„მაყურებელთა დარბაზი განათებულია. სცენაზე ბნელა, მხოლოდ ნავთის ერთი ლამფა ანთია. ოდნავაა განათებული კარისა და ფანჯრის ჩარჩოები.

სცენაზეა ფანჯრებიდან შემოსული განთიადის სინათლეც.

კონსტრუქციის გამჭოლი განათება.

1. როდესაც რეჟისორის თანაშემწე ქალაქს აღწერს – კონსტრუქცია ქსოვილის უკანა მხრიდან ნათდება. რას მოგვცემს ეს?

2. გამჭოლი განათება მიცვალებულთა გამოჩენის დროს

ყოველივე ეს შუქ-ჩრდილის საინტერესო ტრანსფორმაციას გვაძლევს.

„პისტოლეტის“ შუქი სცენაზე მოძრაობს, გამოყოფს აბლაბუდას, ფანჯარას გამხმარი ტოტით, გაჩერებულ საათს გარეთ გამოვარდნილი ზამბარით, ნინოსა და დიმიტრის სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტებს, ჩარჩო დახრილია.

ჩამობნელდა. პავილიონის უკანა კედელზე უზარმაზარი მთვარე ამოვიდა, ბლოკები ძალიან ნელა, ნარნარად, ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი ფარნებით ნათდება. კარგი იქნება, თუ ამ სინათლეს დავუმატებთ პროექციას მთვარეზე – „ადამი და ევა ედემში“.

რა თქმა უნდა, გაისმის ცხოვრების ხმები

„სპექტაკლის დასაწყისის მაუწყებელი ზარების ხმა.

ქარი უბერავს, დაჟანგულ ანჯამაზე დაკიდული, მოგლეჯილი კარი ჭრაჭუნებს. ახლად დაბადებული ჩვილის ტირილი.

მეეზოვე. თანაშემწის თხრობის პარალელურად, მის უკან, მიტოვებული ოთახის უკანა კედლის მიღმა მეეზოვე დაგვას იწყებს, დაგვის ხმა ისმის, მამლის ყივილი – დილა.

სასკოლო ზარის ხმა.

მატარებლის შორეული, მაგრამ ხშირი საყვირის ხმა.

მიცვალებულთა ჩურჩული, ჭრიჭინების ხმა, სიჩუმე, ვარსკვლავები. მარტოობა.

სპექტაკლის დასასრული. რეჟისორი სპექტაკლს ამთავრებს. წარმოდგენის დასაწყისში ახლად დაბადებული ბავშვის ხმა უნდა ისმოდეს. სად? ბოლოს კი – ისევ ახალშობილის ტირილი. „გესმით?“ – ამბობს თანაშემწე და ხელებს შლის – „ბავშვი დაიბადა“ (საკერავი მანქანის ხმა), ალბათ, ბავშვს საცვალს უკერავენ.

ყველა მონაწილე – ცოცხალიც და მიცვალებულიც – სამყაროს უსმენს“.

მოქმედ პირთა ცხოვრებაში უხვადაა მრავალნაირი მუსიკა

„პენდერეცკის მუსიკა.

დები იშხნელების ანსამბლი.

შორიდან არღნის ხმა ისმის.

თანაშემწე პატეფონში ძველ ფირფიტას დებს... 20-იანი წლების ამერიკული რეგთაიმი ჟღერს.

გოგონა ფარდის უკან მოცარტის „ღამის პატარა სერენადას“ უკრავს.

თანაშემწე წარსულზე იწყებს საუბარს – მუსიკა. ძველი ქართული ქორალი, ძალიან ჩუმად, ფონად.

აივნის სცენა (სიყვარულის ახსნა), მუსიკა – „ცისფერი ტრიო“ სიყვარულზე მღერის.

აი, მუსიკა ჯერ არ ვიცი როგორი უნდა და როგორ გამოვიყენო.

მე და სასაფლაო. ეტიუდი ქვრივი მამაკაცის ცხოვრებიდან.

მუსიკა თითქოს მთელ სამყაროში ისმის".

მოულოდნელი სტრიქონები მ. თუმანიშვილის სარეჟისორო გეგმაში „ჩვენი პატარა ქალაქისათვის".

„ჩვენი პატარა ქალაქის" ჩანაფიქრის მონახაზი – „ეს ნინელიზე* და ჩემზეა. ჩვენი სევდიანი ისტორია" 25.10.81 წ." (ანუ პრემიერამდე 2 წლით ადრე, გეგმაზე მუშაობის დასაწყისშივე. – ნ. უ.).

ისევ გეგმიდან:

„ნინო გამოჩნდება, იგი საქმითაა დაკავებული, თანაშემწე კი მისი გათხოვების შესახებ მოგვითხრობს – (იმაზე, თუ როგორ დაქორწინდნენ ნინო და ექიმი ალავიძე (ეს კარგია). შემდეგ გვიყვება მის გარდაცვალებაზე და დიმიტრის ნაღველზე (ეს ჩემზე და ნინელიზეა)".

„არსებობდა სიცოცხლე – დედაჩემი და აღარ არის... არსებობდა სიცოცხლე – ნინელი და აღარ არის იგი..."

უნებურად გახსენდება მ. თუმანიშვილის არქივში დაცული მასალა N187, სადაც ჩაუწერია:

„ჩემთვის სცენა მაშინ ცოცხლდება, როდესაც იგი შიგნიდან ჩემი „ავტობიოგრაფიით", ჩემი ცხოვრებისეული მოგონებებით ივსება... მაშინ იმ ცხოვრებას ვძერწავ, რომელსაც კარგად ვიცნობ... ვფიქრობ, პიესა მხოლოდ მაშინ უნდა დადგა, როდესაც გრძნობ, რომ იგი შენია, შენზეა".

იქნებ, ამიტომ იყო „ჩვენი პატარა ქალაქი" მისი ყველაზე საყვარელი სპექტაკლი?

სარეჟისორო გეგმა აუცილებელია. ასე თვლიდა მ. თუმანიშვილი. „ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საქმიანობისთვის, გეგმა აუცილებელია. ამიტომ იგი უთუოდ უნდა არსებობდეს. რეჟისორს არა აქვს უფლება შევიდეს რეპეტიციაზე, თუ ასეთი გეგმა არ გააჩნია" („სანამ რეპეტიცია დაიწყება..." გვ. 280).

სპექტაკლს ის თავისთვის და მაყურებლისთვის ქმნიდა, როგორც ყველა ხელოვანი, მაგრამ გეგმას ამ წარმოდგენისათვის – ჯერ თავისთვის, შემდეგ კი ყველასთვის, ვინც ამ წარმოდგენაში მონაწილეობდა, ვისაც შეხვდებოდა რეპეტიციებზე და იქნებოდა მასთან პრემიერამდე. რეპეტიციებზე, რომლებიც თავის მეორე სიცოცხლედ მიაჩნდა:

„რეპეტიცია რეჟისორის მეორე სიცოცხლეა, შენი ყველა რეპეტიცია ერთმანეთს რომ გადააბა, გამოვა ერთი დიდი დამოუკიდებელი სიცოცხლე –

* ნინელი ჩიქოვანი – მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვლილი პირველი მეუღლე.

მეორე სიცოცხლე, რომელიც პირველის პარალელურად არსებობს და ვითარდება. ამ სიცოცხლეს თავისი კანონები აქვს“ („რეჟისორი თეატრიდან წავიდა“. გვ. 103).

ამ სიცოცხლისთვის იქმნება სარეჟისორო გეგმა – სიტყვებად ჩამოსხმული, დაწერილი მომავალი სპექტაკლი.

ვის და რაში გამოადგება ეს დაწერილი სპექტაკლი, გარდა მისი შემთხზველი რეჟისორისა?

პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა და მომავალ რეჟისორებს, ძალიან მიეხმარება მათ ისეთი რთული პრობლემის გააზრებაში როგორიცაა სპექტაკლის აღნაგობა, მისი თავისებური სტრუქტურა. დაანახვებს, რომ ცოცხალი სცენური ქმნილების აღნაგობა მოქმედების განვითარებაა, გმირთა ცხოვრების ენერგიის მიმდინარეობაა, შინაგანი დაძაბულობის ტეხილები და მიმართულებანი. იმასაც დაანახვებს, რომ ზუსტად ამოხსნილი არსი ყოველი ეპიზოდისა, მომდევნოს ამზადებს, ის მომდევნო კი მის წინარეს ახალი სხივით გაანათებს და ასე ჩაებმება მოქმედ პირთა ცხოვრების ცოცხალი ჯაჭვის მთლიანობაში მის რომელიმე რგოლად. ჯაჭვიდან ასეთი რგოლის ამოღება შეუძლებელია, რადგან წარმოდგენის მხატვრული მთლიანობა აუცილებლად დაინგრევა.

იმასაც დაანახვებს, რა ძნელია სპექტაკლის დასასრულის, ფინალის მიგნება, რადგან ის ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს ქმედებათა წამყვანი დინებიდან და უმთავრესი კონფლიქტის გადაწყვეტას უნდა წარმოადგენდეს, უთუოდ ბუნებრივსა და დამარწმუნებელს.

რას აძლევს სარეჟისორო გეგმა სათეატრო ხელოვნების მკვლევარს

იმდენი, თანაც განსხვავებული სარეჟისორო გეგმა აქვს შეთხზული მ. თუმანიშვილს, რომ მათი რაოდენობა ნათელყოფს – მას არ შეეძლო არ შეეთხზა სპექტაკლები! ეს უკვეა იმის საბუთი, რომ რეჟისორად იყო იგი დაბადებული.

ვინც მის არქივში ჩაიხედავს და სხვა მასალასთან ერთად, სარეჟისორო გეგმებსაც გაეცნობა, დაინახავს, როგორ ინახავდა იგი ქაღალდს მინდობილ თავის ნააზრევს სასცენო ხელოვნების შესახებ. იმასაც, რომ განუწყვეტლივ მხოლოდ ხელოვნებაზე ფიქრობდა, რომ მისი აზრიც და მისი სიტყვაც მუდამ კონკრეტული, სადა და ადვილად გასაგებია, ამიტომ ამ მასალათა შო-

რის რომელიღაც რაღაცის მიგნებასა და დადგენაში აუცილებლად მიეხმარება. ასე მაგალითად, ხომ შეიძლება „ანტიგონეზე“ 20-სტრიქონიან მის ჩანაწერში წაშლილი სტრიქონები როგორმე ამოვიკითხოთ? იქნებ, სწორედ ის წაშლილი სიტყვებია ყველაზე მნიშვნელოვანი? რა წაშალა ასე საგულდაგულოდ? რამ ამოხეთქა და რა დაფარა შემდეგ შავი მელნით?

ისეთი შემთხვევებიც ხომ ცნობილია, როდესაც რაღაც მნიშვნელოვან უცნობზე პასუხი იმ არქივშია, სადაც არავინ მოელის!

მ. თუმანიშვილის სარეჟისორო გეგმებში პიესის თითქმის ყველა მოქმედი პირის ცხოვრების ხაზია გააზრებული – ეს ამ მხატვრულ სახეთა რეჟისორული ინტერპრეტაციაა. შემდეგ, სარეპეტიციო მუშაობის პროცესში მას შეუერთდება პერსონაჟის განმასახიერებელი მსახიობის ინტერპრეტაცია, მზა სპექტაკლში კი სცენაზე მაყურებელი ამ ორი შემოქმედის ერთობლივი ინტერპრეტაციის შედეგს იხილავს. ასე რომ, მაგალითად, ს. ზაქარიაძის კრეონტის მხატვრული სახით მკვლევარს მ. თუმანიშვილის მიერ შეთხზულ „ანტიგონეს“ სარეჟისორო გეგმაშიც მოეძებნება ძალიან საინტერესო მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდა წარმოსახული ეს სცენური გმირი რეჟისორს მისეული სადადგმო გეგმის მიხედვით და რა გამოვიდა ბოლოს მსახიობთან მისი ერთობლივი მუშაობის შედეგად. ასე სხვა მსახიობებთან და სპექტაკლის დანარჩენ მონაწილეებთან დაკავშირებით. თუნდაც, სპექტაკლის მხატვართან, თუ შევადარებთ სარეჟისორო გეგმაში ჩაბუდებულ რეჟისორის ჩანახატებს მხატვრის მიერ ამ სპექტაკლისათვის შექმნილ სცენოგრაფიას.

განა შემთხვევითია, რომ მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრთან არსებულმა კვლევითმა ცენტრმა სახელწოდებით „Научно-исследовательская комиссия по изучению и изданию наследия К. Станиславского и Вл. Немировича-Данченко при МХТ СССР им. Горького“ დასტამბა ამ ორი დიდი რეჟისორის რამდენიმე სარეჟისორო გეგმა? მათსავე მუზეუმში დაცული დანარჩენი გეგმები დღესაც ელოდებიან ბეჭდურ გამომზეურებას. სხვა თეატრების რეჟისორთა სადადგმო გეგმები კი მათ მუზეუმებსა ან თვით რეჟისორთა პირად არქივებში ელოდებიან მკვლევარებს.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით მეცნიერ თეატრმცოდნეთა სერიოზული მოსაზრებები და გამოკვლევები ჩვენშიაც არსებობს. ამის საბუთად მარინა ხარატიშვილის მშვენიერი ნაშრომიც საკმარისია – „სარეჟისორო ექსპლიკაციების ფორმები“ (გამომც. „გლობალ-პრინტი“. 2000 წ.).

რას გვაუწყებს სარეჟისორო გეგმა მ. თუმანიშვილის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შესახებ.

პირველ ყოვლისა, იმას, რომ დასადგმელად არჩეულ პიესაში ის მუდამ

საკუთარი სათქმელის გამოხატვის შესაძლებლობას ეძებდა ყველაფერში: პერსონაჟთა ადგილსამყოფელშიც, მოვლენებშიც, რომლებიც აქ ხდება, მოქმედ პირთა ხასიათებში, მათ სურვილებსა და მიზნებში. ეძებდა მოქმედების დინამიკას, მის აღმოცენებას, განვითარებასა და დასასრულს. ასე კრავდა წარმოდგენის კომპოზიციურ მთლიანობას. მთლიანობას ცოცხალს, პროცესუალურს, მიმდინარეს. მთლიანობას, სადაც მასში მონაწილე მრავალი ხელოვანის შესაძლებლობა მათ საერთო სათქმელს ემსახურება მაყურებლისათვის გადასაცემად, მის ასაღელვებლად, მისთვის აუცილებელი სულის საზრდოს მისაწოდებლად.

რადგან მ. თუმანიშვილის არქივში ძალიან ბევრი სარეჟისორო გეგმაა, მათგან, ჩვენი აზრით, სამი ყველაზე სრულყოფილი და საინტერესო შევარჩიეთ. ქრონოლოგიის დაცვით მათი თანმიმდევრული შესწავლა უთუოდ ნათელს გახდის, რა სახის ცვლილებებითაა დატვირთული ამ დიდი ხელოვანის შემოქმედებითი ცხოვრება, რადგან ეს ცვლილებები სადადგმო გეგმებშიც ბუნებრივად აისახება, ამის შესახებ თვითონაც გვაუწყებს –

არქივი, მასალა N187

„ოდესღაც ვადგენდი, ვწერდი და ვხატავდი სარეჟისორო გეგმებს, კიდევაც ავკინძავდი ხოლმე. ვგეგმავდი სპექტაკლს თავიდან ბოლომდე. ეს ხშირად ზედმეტი ლიტერატურულობისკენ გადამხრიდა ხოლმე. მომავალ სცენურ ეპიზოდთა აღწერა სახიფათოა. შეიძლება კარგად აღწერო, მერე კი არაფერი გამოგივიდეს.

ახლა, როდესაც თითქმის მთელი ცხოვრება თეატრში გავატარე, გამოირკვა, რომ ჩემი საუკეთესო სპექტაკლებისთვის, როგორც ამას ჩემი ნაცნობები ამბობენ, დაწვრილებითი გეგმები არ შემიდგენია. უფრო ჩანაფიქრთა და გადაწყვეტათა მონახაზები, ცალკეული მიზანსცენები, ჩანახატები... ძალიან მნიშვნელოვანია თხზავდე თავისუფლად, გრძნობას მიჰყვებოდე. იმ ემოციათა, იმ გრძნობათა გარეშე, შენში რომ ანთია და გიზიდავს, სპექტაკლის შექმნა შეუძლებელია“.

საარქივო მასალის შესწავლის სირთულეები

სარეჟისორო გეგმის შედგენაც რთულია და არქივში დაცული, დიდი ხნის წინათ დაწერილი ხელნაწერის შესწავლაც. მით უფრო, ქსეროქსზე გადაღებული ხელნაწერისა. დედნისა და ქსეროასლის ქაღალდის სტანდარტულ ზო-

მათა შეუსაბამობის გამო, ხშირად ფურცლის ნაპირები ჩამოჭრილია, ზოგჯერ შუა ტექსტში რომელიღაც სიტყვა თითქმის წაშლილია. ეს ხომ ამ სიტყვის ავტორის სამუშაო მასალაა, სადაც შეიძლება მინიშნებული იყოს თითო-ოროლა სიტყვა, სავსებით გასაგები ავტორისათვის, მკვლევარისათვის კი სრულიად გაუგებარი. უნდა გვახსოვდეს – არქივის უჯრებში წლების განმავლობაში ჩაბუდებული ხელნაწერი სამუშაო მასალაა. ამიტომ თუნდაც მცირე, მაგრამ აუცილებელი ჩასწორების შემთხვევაში, დიდი სიფრთხილე გვმართებს – მხოლოდ ოდნავ მიკარებით!

მიუხედავად ყველა სირთულისა, პირადი არქივების შესწავლა აუცილებელია, რადგან იქ დიდი სიმდიდრეა – ადამიანთა სწრაფმდინარე ცხოვრების თუმც ცალკეული, მაგრამ მაინც მისი ნაწილების ანარეკლში: რაც თვითონ შეინახა, რასაც ვერ შეელია... რატომ? მაგალითად, უშანგი ჩხეიძის პატარა, მართლაც, მხოლოდ უბეში რომ ეტეოდა, ისეთი წიგნაკი! ის ხომ მისი ცხოვრების ერთი მცირე ნაწილია! პატარა ზომით! შიგთავსი? რას არეკლავს იგი? რას იწერდა ამ პატარა ფურცლებზე დიდი მსახიობი? მათ შორის რაღაც, შესაძლოა, სხვაგანაც ითქვა ან დაიწერა, მაგრამ როცა არსად სხვაგან არც თქმულა და არც დაწერილა? სწორედ ამაში, ამ ინტიმურსა და ბოლომდე გულახდილშია საარქივოდ განწირული მასალის ხიბლი. საკუთარ თავზეც რამდენს ამბობს ადამიანი იმით, რაც მხოლოდ არქივს ანდო!

რეჟისორი სპექტაკლების, ცოცხალ სანახაობათა შემქმნელია, ამის გამო მის ქმნილებათა არსებობაც იმ დროით შემოიფარგლება, სანამ ეს სიცოცხლე სცენაზე მიმდინარეობს, წარმოდგენის დასრულებასთან ერთად ქრება იგი. ისევ გაცოცხლდება იმ დღეს, როცა კვირეულ განრიგში აღმოჩნდება, როცა არც იქ აღმოჩნდება, შეწყვეტილია მისი არსებობა. რა რჩება რეჟისორის შემოქმედებისაგან? სარეჟისორო გეგმები, რეცენზიები და მოგონებები მის შესახებ, რომლებიც მონაწილეთა და მაყურებელთა მეხსიერებაშილა ცოცხლობენ.

ცნობილია, რომ მეხსიერება ცნობიერებაში შთაბეჭდილებათა აღბეჭდვისა და აღდგენის უნარია. დააკვირდით იმათ, ვინც მეხსიერებით შემონახულზე ლაპარაკობს – მათი სახის გამომეტყველება დაგანახებთ, რა შეუტანია მათ ცხოვრებაში ადრე შემოჭრილს. იქნებ, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ხსოვნაშია დაცული, რადგან მან იგი ქაღალდსაც კი არ ანდო? რამ დაბადა ტერმინი „სულთა არქივი"? უხილავი საცავი, სადაც სათუთად ინახება ის, რაც მხოლოდ ამ ერთი ადამიანის საკუთრებაა! განა ყველას არ გვაქვს ასეთი?

პირადი არქივი უჩვეულო სამყაროა. მომცველი ფიქრისა და განცდის, სიხარულისა და გულისტკივილის, ოცნებისა და საიდუმლოსი... მომცველი იმის ანარეკლებისა, რაც შეადგენს ადამიანის სიცოცხლეს, ჩაბუდებულს ხელნაწერებში, წერილებში, სურათებში, ნივთებში... ყველაფერში, რაც მათმა პატრონმა ან არ, ან ვერ დახია, ვერ დაწვა, მით უფრო – ვერ გადააგდო...

ადამიანის ცხოვრების ყოველი ეს ანარეკლი ბადებს კითხვას და მკვლევრისაგან ითხოვს პასუხს: რატომ ვერ დახია, ვერ დაწვა, ვერ გადააგდო, ვერ გაიმეტა... ვერ განშორდა... ვის დაუტოვა? რისთვის?.. სწორედ ამაშია პირადი არქივის უდიდესი მნიშვნელობა და მისი უჩვეულო მიმზიდველობა.

არქივი მდუმარეა და მომლოდინე – იქნებ ვინმეს დავჭირდეო?! თუ დასჭირდა და მოვიდა, მაშინ გასცემს იგი ყველა თავის განძს უშურველად – რაღაცას შეატყობინებს, რაღაცას დაუდასტურებს, გააკვირვებს, შეიძლება გულიც ატკინოს, ცრემლიც მოჰგვაროს, აღაფრთოვანოს პიროვნების მაღალი ზნეობით...

აი, ამ დროს არქივში მომუშავე მკვლევარისთვის ანარეკლებში ჩაბუდებული წარსული გაცოცხლდება და შეუერთდება მის აწმყოს – დამყარდება დროთა კავშირი! და გავმდიდრდებით ცოდნით, პატივისცემითა და სიყვარულით იმათ მიმართ, ვინც ამდენი იღვაწა ჩვენი აწმყოსათვის...

არქივები გველიან... დრომ შეიძლება ბევრი რამ გააფერმკრთალოს... წაშალოს კიდეც... უნდა ვიჩქაროთ... განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევარებმა, რადგან არქივი მათ ნებისმიერი პრობლემის სიღრმივ და ფრთხილ კვლევას შეაჩვევს. დააფიქრებს იმაზე, თუ როგორ ამოიცნოს რაღაც მნიშვნელოვანი შემოქმედის მიერ ასე სათუთად შენახულ იდუმალეთში...

ფონდ „ტერა ინკოგნიტას“ მიერ გამოცემულ ამ სამ წიგნში წარმოდგენილია ის, რაც უმთავრესია მ. თუმანიშვილის შემოქმედებაში: 1. რა იბადებოდა მის ფიქრში სათეატრო ხელოვნების რაობის შესახებ. 2. რას აზიარებდა იგი სცენის ხელოვანთა მომავალ თაობას და 3. რას ქმნიდა იგი, როგორც ხელოვანი.

როგორ თეატრს ქმნიდა თვითონ? – თეატრს მაყურებელთან გულითადი საუბრისათვის იმის შესახებ, თუ რა ხდება ადამიანის სულში. რამდენს იტევს ის უხილავი, რასაც სული ეწოდება! ამას გვაუწყებენ მისი ფიქრები სასცენო ხელოვნებაზე, ამ ხელოვნების სწავლების მისეული მეთოდიკაც, მის მიერ შეთხზული სარეჟისორო გეგმებიც და ამ გეგმების მეშვეობით სცენაზე გაცოცხლებული მისი უმშვენიერესი ქმნილებებიც.

როგორ იცოცხლებენ ისინი, რომლებიც ჯერ არ გამქრალან? როგორ იცოცხლებს მის მიერ შექმნილი და მისი სახელობის თეატრი? ალბათ, ისე, როგორც დღეს ჯერ კიდევ არსებობენ ადრე შექმნილი თეატრები, მათ შემქმნელთა შემოქმედებითი პრინციპები და სათქმელის გამომხატველი მხატვრული საშუალებები... მარჯანიშვილის... ახმეტელის... თვითონ მიხეილ თუმანიშვილისა, მისი გარდაცვალებიდან ცხრა წლის შემდეგ...

ხშირად შეგვახსენებენ – დროის მთავარი ფუნქცია ცვალებადობაა. ეს თეატრსაც ეხება. ყველა თეატრს. აღარაა მათი სპექტაკლები. მხოლოდ სხვადასხვა სახის მათი ანარეკლები...

არქივებია ანარეკლების ნავთსაყუდელი და თვითმხილველთა ხსოვნა – სასნაული სულთა არქივებისა...

ნუ დავკარგავთ ნურც ერთ არქივს. იქ განძია. გარდასულ დროთა ეროვნული კულტურის განძი. წარსულის მოვლა და დაფასება არც მხოლოდ შემოქმედებითი აქტია, არც მხოლოდ მეცნიერული – ეს ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ვალდებულებაცაა.

ნათელა ურუშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰენრიკ იბსენი
მოჩვენებანი

Гибсен

Привидения

სადადგმო გეგმა

სარეჟისორო ექსპლიკაცია
(განუხორციელებელი)

Постановочный план
Режиссерская экспликация
(неосуществленный)

შინაარსი

1. მოხსენების გეგმა.
2. მოხსენება
3. გამჭოლი მოქმედებები
   და ზეამოცანები.
4. ესკიზი (მიახლოებითი)
5. ექსპლიკაცია –
   ნაკვეთებად დაყოფა.
6. დღიურები.
7. მე ჩემს შესახებ
   და სხვები ჩემზე.
8. დახასიათებები.
9. მუსიკალური მინიშნებანი
10. ეპოქის
    საზოგადოებრივ-პოლიტიკური
    ანალიზი
11. ნორვეგიის ყოფა.
12. ლიტერატურა

Содержание.

1. План доклада
2. Доклад.
3. Сквозные и сверхзадачи
4. Эскиз (примерный).
5. Экспликация – разбивка на куски
6. Дневники.
7. Я о себе другие обо мне.
8. Характеристики.
9. Музыкальные намёки.
10. Общественно-полит. анализ эпохи.
11. Быт Норвегии
12. Литература

II კურსის სტუდენტი
მიხეილ თუმანიშვილი

студент II курса М. Туманишвили
(класс проф. Товстонова.)

(პროფესორ გიორგი ტოვსტონოგოვის კლასი)

მოხსენების გეგმა (დაწვრილებითი)

ნორვეგია (ლეგენდა).

ნორვეგიელი ხალხი (საზრუნავი).

ყოფა

1789 წლის მოვლენების ასახვა.

ძველი პრინციპები

მორალი

ახალ შეხედულებათა ზეგავლენის შედეგები.

ასეთი სახიფათო ადამიანი იყო იბსენი.

მისი ცხოვრება საზოგადოებაში.

საზღვარგარეთ გაქცევა („ჰაააგა“)

რას აკეთებდა იბსენი უცხოეთში

რამდენი ნაწარმოები დაწერა იბსენმა.

„მოჩვენებანი“ 1882 წელს ტიროლში

ბიერნსონი

ქარიშხალი „მოჩვენებათა“ წინააღმდეგ

იბსენის შემოქმედების ძირითადი ამოცანა (ნორა, ბრანდი, სტოკმანი)

„ნორა“ და „მოჩვენებანი“ – ოჯახური სიცრუის მხილება

იბსენის პასუხი „მოჩვენებებით".

იბსენის თხრობის თავისებურება.

ფაბულა

მოქმედების დასაწყისი. გმირთა მისწრაფებანი.

„საქმეების საქაღალდე“ – სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“

ზეამოცანები, რით იწყებენ...

გამჭოლი მოქმედება.

ადგილის, დროის, მოქმედების ერთიანობა.

შედეგები... (ყველას დაღუპვა).

დაღუპვის მიზეზი (სოფოკლე – ბედისწერა)

მთავარი თემა.

მიხეილ ბულეიშვილი

სამყარო – მისი მორალი, მისი ფორმულები

ბურჟუაზიული საზოგადოების არსი

ფრუ ალვინგი და მანდერსი

„ოჯახი – საზოგადოების ბირთვი“

პოლიტიკური არაფერია (იბსენის აპოლიტიკურობა)

რას ქადაგებს დრამა? (იბსენის წერილი)

იბსენი – მორალისტი (იგი ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ ილაშქრებს)

რით გვაღელვებენ „მოჩვენებანი“?

თემისა და იდეის აქტუალობა

მოჩვენებანი „მემკვიდრეობით“

მოთხრობა ცოლ-ქმრული ტრაგედიის შესახებ.

ადამიანის ბედნიერება არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ „მემკვიდრეობით მოჩვენებებზე“, „ხელსაყრელ შემთხვევებზე“

იდეა

გადაწყვეტა

როგორ ვგრძნობ „მოჩვენებებს“

„ჩრდილოური ბალადის“ ფორმა

„მოჩვენებანი“ – „ჩრდილოური ბალადა“

„საუვერტიურო პროლოგი“ – გვჭირდება იგი? (პიესის სტრუქტურა)

...3 გადაწყვეტა:

1) პირველი მოქმედების დასასრული
2) ხანძარი.
3) ოსვალდის სიგიჟე

ქვეყნის ბუნება

ნორვეგია მშვენიერი ჩანჩქერების, მდინარეების, მაღალი მთების, დანაპრალებული კლდოვანი ნაპირების, უამრავი ფიორდისა და მრავალფეროვანი კლდოვანი კუნძულების ქვეყანაა. სხვაგან ვერსად ნახავთ ამაზე ველურ მთებს. ნორვეგია ფანტასტიკური თქმულებებით აღსავსე, არაჩვეულებრივად ფერწერული, პოეტური ქვეყანაა, ბუნების პირქუში, დიდებული სილამაზით.

აქ სიცოცხლე სახლებში შეყუჟულა და სრულად მხოლოდ დიდ, მოგიზგიზე ბუხართან მყღავნდება.

ნორვეგიაში ვერ შეხვდებით უწიგნურ ადამიანს, თითქმის არ იციან, რა არის ქურდობა და ყაჩაღობა. იქ არ არსებობს ბოქლომი და კლიტე.

ნორვეგია თანასწორობის ქვეყანაა, სადაც არ არსებობს წოდებები. მწირი მცენარეული საფარი, ბევრი ქედი, კლდე და ნაპრალი. ტყის მნიშვნელობა მოსახლეობისათვის, ტყის მასივების განადგურება.

საგა ნორვეგიის შექმნის შესახებ: „როდესაც ღმერთმა დედამიწა შექმნა, ეშმაკმა იქ ჩააგდო დიდი ქვა, რომელმაც შეაზანზარა დედამიწის ღერძი და ყველაფერი მის გარშემო. მაგრამ განსაკუთრებით საშინელი იყო თავად ეშმაკის მიერ ჩამოგდებული კლდე, იგი ზღვაზე საზარელ აჩრდილად იყო აზიდული. ღმერთმა შეიბრალა თავისი ქმნილება – დედამიწა და კლდეს ცოტა მიწა მოაყარა, მხოლოდ იქ ამოვიდა ბალახი და ხე. „თუ არ გაიხარებს ყვავილი, არ აჭიკჭიკდებიან ჩიტები, არ ამოვა ბალახი – წარმოთქვა მან თავისი ყოველისშემძლე სიტყვა – მაინც შეგიცოდებ და აქ იმ ადამიანებს დავასახლებ, რომლებიც მგზნებარედ უერთგულებენ შენს ველურ და შიშველ კლდეებს“.

ზაფხული და ზამთარი

ზამთრის პერიოდის ხანგრძლივობა. ზაფხულის პერიოდი (თიბვა, მკა), მძიმე შრომა და სიჩქარე. კლდეებზე საქონლის საკვების შეგროვება. კოღოები და ქინქლები, ალპური საძოვრები და მეცხოველეობასთან დაკავშირებული სახალხო დღესასწაულები.

ნორვეგიელებს უყვართ სითბო და ყინვისგან დაცვის მრავალფეროვან საშუალებებს იყენებენ. ყველა ოთახს ორმაგი ფანჯარა და **უზარმაზარი ბუხარი აქვს.**

ნორვეგიელები

მეფე **კონუნგი** ომის დროს სარდალი ხდება. მას მიჰყვებიან გრაფები. სამხედრო ზღვაოსნობის სიყვარული. ვიკინგები. **მთელ ნორვეგიაში აუცილებელი უფასო სწავლებაა შემოღებული.** მოძრავი სკოლები. ჩამორჩენილთა დაჯარიმება. 20 წლის წერა-კითხვის არმცოდნე სამუშაო სახლში უნდა იყოს გამომწყვდეული.

ნორვეგიელები უაღრესად რელიგიურნი არიან. ეკლესია მათი არსებობის განუყოფელი ნაწილია. ყველაზე ღარიბულ ქოხშიც კი ნახავთ ხატს, ბიბლიას და საეკლესიო ფსალმუნთა კრებულს.

ნორვეგიელები ლუთერანები არიან.

ნორვეგიელის დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები

ღია ფერები, ულალიც კი. ქალიშვილები გაშლილ, საპატარძლოები კი ბადით შეკრულ თმას ატარებენ, ქალები – თავსაფრებს იკეთებენ. ნორვეგიელი ქალი სწრაფად ბერდება, მახინჯდება. ყოველივე ეს მძიმე შრომისა და ბუნებრივი პირობების შედეგია.

ნორვეგიელ გლეხს ყველაფრის კეთება ეხერხება. ეს ცუდად განვითარებული მრენველობის ბრალია.

ნორვეგიელის ყველაზე გამორჩეული თვისება სტუმართმოყვარეობაა.

მასპინძელი თავს ევლება სტუმარს.

ლოთობა: მისი მიზეზები და შედეგები.

ნორვეგიელები მაღალი ზნეობის ხალხია.

ნორვეგიაში არ არის თავად-აზნაურობა და ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა საზოგადოების საშუალო ფენა. მრენველობა თითქმის არა აქვთ, ვაჭრობა კი მხოლოდ ზოგიერთ ქალაქშია განვითარებული. **ქვეყნის ჭეშმარიტი ნარმომადგენელი ნორვეგიელი მიწათმოქმედია.**

ნორვეგიელთა საცხოვრებელი

ისინი ერთ დიდ სახლს კი არა იშენებენ, არამედ ერთმანეთისგან მოშორებით მდგარ რამდენიმე ქოხს. რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით მეტი ასეთი ქოხი აქვს. მათ, უფრო ხშირად, ხისგან აგებენ, ნაკლებად ქვისგან, რადგანაც აქ თითქმის არ არის თიხა. **ქალაქში,** უფრო მეტად, ორსართულიანი სახლებია, სხვადასხვა აივნითა და მოსართავით. მაგრამ გარეგნულად ეს შენობები უბრალოა, უგემოვნოც კი. ინტერიერი კი სულ სხვანაირია.

ნორვეგიული სახლის შიდა მოწყობილობა, ჩვეულებრივ, მოპირკეთებულია ჩახლართული ჩუქურთმითა და ნახატით. იატაკი მოფენილია წიწვით, პატარა ფანჯრის რაფებზე კი, აუცილებლად, კარგად მოვლილი ქოთნის ყვავილები უდგათ, კედლებზე – თაროები, ზედ კალის, მდიდრებთან კი – ვერცხლის ჭურჭლით. ოთახებში ხალიჩებსაც აგებენ, კედლებზე – იარაღია. საწოლები მოჩუქურთმებულია. წვრილ კარნიზზე ამოკვეთილია სხვადასხვა ბრძნული გამონათქვამი, რომელიც სახლს „ღმერთის მფარველობას" უსურვებს. მეორე სახლი – საკუჭნაოა, სადაც ცივი და მკაცრი ზამთრისთვის გათვალისწინებული მარაგია შენახული. ნორვეგიულ ქალაქში არც ბაღჩას შეხვდებით და არც ბაღს. დაბალი და შეუხედავი სახლებია.

ნორვეგიელის მთავარი საკვები შვრიის პურია.

ხორცის საკვები აქ ძალზე იშვიათია. სჭარბობს თევზეული (კალმახი, ვირთევზა, ჭიჭყინა, ქაშაყი) და კენკრა (მარწყვი, ჟოლო, სელშავი).

ნორვეგიელები ჯერ კიდევ მამა-პაპათა ტანსაცმელს ატარებენ. მამაკაცები

– მაუდის ქურთუკებს ფერადი აპლიკაციით, მოკლე პანტალონებს, ვერცხლისბალთიან ფეხსაცმელს.

ყველა ნორვეგიული ზღვისპირა ქალაქი ერთმანეთს ჰგავს. ქრისტიანიაში სამეცნიერო ცხოვრების ცენტრია (უნივერსიტეტი), რომელიც 1811 წელს დანიის მეფე ფრიდრიხ VI დააარსა. კლუბი, სადაც თავისუფალ დროს ატარებენ ნორვეგიელი სტუდენტები (მორიდებული და ჩუმი ხალხი).

სტორტინგის შენობაში ნორვეგიის პარლამენტი იკრიბება. ამ ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიაა. სტორტინგს საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს. მეფეს შეუძლია მის გადაწყვეტილებას მხოლოდ ორჯერ დაადოს ვეტო, მაგრამ შემდეგ სტორტინგს მაინც შეუძლია მიიღოს კანონი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო

გეოგრაფიულმა მდგომარეობამ დააშორა ნორვეგია დანარჩენი ევროპის ცხოვრებას, ამიტომ ამ პატარა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოც სხვანაირია. **ნორვეგიაში არ არსებობდა კლასები, წოდებები, აქ საზოგადოება ორ ნაწილად იყო გაყოფილი – ისინი, ვინც საკუთარ თავს უზრუნველყოფდნენ და ისინი, ვისაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა.** პირველები, ცხადია, მეტად იყვნენ დაფასებულნი ფრიად მცირერიცხოვან მოსახლეობაში. ისინი იყვნენ საზოგადოების ბურჯები, რომლებსაც ეს „საინტერესო მიწა" გარკვეულ სიმაღლეზე ეჭირათ. თავისუფალ გლეხთა წიაღიდან ამოზრდილ წვრილ ბურჟუას ჯერ არ შეეძლო სახელმწიფო ევროპულ ყაიდაზე გადაეკეთებინა, ამ ეტაპზე მას ეს არც ჭირდებოდა. ნორვეგია ვაჭრობდა თავისი, მართალია მცირე, მაგრამ შეუპოვარი ფლოტის მეშვეობით, მოგებით კმაყოფილი იყო, საკუთარი, კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა. არ ენაღვლებოდა ის, რომ მისი შუასაუკუნეობრივი იალქნიანი გემები, ევროპულ საოკეანო თბომავლებთან შედარებით, მხოლოდ სიძველეთა მოყვარულებისთვის წარმოადგენდნენ გარკვეულ ფასეულობას და არა მსხვილი კონტინენტალური კაპიტალისტებისთვის... ნორვეგიაში ასეთები არ იყვნენ. ეს ქვეყანა სწორედ სიძველეთა მოყვარულებით იყო დასახლებული, თავიანთი კლდოვანი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტებით. ამ თავისებურებამ უდაოდ დაასვა დაღი ქვეყნის მთელ სახელმწიფოებრივ მოწყობას და მის საგარეო ურთიერთობას. ერთი სახლიდან მეორეში მისასვლელად, ნორვეგიელს ხშირად უხდებოდა უღელტეხილების, უფსკრულების გადალახვა, ხანგრძლივი სიარული ვიწრო ბილიკებზე და ბოლოს, სასურველ მიზანს მიღწეულს, უზარმაზარ ბუხართან გათბობა... ვფიქრობ, რომ ნორვეგიისთვის დამახასიათებელი ეს თვისება მკაფიოდ და სრულყოფილად გამოხატავს ამ სახელმწიფოს მთელ არსს.

ნორვეგიელი წვრილი ბურჟუა დაიხრჩობოდა ევროპული აურზაურის მორევში. ნორვეგიული ქალაქის ცენტრს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს პატარა აფთიაქი, კლუბი, ტიპოგრაფია... მაგრამ რა არის ეს ტიპოგრაფია, რომელიღაც „იუმანიტეს“ ან „ფიგაროს“ მძლავრ სტამბასთან შედარებით? ჯუჯა გოლიათის წინაშე. წარმოვიდგინოთ: მდუმარე, ეული ფიგურები, პატარა მანქანები... აფთიაქი? აქ მთელი მსოფლიოს ახალი ამბები იყრის თავს, მაგრამ ეს სამყარო სადღაც შორსაა, თითქმის მთვარეზე, ოკეანის იქით. ადამიანები თავიანთი ოჯახის ცხოვრებით ცხოვრობენ, თავიანთი ბუხრით, ზამთრის მარაგით, ვიწრო ინტერესებით... ჩემი სახლი – ჩემი სახელმწიფოა. ბუხარში მუდამ უნდა გიზგიზებდეს ცეცხლი, მაგრამ იქ, სადაც იგი ქრება, ინგრევა ოჯახი! ადამიანს ძალიან ბევრი პირადი, საარსებო ინტერესი აქვს. მისი მთავარი ინტერესი, საკუთარი ბუდის თბილად მოწყობაა. გასაკვირი არ არის, რომ 1789 წლის ევროპის გრანდიოზული მოვლენები, კოლოსალური ისტორიული გარდატეხა სრულიად არ შეხებია ამ თავისებური ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას და მხოლოდ იმ ცალკეულ პიროვნებას დაასვა დაღი, რომელთა შორისაც, უდაოდ იყო ისეთი გამოჩენილი ადამიანი, როგორიც იბსენია.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმული სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ, მაგრამ უდაოა, რომ ყოველივე ეს ძირითადად ასე იყო.

ნორვეგია ერთადერთი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ შეძლო შეენარჩუნებინა დემოკრატიული კონსტიტუცია, გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მეშვეობით, რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნორვეგიის საზოგადოების წამყვან ფენებს წარმოადგენდნენ. და ცხადია, ამ წვრილბურჟუაზიულ სამყაროს შეზღუდული სულიერი ჰორიზონტი ჰქონდა, გლეხისა და მდაბიოს ჰორიზონტი. ეს სამყარო არაფერს, განსაკუთრებით ახალს, პროგრესულს არ მოითხოვდა. იგი შორეულ წინაპართა მიერ დადგენილი პრინციპებით ცხოვრობდა და ამით სავსებით კმაყოფილი იყო. რა საჭიროა ახალი წყალგაყვანილობა, თუ ძველიც გვაწვდის იმ წყალს, რომელსაც ბაბუები სიამოვნებით სვამდნენ? დაე, ყველაფერი თავის ადგილზე იდოს. ყოველი ქვა იმიტომ დევს თავის ადგილზე, რომ იდოს და არა იმისათვის, რომ იგი სხვა ადგილას გადაიტანონ.

ამ სამყაროს ჰქონდა, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული, ცხოვრების, ქცევის ნორმები. ამ თავისებურ საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი მორალური პრინციპები, რწმენა, განწყობილება, ყოველივე ეს საუკეთესოდ პასუხობდა მათ შემქმნელთა მოთხოვნებსა და ინტერესებს. მაგრამ თუ საზოგადოებაში მონინააღმდეგენი ჩნდებოდნენ, მათ არცხვენდნენ, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, უკიდურეს შემთხვევაში კი აიძულებდნენ, ისე ეც-

ხოვრათ, როგორც ამას საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობრივი ნორმები მოითხოვდა. ამისათვის ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა არსებობდა. პირველ რიგში – რელიგია, შემდეგ – ციხე, საგიუეთი და ბოლოს, ყველაზე საშინელი – ხალხის აზრი. ყველა ეს ღონისძიება შესანიშნავად ინარჩუნებდა ქვეყანაში სიმშვიდესა და წესრიგს.

განსაკუთრებული ძალა უდაოდ, ეკლესიას ჰქონდა. ლუთერანული ეკლესია იყო ზნეობის მთავარი მატარებელი. უნდა ითქვას, რომ რელიგიის ზემოქმედება ხალხზე ნორვეგიაში უზარმაზარია. ეს ქვეყანა, თავისთავად, მეტისმეტად რელიგიურია. საეკლესიო წეს-ჩვეულებებს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იცავდა და ეს, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა ხალხის ზნეობაზე. ყაჩაღობა, ქურდობა, კლიტეები და ურდულები ნორვეგიელთა ცნობიერებაში სრულიად განყენებული ცნებებია. ქურდს, უმთავრესად, ხალხის რისხვა სდევს თან და არა ციხე. უდავოა, რომ ყოველივე ამაზე, უპირველეს ყოვლისა, რელიგია ახდენდა ზემოქმედებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჯანსაღ პრინციპებთან ერთად, ეკლესია ხშირად ინახავდა ადამიანის, პიროვნების დამღუპველ იდეებსაც. რელიგია ემსახურებოდა ღმერთს, მთავრობას, დემოკრატიულ სამშობლოს. მისი ხმა ღვთის ხმა იყო.

ხელისუფლების ოფიციალური ორგანო ნორვეგიაში ორპალატიანი სტორტინგი იყო, რომელიც მეფეზე მეტი ძალაუფლებით სარგებლობდა. არსებობდა სასამართლო სისტემა, რომელიც, ისევ და ისევ, საუკუნეების მანძილზე დადგენილი პრინციპების შენარჩუნებას ემსახურებოდა. ამით აიხსნება ის, რომ ნორვეგია აგრერიგად ჩამორჩა დანარჩენ სამყაროს, თუმცა, მეორე მხრივ, თავის სახელმწიფოებრივი მოწყობით იგი ევროპის ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა იყო.

მაინც რამ განაპირობა ნორვეგიის ჩამორჩენა სხვა ევროპული ქვეყნებისაგან? რატომ ვერ გახდა იგი მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფო? მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია საფრანგეთში მოხდა, მის მიერ შექმნილი კონსტიტუცია კი ნორვეგიაში ადრეც მოქმედებდა? იმიტომ, რომ წვრილ ბურჟუად ქცეულ ნორვეგიელ გლეხს არ შეეძლო და არც უნდოდა კაპიტალისტად ქცევა. ნორვეგია ჩამორჩენილი სამრეწველო ქვეყანა იყო, ამიტომაც იქ მსხვილი ბურჟუაზია ვერ განვითარდებოდა, შესაბამისად – პროლეტარიატიც.

აქედან გამომდინარეობს ნორვეგიული საზოგადოების იდეოლოგიაც, მისი სულიერი მოთხოვნილებები. უდავოა ბუნებრივი პირობების ზემოქმედებაც, რომლებმაც, როგორც უკვე აღვნიშნე, იგი გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია.

Mirsk oupanidzeri

მსხვილ ბურჟუაზიას მხოლოდ კონტინენტიდან

შეიძლება შემოეღწია, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდათ ნორვეგიული საზოგადოების ბურჯებს.

ამგვარი დახშულობის მიუხედავად, ნორვეგია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კულტურული ქვეყანაა. მართალია, მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები ნორვეგიისგან ძლიერ შორს იყო, ეს ხალხი ამ თვალსაზრისით სხვებზე მაღლა იდგა. მშვენიერი ტრადიციები, დიდსა და პატარას კულტურის თანაზიარობას აიძულებდა. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნორვეგიული საზოგადოების სიმტკიცისათვის. თუმცა ადამიანები, რომლებმაც საზღვარგარეთ გაიმდიდრეს ცოდნა და სამშობლოში დაბრუნდნენ, ვიწრო იდეოლოგიურ მარწუხებში აღმოჩნდნენ. ასე მთავრდებოდა წვრილ-წვრილი აფეთქებები და უსიამოვნებანი, რომლებიც ევროპის წინსვლასთან შედარებით, ჭიქა წყალში დატრიალებულ პატარ-პატარა ქარიშხლებს წარმოადგენდა. ასეთმა ვითარებამ ხელი შეუწყო ნორვეგიაში არისტოკრატი-ინდივიდუუმების აღმოცენებას, რომლებიც მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზიის გარემოში, გარკვეულ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდნენ. ისინი მუდამ ცალკეულ პიროვნებებად რჩებოდნენ და მათი ფილოსოფია განსაკუთრებულ მიმდინარეობებს უყრიდა საფუძველს. მაგრამ ამაზე – ცოტა მოგვიანებით.

ზოგჯერ ასეთი ადამიანები, ნიჭიერებიც და ჩვეულებრივი მოკვდავებიც, რომლებიც იმ დროის ევროპიდან ბრძოლისა და პროტესტის სულისკვეთებით გამსჭვალულნი დაბრუნდნენ გოლიათური ძალით შეპყრობილ თავიანთ კლდოვან ქვეყანაში, საკუთარი პატარა ხმით ცდილობდნენ გამოეფხიზლებინათ უზარმაზარი მძინარე „ზვინი“. ხშირად ამ ადამიანთა იდეები და გეგმები იმდენად ბავშვური, გაუაზრებელი და გულუბრყვილო იყო, რომ მათი ყოველი მცდელობა სასაცილოდ მთავრდებოდა. არც დავასახელებ ბევრ ასეთ ადამიანს, რადგან მათ არც სარგებლობა მოუტანიათ ვინმესთვის და არც ზარალი. საკუთარ ტანზე სხვისი ტანსაცმლის მორგება იშვიათად იძლევა კარგ შედეგს.

ერთი სიტყვით, ნორვეგიაში უცებ არ ყალიბდება არსებული რეალობის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანთა ჯგუფი. რა სახის ბრძოლა, პროტესტი იყო ეს? (თუ მას მართლაც შეიძლება ბრძოლა ვუნოდოთ).

ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის, მსხვილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გაბატონებული ბევრი ახალი შეხედულების, მოწინავე საზოგადოების კოლოსალური კულტურის შეთვისების შემდეგ, ნორვეგიის შვილები დაბრუნდნენ სამშობლოში, როგორც პირქუშ მიწისქვეშეთში, მუდმივი გამყინვარების მხარეში. ისინი შებოჭილად გრძნობდნენ თავს უძველესი პრინციპების ტყვეობაში, მათ არ ჰყოფნიდათ ჰაერი ცივ, გაველურებულ ქვეყანაში.

მშვიდად ვერ უყურებდნენ ყოველივე ამას. ეგონათ, რომ სწორედ მათ უნდა აეღორძინებინათ საკანდინავიელ ვიკინგთა წარსული დიდება, რომ მხოლოდ მათ აქვთ სამშობლოს ბედის გადაწყვეტისა და მამულისთვის თავგანწირვის უფლება. რა პრინციპებით დაბრუნდნენ ისინი კულტურული ევროპიდან? ადამიანის სულის განწმენდა, კაცობრიობის განვითარება, იდეალური პიროვნების ჩამოყალიბება. ნიცშემ თავის ზარატუსტრათი, შოპენჰაუერმა და სხვებმა, საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინეს სკანდინავიზმისთვის ბრძოლის აღმოცენებაზე. ახალგაზრდა პატრიოტები, კულტურული ნორვეგიის საუკეთესო ძალები თავიანთი სულის განწმენდის გზით ქვეყნის გაკეთილშობილებას ცდილობენ. მაგრამ მოდით გავერკვეთ მოძღვრებაში, რომელიც ასე იპყრობდა იმ დროის ადამიანთა უმრავლესობას. ამისათვის აუცილებელია გავეცნოთ გერმანელი ფრიდრიხ ნიცშეს თეორიას. შტერნერის მოწაფე, ნიცშე, სრულიად ახალ შეხედულებებს გამოთქვამს სიცოცხლის, ადამიანის, კაცობრიობის პროგრესისა და იმ მიზნის შესახებ, რომელსაც კაცობრიობა უნდა ისახავდეს.

ნიცშეს უმთავრესი ლოზუნგია მოძღვრება ზეკაცის, ანუ ადამიანის განწმენდილი სულის, ახალი – იდეალური სულის შესახებ. ნიცშე ვინმე ზარატუსტრას მეშვეობით სიძულვილით ამხობს ყველა იმ ღმერთს, რომელთა წინაშეც ქედს იხრის ადამიანი და თავმოთნეობის კვარცხლბეკზე აჰყავს იდეალური **ზეადამიანი**. „დაე, ზეადამიანი იყოს სამყაროს არსი! – ამბობს იგი – ადამიანი ცხოველსა და მას შორის არსებულ უფსკრულზე გაჭიმული ბაგირია, თიხის გამოუძერწავი გუნდა. ადამიანი ზეკაცი უნდა გახდეს“. ეს ნიცშეს ძირითადი პრინციპია. ამით ახალი არაფერია თქმული. მხოლოდ კიდევ ერთხელ მტკიცდება დიალექტიკის უდიდესი კანონი იმის შესახებ, რომ ბუნებაში ყველაფერი მუდმივ წინააღმდეგობასა და განვითარებაშია. იგივეს ამტკიცებენ ჩ. დარვინი ბუნებისმეტყველებაში და კ. მარქსი ისტორიაში. მაშ რაღაა აქ ახალი? საქმე? საქმე ისაა, რომ ჩ. დარვინმა და კ. მარქსმა გენიალურად ჩამოაყალიბეს ბუნების უდიდესი კანონი იმ დროს, როდესაც ნიცშე ამ პროცესის დაჩქარებისკენ მოგვიწოდებს და მომავალი ზეკაცის დასრულებულ ფორმად თავის მსგავს ადამიანს მიიჩნევს – განდიდების არანორმალური მანიის ყველა ნიშნით დაღდასმულ ადამიანს. როგორ უნდა მივუდგეთ ასეთ ზეკაცს! როგორ განვწმინდოთ ადამიანის სული?

ნიცშე, თავის მოძღვრებაში, მოუწოდებს: დაამტვრიე, გაძარცვე, იომე, გაანადგურე, შეიძულე – ამით ზეკაცს ნიადაგს შეუმზადებ. სამყაროში არ უნდა იყოს შეცოდება და ტანჯვა იმიტომ, რომ სიბრალული და ცრემლი ზეკაცის დაბადების მომენტს გადაავადებენ. სამყაროში არ უნდა იყოს სინანული. სულის ყოველგ-

მიხეილ ფალავანდიშვილი

ვარი მერყეობა რეგრესისკენ უკუსვლაა. მაშასადამე, ნიცშეს მიხედვით, თუ ბანდიტი და ყაჩაღი გახდები, ამით იდეალური არსების ჩამოყალიბებას შეუქმნი ნიადაგს. პირქუში ნიცშე ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რასაც კულტურას ვუწოდებთ, ადუნებს ადამიანს. ადამიანი გონებაჩლუნგი ცხოველი უნდა იყოს, რომ იქცეს ადამიანად, ამ სიტყვის იდეალური გაგებით. მაგრამ თვით ნიცშე არ თაკილობს მეცნიერებას, არა, დაე სხვამ ჩაატაროს თავის თავზე ასეთი სახიფათო ექსპერიმენტები... ნიცშე „გონებაჩლუნგ მეგობრებსა და ქალთა გამხრწნელებს“ უწოდებს „მამრობითი სქესის განსნავლულ ვირებს“, რომლებიც ქალებს ყველა იმ სისულელის მიბაძვას ურჩევენ, რასაც მამაკაცები სჩადიან. მაგრამ რატომ არის ეს ასე? ნიცშე პასუხობს: „საუკუნეების მანძილზე მამაკაცის მორჩილმა ქალმა, რომლისთვისაც ქორწინება მატერიალური უზრუნველყოფის ერთადერთი გზაა, არსებობისათვის ბრძოლის განსაკუთრებული ასპარეზი შეიქმნა. ამ სარბიელზე ხდებოდა ინდივიდუალური ძალისა და უნარების განსაკუთრებული შეფასების გამომუშავება. ქალი მორჩილია – ეს მისი დანიშნულების საუკეთესო დასტურია“. ქალი მხოლოდ სათამაშოა, ამაშია მთელი მისი ძალა და მნიშვნელობა. ნიცშე ილაშქრებს ქალური მომხიბვლელობის მოსპობის წინააღმდეგ, მაგრამ განა იგი არ ქადაგებდა ზეკაცის შექმნის მიზნით ნგრევას და განადგურებას? ერთი მხრივ: „დაანგრიე ტრადიციები“, მეორე მხრივ – „დარჩი იმად, რაც აქამდე იყავი“... აი, რა აბსურდამდე მიდის ზეკაცის თეორია. ნიცშე ყოველი ადამიანისგან თავისი მოქმედების ბოლომდე მიყვანას მოითხოვს. ერთხელ მოკალი – ბოლომდე გააგრძელე კვლა, გალოთდი – ბოლომდე უერთგულე საკუთარ თავს და სულს. მთავარი ჯანყია, ბრძოლა... რისთვის? უცნობია, მაგრამ ბრძოლა...

ეს თეორია ერთ დროს ისეთი ძლიერი იყო, რომ მთლიანად იპყრობდა კაცობრიობის ბევრ მოაზროვნე გონებას. გამოჩენილი დანიელი ფილოსოფოსი **კირკეგორი** წერს; „ყველგან და ყოველთვის სერიოზულად მოეკიდე საქმეს, გახსოვდეს კანონი – **ან-ან**: ან შენ ის ხარ, ვინც ეს საქმე უნდა გააკეთოს, ვინც ამისთვისაა მოწოდებული და უპირობოდ მზად არის მსხვერპლად შესწიროს ამ საქმეს ყველაფერი, ან პირიქით“. ბრანდე წერდა: „ნიცშემ მეტეორივით გაიელვა და ჩაქრა. თუმცა მისი მავნე, მაგრამ ორიგინალური მოძღვრების ანარეკლმა ღრმად და დიდხანს ჩაიბუდა ბევრი პიროვნების არსებაში... რას იზამ... ასეთი საუკუნე იყო... ასეთი იყო ამ საუკუნის მოძღვრება...

ახალგაზრდა ჰენრიკ იბსენს, რომელიც აღიზარდა, ნაწილობრივ ნორვეგიულ, ნაწილობრივ კი გერმანულ კულტურაზე, არ შეეძლო გვერდი აეარა ამ მოძღვრებისთვის. იგი არა მარტო იცნობდა ამ თეორიას, არამედ გაითავისა იგი... მოდით, განვიხილოთ ეს საკითხი.

თავისი გენიალური შემოქმედებითი ძალით მან შექმნა შესანიშნავ მხატვრულ სახეთა მთელი რიგი – მაგრამ ყოველივე ეს, ერთი ადამიანის, ზარატუსტრას მონაფის, ბრანდის მიერ მოხაზული უცნაური აჩრდილებია. იგი ქადაგებს: **„მთლიანობა – ადამიანის უმაღლესი ღირსებაა.** ვინც გინდა იყავი, მაგრამ იყავი მთლიანად". აი, მისი, ზარატუსტრასთან მონათესავე პრინციპი. „მთავარია, ყოველთვის გულწრფელი და საკუთარი თავის ერთგული იყო" – წერს იბსენი და ბრანდის პირით მოითხოვს, რომ ბრბოს თითოეული წევრი საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს, იქ თავისი მისწრაფებანი აღმოაჩინოს, ისინი ერთადერთ მსოფლიო ჭეშმარიტებად აღიაროს, მთელ მსოფლიოს მათი გულისთვის შეებრძოლოს და მანამდე იბრძოლოს, სანამ არ დაიღუპება. მისთვის მნიშვნელოვანია ეს ჯანყი ყველას წინააღმდეგ, უნდა დაანგრიოთ, ნგრევა კი შენებას ნიშნავს. ბრანდი ზარატუსტრას ჭეშმარიტებას ქადაგებს: ტანჯვა ბრძოლის უმაღლესი მდგომარეობაა, იგი სიმშვიდეს სჯობს. სიკვდილი ღმერთის ჯილდოა. ჭეშმარიტი სიყვარული სისასტიკეა, ჰუმანიზმი და სიბრალული – მონების მორალი. ულმობლად იბრძოლე საკუთარი პიროვნების განხორციელებისათვის. ...რა გვხიბლავს ამაში? ფილოსოფია ქმნის სისტემებს, პოეზია კი – მხატვრულ სახეებს. იბსენი ძვირფასია კაცობრიობისათვის სწორედ თავისი მხატვრული სახეებით. ჩვენ შეგვიძლია გავკიცხოთ ისინი, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სახეები მაღალ მხატვრულ დონეზეა შექმნილი, რაოდენ ძვირფასი არიან ისინი ჩვენთვის თავისი ცხოვრებისეულობით, რეალისტურობითა და, ამავე დროს, მათში ჩაბუდებულ სიმბოლოთა ბუნდოვანი კონტურებით.

„ნიცშე მხოლოდ გაველურებული შინჯდომიაა – ამბობს ფრანც მერინგი – მაშინ, როდესაც იბსენი გენიალური პოეტია, რომელიც ფეხქვეშ ნიადაგს გრძნობს და მასზე მყარად დგას. თუ ნიცშეს სულით განიმსჭვალები, შეიძლება ბისმარკის მსახური გახდე. იბსენი, თავის ხილვებშიც კი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანად რჩება".

იბსენი სახიფათო ადამიანი იყო. წვრილბურჟუაზიული სამყაროს წიაღში ხედავდა იგი თავისი საზოგადოების მთელ არსს. იგი ამ საზოგადოების მიერ დადგენილი ნორმის საზღვრებში ცხოვრობდა, მისგან ბევრი საშინელი წყენაც განუცდია. ეს საზოგადოება ზღუდავდა და ავიწროებდა. და მან საზღვარგარეთ თავშესაფრის, უფრო სწორად იმ სივრცის ძიება დაიწყო, რომელიც სამშობლოში არ ჰყოფნიდა. იგი ევროპაში გაემგზავრა და იქიდან აკვირდებოდა თავის საყვარელ, მაგრამ შეზღუდულ ქვეყანას. მისი სიმართლითა და მთელი სიშიშვლით წარმოჩენას მიჰყო ხელი, სრულად და გულწრფელად გახსნა წვრილბურჟუაზიული სამყაროს არსი. ასე იქცა დიდ მწერლად. მან 21 დრამატურ-

გიული ნაწარმოები შექმნა და ყოველ მათგანში გამოამზეურა უარყოფითი საზოგადოების ესა თუ ის თვისება. ბრძოლისკენ მოუწოდებდა, თუმცა არ იცოდა, როგორ უნდა ეწარმოებინათ ეს ბრძოლა.

მის მრავალრიცხოვან დრამებს შორის ერთ-ერთია „მოჩვენებანი“: რომელიც 1882 წელს ტიროლში დაიწერა. როდესაც ერთხელ გამოჩენილ ნორვეგიელ დრამატურგს ჰკითხეს, რომელია მისი აზრით, მის პიესებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, მან დაუფიქრებლად უპასუხა – **„მოჩვენებანი“**. თუ „საზოგადოების ბურჯებმა“ და „თოჯინების სახლმა“ ააფორიაქა საზოგადოება, „მოჩვენებებმა“ ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია, და მიუხედავად იმისა, რომ პიესა არაჩვეულებრივად მაღალი დონისაა, ვერც ერთმა სკანდინავურმა თეატრმა ვერ გაბედა მისი დადგმა. გერმანიაში ეს ნანარმოები აკრძალული იყო და მხოლოდ 1903 წელს, შექმნიდან 22 წლის შემდეგ დაიდგა. პირველი, ვინც „მოჩვენებათა“ დადგმა გაბედა, შვედი მსახიობი ავგუსტ ლინდგრენი იყო.

მაგრამ რა არის „მოჩვენებების“ არსი? რატომ ატყდა აღშფოთების ქარიშხალი წვრილბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში? იმიტომ, რომ „მოჩვენებებმა“ ჩამოგლიჯეს ფარისევლობის ნიღაბი მთლიანად დამპალ საზოგადოებას. სხვანაირად რომ ვთქვა, „მოჩვენებანი“ ერთი ადამიანის მიერ მთელი საზოგადოებისთვის ნასროლი ხელთათმანი იყო.

იბსენის შემოქმედების მთავარი ამოცანა იყო – პიროვნებასა და მის გარემომცველ ვითარებებს შორის კონფლიქტის გარკვევა. ბრანდი, ნორა, სტოკმანი – საზოგადოებასთან დაპირისპირებული ერთეულები ებრძვიან მას. მაგრამ ეს ბრძოლა იმდენად უშედეგოა, რომ მათი ეული ხმები სუსტ გამოძახილს პპოვებდნენ მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა სულებში. არაჩვეულებრივი ფსიქოლოგი, მგრძნობიარე ხელოვანი – იბსენი იკვლევდა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს წვრილბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში. სრულიად განსაკუთრებულ ადგილზეა ბურუჟაზიული ოჯახის პრობლემათა ამსახველი დრამები. „ნორა“, შემდეგ კი „მოჩვენებანი“ მთელი ძალით ამხელდნენ მთელ იმ სიცრუეს, რომელზედაც იყო აგებული ცოლქმრობისა და თანაცხოვრების კედლები. „ნორამ“ აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია. იბსენს საყვედურობდნენ, რომ მან ხელი აღმართა ქორწინების ხელშეუხებლობაზე. საზოგადოება არ პატიობდა იმას, რომ ნორამ შვილები მიატოვა. ამ აღშფოთებას იბსენმა „მოჩვენებებით“ უპასუხა. „ნახეთ, რა შე-

იძლებოდა მომხდარიყო, ნორა სახლიდან რომ არ წასულიყო!" და იბსენი თხრობას იწყებს.

მისი თხრობის თავისებურება ისაა, რომ სცენიდან გვიყვებიან დიდი ხნის წინ ჩადენილ დანაშაულზე.

ახალგაზრდა ქალიშვილი, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, სარფიანად თხოვდება. ქალს სხვა უყვარს, ელენე კამერჰერ ალვინგის, სულიერად გახრწნილი ლოთის მეუღლე ხდება. ეს კაცი ყველა თავის მანკიერებას პატიოსნების ნიღაბქვეშ მალავს. ასეთი ცოლ-ქმრული ცხოვრებით უკმაყოფილო და ამის თმენას მიუჩვეველი, შეძრწუნებული ფრუ ალვინგი, ქორწილიდან ერთი წლის თავზე, ქმარს ტოვებს და საყვარელ ადამიანთან – პასტორ მანდერსთან გარბის, დახმარებისა და სიმშვიდის მოპოვების იმედით. და თუ ნორა ჰელმერს არ დაუბრუნდა, მანდერსის სასტიკი, ცივი მორალის ზეგავლენით, ფრუ ალვინგი იძულებულია საძულველ ქმარს დაუბრუნდეს. ეს იყო მისი, შეიძლება ერთადერთი, საბედისწერო შეცდომა. ამ გზაზე იგი ყველაზე კეთილმა და ალალმართალმა ადამიანმა დააყენა, რომელსაც საყვარელ ქალზე უარის თქმა ცხოვრებაში თავის ყველაზე დიდ გამარჯვებად მიაჩნდა, საკუთარ თავზე გამარჯვებად. ელენე კამერჰერ ალვინგს დაუბრუნდა. ერთი წლის შემდეგ მათ ვაჟი გაუჩნდათ. მერე კი ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ადრე. ალვინგი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, სულ უფრო და უფრო ეფლობოდა ამ ჭაობში. ფრუ ალვინგს დიდხანს ძალიან ბევრის მოთმენა მოუხდა, რათა საზოგადოებას ამის შესახებ არაფერი გაეგო. მაგრამ როდესაც ქმრის საქციელი ყოველგვარ ზღვარს გასცდა – იგი თავის მოახლეს დაუახლოვდა და ქალმა მისგან ბავშვი გააჩინა, ფრუ ალვინგს უკვე აღარ შეეძლო თავისი ერთადერთი, საყვარელი ვაჟი საფრთხის ქვეშ დაეყენებინა. მან იგი სასწავლებლად პარიზში გაგზავნა. ბოლოს და ბოლოს, მძიმე სენით შეპყრობილი კამერჰერი ალვინგი გარდაიცვალა. 10 წლის მარტო ცხოვრებამ ფრუ ალვინგს უამრავი რამ ასწავლა, იგი ბევრ რამეს მიხვდა. ახლა მისი შვილი ოსვალდი უნდა დაბრუნდეს. ფრუ ალვინგმა წარსული უნდა დამარხოს და ახალი ცხოვრება დაიწყოს. ტრაგედია მაჟორული შეხვედრებით იწყება. გმირები თავიდანვე აღსავსენი არიან ენერგიით და საკუთარი გეგმების ბოლომდე განხორციელების მტკიცე სურვილით. თითოეულ მათგანს საკუთარი მიზნის მიღწევა სურს. მაგრამ მათ ყოველ მისწრაფებას გზად წინააღმდეგობა ხვდება.

თითქოს ჩადენილი დანაშაულის გამოძიება იწყება. სასამართლო საქმის საქაღალდე ღიაა და მაყურებლის თვალწინ, ფურცელ-ფურცელ იშლება საშინელი ტრაგედია.

მსოფლიო დრამატურგიაში მხოლოდ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ შეიძლება დავაყენოთ ერთ დონეზე იბსენის „მოჩვენებებთან“, ტრაგიკული ძალითა და ორიგინალური კომპოზიციით. „ოიდიპოს მეფის“ მსგავსად, აქაც ძირითადი კონფლიქტი, ბრძოლა, თითქოს უკვე განხორციელდა ტრაგედიის მოქმედების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. და მხოლოდ განწირული, უმნეო გმირები ცდილობენ წინ აღუდგნენ მათგან დამოუკიდებელ ბედისწერის ძალებს – ვითარებებს.

გმირები საკუთარი მიზნების განხორციელებას ცდილობენ, მაგრამ გარდაუვალ წინააღმდეგობებს აწყდებიან, მათ გადალახვას ცდილობენ, მაგრამ მათთან ბრძოლაში იღუპებიან. ამიტომაცაა პიესის გამჭოლი მოქმედება – **„თავიდან დავიწყო ცხოვრება!“** (დავამთავრო და დავიწყო!)

ტრაგედია ჯიქურ ვითარდება, ერთ დღეში მიმდინარეობს, ერთ ადგილას, ხუთ უცვლელ მოქმედ პირს შორის.

ოსვალდს დამბლის მეორე შეტევა ემართება, თავშესაფარი იწვის, რეგინა ოსვალდის და აღმოჩნდება, ფრუ ალვინგს კი ძალა არ ჰყოფნის, რომ შვილი მონამლოს. იგი პირქუშ როზენვალდში რჩება, როგორც წარსული ცხოვრების ნანგრევი. ენგსტრანი ბოროტად სარგებლობს კამერპერ ალვინგის სახელით და ახალ ავანტიურას იწყებს. პასტორი მანდერსი კომპრომისებით ცდილობს თავის გადარჩენას.

ამგვარად, ტრაგედიის გმირები, თანდათან თავიანთ განზრახვათა მწვერვალებს აღწევენ, წინააღმდეგობებს გადალახავენ, ვარდებიან და კვდებიან. ყველაფერი ნანგრევებად იქცევა.

მაგრამ რა არის ამ მრავლის აღმთქმელი მისწრაფებების დაღუპვის მიზეზი?

სოფოკლესთან ეს ბედისწერაა, მაგრამ „მოჩვენებებში“ ხომ ამის სუსტი მინიშნებაც კი არ არის. პირიქით, აქ ყველაფერი მეტისმეტად კანონზომიერი და ბუნებრივია. რომელმა „მოჩვენებებმა“ დაღუპეს ფრუ ალვინგი და მისი ოჯახი?

ჩვენდა საბედნიეროდ, ტრაგედია ისეა დაწერილი, რომ მტერს ვერ ვხედავთ. ვიცით, რის გამო იღუპება არაჩვეულებრივი შესაძლებლობების მქო-

ნე, საკუთარი იდეებისთვის მებრძოლი ოსვალდი, რომელმაც თავისი ხელოვნებით დაადასტურა, რომ თავისუფალი შრომით დაკავებულ ადამიანს სიცოცხლის სიხარული ეუფლება.

ოსვალდი და თვით იბსენი ნათელ სიცოცხლეს, ცრუ რწმენათა ბინდს, სიბნელესა და მოჩვენებებს უპირისპირებენ. ოსვალდი, თავისი სიკვდილით, წარსულის მოჩვენებებზე იმარჯვებს.

„მოჩვენებათა" მთავარი თემა ერთ წრეში აქცევს სამი პერსონაჟის – ოსვალდის, ფრუ ალვინგისა და პასტორ მანდერსის ქცევის მოტივებს.

სამყარო, რომლის მოქადაგეც პასტორი მანდერსი იყო, ძველი, დრომოჭმული ცნებებითაა აღსავსე. ამ სამყაროს მუდამ ჰქონდა მზად ადამიანისთვის ქცევის რაღაც გარკვეული ფორმულა, აუცილებელი ნორმა. საფუძველშივე დამპალი საზოგადოება, თავის გახრწნილ მორალს, აზრს, ჩვევებს, რწმენას ბადებდა და ყოველივე ეს თავს დაატყდებოდა პიროვნებას, არ აძლევდა მას საშუალებას ეცხოვრა და განეცადა ისე, როგორც სურდა. ადამიანს მუდამ აწვდიდნენ ცივ, ლუთერანულ მორალს ძლიერ კონცენტრირებული სახით: „ეს ცუდია, ეს ცოდვაა, ეს არ შეიძლება, ეს დაუშვებელია". არ შეიყვარო უთანასწორო, ქალი მეომარი ქმრის მორჩილი მსახური უნდა იყოს, ცოდვაა მომგებიანი ქორწინების ხელიდან გაშვება, რადგან მას ღმერთი გიგზავნის, ეჭვს ნუ შეიტან ჭეშმარიტებაში, შენი ჯვარი მორჩილად და უდრტვინველად ზიდე... მილიონი და მილიარდი სხვადასხვანაირი ფრაზა, რომელიც პიროვნების ნებისმიერ თავისუფალ ამოსუნთქვას ზღუდავდა.

ბურჟუაზიული სამყარო მთლიანად გამსჭვალულია ამ მორალით, ცრუ რწმენებით, და „ჭეშმარიტების" გზიდან ნებისმიერ გადახვევას საზოგადოება კიცხავს, სჯის.

ამიტომაა, რომ მანდერსისგან თანადგომის მომლოდინე ფრუ ალვინგი, თანაგრძნობის ნაცვლად გულგრილ მორალურ ქადაგებას რომ იღებს, იძულებულია მორჩილად დაუბრუნდეს გარყვნილ ქმარს, რომელიც არ უყვარს. იგი იმდენად ძლიერი არ აღმოჩნდა, რომ მანდრესისთვისაც შეექცია ზურგი და მარტოს ეძებნა სიმართლე. ეს სისუსტე მისი ტრაგედიის მიზეზი აღმოჩნდა. „ოჯახი საზოგადოების ბირთვია. მისი შენარჩუნებით საზოგადოებასაც ინარჩუნებ" – ამბობს იბსენის ერთ-ერთი გმირი.

განა ასე დგას საკითხი „მოჩვენებებში"? განა ჩვენ წინაშე პოლიტიკური ტრაგედია თამაშდება? პირველი წაკითხვით, შესაძლოა, ასეც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს საფუძველშივე არ არის სწორი.

მაშ რას გვიქადაგებს დრამა? ერთ წერილში იბსენი წერს: „იგი საერთოდ არაფერს ქადაგებს, იგი მხოლოდ მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ ისევე, როგორც სხვას, გარეგნული სიმშვიდის მიღმა, ნიჰილიზმის ჭია გვღრღნის. ნებისმიერი პასტორი მანდერსი სიცოცხლისკენ მოუწოდებს ამა თუ იმ ფრუ ალვინგს“ (წერილი დოქტორ შანდორფისადმი. რომი, 1882 წლის 6 იანვარი).

მორალისტი იბსენი არაფერს ქადაგებს, იგი მხოლოდ ამხელს. პროტესტი ბურჟუაზიული მორალის, ბურჟუაზიული წყობის წინააღმდეგ მსჭვალავს პიესის ყოველ რეპლიკას.

რით გვაღელვებს „მოჩვენებანი“? ნუთუ მხოლოდ კლასიკური დიალოგების სილამაზით და ბურჟუაზიული სამყაროს ისტორიული წარსულის ასახვით? არა, დრამის არსს არც დღეს, ჩვენს რეალობაში დაუკარგავს თავისი სიმწვავე.

უკუვაგდებთ რა „მოჩვენებათა“ მცდარ პოლიტიკურ სარჩულს, ჩვენ მაინც ვპოულობთ მათში ერთადერთ, სწორ მამოძრავებელ ფესვს, რომელიც ჩვენი ცხოვრების მეტად საჩოთირო მომენტადაც რჩება.

ეს არის ბურჟუაზიული საზოგადოებიდან ჩვენთან მემკვიდრეობით გადმოსული მოარული შეხედულებები, ცრუ რწმენები, ჩვეულებანი.

ეს **„მემკვიდრეობითი მოჩვენებანი“**, ხშირად იმაზე არანაკლები ტრაგედიის მიზეზს წარმოადგენენ, ვიდრე ფრუ ალვინგისა და ოსვალდის ტრაგედიაა.

მოკლედ მოგიყვებით ამბავს, რომელიც ერთ ჩემს ახლობელს შეემთხვა (მოთხრობა). გეგმა:

1. კაცი – მსმელი, მოთამაშე, დროის გატარება უყვარს, „ჩვენი ძმაა“.
2. გოგონა – მოსწავლე, დიდი ჭკუით არ გამოირჩევა.
3. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. მშობლების ლოცვა-კურთხევით დაქორწინდნენ.
4. ომი დაიწყო. კაცი ფრონტზე წავიდა. ოფიცერი გახდა. დროსტარებას აგრძელებდა. წერილი... ბავშვი.
5. დაბრუნება (პატიების თხოვნა. უარი, მშობლების რჩევა. „ნუ დაანგრევთ ოჯახს, ბავშვს უმამოდ ნუ დატოვებთ, ნუ შეარცხვენთ „წმინდათა წმინდას – ოჯახს“.
6. შერიგდნენ. კაცი გალოთდა, კარტში ფული წააგო. ბავშვი საზრიანი იყო, ყველაფერს უცბად ითვისებდა. მაგრამ ცუდ გზას დაადგა. მამა საავადმყოფოში გარდაიცვალა, შვილი ციხეშია, დედა – სასონარკვეთილი და განადგურებული.

რა გამოვიდა ამ ქორწინებიდან? რა მისცეს ბავშვს ასეთმა მშობლებმა? რა მოგვცა იმ მშობლების მორალმა, რომლებმაც, მანდერსის მსგავსად, ქალიშვილის ცხოვრება დაღუპეს.

სხვადასხვანაირი მოჩვენებანი ჯერ კიდევ ძლიერად სხედან ჩვენს არსებაში და დაძრწიან ჩვენ გარშემო.

მაგრამ მათ არ უნდა გამოიწვიონ პიროვნების გამანადგურებელი ოჯახური ტრაგედიები, ბედნიერების მკვლელი ადამიანური დრამები. მათ უნდა ვებრძოლოთ, მით უმეტეს, რომ ეს მხოლოდ ჩვენთანაა შესაძლებელი. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა და მტკიცედ განვაცხადოთ: **„ჩვენ ვიბრძვით, იმიტომ, რომ ბურჟუაზიული მორალი ღუპავს პიროვნებას, ანგრევს მას...“**

„ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს თავის ქცევაში“.

როგორ ვკითხულობ და ვხედავ „მოჩვენებებს“ და როგორი იქნება სპექტაკლის გადაწყვეტა? მიუხედავად იმისა, რომ დრამა მოგვითხრობს ოჯახთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი უბედურების შესახებ, ურთიერთობათა და ქმედებათა ღრმა ფსიქოლოგიური რეალიზმის მიუხედავად, იბსენის „მოჩვენებათა“ კითხვისას, რატომღაც მინდა აღმოვჩნდე ჩრდილოეთისა და მისი საგების უცნობ, იდუმალ სამყაროში. იქნებ ამ აუცილებლობას თავად ნაწარმოების სახელწოდება მკარნახობს (აჩრდილები, მოჩვენებანი, ჩრდილები), ან იქნებ ყოველივე ეს ავტორის წერის მანერაშია ჩაქსოვილი? შეიძლება ასეთი განწყობილება იმიტომაც მეუფლება, რომ „მოჩვენებათა“ ტექსტის სიღრმეში ჩაფლულია სრულიად სხვა ცხოვრება. შესაძლოა ხშირი მინიშნებაში რაღაც აბსტრაქტულ სიმბოლოებზე კიდევაც იგრძნო, მაგრამ მას ხელს ვერ შეახებ. ერთი სიტყვით, ბევრი რამ არის ისეთი, რაც სპექტაკლის უჩვეულო ფორმის არჩევისკენ მიბიძგებს.

ლიტერატურაში არსებობს **„ჩრდილოური ბალადის“** ფორმა. ეს ჟანრი გულისხმობს რაღაც საიდუმლოს, ზღაპრულის, ტრაგიკულის თხრობას მუსიკალური ინსტრუმენტის ჩუმი თანხლებით.

იმისათვის, რომ გაგაგებინოთ „მოჩვენებათა“ ჩემეული გადაწყვეტა, დრამის **4 საკვანძო მომენტს** მოგითხრობთ, დანარჩენს თვითონ ნახავთ.

სპექტაკლის სახე – ღრმა, ცივი ხეობა. პიესაზე მუშაობის დასაწყისში ჩემ წინაშე წამოიჭრა იბსენის ტრაგედიის სტრუქტურის საკითხი. მივხვდი, რომ ყველაზე მთავარი, მოქმედების დაწყებამდე ხდება. შემდეგ ამას ტრაგიკული შედეგები მოსდევს. მოქმედების დასაწყისი – ახლის დაწყების რაღაც წახნაგია. ამიტომ აუცილებლად ჩავთვალე პატარა „უვერტიურული“ პროლოგის შექმნა (შემდეგ – გადაწყვეტა).

მიხეილ თუალაშვილი

ყველაფერი ნანგრევებად იქცა. თითქოს გამართლდა ოსვალდის წინასწარმეტყველება ხანძრის შემდეგ. „ყველაფერი დაინვება, მეც აქ დავინვები!...“ და ყველაფერი დაინვა!

იბსენის ცხოვრება დ მოღვაწეობა

წარმომავლობა: ბაბუა, მამა, დედა, ბებია.

1828 წ. 20 მარტი. ქალაქი სკიენა, პირველი ბავშვი ოჯახში, ბავშვობა, ბავშვური შთაბეჭდილებები, სკოლა.

1842 წ. წერს თავის პირველ ლექსს „სიზმარი“ (14 წლისა). ფერწერით გატაცება.

1845 წ. გრიმსტადტი. მეაფთიაქის თანაშემწე.

1849 წ. „მადიარებთან“... ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი. კატილინა. მონაწილეობა საპროტესტო პოლიტიკურ აქციებში. „გოლიათური ყორღანი“. ქრისტიანია.

1851 წ. ბერგენი. ბერგენის თეატრის დრამატურგი. ხელფასი 400 მანეთი ან 200 ტალერი? დრამატურგების გაცნობა.

1852 წ. მოგზაურობა კოპენჰაგენსა და დრეზდენში. დაქორწინება სუსანა ტორენსენზე.

1857 წ. მიწვეულია ქრისტიანიაში ეროვნული თეატრის ხელმძღვანელად. რეჟისორი და მსახიობებთან ურთიერთობა.

1859 წ. ბიერნსონთან დაახლოება.

1863 წ. „ბრძოლა ტახტისათვის“ თეატრების შერნყმა ნორვეგიის დედაქალაქში.

1864 წ. იბსენმა 10 წლით დატოვა სამშობლო. რომი.

1868 წ. იბსენი დრეზდენში დასახლდა.

1869 წ. დასრულდა „ახალგაზრდობის კავშირი“

1870 წ. კოპენჰაგენი. „ბრძოლა ტახტისათვის“.

1875 წ. მიუნხენი.

1879 წ. „თოჯინების სახლი“. რომი.

1881 წ. „მოჩვენებანი“. ტიროლი. ბერხტესჰადენი. „ხალხის მტერი“.

1884 წ. „გარეული იხვი“.

1885 წ. ნორვეგია, დასავლეთი სანაპირო (მოლდში).

1885 წ. კვლავ მიუნხენი.

1892 წ. „მშენებელი სოლნესი“.

1898 წ. 2 აპრილს მთელმა ნორვეგიამ იზეიმა იბსენის დაბადებიდან 70 წლისთავი.

1906 წ. 23 მაისს 14-30 წთ. გულის დამბლით გარდაიცვალა იბსენი.

მთელი ცხოვრების განმავლობაში იბსენი იძულებული იყო შეჯახებოდა საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს – ეს არის მისი სიცოცხლის ტრაგიზმი. ბავშვობიდან სოლიდურ ასაკამდე იგი არ ეთანხმებოდა ყოველივე იმას, რაც ცხოვრების გზაზე ხვდებოდა. იბსენის კულტი – ინდივიდუალობის კულტია. იგი იმიტომ წარმოიშვა, რომ მისმა მორალმა ვერ იპოვა გასასვლელი პოლიტიკაში. გ. პლეხანოვი თვლის, რომ თავის შეხედულებებში, იბსენი წმინდა წყლის იდეალისტად რჩება, ამიტომ მნიშვნელოვანი საკითხები მასთან, ჩვეულებრივ, მეტად შეზღუდული ფორმით ვლინდება. იბსენი ქადაგებს, მას თავისი მორალი აქვს, უდაოდ გვხიბლავს მისი „ზნეობრივი წუხილი, სინდისის, მორალის საკითხებით დაინტერესება, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად განყენებულია, რომ, ბოლოს და ბოლოს, უშინაარსო ხდება“. ამბოხი ამბოხის გამო – აი, იბსენის ძირითადი ლოზუნგი. მაგრამ იგი ხსნის გზას ვერ ხედავს. აქ მისი ქადაგება ბუნდოვანი ხდება. ეს აუცილებლობით გამოწვეული ქადაგებაა. იბსენს იზიდავენ მისი წინაპრების – ვიკინგების იდეები და პრინციპები, მაგრამ წარსულის პოლიტიკური იდეები თანამედროვეობაში უმნეონი აღმოჩნდნენ. თანამედროვეობა არ ბადებდა იმ პოლიტიკურ იდეებს, რომლებიც გაიტაცებდნენ იბსენს და ამის შედეგი იყო იბსენის ჩაღრმავება მორალის სფეროში. იბსენი მორალისტია. სწორედ აქ იჩენს თავს მთავარი წინააღმდეგობა. იბსენის აზრით, ყველაზე გადაუწყვეტელი საკითხია: „რა შეიძლება ისურვოს ადამიანმა ისე, რომ თან საკუთარი თავიც შეინარჩუნოს“. და იბსენი მოგვიწოდებს... თვითონაც არ იცის, რისკენ. იგი ვერ გვთავაზობს მანკიერი სინამდვილის გარდაქმნის გზას. არის სულის ამბოხი – სულის ამბოხის გამო. თავის გმირთა ბაგეებით იბსენი ამხელს წვრილბურჟუაზიულ სამყაროს ფარისევლობისა და მომხვეჭელობისათვის, იმ პოლიტიკისათვის, რომელიც იაფად ყიდულობს თავისუფლებას, ამიტომ იყო იბსენი ყოველთვის პოლიტიკის, პარტიების, სახელმწიფოების ასეთი მტერი. ამიტომაც ანარქისტები მას თავისიანად თვლიდნენ. მაგრამ არც ეს იყო სწორი. სოციალისტები მზად იყვნენ „ბრანდის“ ავტორი თავისად მიეჩნიათ, როდესაც იგი ამსხვრევდა მეშჩანობის უხამსობას, მაგრამ, ამავე დროს, ისინი გაოგნებულნი იყვნენ, როდესაც იბსენის რისხვა ასეთივე ძალით დაატყდებოდა თავს სოციალიზმის „ნიველირებულ“ ტენდენციებს. დიდი ხელოვანი პოლიტიკას სხვანაირად ვერ უდგებოდა. მას სიმართლის ნახვა სურდა, თავის პრინციპებზე უარს არ ამბობდა. ადამიანთა საზოგადოება მისთვის თავიდან ბოლომდე გახრწნილია, მისი მძიმე ჰაერი ახრჩობს თავისუფალ, შეურიგებელ, მუდმივად აღ-

შფოთებულ სულს. როდესაც 1870 წელს სისხლიანი, დასახიჩრებული საფრანგეთი გერმანიის ფეხქვეშ იყო გართხმული, იბსენი, რომლის სიმპატიები მაშინ საფრანგეთს ეკუთვნოდა, არ იზიარებდა სკანდინავიის ქვეყნებში გაბატონებულ საყოველთაო სასოწარკვეთილებას. იგი წერდა: „ძველი, მოჩვენებითი საფრანგეთი დაიმსხვრა. თუ ახალი პრუსიაც ასე დაიმსხვრევა, ერთი ნახტომით მომავალში აღმოჩნდებით. შემდეგ წერილში, 1879 წელს იბსენი წერდა რუსეთზე: „შესანიშნავი ქვეყანაა, დიდებული ჩაგვრით!" მაგრამ როგორ შეიძლება ჩაგვრა აღგაფრთოვანებდეს? „წარმოიდგინეთ თავისუფლების ის არაჩვეულებრივი სიყვარული, რომელსაც.ეს ჩაგვრა აღვივებს. რუსეთი მსოფლიოს იმ მცირერიცხოვან ქვეყანათაგანია, რომელშიც ადამიანს ჯერ კიდევ უყვარს თავისუფლება და მისთვის მსხვერპლის გაღება შეუძლია. ამიტომაც აქვს მას ასეთი ჩინებული პოეზია და ხელოვნება". იბსენისთვის სულერთია, რა წყობილება იქნება ქვეყანაში, ოღონდ იყოს პოეზია და ხელოვნება – იდეალური არსების უმაღლესი თვისებები.

„სახელმწიფო წყევლაა ინდივიდუუმისთვის" – წერს იგი ბრანდესს. მოისპობა უფრო დიდი რამ, ვინემ სახელმწიფოა, დაემხობა რელიგია, ზნეობრივი ცნებები. რა გვაიძულებს, მივემხროთ მათ? ვინ დამიმტკიცებს, რომ 2X2=5 არ არის იქ, ზევით, იუპიტერზე? „ძირს სახელმწიფო ჩაგვრა – აი, ის რევოლუცია, რომელშიც მზად ვარ მონაწილეობა მივიღო". ყველა მოტანილი ციტატა მკაფიოდ ახასიათებს იბსენს, როგორც აპოლიტიკურ ინდივიდუუმს, რომელიც მხოლოდ საკუთარ პრინციპებს აღიარებს.

მიახლოებითი იდეურ-თემატური ჩანაფიქრი

აღზრდისა და იმ გარემოს ზემოქმედების გამო, რომელშიც იბსენი იზრდებოდა და მუშაობდა, იმ ვითარებათა გავლენით, რომლებზედაც უკვე ვისაუბრეთ, იბსენს არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი; რადგანაც მათი გადაწყვეტა მოითხოვდა სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურის ძირეულ შეცვლას ან სრულ მოსპობას. ამიტომაც ესოდენ აპოლიტიკურია იბსენი, მას ხელს უშლიდა „სახელმწიფო"... იგი გუდავდა მის ყველა იდეას და ფრაზას, საზოგადოება! ადამიანთა საზოგადოება – აი რის წინააღმდეგ იყო მიმართული იბსენის აღშფოთება. ყველა მისი აზრი თუ იდეა ინდივიდის საზოგადოებასთან, უმრავლესობასთან ბრძოლის ქადაგებაა. უდავოა, რომ უმრავლესობაში იბსენი გულისხმობდა არა რევოლუციურად განწყობილ პროლეტარულ მასებს, რადგან ეს კლასი ჯერ კიდევ არ არსებობდა ნორვეგიაში, არამედ მომხვეჭელობის ჟინით შეპრყობილ წვრილ

ბურჟუაზიას, რომელიც მაშინ უმრავლესობას შეადგენდა. მისი უმცირესობა კი, რომელიც მოგვინოდებს სამართლიანობისკენ, ექიმი სტოკმანია – არაპრაქტიკული გიჟი, ერთი შეხედვით, უმწეო ადამიანი. მაგრამ ის მაინც ერთადერთია, რომელიც წინ აღუდგა საზოგადოების დამთრგუნველ კანონებს და პირში მიახალა მას თავისი აღშფოთება.

ილაშქრებს რა საზოგადოების, მისი შეხედულებებისა და ნორმების წინააღმდეგ, იბსენი ისე წარმოგვიდგენს ამ საზოგადოებას, როგორიც ის არის სინამდვილეში... გრიმსტადტი, ქრისტიანია და სხვა სკანდინავური ზღვისპირა ქალაქები იმ წვრილბურჟუაზიულ სოროებს ჰგავდა, სადაც იფურჩქნებოდა ჭორი, მითქმა-მოთქმა, ცილისწამება და სიმხდალე. იქ განადიდებდნენ საშუალო ადამიანს და არ იღებდნენ არავითარ სიახლეს, ნოვაციას, უცნობს. ყოველი ახალი სიტყვა აფრთხობდა სკანდინავიის ქალაქებს და ხალხი კიდევ უფრო ღრმად ძვრებოდა თავის სოროებში. არა იმიტომ, რომ დიქტატურა ახრჩობდა ყოველივე ახალს, არამედ იმიტომ, რომ თვით საზოგადოებას არ უნდოდა დაეღნია თავი ტკბილი ძილისგან. მას აღიზიანებდა ყოველივე ის, რაც ამაში ხელს შეუშლიდა. ეს საზოგადოება, ყოველგვარი სიახლის შიშით, მთელი ძალით ეჭიდებოდა ძველს, ეს იყო მისი არსი. ადამიანი ამ წესებს უნდა დამორჩილებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას საყოველთაო გაკიცხვა, შემდეგ კი დაღუპვა ელოდა. მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამ აშმორებული, ლპობადი საზოგადოების ბირთვი ქმნიდა კანონებს, ქცევის ნორმებს, ჩვეულებებს, მოარულ ხმებს და მათ ხალხში ნერგავდა, ქვეყანაში ავრცელებდა, სადაც ისინი, სიზმრის მსგავსად, სახლებსა და სულებში დაეხეტებოდნენ, შიშისა და მორჩილების კვალს ტოვებდნენ... ამ პირქუში ლანდების საყრდენი ლუთერანული ეკლესია იყო.

არსად, ნორვეგიის (სკანდინავიის) გარდა, რომლის ქალაქებშიც საშუალოდ 10-15 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, არ შეიძლებოდა გავრცელებული ყოფილიყო მოარული, ცივი ფრაზები: „ეს ცუდია! ეს არ შეიძლება! ეს უსიამოვნოა!“ „ასე უნდა გააკეთო!“ „ცუდია, თუ ღმერთი არ გწამს!“ „არ შეიძლება ქმრის თანასწორი იყო!“ „არ შეიძლება ხელსაყრელი პარტიის ხელიდან გაშვება!“ „არ შეიძლება ებრძოლო ხელმძღვანელობას, არ შეიძლება ეჭვი შეიტანო ჭეშმარიტებაში, არ შეიძლება მიატოვო ის, ვინც არ გიყვარს, არ შეიძლება დედა მამას დაშორდეს“ და ა. შ. ათეულობით, ასეულობით, მილიონობით აზრი, ცრურწმენა, რომელიც მთლიანად მსჭვალავს საზოგადოებას ისე, რომ არც ერთ კუთხე-კუნჭულს არ ტოვებს. ადამიანს მუდმივად თრგუნავს ქცევის ეს წესები. იგი ბრმად უნდა მისდევდეს მათ, რაც საბოლოოდ ანადგურებს პიროვნებას.

მიხეილ ოყანიშვილი

ყველაზე ხშირად ამ მოჩვენებათა ჩრდილები

ქალს, მამაკაცზე სუსტ არსებას ეცემა. მას არ შეუძლია ისე დაიცვას თავი, როგორც კაცს. ამიტომ იძულებულია ბევრი რამ მოითმინოს. ქალის ადგილის განსაზღვრა საზოგადოებაში, თავისთავად მოჩვენებაა.

იბსენის ქალაქის, მისი საზოგადოების ნვრილბურჟუაზიული მორალი ქადაგებს: „ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედა და ცოლი უნდა იყოს. მან ამას ყველაფერი უნდა შეწიროს მსხვერპლად, საკუთარი პიროვნებაც კი". და ეს აზრი, დამპალი საზოგადოების მორალი, ყველა დაბნეულ გონებასა და გატეხილ გულში აღწევს. იგი ახრჩობს ქალს, ანადგურებს მასში ადამიანს. „მორჩილება... მორჩილება... და კიდევ ერთხელ მორჩილება... ყველგან ამას ჩურჩულებენ ჩახლეჩილი ხმით... ატარე შენი ჯვარი და საყვედური არასოდეს გამოთქვა!"

ფრუ ალვინგის დახასიათება

ელენეს ოჯახი ერთი ჩვეულებრივი ნორვეგიული ნვრილბურჟუაზიული ოჯახი იყო. თავისი შეზღუდული მსოფლმხედველობით, ცხოვრების მიმართ მცირე პრეტენზიებით, სიახლის ნაკლები მოთხოვნით. ეს ოჯახი აკმაყოფილებდა საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, საკუთარ ბუხართან, რომელსაც დიდი და მაღალი საკვამური ჰქონდა. მშობლების წინაპრები, ალბათ, მეზღვაურები იყვნენ, შესაძლოა, მამამისი სწორედ ამ თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი იყო... დედა და სხვა ნათესავები ქალის მხრიდან, საოჯახო მეურნეობით იყვნენ დაკავებულნი, ბავშვებს ზრდიდნენ, საკუთარ ნაჭუჭში იყვნენ ჩაკეტილი. ელენეს ოჯახმა მემკვიდრეობით მიიღო ყველა ის წესი და ჩვეულება, რომლითაც მანამდე ცხოვრობდნენ და, ალბათ, მომავალშიც იცხოვრებენ. ელენე ძლიერ მორწმუნე იყო, ამიტომაც ხშირად დადიოდა ეკლესიაში. თავად იმდენად განათლებული იყო, რომ შვილებისთვისაც კარგი განათლების მიცემა შეეძლო.

ყოველივე ეს ფრუ ალვინგმა ბავშვობიდან შეითვისა. მას არ შეეძლო ესაყვედურა ვინმესთვის ცუდი განათლების მიღების გამო. იმ დროისათვის კულტურული ადამიანი იყო. ფორტეპიანოზე დაკვრა იცოდა, უცხო ენებს ფლობდა... ერთი რამ აკლდა მხოლოდ – კარგი, შეძლებული, საქმრო... ამაზე მუდმივად ოცნებობდა მთელი მისი ოჯახი: დედა, დეიდა, დები და ა. შ. ბუნებრივია, ქალიშვილმა, გარკვეულ ასაკში თავისთვის მეწყვილე უნდა ეძებოს. არა იმიტომ, რომ ასეთი წესია, არამედ იმიტომ, რომ ამის მოთხოვნილება არსებობს. ეს პროცესი არაბუნებრივად მაშინ ვითარდება, როდესაც ქალის ძალით გათხოვებას ცდილობენ. „შესაფერი შემთხვევაა! წამოიძახებენ მშობ-

ლები და ამ სარფიან საქმეს ლოცვა-კურთხევით ამყარებენ ისე, რომ საპატარძლოს არც კი ეკითხებიან.

როგორ აღმოჩნდა ელენე კამერჰერ ალვინგთან, რომელიც, სხვათა შორის, მომხიბვლელი, „სიმპატიური მამაკაცი იყო. იგი ყველას მოსწონდა". ვინ დაიჯერებდა, რომ მან რამე ცუდი ჩაიდინა? იგი ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელმაც რაც არ უნდა გააკეთოს, ხალხის თვალში არაფერს დაკარგავს. ახალგაზრდა, გამოუცდელი, მშვიდი ქალიშვილი უსიყვარულოდ უნდა გაჰყოლოდა უცნობ კაცს, მაგრამ განა მხოლოდ მას შეემთხვა ეს? მანამდეც ასე ხდებოდა და მერეც. ნორვეგიელ ქალთა უმრავლესობა ასეთი „შესაფერი, სარფიანი შემთხვევის" მსხვერპლი ხდებოდა. ელენემ საერთო ვერაფერი იპოვა კამერჰერთან, რომელიც შეჩვეული იყო ბობოქარ, თავაწყვეტილ ცხოვრებას. ისინი ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდებოდნენ. კამერჰერმა მთელი საოჯახო მეურნეობა ჩააბარა, თვითონ კი დროს ატარებდა და ყოველივე ამას ზნეკეთილობის საბურველს აფარებდა. ელენემ, ქმართან რომ ვერაფერი გააწყო, თავის თავში იმის ძალა იპოვა, რომ გაეწყვიტა კავშირი მეუღლესთან და საყვარელ ადამიანთან გაქცეულიყო. ალბათ ამას წინ უძღოდა რთული ფსიქოლოგიური ბრძოლა, ნორას მსგავსად, მათ ორივემ დატოვეს ოჯახები. მაგრამ ნორა არ დაბრუნდა, თავის პასტორთან მისული ელენე კი იქ მხოლოდ გამომშრალ, სასტიკ მორალს შეეჯახა და უკან დაბრუნდა. ელენე რელიგიის, საზოგადოების შეხედულებებს დაემორჩილა და იმ სახლში დაბრუნდა, სადაც სული ეხუთებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა... ეს მოხდა ქორწინებიდან ერთი წლის თავზე... ამის შემდეგ კამერჰერი ალვინგი ცოტა დადინჯდა. მათ ვაჟიშვილი ოსვალდი გაუჩნდათ, შემდეგ კი უარესი საშინელება დაიწყო. ცხოვრების ბოლო შვიდი წელი, ფრუ ალვინგის ქმარმა სრულ საგიჟეთად აქცია... აღვირახსნილობა, ლოთობა, გარყვნილება. აქ დაიწყო ფრუ ალვინგის წამების ყველაზე საშინელი ხანა. მეორედ ოჯახს ვერ მიატოვებდა: შეიძლებოდა გაჩენილიყო აზრი, რომ ალვინგი აღვირახსნილ ცხოვრებას ცოლის ღალატის გამო ეწევა. ამიტომ ელენე იძულებული იყო, ყველაფერი მოეთმინა და დაემალა. ეს ჯოჯოხეთური ბრძოლა იყო, ხანგრძლივი და მომქანცველი. „მე ბევრი რამ გადავიტანე ამ სახლში" – ამბობს იგი – „მაგრამ უკანასკნელს ვერაფრით მოვითმენდი". შეშინებულმა შვილი პარიზში გააგზავნა, რომ მას მამისგან ეს საშინელება არ გადმოეღო. ბოლოს კამერჰერი გარდაიცვალა. ფრუ ალვინგი სახლში მარტო დარჩა და ამ მარტოობის 10 წლის განმავლობაში იგი სულ უფრო და უფრო ბევრს ფიქრობდა მისთვის ამაღელვებელ საკითხზე, „რატომ მოხდა ასე?" მოჩვენებებით დასახლებული სახლის ცარიელ ოთახებში ხეტიალისას ანალიზს უკეთებდა

ყველა შემთხვევასა და საქციელს, ზნეობრივად გახრწნილ საზოგადოებას და დაასკვნა, რომ სწორედ ეს საზოგადოებაა ყველაფერში დამნაშავე, ის და მისი მდაბალი, დაავადებული, მფრთხალი მორალის მოქადაგენი.

ფრუ ალვინგის ტრაგედიის ანალიზი, ფაქტიურად, იბსენის „მოჩვენებათა“ ანალიზია. რადგან ეს არის ელენეს მოჩვენებებთან ბრძოლის ისტორია.

უნდა დავადანაშაულოთ ფრუ ალვინგი ამ ტრაგედიაში? ამ შეკითხვას ორგვარად შეიძლება ვუპასუხოთ. მართალია თუ არა ფრუ ალვინგი, როგორც ქალი? შეასრულა თუ არა მან თავისი მოვალეობანი ოჯახის წინაშე? – დიახ, შეასრულა. მთელი თავისი ენერგია შვილის აღზრდას მოახმარა, თან ქმრის მანკიერებებს ოსტატურად აფარებდა ნიღაბს. ამაში იგი მართალია.

მაგრამ არავინ ამართლებს მის გაუბედავ, მეშჩანურ, საცოდავ ქცევას. საქციელს ადამიანისა, რომელმაც ვერ შეძლო კავშირის გაწყვეტა მის დამღუპველ ძალასთან იმ დროს, როდესაც ნათლად ხედავდა, რომ იღუპება. ასეთი ადამიანი სიბრალულის ღირსი არ არის.

ოსვალდი, ერთადერთი არსება, რომელიც ქმართან აკავშირებდა, ხომ მისი კამერჰერთან დაბრუნების შემდეგ გაჩნდა? რა გამომდინარეობს აქედან? ფრუ ალვინგი რომ არ დაბრუნებულიყო, არ გაჩნდებოდა ოსვალდი, რომელსაც ტრაგედია მოაქვს.

ფრუ ალვინგის დღიური

18... წლის ... აგვისტო...

დღეს სასიხარულო მოვლენა მოხდა, ჩემი საყვარელი ოსვალდისგან 2 წერილი მივიღე, იგი წერს, რომ დროებით შეწყვიტა მუშაობა, თვლის, რომ პატარა შესვენების დროს გონებაში „ბევრი ახალი მასალა გროვდება“. ალბათ ეს აუცილებელია. და საერთოდ, ჩემმა ძვირფასმა, საყვარელმა შვილიკომ ჭკვიანურად წერა დაიწყო! აი, კინაღამ ავტირდი. ასე მაშინ მემართება, როდესაც შვილი მომენატრება. თითქოს შიგნით რაღაც ამტკივდება, ალბათ როგორც ყველა დედას მაშინ, როდესაც მისი შვილი ჯერ კიდევ მის სხეულშია... რა დიდი ხნის წინ იყო ეს! 25-26 წლის წინ... ოსვალდი მწერს, რომ ამ ზამთარს, თუ მოახერხა, სახლში ჩამოვა და მაშინ გულში ჩავიკრავ ჩემს ერთადერთ ბიჭს!... რა კარგი იყო, როდესაც იგი ჯერ კიდევ აქ ცხოვრობდა, ასეთი გონიერი და ცნობისმოყვარე. ლოგინში შემომიძვრებოდა, მე კი სულ ერთსა და იმავე ზღაპარს ვუყვებოდი, რომელიც მან უკვე ზეპირად იცოდა და თავისი პატარა, ბავშვური ენით მისწორებდა, როდესაც მარტივ სიუჟეტში რაღაცას ვურევდი. ფუმფულა ხელებს გულზე მადებდა, მეჩვენებოდა,

რომ მე და ის ერთ განუყოფელ არსებად ვიქეცით. ჩემო საყვარელო ბიჭო, რომ იცოდე, როგორ უყვარხარ დედას, მაშინ... მაგრამ ოსვალდი რა შუაშია, ეს მე ვარ დამნაშავე, რომ იგი ჩემ გვერდით არ არის.

გუშინ მთელი ღამე მძვინვარებდა ფიორდი და ამბობენ, რომ ვიღაცის ნავი დაიმტვრა. საწყალი პატრონი დაიხრჩო, თუმცა მის გადარჩენას ცდილობდნენ. ზარს რეკდნენ, ოღონდ უშედეგოდ.

რა მოწყენილი ვარ მარტო... სიტყვაც ვერავისთვის მითქვამს... სახლიდან გასვლა კი არ მინდა...

პასტორმა მაინც მინახულოს, თუმცა, როგორც ჩანს, იგი თავს მარიდებს.

18... წლის... 10 აგვისტო

„ასე ამბობდა ზარატუსტრა". მართალია, ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც მომეწონა. ზოგჯერ ისე ლამაზად ამბობს... უცებ რაღაც კარგს იხსენებ, რაც, შესაძლოა, არც მომხდარა. თითქოს ვიღაც აღმოსავლელი წინასწარმეტყველია. ალბათ რბილ ხალიჩაზე ფეხმორთმხმული ზის, ერთ წერტილს მისჩერებია, ეწევა და აზრებს გამოთქვამს... რა კარგია და რა – ცუდი... კარგი კი მასთან, ჩვეულებრივ, ის არის, რაც აგაცახცახებს, თუმცა დაფიქრდები და მაინც კარგად მოგეჩვენება. ისედაც ყველაფერი ლამაზია. ბოლო დროს ამ წიგნს ძილის წინ ვკითხულობ. წაიკითხავ, იფიქრებ და დაიძინებ. და გიჩნდება სურვილი ამ დიდი წინასწარმეტყველის მეუღლე, მეგობარი იყო... თითქოს ზღაპარში ხარ.

18... წლის ... აგვისტო

რეგინა ბოლო ხანებში თავისი წარმატებებით მახარებს. ფრანგული ენის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა. ზოგჯერ მეცინება, როდესაც რომელიმე სიტყვა არ ესმის, მაგრამ, საერთოდ, ჩინებულად მეცადინეობს. სულ ოცნებობს და ხანდახან ისე კარგად მღერის, მის მოსმენას არაფერი სჯობს. „იავნანა" ვასწავლე. ეს სიმღერა ძალიან უხდება მის მშვენიერ სახეს. მეტი ძალა რომ მქონდეს, მას გონიერ პიროვნებად ვაქცევდი. ძალიან გემრიელ ნამცხვრებს აცხობს. საღამოობით ორივე ამ საქმით ვართ დაკავებულნი. ნეტავ მალე ჩამოვიდეს ოსვალდი. როგორ მენატრება ჩემი კარგი ბიჭი...

18 ... წლის ... აგვისტო

დღეს ქალაქიდან მკითხავი მოვიდა, ჩემთან მოვიპატიჟე. მკითხაობდა სანთლებზე, რომელთა სინათლე იდუმალ ჩრდილებს აჩენდა... მკითხავმა მითხრა, რომ ახლობელი ადამიანისკენ მიმავალი გრძელი გზა მელის. ალბათ ოსვალდი ჩამოვა. შემ-

დეგ თქვა, რომ ჩემს სახლზე შავი ყორანი დაიჩხავლებს, მაგრამ მას კატა გააგდებს. კარგად ვერ გავერკვიე. შემდეგ ზღვიდან ახლობელი ადამიანი მესტუმრება და მკერდზე მიმიკრავს. მითხრა, რომ ელენე მქვია და ცხოვრებაში დიდი უსიამოვნება შემემთხვა. ვიღაც გარდაიცვალა. მაგრამ მე ძალიან არ განვიცდიდი ამას. რომ ეს ადამიანი ჩემი ნათესავი არ იყო და მისი სული მთლად კარგად ვერ მოგზაურობდა, მაგრამ ახლა იქ ძალიან კარგად არის. ერთი სიტყვით, ამ მკითხაობიდან უსიამოვნო განცდა გამომყვა.

რეგინას უთხრა, რომ იგი დიდ, თეთრ იალქნიან გემს ელის და რომ ეს გემი ზურგის ქარით მოძრაობს. შემდეგ თქვა, რომ რეგინა მომხიბვლელი ქალიშვილია და მას ღირსეული მეუღლე შეხვდება, რომ იგი კარგი ოჯახის შვილია და ძალიან კარგი, ლამაზი დედა ჰყავს. გადაწყვიტა, რომ რეგინა ჩემი შვილია.

18... წლის ... აგვისტო

დღეს რეგინამ სასიამოვნო ახალი ამბავი მამცნო. ჩვენმა ბებერმა თხმელამ 3 პატარა ყლორტი გამოიღო. იგი ოდნავ გაიშალა და ზევით მზისკენ მიისწრაფვის. ჩვენთან მზე ასე იშვიათია. სულ წვრილად ცრის. ნაზი ყლორტი კი მაინც იშლება. რა მშვენიერია!

ოსვალდის დღიური

18... წლის ...

მთელი საღამო კიტისა და ჰენრიხის მშვენიერ, მყუდრო, ოცნებებით აღსავსე, ზღაპრულ სახლში გავატარე. ბუხარი ენთო, მისი ცეცხლი სასიამოვნოდ ანათებდა მთელ ოთახს და არაჩვეულებრივ სითბოს გამოსცემდა. მართალია, ავეჯი მოჩუქურთმებული არ არის, მასთან შეხებისას ხავერდის სირბილეს და სითბოს არ გრძნობ, იგი ჩემთვის მაინც, რატომღაც ძალიან ძვირფასი და შეუცვლელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდით ჩვენ – ერთი მიზნით – ფერწერის სიყვარულით გაერთიანებული ადამიანები.

ჰენრიხმა თავისი ძველი გიტარა მოიტანა და რაღაც შორეულ, უცნობ სიმღერას მღეროდა. მან, რატომღაც, შემახსენა, რომ უცხო ქვეყანაში ვარ, რომ ამ მშვენიერ ადამიანთა შორის დროებით ნავსაყუდელს მივაგენი. მეგონა, რომ აქ შემთხვევით მოვხვდი. წამით თითქოს გამელვიძა და გაჭირვებით მივხვდი, სად ვარ. მაგრამ ეს მხოლოდ წამით. შემდეგ კი ჩემთვის ძვირფასი ადამიანები ჩემი ახლობლები გახდნენ.

კიტიმ მთხოვა, მომავალ გეგმებზე მომეთხრო და როდესაც ჩემი „ტიტა-

ნი" ვახსენე, აღფრთოვანებისგან ცრემლიც კი მოადგა. აი, რა გულწრფელად და სუფთად განიცდის ხელოვანი!

ახლა „ტიტანი" – ჩემი მისწრაფებაა. ეს მნიშვნელოვანი ნამუშევარი უნდა იყოს. თუ, რასაკვირველია, ძალა მეყოფა... მე ხომ ბევრი დიდ მომავალსა და სახელს მინინასწარმეტყველებს. იქნებ გავამართლო ყოველივე ეს. აქ მთავარი მუშაობაა. დიკმა თქვა: „მუშაობის უნარი – გენიალურობაა!" ამას ცხარე კამათი მოჰყვა გენიალობაზე. ზოგი ამბობდა, რომ გენიოსებად იბადებიან! მე, ცხადია, ამას არ ვეთანხმები. გენიოსს შრომა ქმნის. ამიტომაც ასე მინდა ვიმუშაო, შევქმნა, სიტყვა „არ შემიძლიაზე" გავიმარჯვო. უნდა შევძლო და შემიძლია კიდეც!

18... წლის ....

დღეს შეურაცხადი ვიყავი. ხელები მიკანკალებდა, თავი მიხურდა. ბევრი მინდა ვიმუშავო, ძალიან ბევრი. მსურს შევქმნა, გავაოგნო, შთავაგონო. „ტიტანის" თემა მოსვენებას არ მაძლევს. მეჩვენება, რომ ეს მძლავრი ფიგურა ჩემს არსებაში უკვე მომწიფდა, თავად მიაბიჯებს მოლბერტისაკენ, რომ დიდ ტილოზე განსხეულდეს. ჩემი პატარა ესკიზიდან მისი რისხვა ისმის. ესკიზურ მონახაზებში თავს ვიწროდ, შეზღუდულად გრძნობს... დაძაბულობისგან კუნთები ასკდება, მისი ფიგურა დრეკად ზამბარას ჰგავს... აზრები მოსვენებას არ მაძლევენ. ამის გამო თავი ისე მიხურს, როგორც ხანგრძლივი ქეიფის შემდეგ.

18... წლის ...

სულ მუშაობა მინდა და მგონია, რომ ხელოვნების დიდებული ნაწარმოები უნდა შევქმნა, მაგრამ... რაღაც მიშლის ხელს... ვერც ვხვდები, რა... თითქოს ბავშვობაში... დილით... ადგომა მინდა... რაღაც სიზარმაცის მაგვარი... გინდა წამოდგე, მაგრამ კუნთსაც ვერ ამოძრავებ. თითქოს გაშეშებული ხარ. მუშაობა მინდა... მაგრამ იქნებ ეს მხოლოდ ოცნებაა, ნებისყოფა კი არ მყოფნის.

18... წლის ....

ახლა „ტიტანზე" მუშაობა უნდა დავიწყო, მანამდე კი მინდა ჩავწერო სიზმარი, რომელიც წუხელ ვნახე. ვითომ მწვანით მოსილ, მშვენიერ ბაღში ვსეირნობდი. ხედი არაჩვეულებრივად ფერწერული იყო. გზაზე მივაბიჯებ, ტანთ თითქოს რაღაც ტოგა მაცვია... და უცებ ფეხქვეშ ნიადაგს ვკარგავ, ჭაში თავქვე მივფრინავ, თუმცა მისი კედლები გამჭვირვალე მინისაა, ან ყინულის. არა, ეს უბრალოდ ყინულია კედლებზე. ეს კი ჩრდილოეთის ფიორდია და იქიდან უფსკრულ-

ში ვეშვები... შემდეგ, კლდოვან მწვერვალზე ჩემი „ტიტანი“ დავინახე, იგი მთელი თავისი გიგანტური სიდიადით აღიმართა და გრძელი, მაგარი თოკი გადმომიგდო, მაშინვე ჩავჭიდე ხელი და ზემოთ ასვლა დავიწყე... უცბად, ვხედავ, რომ ეს ტიტანი“ კი არა, ვიღაც გოგონაა, ცისფერ ტანსაცმელში, თავს მბრწყინავი ალმასი უმშვენებს... მეძახდა, მეხმარებოდა, თოკის ბოლო ეჭირა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო მხიბლავდა მისი ლამაზი სახე და ტანი... ქვემოთ კი უფსკრული მძვინვარებდა... უკვე ვნანობდი, რომ სანდო, ძლიერი „ტიტანის“ ნაცვლად, ჩემი სიცოცხლე ამ მშვენიერი, მაგრამ სუსტი არსების ხელში აღმოჩნდა. და როდესაც ამ ქალღმერთის ფეხებს მივუახლოვდი, მან საშინელი ღიმილით შემომხედა და თოკს ხელი გაუშვა... ფიორდის ძირიდან შემზარავი სიცილი მოისმა და მაშინ, როდესაც ფსკერისკენ მივექანებოდი, ვხედავდი, როგორ იცინოდა „ტიტანი“ ყინულოვანი, ციცაბო კლდის თავზე... რაღაც საშინელი და გაუგებარი რამ ხდება... მაგრამ მაინც უნდა ვიმუშავო. მივდივარ!

18... ნლის...

დღეს ადრე ავდექი. ტილო სახატავად მოვამზადე. შუა დღისათვის პირველი კონტურები მოვნიშნე. სურათი სრულყოფილი უნდა იყოს იმიტომ, რომ გრძნობათა ნამლეკავმა ზღვამ, რომელიც ჩემში ბობოქრობს, სწორედ ამ ნახატში უნდა ჰპოვოს გამოსავალი.

იქ ნათელი მომავალია. მღელვარებისგან საფეთქლებში სისხლი მაწვება. ასეთ ღელვას არაფერი სჯობს – შემოქმედებით თრთოლვას.

18... ნლის...

მთელი დღეა თავი მტკივა. თითქოს გამდნარი ტყვია ტვინის ერთი ნახევარსფეროდან მეორეში გადაედინება. ვერც ვიძინებ. სამ დღეში ერთხელ მეძინა, ისიც ძლივს, ნარკოტიკის დახმარებით... რა სიზმარი ვნახე, არ მახსოვს... არც არის საინტერესო. მიმძიმს.

18... ნლის...

დივანზე ვწევარ, „ნორვეგიის მოამბეს“ ვკითხულობ. ამ ნომერში იბსენის ლექსი „ჰაადაა“ დაბეჭდილი. მან გული მომილბო. დიდი ხანია ასეთი სენტიმენტალური აზრები არ მომსვლია თავში... თავი მტკივა, მტეხავს. ალბათ მალე გამივლის!...

18... ნლის....

დღეს გაზეთში აღინიშნა ჩემი მომავალი ნახატის შესახებ. ვერ გამიგია, ვინ შეატყობინა ეს პრესას. ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მეორე მხრივ...

18... წლის...

კიტის ველოდები. ექიმთან უნდა წამიყვანოს. ამბობს, რომ მკურნალობა ჩემთვის აუცილებელია, მაგრამ ჩემი მკურნალობა – მუშაობაა. თანაც, მარტო თავი მაწუხებს... იგი ახლაც მტკივა... და კიდევ გადაღლა... თითქოს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ ვიღლები... სახლში უნდა დავბრუნდე, ჩრდილოეთში, ფიორდებთან და კლდეებთან. იქ უნდა შევქმნა „ტიტანი"... თავს მსუბუქად უნდა ვგრძნობდე, მე კი...

18... წლის ...

ჩუმად, ჩუმად, არაფრის მოსმენა არ მსურს. რა საჭიროა ეს ჩურჩული, თვალებით ლაპარაკი... თვითონ მინდა გავიგო ყოველივე ეს, მაგრამ აზრს ვერ ვიკრებ. დიდი და ძალიან მძიმე... მაგრამ ჩუმად, რაც შეიძლება ჩუმად... მან დამივინყა... ავადმყოფობა!!! ღმერთო, რატომ მიწყობ ასეთ საშინელ გამოცდას, რატომ მაწვეთებ თავზე უძლურების ამ გამდნარ მასას, რატომ ანგრევ კიბეს, რომლითაც ასე ჯიქურ მივისწრაფოდი ზევით? რა დაგიშავეს ჩემმა მშობლებმა, რომლებიც ასე სასტიკად დასაჯე? სიგიჟე, სიბნელე!...

ჩუმად, ჩუმად, ეს არავინ უნდა გაიგოს. იქნებ ყველაფერმა შეუმჩნევლად ჩაიაროს. იქნებ კვლავ დამიბრუნდეს სინათლე, იქნებ გვამად არ ვიქცე.

ღმერთო, რა არის ეს? საიდან? რისთვის?

18... წლის ...

ჩრდილოეთს მივემგზავრები. იქ მსურს ვიპოვო სიმშვიდე, შესაძლოა – ხსნაც. იქნებ იქ ყველაფერმა გამიაროს.

18... წლის...

სახლში მივემგზავრები. იქ მოვიპოვებ სიმშვიდეს. შიში არ შემიპყრობს... იქ შევძლებ ვიმუშაო და შევქმნა. ჩრდილოეთის ჰავა გააძლიერებს ჩემ გონებას... თითქოს სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებ... ტვინი, ტვინი. იქ ეს უსაშველო შიში არ შემიპყრობს. შიში! საშინელია არა სიკვდილი თავისთავად, არამედ მისი გამოჩენა. სად ვიპოვო ხსნა... ხსნა... სად?

18... წლის....

გავტეხე ძვიფრასი სუნამოს ფლაკონი, რომელიც ქალბატონმა მაჩუქა. მისმა სურნელებამ მთელი ოთახი მოიცვა. პარიზში ყველა ხმარობს სუნამოს. მენანება არაჩვეულებრივი ფლაკონი. რატომღაც მგონია, რომ ოსვალდი აუცილებლად მაჩუქებს ასეთ სუნამოს, იგი იმას არასოდეს გპირდება, რასაც ვერ შეასრულებს.

ამბობენ, რომ პარიზში იშვიათად წვიმს, ღრუბელიც იშვიათია. იქ მუსიკა უკრავს, ბრწყინვალე ნიღბოსანი ქალბატონები ცეკვავენ...

ზოგჯერ მგონია, რომ ველარ ვიცხოვრებ ამ როზენვალდში, ჩემს არსებაში უკვე რაღაც ახალ, მჩქეფარ, მწველ, ვნებიან ცხოვრებას შევიგრძნობ.

18... წლის...

როგორ მრცხვენია ხოლმე მამაჩემის გამო. იგი ისეთი უხეში და უზრდელია. მინდა, რომ მალე წავიდეს და თავისი არსებობით ხელს არ მიშლიდეს. ძალიან მინდა, რომელიმე დიდი, ცნობილი ადამიანის შვილი ვიყო. სასახლეში ვცხოვრობდე, ლაქიები და ეკიპაჟი მემსახურებოდნენ, მაღალი საზოგადოების წევრი ვიყო! რომ ჩემ ქმარს კარგი მანერები ჰქონდეს, საზოგადოებაში მოქცევა იცოდეს, ცეკვა; მაქმანის, აბრეშუმის, ხავერდის და სუნამოს ფაბრიკები ჰქონდეს.

ჩემთვის არავის უთქვამს, რომ უხეში ენგსტრანის შვილი ვარ. სულ არ მეცოდება იგი, თვითონაც არ თვლის თავს უბედურად.

18... წლის ...

დღეს ქალბატონმა მითხრა, რომ მიიღო ოსვალდის წერილი, მალე ჩამოსვლას ჰპირდება. მართალია, ქალბატონი ვერ მიხვდა, რატომ აკეთებს იგი ამას, მაგრამ მე ვიცი, რა ხდება.

დიდხანს წერა არ შემიძლია, ბევრი საქმე მაქვს. ახლა დროის დაკარგვა არ შეიძლება. უნდა მოვემზადო.

მანდერსის ჩანაწერი

ადამიანმა თავისი არსებიდან მთელი სისუსტე უნდა განდევნოს. თავისი ვნებები და სურვილები დათრგუნოს. ყველაზე საშინელი მასში – უნებისყოფობაა. თუ ადამიანს ნებისყოფა არ აქვს და არ შეუძლია ცხოვრების გამოცდებს ღირსეულად გაუძლოს, იგი ახლოსაა უფსკრულთან – ცოდვასთან.

ნებისყოფა ადამიანის მიერ საკუთარ თავში გამომუშავებული თვისებაა. მითხრეს, რომ სადღაც ჩრდილოეთით ცხოვრობს პასტორი, რომელმაც საკუთარი ნებისყოფა აღზარდა.

მან ცოლი და შვილი დაკარგა, მაგრამ ამის შემდეგ საკუთარი სული გამოსცადა. არც ერთხელ დაუჩივლია. გამარჯვებულის ფარული სიხარულით იღებდა ბედის ყველა მძიმე დარტყმას.

ამიტომაც, საზოგადოების თვალში იგი დიდებულ პიროვნებადაა მიჩნეული. მისმა ხმამ ზეცას მიაღწია, რადგანაც საკუთარ ადამიანურ სისუსტეს სულით სძლია – ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მთელი მრევლი ქედს უხრიდა მას.

ენგსტრანის დღიური

18... წლის ...

არასოდეს არაფერი დამინერია. ახლა კი მაიძულებენ. ამიტომაც არ გამომდის. ერთი სიტყვით, ჩემი საქმეები კარგად მიდის... ეს კი მთავარია. ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელოა.

ოსვალდი

ორ წელზე მეტია სახლში არ ვყოფილვარ. მაინც უყვარს დედა (ფრუ ალვინგი). როდესაც ოსვალდი ჩიბუხით ხელში ამ ოთახში შემოვიდა – თითქოს მამამისმა შემოაბიჯა. ოსვალდი მე მგავს (ფრუ ალვინგი). აქ გაურკვეველი დროით ვრჩები, ბატონო პასტორო. და მაინც, უღირსი დამოკიდებულება სახეზეა (მანდერსი)

მანდერსი

„თქვენ ყოველთვის ასეთი მოწესრსიგებული ხართ“ (ფრუ ალვინგი).
ყველა ეს კომისია და სხდომა, რომელშიც ვმონაწილეობ... თქვენი მრჩეველი ვიყავი.
ეს ჩემი უდიდესი გამარჯვება იყო, საკუთარ თავზე გამარჯვება.

ენგსტრანი

„ნურავინ იტყვის იაკობ ენგსტრანზე, რომ იგი ცდუნებას აჰყვა!"

„რად გინდა კვლავ პასტორ მანდერსის ნახვა?" (რეგინა).

„თქვენი მამა ძლიერი პიროვნება არ არის. იგი მორალურ მხარდაჭერას საჭიროებს" (მანდერსი).

„ასანთთან სიფრთხილეს არ იჩენს. თავი უამრავი ცდუნებით აქვს სავსე".

რეგინა

„კამერჰერის მეუღლესთან ისე გავიზარდე, როგორც თითქმის ოჯახის წევრი".

„აქ ყველაფერი გასწავლეს" (ენგესტრანი).

„დედა შენზე ლამაზი არ იყოს".

„აქ ძალიან მოწყენილი ვარ, მარტო".

„აი, კარგ ოჯახში რომ მოვხვდე..."

„მე წამოვიყვანე რეგინა ჩემთან და იგი აქ დარჩება".

„რეგინა ადრე დაქალდა".

მე ჩემს შესახებ და სხვები ჩემზე

ფრუ ალვინგი

„ყველაფერს ვაზღვევ – შენობებს, ქონებას, პურსა და ცოცხალ ინვენტარს".

„დაგავიწყდათ, რა უბედური ვიყავი ქორწინების პირველ დღეებში"... „თქვენ აღშფოთდით და ჯვარი მოიგლიჯეთ". „თქვენი მხრივ უგუნურება იყო თავშესაფრის ჩემთან ძებნა". „მუდამ თვითნებობის საბედისწერო სულისკვეთებით იყავით შეპყრობილი". „ვერანაირ ბორკილს ვერ ეგუებოდით". „ნუთუ მთელი თქვენი ერთობლივი ცხოვრება შენილბული უფსკრული იყო?"

„ყველაფერს ჩემი ბიჭის გულისთვის ვითმენდი..."

„საკუთარი სახლი და ოჯახური კერა მიატოვეთ, ქმარს გამოექეცით!"

„ეს აჯანყებული სულის მოთხოვნაა, ბედნიერება აქ, დედამიწაზე მოიპოვოთ!"

„თქვენ აღშფოთდით და ეს ჯვარი ჩამოიგლიჯეთ. ღმერთი დამეხმარა მოვალეობის გზაზე დამეყენებინეთ, ოჯახსა და კანონიერ ქმართან დამებრუნებინეთ". „დედის მოვალეობა უგულებელჰყავით". „ჭეშმარიტად ცოდვილი დედა ხართ". „კიდევ უფრო გააფთრებული ბრძოლის გამართვა მომიხდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა". „შემდეგ ძალაუფლება ხელში ავიღე... ოჯახის სრული ბატონ-პატრონი გავხდი". „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თავდაუზოგავად ვმუშაობდი!" „დიახ, მშიშარა ვიყავი!" „აქ ვდარაჯობ და ვებრძვი მოჩვენებებს – შინაგანსა და გარეგანს!"



1. ფარდები – კლდეები ხავერდისაგან. ლურჯი, რუხი ან მათი შენაერთი. ოღონდ, თითქოს ცივა. ფარდების განფენა ღრმა ხეობის ციცაბო კლდეების შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს.



Пространство окна. здесь появится солнце - диск.

2. სპექტაკლის ფარდა.

იგი თავისთავად ხელოვნების დიდი ნაწარმოები უნდა იყოს. მისი ერთადერთი მხატვარი ვრუბელია. ფარდამ უნდა აანერვიულოს მაყურებელი, უფრო სწორედ, ფერადი ლაქებისა და მკვეთრი ხაზების გადახლართვით ააფორიაქოს.



ვრუბელის ტონები უნდა იყოს, ჟოლოსფერით ოდნავ შერბილებული. (ცისფერი, იისფერი, ჭუჭყიანი ყვითელი, თეთრი, ცოტა ზეთისხილის ფერი).

ასეთი „გიჟური" ფარდა! საშინელიც კი! იგი ნელა იხსნება. მაყურებლის წინაშე სახლის ჰოლია.

მიხეილ ბულგაკოვი

სიღრმეში, ფანჯარასთან, ფრუ ალვინგი ზის. მის წინ სანთელი ციმციმებს. ესესაა ჩაქრება. ფრუ ალვინგი დღიურის ბოლო გვერდებს ფურცლავს.



1. იქნებ ყოველ მოქმედ პირთან ერთად, გალერეის დაბინდულ სარკეზე მისი აჩრდილი შემოვიყვანოთ – სახლში თითოეულ შემომსვლელთან ერთად ხომ თითო მოჩვენება შემოსრიალდებოდა.
   ორკესტრი კი მოჩვენებათა თემას იმეორებს. ამან შეიძლება დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინოს, რაც ატმოსფეროს დაამძიმებს, დათრგუნავს.

2. დეკორაცია ძალზე რთულია, მით უმეტეს, რომ მან ზედმიწევნით უნდა გამოხატოს სპექტაკლის მთელი მხატვრული სახე.
   ეს ბნელი უფსკრულის ღრმა ფსკერია. გარშემო გოლიათებივით აზიდულან ციცაბო კლდეები, რომლებიც მწვერვალებით მოჩვენებათა სილუეტებს მოგვაგონებენ. პერსპექტივაში მიმავალი ფანჯრების სიღრმეში ჩანს ცის პატარა ნაწილი, ისიც მაშინ, როდესაც ბურუსი განიბნევა. (ეს მაშინ, როდესაც ფრუ ალვინგი უცებ თითქოს თავის ცხოვრებისეულ ბრძოლაში „უახლოვდება“ მზეს, ამ საშინელი უფსკრულიდან გასასვლელს და პირიქით, როდესაც მისთვის უმძიმეს წუთებში, ბუნება თითქოს „მზაკვრობს მის წინაშე“, აღიზიანებს, უბედურების შეგრძნებას აიძულებს. განსაკუთრებით ბოლოს, ყველაზე საშინელ წუთებში, როდესაც ფრუ ალვინგი შვილთან ერთად ამ ორმოს ფსკერს ენარცხება – შორიდან დამცინავად ჩნდება მზის დისკო, თითქოს მისი სხივები ქალის, დედის, სკანდინავიური სუსხურის გასისხლიანებულ მკერდზე აირეკლება).
   ფიორდი, მასზე განლაგებული შენობებით, სადღაც მარჯვენა ლოჟასთან უნდა იყოს (სცენის მხრიდან), ამიტომაც ხანძარი (ეს არასაჭირო თეატრალური ეფექტი) მხოლოდ კედლებზე და, განსაკუთრებით, გალერეის მინებზე მოციმციმე სხივების ანარეკლში მჟღავნდება.
   კიბეებთან – მაღალი ხე (თითქოს სახლთან კონტრასტულად), უმწეოდ მზისკენ რომ მიისწრაფვის, აჩრდილთა და უზარმაზარ კლდეთა სიმძიმის ქვეშ რომ ხმება.

ხშირად ნვიმს. ესეც ეფექტი კი არ უნდა იყოს, არამედ ნაკვეთის სწორი განნყობილება.

I ვარიანტი– წყვდიადს, ბურუსს, სინათლის, ფერების გამუქების გზით უნდა მივაღნიოთ.

II ვარიანტი– გამოვაჩინოთ სახურავის სიბრტყე და სინათლით სველი ზედაპირი შევქმნათ (მაგრამ ალბათ ეს ძნელია!)

3. **ფრუ ალვინგი** – ნამდვილ ნორვეგიული სუსხურია. სტიქიასთან ბრძოლისას ეს კეთილშობილი ფრინველი სამჯერ იგლეჯს თავის ძვირფას ბუმბულს და საკუთარ ბუდეში აფენს, მაგრამ როდესაც ეს მკერდდასისხლიანებული არსება სამხრეთისკენ გაფრენას გადაწყვეტს ცხოვრების ხელახლა დასაწყებად, ბოროტი მტაცებლის შავი აჩრდილი მას თავს დააცხრება და გაგლეჯს! ასე ხდება ბუნებაში. სამყარო სიკვდილითაა სავსე. იგი პირქუში აჩრდილივით დაძრწის და აღგვის პირისგან მიწისა ყველას, ვისაც მისი კარნახით ცხოვრება არ სურს. სუსხური – ბუნების პატიოსანი, ძვირფასი ქმნილებაა. ვინ ასრულებს თავის მოვალეობას მასზე პირნათლად, ვინ წირავს თავს ისე, როგორც ეს ფრინველი – სუსხური? ის საკუთარ სხეულს იგლეჯს, რომ ბარტყი სითბოსა და სიმშვიდეში გამოზარდოს. მას ხელს უშლიან, ბუდეს ურბევენ, მაგრამ კეთილშობილი არსება (არა უშავს, რომ ვიმეორებ) კიდევ ერთხელ იგლეჯს მკერდს, თითქოს გვაჩვენებს, რომ მის ბუდეში ყველაფერი იმგვარადაა, როგორც უნდა იყოს. იმისათვის, რომ ასე მოიქცე, დიდი ნებისყოფა და იმის უზარმაზარი რწმენა უნდა გქონდეს, რომ შენი საქმე მართალი და აუცილებელია.

ასეა ფრუ ალვინგიც. პირდაპირი და ზუსტი ანალოგიაა. იგი თავისი ბუდის შესაქმნელად მოვიდა (უკუვაგდოთ სხვა დანარჩენი მიზეზი თუ პირობა), ამის საშუალება არ მისცეს, უპირველეს ყოვლისა, ქმარმა. ქალმა წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა, მაგრამ „მოვალეობამ" მოთმინება და თავისი სისხლიანი ბუმბულით ქმრის მიერ დანგრეული ბუდის დაფარვა უბრძანა. ასე რამდენჯერმე მოხდა. და სწორედ მაშინ, როდესაც იგი, თითქოს-და უკვე ბედნიერ, თავის თბილ სახლში ცხოვრების დაწყებას ცდილობს (რა ღრმა შინაარსია ამ სიტყვაში) მზისკენ, სინათლისკენ მიმავალ გზაზე მას რუხი აჩრდილი წამოეწია და განგმირა. და ის უკვე ვეღარ ადგა. აღარ ჰქონდა არც ძვირფასი ბუმბული, არც სისხლი და არც აზრი.

4. ხეობის თავზე საეკლესიო ზარის ხმა ისმის და-

მიხეილ თუალაძე

სანყისში, გემის მოსვლასთან ერთად, ხანძრის

დროს და ბოლოს, თითქოს ფრუ ალვინგის და ოსვალდის სულის მოსახსენიებლად.



5. როდესაც ოსვალდი სიცოცხლის, სინათლის განცდის სიხარულზე ლაპარაკობს, ორკესტრმა რექვიემი უნდა შეასრულოს. მან თავისებურად უნდა გააუფერულოს აგზნებული საუბრის არსი. ისმენენ აჩრდილები – მოჩვენებანი. ბურუსია.

6. **III მოქმედებაში,** როდესაც ოსვალდი კარს აჯახუნებს და გასაღებით კეტავს, ფრუ ალვინგი თავის თავს (მოჩვენებებს) ებრძვის. იგი შვილს უნდა მიეხმაროს. ასე უნდა მოიქცეს, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ **საყვარელი და ერთადერთი** ვაჟი ტანჯვა-ნამებისგან იხსნას, მაგრამ, ამავე დროს, დაუმალოს ოსვალდის მომავალი დაღუპვის ნამდვილი მიზეზი ადამიანებს, ბრბოს, რომელმაც ეს მოჩვენებები შექმნა.

ელენე ბრუნდება – მან საკუთარ თავს და „მოჩვენებებს" სძლია.

ა) მძიმე ატმოსფეროს მიმართ კონტრასტი უნდა შექმნას ორკესტრის მიერ შესრულებულმა, ბუნების მხიარულმა და ომახიანმა სიმღერამ. ან ბუნება გამარჯვების ჰიმნს უმღერის პატარა ქალს, რომელმაც საკუთარ თავს სძლია.

ბ) ამის შემდეგ უკანა ფარდაზე, ჰორიზონტის პირქუშ ტონებს უცებ ჟოლოსფერი ერევა, მათ უკან კი, ბურთის მსგავსად იკვეთება ჩრდილოეთის მზის მეწამული დისკო. ის კი არ გათბობს, არამედ – გაფორიაქებს.

7. სულ მთლად დასაწყისში – თითქოს თოვლზე არეკლილი მთვარის ცისფერი შუქი. მაყურებელს ნანგრევები „შესქცერიან". თითქოს ქარიშხალმა გადაუარა და მშვიდი ადგილი დაამსხვრია. მხოლოდ ფანჯრებისა და კარების ჭუჭრუტანებიღა ჩანს. შინაგანი ცხოვრება არ იგრძნობა. ყველაფერი ცივი და მონოტონურია.

8. **და საერთოდ, ცისფერი სინათლე უნდა ვცადოთ!!!**

იბსენის შემოქმედების შესახებ მოხსენების გეგმა:

1. მოკლე ბიოგრაფია.
2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო
   (სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა, ფინანსები).
3. ისტორიული მოვლენები ამ პერიოდამდე და მას შემდეგ.
4. მათში იბსენის მონაწილეობა, მისი ძირითადი პოლიტიკური საქმეები და მისი შეხედულებები პოლიტიკაზე.
5. **იბსენის მსოფლმხედველობა.**
   ა) ნიცშეს ფილოსოფია.
   ბ) ინდივიდუალობის იდეა.
   გ) იბსენის დამოკიდებულება გარდატეხის პროცესებთან ევროპაში და მის მიერ ამ მოვლენათა გაუგებრობის ახსნა.
   დ) პროტესტის იდეები იბსენთან.
   ე) იბსენის გმირები.

Мирзе Мусаханлы

ვ) ოჯახისა და ქალის საკითხი.
ზ) ამბოხი ამბოხისათვის.
თ) იბსენის სიმბოლოები.
ი) ნორვეგიის ლიტერატურა.

6. საზოგადოების დამოკიდებულება იბსენისადმი.
7. იბსენის ურთიერთობა მუსიკასთან და ამ პერიოდის მუსიკა კერძოდ, ნორვეგიული, მაგრამ – არა მარტო, რადგანაც მისი იდეები მთელ კაცობრიობას ეხება.
8. იბსენის ნაწარმოებების დადგმები.
9. მისი ნაწარმოებების თემატიკა (ზერელედ).
10. „ნორა".
11. „მოჩვენებანი".
9. ნანგრევების ფანჯრებსა და კარებში ალვინგების სახლის ბინადარი საშინელი აჩრდილები – მოჩვენებანი გაიელვებენ.

1945 წლის 15.XI. ტექსტზე მუშაობა. I მოქმედება.

I ნაკვეთი – ენგსტრანი, რეგინა.
სათაური – „შეუმდგარი გარიგება".

ამოცანები: **ენგსტრანი** – დავარწმუნო რეგინა, გამომყვეს.
რეგინა – გავაგებინო, რომ ახლა მისთვის არ მცალია.

II ნაკვეთი – პასტორი, რეგინა. სათაური „ფრთხილი პოლიტიკა".
ამოცანები: **რეგინა – მანდერსი ჩემს მოკავშირედ ვაქციო**
(მისი ცხოვრების მიზანს: „აქაურობას თავი დააღწიოს", მის ზეამოცანას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს. ოსვალდი მისთვის ამ მიზნის განხორციელების საშუალებაა).
მანდერსი – მინდა თავი შევიქციო ფრუ ალვინგთან შეხვედრის წინ.

III ნაკვეთი – ფრუ ალვინგი, მანდერსი.
სათაური: **„ყველაფერი წარსულშია"** – წარსულში მინდა ჩავიძირო.

მუსიკა. აუცილებელია ვიპოვოთ თემები:
1. ფრუ ალვინგი.
2. მოჩვენებანი.
3.



I მოქმედების V ნაკვეთი

მანდერსი თავს იკავებს. მას არ სურს გამოთქვას უკმაყოფილება წიგნებთან დაკავშირებით, მაგრამ საქმიანი საუბრის დაწყებამდე იგი მაინც ძალზე ფრთხილად ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს თავის „მორჩილზე". უფრო სწორად, სურს თავიდან აიცილოს უსიამოვნება. ფრუ ალვინგის გამო ღელავს. მას ჰგონია, რომ ისევე, როგორც ადრე, ქალი ჭეშმარიტების გზაზე უნდა დააყენოს... და ყველაზე მეტად – ძლიერი გრძნობისა და მის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების სურვილის გამო.

პასტორ მანდერსს სურს – გააგებინოს ფრუ ალვინგს, რომ მის საქციელს არ ეთანხმება.

ფრუ ალვინგს სურს – რაც შეიძლება მალე გადავიდეს მისთვის საინტერესო თემაზე.

ნაკვეთის სახელწოდება – „ჭკუის სწავლება". ორივე ფარდაგგადაფარებულ მაგიდას უზის.



I მოქმედების II ნაკვეთი

მას შემდეგ, რაც რეგინა მანდერსს სველ ტანსაცმელს გამოართმევს, პასტორი დიდ ფანჯარასთან მიდის, გაყინულ ხელებს ითბობს და სველ პეიზაჟს გასცქერის. მიდის დივანთან, მაგიდის მარცხნივ, რეპლიკაზე „აბა მითხარით რასა იქმთ? როგორა ხართ?"



I მოქმედების IV ნაკვეთი – ფრუ ალვინგი ზემოდან კიბით ჩამოდის. მანდერსი სწრაფად დგება სავარძლიდან, მაგრამ ადგილზე რჩება და მშვიდად ელოდება ელენეს. იგი ამ წუთას შინაგანმა წინააღმდეგობამ მოიცვა. აღშფოთებულია, რომ ამ კეთილშობილ სახლში ასეთ „დამღუპველ მწვალებლობას" – წიგნებს პოულობს. მაგრამ პასტორი ზრდილობის წესებს იცავს და ამ საკითხის განხილვას გადასდებს.



მისი ტონი მშრალი და მორიდებულია. თავს იკავებს, რომ წიგნებზე არაფერი იკითხოს.

მანდერსის ამოცანა – არ გამოვამჟღავნო ჩემი აღშფოთება.

ფრუ ალვინგის ამოცანა – მინდა დავფარო ოსვალდის ჩამოსვლით გამოწვეული სიხარული.

ნაკვეთის სახელწოდება – „შეხვედრა", „აღშფოთებული მორალი და გულნრფელი სიხარული".



მაგრამ აქ მაინც მჟღავნდება ელენეს ირონიული იუმორი, როდესაც იგი პასტორის ასკეტიზმს „კბილს გაჰკრავს".

I მოქმედების III ნაკვეთი

მანდერსმა რეგინა ელენესთან გაგზავნა. იგი ახლა უნდა შემოვიდეს, ოთახი თავისი მომხიბვლელი ღიმილით გაანათოს, პასტორსაც მისი სულის ყველაზე ნაზ კუნჭულში „უჩხვლიტოს". ის კი მედგრად უნდა იდგეს. ძალიან უჭირს,

მანდერსი დგება. საკუთარ ხელებს დაფიქრებული უყურებს. ფიქრებით წარსულს დაუბრუნდა.

მანდერსი



შემდეგ, თითქოს გამოფხიზლდაო, ოთახს ათვალიერებს. მაგიდასთან მიდის. ჯერ უხალისოდ გადაფურცლავს ჟურნალს. იგი უკვე მზადაა ფრუ ალვინგთან შესახვედრად ისე, როგორც საჭიროა. იგი კლავ სამართლიანი და ალალმართალი პასტორი მანდერსია – **მრევლის სულიერი მამა**... მაგრამ უცებ ნიგნები დაინახა ალბათ – ნიცშე, შოპენჰაუერი... **ადამიანის სულში პასტორმა გაიღვიძა...**

მანდერსის ამოცანა – მინდა წარსულში ჩავიძირო. ორკესტრში ვიოლონჩელო ფრუ ალვინგის მუსიკალურ თემას იმეორებს... იგი შეუმჩნევლად იწყება და ქრება...

ნაკვეთი N2

რეგინა –

1. ოსვალდზე მინიშნება
2. სურს მანდერსი ენგსტრანის წინადადებაზე დაიყოლიოს.
3. საუბრობს თავის ოცნებაზე იცხოვროს ქალაქში, წესიერ ოჯახში.

ამოცანა – მანდერსი ჩემ განზრახვათა მოკავშირედ გავიხადო.

II და III ნაკვეთის პირობები

პასტორი მანდერსი ფრუ ალვინგთან მიდის, ქალთან, რომელიც უყვარდა, შესაძლოა – ძალზე ძლიერ. მასთან ყოველი შეხვედრა პასტორისათვის საკუთარ თავთან თავისებური, მტანჯველი ჭიდილია. მას ამის გაკეთება ძალიან უჭირს, მხოლოდ მორალი აიძულებს მოთოკოს გრძნობები და უმაღლეს პრინციპებს დაემორჩილოს.

იგი ცდილობს, რაც შეიძლება იშვიათად ესტუმროს ფრუ ალვინგს, მაგრამ როდესაც ეს ხდება, მანდერსი დიდხანს ემზადება შეხვედრისათვის და თითქოს თავის თავში იკეტება. ელენეს სახლში იგი სხვა ადამიანი უნდა გახდეს. გზად მომავალი ღელავდა, ახლა ამ მღელვარების ჩაქრობას ცდილობს.

მანდერსი – მინდა შეხვედრის წინ დარდი გავიქარვო. აზრებს ებრძვის, მათგან გათავისუფლება სურს. ზოგჯერ ეჩვენება, რომ დრო უნდა გაწელოს, ეს შეხვედრა მისი გულის მისწრაფებაა. მას ელენეს ნახვა სურს.

ენგსტრანს სურს დაარწმუნოს რეგინა, მას გაპყვეს ქალაქში.

რეგინა – მივანიშნო, რომ ჩემი პერსპექტივა მაქვს.

ნაკვეთი კიდევ იმითაცაა საინტერესო, რომ მასში აღმავალი ხაზი მრუდია. ხან ზევით მიდის, ხან – ქვევით. ენგსტრანი თავისებურად, „მოხერხებულად" მოსინჯავს ნიადაგს თავისი მიზნის შესასრულებლად.

რეგინა ახლა მარტო ოსვალდზე ფიქრობს. რა ესაქმება მამასთან მაშინ, ოდესღაც მის წინ ასეთი პერსპექტივა იშლება. წინ პარიზია – ოსვალდი, იგი ხომ წინა ჩამოსვლისას შეპირდა, ნაგიყვანო. აი, ჩამოვიდა კიდეც... მის წასაყვანად. ახლა კიდევ ეს ენგსტრანი თავისი სულელური იდეით. რეგინას სურს თავი დააღწიოს ასეთ ნათესაობას.

რეგინა და ენგსტრანი – ორივე სარგებელს ეძებს. რეგინამ იცის, თუ ენგსტრანს მისი წაყვანა უნდა, ე. ი. ის მას სჭირდება. მხოლოდ მამობრივი სიყვარული არ ამოძრავებს. **ორი საქმოსნის მოლაპარაკებაა, მაგრამ ახლა უკვე რეგინა ცდილობს გააგებინოს მამას, რომ მისთვის აღარ სცალია.**

„შეუმდგარი გარიგება"





76077

I მოქმედების I ნაკვეთი – „დაუპატიჟებელი სტუმარი თათარზე უარესია“

ენგსტრანი და რეგინა: რეგინა ჩამოსულ ოსვალდზე ფიქრობს. სულ მალე ასრულდება მისი ოცნება – პარიზს გაემგზავროს. იგი სრულიად მზად არის თავისი რთული, ეშმაკური გეგმების განხორციელებისათვის, ახლა არავინ უნდა შეუშალოს ხელი, ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე არავინ გადაუდგეს. ვიღაც კარზე აკაკუნებს, ერთხელ, ორჯერ... ვინ აკაკუნებს ასე დაჟინებით, თან – ასე ადრიანად? რეგინა სასადილო ოთახიდან გამოდის და ჩქარი ნაბიჯით კარისკენ მიემართება, შემოდის ენგსტრანი. რატომ გამოჩნდა იგი რეგინასათვის ესოდენ სახიფათო და გადამწყვეტ მომენტში? სასწრაფოდ თავიდან უნდა მოვიშორო იგი, თავისი საუბრებითა და მამობრივი რჩევა-დარიგებებით.

რეგინას ამოცანა: „რაც შეიძლება სწრაფად გავაგდო ენგსტრანი“. იგი აქეთკენ სულ სხვა ხასიათზე მოემართებოდა. სულ ახლახანს ცოტა ფული იშოვა და ერთი კარგი საქმის მოკვარახჭინების იმედით მოვიდა თავის ქალიშვილთან, უფრო სწორედ, ადამიანთან, ვინც მას მოგებას მოუტანს, მაგრამ კარს არ უღებენ. რატომ? რა მოხდა? ხომ უნდა შეატყობინოს რეგინას თავისი გადაწყვეტილება? მაგრამ როგორ? ის ხომ...

ენგსტრანის ამოცანა: „მივანიშნო რეგინას ჩემი განზრახვის შესახებ“, თან წავიყვანო იგი ქალაქში.

II ნაკვეთი – „თავაზიანი საუბარი“

როგორ?! რეგინას ატყობინებენ, რომ მისი ქალაქში წაყვანა უნდათ.
ეს იმის ნაცვლად, რომ საკუთარი გეგმების განხორციელებაში დაეხმარონ?

რეგინას ამოცანა: „ყველანაირად გამოვამჟღავნო, რომ ყოველთვის, ყველაფერში ენგსტრანია დამნაშავე“.

ენგსტრანის ამოცანა: „მინდა ფრთხილად მოვიმადლიერო რეგინა“ ორივე ამოცანა აქტივობის მომატებას უწყობს ხელს. ორივეს ერთმანეთისგან საკუთარი ამოცანების შესრულება უნდა. **რეგინას სურს მამა გააპანღუროს, ენგესტრანს კი – რეგინა დაიყოლიოს.** ესაა ძირითადი, რაც ამ ნაკვეთებშია საჭირო. მელიისა და მგლის ფრთხილი ტაქტიკა.

მიხეილ ბულგაკოვი

III ნაკვეთი – „ნათელი მომავალი“.

მართალია, რეგინა მამის საქციელზე იღრინება, მაგრამ მაინც აინტერესებს, რა აქვს ჩაფიქრებული. შეიძლება თუ არა აქედან რაიმეს გამორჩეს.

რეგინა: „მოვიფიქრო, შემიძლია თუ არა აქედან რაიმეს გამოვრჩე“.

ენგსტრანი: „მივახვედრო რეგინა, რომ ბედნიერება მსურს მისთვისაც და ჩემთვისაც“. რეგინას გონება სწრაფად და პროდუქტიულად მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ დროს მამას ესაუბრება, რა ქნას?... პარიზი... არა, დაე, ენგსტრანს ნურაფრის იმედი ექნება. ეშმაკსაც წაუღია მისი დუქნის იდეა. რა სიბინძურეა! უხამსობა! იგი თავს ვერ იკავებს... საუბრის გაგრძელებას აზრი არა აქვს...

IV ნაკვეთი – „სამოთხიდან განდევნა“.

გონება მუშაობას აგრძელებს... ახლა ხმაურმა შეიძლება ოსვალდი გააღვიძოს, რას იფიქრებს იგი ამის შემხედვარე? აი, პასტორი მანდერსიც მოდის... უნდა ვიმოქმედო...

რეგინა: „ენგსტრანი ქუჩაში, სახლის გარეთ უნდა ვნახო“.

ენგსტრანი: „გამოვამჟღავნო, რომ რაღაც მეც მესმის“. დაინახავს რა მომავალ პასტორს, რეგინა მასთან შესახვედრად ემზადება იმისათვის, რომ მანდერსი მისთვის წინააღმდეგობად არ იქცეს... ამიტომ მისი ღირსეული დახვედრაა საჭირო... იგი სარკის წინ თავს იწესრიგებს. რემარკის თანახმად – ყვავილებს უვლის.

V ნაკვეთი – „სასიამოვნო საუბარი“

უდავოა, რომ პასტორი ააქტიურებს იმ სამ ნაკვეთს, რომლებიც გავაერთიანე. წვიმიან ამინდში მგზავრობამ დაღალა. თან ელენესთან შეხვედრაზე ფიქრობს, ღელავს. ოდესღაც, ახალგაზრდობაში ძალიან უყვარდა იგი... თუმცა ახლაც... მაგრამ მას საკუთარი მტკიცე ნებისყოფის იმედი აქვს. არასოდეს გადაუხვევს თავის და საზოგადოებრივი მორალის პრინციპებს. „ასე უნდა მოიქცე!“ – ეს სიტყვები მისთვის კანონია. ამიტომაც ასე უჭირს ამ სახლში შემოსვლა. თავს არიდებს მას, როგორც საყვარელი, მაგრამ თვალყური უნდა ადევნოს, როგორც პასტორმა. ამ ოჯახში ყოველი ჩამოსვლა მისთვის მძიმე და მტკივნეული გამოცდაა. ამ შეხვედრისთვის საკუთარი თავი უნდა მოამზადოს. მგზავრობის დროს ამაზე ფიქრმა დაღალა. უნდა დაისვენოს.

მანდერსი: „დარდი გავიქარვო“.

რეგინა – „პასტორი მანდერსი მოკავშირედ გავიხადო. მისი სიმპატია დავიმსახურო“. რეგინამ იცის, ვისი მხარე დაიჭიროს. იგი სხვებზე ჭკვიანია, მიზანი მოსვენებას არ აძლევს. მანდერსი დამთრგუნველი აზრებისგან გათავისუფლებას ცდილობს. ზოგჯერ ეჩვენება, რომ ელენესთან შეხვედრის მომენტი უნდა გაწელოს, მაგრამ გული სხვას კარნახობს. რეგინასთან უმიზნო საუბარს ვეღარ იტანს და ფრუ ალვინგის დასაძახებლად აგზავნის.

VI ნაკვეთი – „ყველაფერი წარსულშია“.

მანდერსი: „მინდა სასიამოვნო წარსული გავიხსენო“. დგება, ჩუმად დააბიჯებს ოთახში, დაბნეული ელენეს პორტრეტთან ჩერდება, დიდხანს უყურებს... ორკესტრში ფრუ ალვინგის მუსიკალური თემა აჟღერდება, რომელსაც ვიოლონჩელო ასრულებს... პასტორი დიდ ფანჯარასთან მიდის... წვიმს... ყველაფერი ნამდვილი „წარსულშია“. მუსიკა ისევე შეუმჩნევლად ქრება, როგორც ჩნდება. მოულოდნელად, ზემოდან, კიბით, ფრუ ალვინგი ჩამოდის. დღეს კარგ ხასიათზეა... რამდენი სიხარული აქვს... ოსვალდი ჩამოვიდა... ბოლოს და ბოლოს, თავშესაფარიც იხსნება.

VII ნაკვეთი – „უხერხული შეხვედრა“

ელენეს უხარია პასტორის ნახვა. მასაც ხომ უყვარდა მანდერსი. შესაძლოა, ახლაც უყვარს. ის კი მორიდებით დგას, პასტორის უგრძნობელობის ჯავშნით შებოჭილი. ყოველივე ეს ცოტა სასაცილოდაც გამოიყურება... არც ერთმა არ იცის, რა გააკეთოს. ჯერ გონს ვერ მოსულან, განსაკუთრებით – მანდერსი.



მანდერსი: „მინდა გამოვიდე უხერხული მდგომარეობიდან“.

ფრუ ალვინგი: „დავეხმარო პასტორს უხერხული მდგომარეობის დაძლევაში“.

VIII ნაკვეთი – „ბედნიერი დედა“.

მანდერსი: „გავამართლო ფრუ ალვინგის აგზნებული მდგომარეობა“

ფრუ ალვინგი: „საუბარი უფრო ინტიმურ თემაზე გადავიტანო“. ელენე თითქოს „გაქვავებული“ პასტორის გამოცოცხლებას ცდილობს. ეხება რა უფრო ინტიმურ თემებს, იმედოვნებს, რომ საყვარელ ადამიანს შებოჭილობისგან გაათავისუფლებს... მას ხომ ჯერ კიდევ უყვარს პასტორი. მანდერსი კი თავს იტანჯავს, ფიქრობს, რომ მისი ეს დიადი თავშეკავება, ასევე დიად დამსახურებად ითვლება აქ, დედამიწაზე და საერთოდ, სამყაროში... პასტორ მანდერსის სამყაროში. ორივე ფეხზე დგას. ფრუ ალვინგი ოდნავ მიუახლოვდა, დასვა: „თუ შეიძლება დაბრძანდით, ძვირფასო მანდერს“. თვითონ მაგიდის მეორე მხარეს ჯდება – „პასტორი თავს უფრო მშვიდად იგრძნობს აკრძალული ნაყოფისგან მოშორებით“. ალბათ ასე ფიქრობს ელენე. მართლაც, მანდერსი მშვიდდება და საქმეზე იწყებს საუბარს.

IX ნაკვეთი – „მადლობა ღმერთს?“

პასტორი საქმიანი ტონით მოახსენებს მას საქმის მთელ მსვლელობას (წიგნებზე საუბარს ვიღებ). მიანიშნებს, რომ მან რაღაცის გაკეთება მაინც შეძლო და რომ ყველაფერს... მაგრამ ელენემ ხომ იცის, რისთვის ირჯება იგი ასე. თითოეულ ფურცელს ცალ-ცალკე აჩვენებს, რომ ფრუ ალვინგი ყველაფერს გაეცნოს... ყველაფერი გაიაზროს...

მანდერსი: „აჩვენებს ელენეს, რომ ყველაფერს გააზრებულად და ფრთხილად აკეთებს“. როდესაც საქმე თავშესაფარს ეხება, ფრუ ალვინგი იძაბება. მას ხან მოუთმენლობა ეუფლება, ხან სიხარული, ხან კი ქალწულებრივი ღელვა დიდი ხნის ნანატრი პაემანის წინ, ამ ნაკვეთში უდავოა ფრუ ალვინგის შინაგანი აქტივობა. მგონია, პასტორსაც კი მაინცდამაინც არ უსმენს... სულ ერთი არ არის, როგორ გაკეთდება ყველაფერი, მთავარია, რომ დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული, ბოლოს და ბოლოს ხორციელდება. იგი ამით ამაყობს... თავისას მიაღწია... თავში უამრავი ფიქრი უტრიალებს – კამერჰერი ალვინგი, მასთან გატარებული ცხოვრება, ბრძოლა, მისი სიკვდილი, ელენეს მცდელობანი და,



ახლა... წარსულს წერტილი დაესვა... ახალ ცხოვრებას იწყებს. აცახცახებული ხელებით იღებს თითქოს რაღაც სანუკვარს. დგება და ავანსცენისკენ მიდის... მართალია, ეს ასე არ არის, მაგრამ ვითომ პასტორს სურს მაყურებელს თავისი ბედნიერება გაუზიაროს. აქ ელენე თავისას ამბობს, „მადლობა ღმერთს?"

ფრუ ალვინგი: „კარგად გავაცნობიერო, რომ მადლობა ღმერთს, ვეღირსე დიდი ხნის ნანატრს". ჩაფიქრებული უკან ბრუნდება, ამასობაში პასტორი მომდევნო ქაღალდს ანვდის. ფრუ ალვინგი ამაყად, ზემოდან უყურებს მას რომაელი ტრიუმფატორივით... პასტორის ახსნა-განმარტებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

X ნაკვეთი – „წინდახედულობა და სიფრთხილე"

ამ ნაკვეთში ფრუ ალვინგის თემა ფერმკრთალდება მოჩვენებათა მოტივის წინაშე, რომელიც პასტორის წინდახედულ ჩურჩულში ისმის. როგორც ჩანს, მანდერსი ამაზე ძალიან დიდხანს ფიქრობდა, იტანჯებოდა. თავშესაფრის დაზღვევის საკითხმა, ერთ დროს, ჩიხში მოაქცია პასტორი. დაზღვიოს საყვარელი ადამიანის ქონება თუ უგულებელყოს საზოგადოებრივი აზრი. დააზღვიოს თუ არა... და პასტორმა გადაწყვიტა, არ დააზღვიოს... „რას იტყვის აქაური ხალხი..." მას საზოგადოებრივი აზრისა ძალიან ეშინია... და სურს დაარწმუნოს ფრუ ალვინგი თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

მანდერსი: ფრთხილად ცდილობს დაითანხმოს ფრუ ალვინგი დაზღვევაზე. ახერხებს კიდეც ამას; პასტორს მინდობილი ფრუ ალვინგს ხომ ამ საქმის „მალე დასრულება სურს". ახლაც სწორედ ეს ღუპავს ისევე, როგორც მაშინ, როდესაც ოჯახი დატოვა... პასტორმა დაბრუნა მოჩვენებებით დასახლებულ ჭეშმარიტების გზაზე. ფრუ ალვინგმა ახლაც დაუთმო პასტორს. მუსიკაში პირველად შემოდის მოჩვენებათა თემა. მაგრამ მცირე ხნით.

XI ნაკვეთი – „ბავშვებივით იყავით!"

ენგსტრანი! ისიც ხომ მანდერსის მრევლის ერთ-ერთი სულია და გზა-საცდენილ სულთა ამ მასწავლებელს, პასტორს **„სურს ფრთხილად მიანიშნოს ფრუ ალვინგს, რომ ენგსტრანს უნდა რეგინა თავისთან ჰყავდეს,** სხვანაირად როგორ შეიძლება? მანდერსის აზრით, ენგსტრანს ამის ყველანაირი უფლება აქვს, პირველ რიგში, იგი რეგინას მამაა, უყვარს ქალიშვილი, ბევრი სისუსტე აქვს, რომელთაგანაც მხოლოდ შვილმა შეიძლება დაიცვას... რა გულწრფელი და ალალმართალია ეს ხეიბარი ენგსტრანი!... გავიხსენოთ რეგინას რეპლიკა პირველი ნაკვეთიდან: „ამჯერად რით შეგიძლია დაუჭირო მხარი პასტორ მანდერსს?" და ნათელი გახდება, რამდენად არაპრაქტიკული და გულუბრყვილოა პასტორი. რა იოლად აცუცურაკებს მას ენგსტრანი! სამაგიეროდ ფრუ ალვანგი ჩინებულად იცნობს ადამიანებს, განსაკუთრებით კი ენგსტრანს.



ფრუ ალვინგი: „გავაგებინო მანდერსს, რომ ენგსტრანს მაინცდამაინც არ ვენდობი". საუბრის დროს ყვავილებთან მიდის და რაღაცას ასწორებს. სანამ...

XII ნაკვეთი – „ვღელავთ!"

ყველაფერი ეს მანამდე გრძელდება, ვიდრე პასტორი რეგინას სახელს წარმოთქვამს. აი, თურმე რა ხდება?! ახლა უკვე ეს ლოთი, მანდერსის საშუალებით ფრუ ალვინგზე ზემოქმედებას ცდილობს? არა, ელენეს არ სურს ამ მაწანწალას სურვილების შესრულება.

ფრუ ალვინგი: „ბოლო მოვუღო პასტორის შუამავლობას". იგი მკვეთრად მობრუნდება პასტორისკენ.

მანდერსი: დავარწმუნო ფრუ ალვინგი, რომ რეგინა ენგსტრანთან უნდა იყოს.

XIII ნაკვეთი – „უძღები შვილი".

ფრუ ალვინგი ყვავილებს მოშორდა, ისევ მაგიდასთან მივიდა, ინანა, რომ თავი ვერ შეიკავა და უფრო მშვიდად შეეცადა დაემთავრებინა საუბარი ამ თემაზე, მაგრამ ამ დროს... ზემოთ ხმაურით მოჯახუნდა კარი... ორკესტრში თითქოს ქარი ამოვარდა და მაშინვე ჩაცხრა (მუსიკა). კიბეზე მსუბუქად ჩამოდის ოსვალდი. იგი ლამაზი ახალგაზრდა კაცია. ავადმყო-

ფობის არც ერთი ნიშანი. შეიძლება ითქვას, თამამადაც მოაბიჯებს. სხვა მის ადგილზე პასტორის თანდასწრებით მეტ მორიდებას გამოიჩენდა. ამიტომ, ფრუ ალვინგი ამ სითამამის ჩაქრობას ცდილობს.

ფრუ ალვინგი: „დავეხმარო ოსვალდს, უკეთ წარმოაჩინოს თავი", მაგრამ თავად ოსვალდი ამაში არ ეხმარება. იგი მოწყენილია, თავს კომფორტულად არ გრძნობს. მართალია, სახლში კარგია, მაგრამ მაინც ეს რაღაც...

ოსვალდი: „დროის მოკვლა სურს", ასეთი გაწელილის და მოსაწყენის, სულ რაღაც აზრებს რომ აღუძრავს, მან კი არაფერზე არ უნდა იფიქროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ოსვალდის ჩამოსვლას კიბეზე. იგი მარშის რიტმში მოაბიჯებს... მხნედ, მსუბუქად. ორკესტრიც მარშს უკრავს, მაგრამ ისეთ მძიმესა და გაწელილს, რომ ყოველი ნოტის ხანგრძლივობა ოსვალდის ოთხ ნაბიჯს უტოლდება. მას ვიოლონჩელო, კონტრაბასი და ფაგოტი უნდა ასრულებდნენ... ასეთი უჩვეულო ტრიო. პასტორი გაოგნებულია. იგი სწრაფად წამოდგა. უკან დაიხია. რაღაც ვერ არის კარგად. თვალში რაღაც ჩაუვარდა და ვერ იღებს. რა ხდება? ვინ არის ეს?

მანდერსი: „გავიგო, ეს ოსვალდია თუ კამერჰერი ალვინგი?" საოცარი მსგავსებაა. ფრუ ალვინგი ცოტა ღელავს, მაგრამ ეს თითქმის არ ჩანს. მას არ სურს, რომ ოსვალდმა პასტორზე არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოს. ოსვალდი ფრუ ალვინგს უნდა ჰგავდეს.

XIV ნაკვეთი – „ოსვალდი სრულიადაც არ არის ასეთი!"

ოსვალდი ფანჯარასთან ჩიბუხს ტენის. ეწევა. XIII ნაკვეთში პასტორის ბოლო რეპლიკაზე ფრუ ალვინგი ოსვალდს უახლოვდება. სიყვარულით უმზერს, ეფერება. პასტორი ფანჯრის მეორე მხარეს დგას.

მანდერსი: „მინდა აღვნიშნო ოსვალდის გასაოცარი მსგავსება კამერჰერთან" ფრუ ალვინგს არ სიამოვნებს ამის გაგონება. ამის წარმოდგენაც კი არ სურს. მისი შვილი მას უნდა ჰგავდეს.

ფრუ ალვინგი: „გადავარწმუნო პასტორი მანდერსი". პასტორმა შესაძლოა იცის, რა მტკივნეულია ფრუ ალვინგისთვის მისი მოსაზრება. ცხადია, იცის, მაგრამ მას უყვარს ფრუ ალვინგი და ამიტომ, თითქოს გაუაზრებლად, ჩხვლეტს... იგი ყოველგვარი „ხორციელის მოძულე" ბრანდის შთამომავალია... მაგრამ ოსვალდი?

ოსვალდი: „გავარკვიო, რატომ დაინტერესდნენ ასე ჩემი მსგავსებით მამასთან".

XV ნაკვეთი – „ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო!“

ფრუ ალვინგი აფორიაქებულია. მაგრამ ეს უბრალო აფორიაქება არ არის. მის გვერდით საყვარელი შვილია, მისი იმედი – სიცოცხლე. ადამიანია, რომელზეც ამდენ ოცნებასა და იმედს ამყარებდა. მისი ვაჟი – ოსვალდი. აი, ის დგას და ბავშვობის ამბებს ყვება, იმას, რის დამალვაც უნდოდა დედას, სურდა, რომ შვილს არ ცოდნოდა ეს, დავიწყებოდა... მაგრამ სწორედ ეს ახსოვს ყველაზე კარგად... მამა და მისი ხუმრობა... ელენესთვის უსიამოვნო გრძნობების აღმძღვრელი... პასტორი კი ეხმარება ოსვალდს.

ფრუ ალვენგი: „მინდა საუბრის თემა შევცვალო“ მაგრამ მას ეს არ გამოსდის, თითქოს საგანგებოდ...

ოსვალდი: „დავუმტკიცო, რომ შესანიშნავად მახსოვს ჩემი ბავშვობა“. ეს მას სიამოვნებას ჰგვრის, ამ კედლების პატრონად გრძნობს თავს.

მანდერსი: „მსურს ჩემთვის გავამართლო ოსვალდი“. განა მისი ბრალია, რომ საზღვარგარეთ გააგზავნეს? ეს ხომ მისი სურვილით არ მომხდარა. თვითონვე ამბობს: „რა კარგია სახლში დაბრუნება!“ ე. ი. პასტორი მანდერსი „ღრმა ფსიქოლოგია!“... ოსვალდი პასტორისკენ ზურგით მობრუნდება, როიალს თავს ახდის, იღებს ერთ აკორდს, მეორეს... პირქუში, სულის შემხუთველი მუსიკა...

XVI ნაკვეთი – „ვინ არის დამნაშავე?!“

ოსვალდს უკვე მოწყინდა პასტორთან საუბარი. მანდერსის სამყაროს მორალი გაუგებარია მისთვის... კიდევ ერთ-ორ აკორდს აიღებს... პასტორი ღრმააზროვნად მისჩერებია ოსვალდს, თითქოს...

მანდერსი: „არ მინდა დავეთანხმო აღზრდის ამგვარ წესს“. მიაჩნია, რომ თვით ფრუ ალვინგის ბრალია შვილის „უძღები“ ბედი, რომელმაც ბევრი სახიფათო რამ შეითვისა... უცებ, ჩაფიქრებული პასტორი, როიალის თავის დახურვის ძლიერმა ხმამ გამოაფხიზლა. ოსვალდმა მოურიდებლად დააბრახუნა. მან წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ როგორ? ოსვალდი ამ საშუალებას ეძებს.



ოსვალდი: „შევარჩიო ვითარება და აქედან ნავიდე“. მისი საქციელი ოდნავ აბნევს დედას.

ფრუ ალვინგი: „არ დავეთანხმო პასტორს აღზრდის მეთოდებში“. აქ ოსვალდი კვლავ არ იქცევა დედის სასარგებლოდ. პასტორმა ფრუ ალვინგს ყურადღებით შეხედა და წამოდგა. ოსვალდმა ცივად მოიხადა ბოდიში, მაგიდასთან მივიდა, სადაც მისი პალტო იდო და მშვიდი ნაბიჯით კარისკენ წავიდა. პასტორი გაქვავდა... ხმას არ იღებს... გრძელი პაუზა... უხერხულობა... მანდერსი ბოლთას სცემს. ფრუ ალვინგი ჩუმად მიდის დივანთან და თითქოს ღრმად ჩაიმალება მასში. ასეთ ვითარებაში იწყება XVII ნაკვეთი და I მოქმედების სხვა გადამწყვეტი ნაკვეთები.

XVII ნაკვეთი – „სულიერი მამა“.

უდავოა, რომ მთელი ნაკვეთი ძირითადად აგებულია პასტორ მანდერსის ქადაგებაზე, თუმცა ფრუ ალვინგი უფრო აქტიურია. იგი ღრმად ჩამჯდარა რბილ, თბილ სავარძელში. საკუთარ თავს ძალას ატანს, რომ ბოლომდე მოუსმინოს პასტორს და არ აფეთქდეს.

ფრუ ალვინგი: „თავი შევიკავო და ბოლომდე მოვისმინო მანდერსის ქადაგება“. პასტორი კი მონანიე მონაზონის, ქადაგის, მისთვის საყვარელ როლს თამაშობს. იგი სრულიად ვერ ამჩნევს, რა ემართება ფრუ ალვინგს. რა უნდა მოუვიდეს? მოწიწებით უნდა მოუსმინოს თავის სულიერ მამას და პატივი სცეს მას. ახლა იგი მხოლოდ სულიერი მამაა. ჰგონია, რომ ღმერთის სახელით ლაპარაკობს და ყველაფერი მას ემორჩილება. ეჩვენება, რომ ეკლესიის დიდ, ნათელ შენობაში დგას, სადღაც ორღანი უკრავს. სინათლის ან რაიმე სხვა სცენური ეფექტის საშუალებით (უნდა მოვიფიქრო) უნდა შეიქმნას საეკლესიო ღვთისმსახურების, რიტუალის ატმოსფერო.



მანდერსი: „დავამტკიცო, რომ მომხდარში ფრუ ალვინგის მეამბოხე სულია დამნაშავე“.

XVIII ნაკვეთი – „მომისმინეთ, პასტორო მანდერს!“

ფრუ ალვინგმა ბოლომდე მოისმინა ქადაგება. „ახლა მეც მინდა გითხრათ, პასტორო მანდერს!“ ელენე ბნელი კუთხიდან გამოდის, მაგიდასთან დგება, პასტორის გვერდით, მაგრამ სახით მაყურებლისკენ. იგი გამოდის, როგორც ბრალმდებელი. მას, ბოლოს და ბოლოს, აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა. **ფრუ ალვინგს სურს მანდერსს თვალი აუხილოს.** იგი კუშტად იყურება წინ, **პასტორისკენ მიბრუნება არ სურს. მანდერსი კი ცდილობს შეარბილოს დაძაბული სიტუაცია.** იგი არ ელოდა, რომ ჩვეულებრივი ქადაგება მსმენელის ასეთ მედგარ წინააღმდეგობას, უფრო სწორად – დაეჭვებას გამოინვევდა. მას არ ეგონა, რომ მისი სიტყვები საყვარელი ქალის გრძნობათა ასეთ აფეთქებას გამოინვევდა. ქადაგების დროს ხომ პასტორი ფრუ ალვინგისადმი თავის დამოკიდებულებაზე არც ფიქრობდა. ახლა კი იგი მას სახელით მიმართავს: „ელენე...“ ამის უფლება უნდა გქონდეს. „რატომ ვანყენინე?“ ამბობდა მის არსებაში ჩაბუდებული ადამიანი. მეორე მხრივ, იგი ისევ პასტორი იყო. მაგრამ ფრუ ალვინგი მოუთხრობს მას სიმართლეს კამერჰერთან ერთობლივი ცხოვრების შესახებ და პასტორი მანდერსი ჩვეულებრივი ადამიანი ხდება, რომლის წინაშე იშლება საშინელი, მომაკვდინებელი სიმართლე.



XIX ნაკვეთი – „სასტიკი აღიარება“

ამ ნაკვეთში ფრუ ალვინგი პასტორს „ბეჭებზე დასცემს“. იგი მცირე ხნით ჯერ ფეხზე დგას, შემდეგ კი ძლიერი შინაგანი ორთაბრძოლა დაჯდომას აიძულებს. ფრუ ალვინგი თითქოს ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ახლა, რომც უნდოდეს, ვეღარ გაჩერდება. არც უნდა.

ფრუ ალვინგი: „მინდა ჩემი სისხლიანი სული გადავუშალო“. როდესაც ადამიანი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ინახავს უზარმაზარ საიდუმლოს, ეს სურვილი სულ უფრო და უფრო ძლიერდება: ფრუ ალვინგი თითქოს უცებ სიმართლისა და ტანჯვის ცრემლებით აქვითინდა... პასტორთან მიირბენს, ხელს ჰკიდებს და სწრაფად მიჰყავს სასადილოს კარისკენ. (სასადილოში სინათლე ანთია).

„აი, აქ მოხდა ეს“ – მიუთითებს კარზე... პასტორი თითქოს გაოგნდა. არ იცის, რა ქნას. უმწეოდ, მექანიკურად მისდევს ფრუ ალვინგს.



მანდერსი: **„ჩავწვდე მოსმენილი საშინელების არსს“.**

XX ნაკვეთი – „ტრაგიკული სიმართლე“

ფრუ ალვინგი სულ უფრო და უფრო აშიშვლებს სიმართლეს.

ფრუ ალვინგი: **„გავამართლო ჩემი საქციელი დაბნეული პასტორის წინაშე“.** საზარელი სიმართლე მის სულს აღვიძებს. „ნუთუ შემეძლო ასე სასტიკად და უსამართლოდ მეფიქრა ამ ტანჯულ ქალზე?“

მანდერსი: **„ფრუ ალვინგის სიმართლეში დავრწმუნდე“.** მის არსებაში ორი ადამიანი ებრძვის ერთმანეთს. პასტორი და საყვარელი. იგი ხომ მუდამ იმით ამაყობდა, რომ პასტორი თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა, ახლა კი... არ იცის, ვინ გაიმარჯვებს?! გაგონილმა შეაძრწუნა. ადგილიდან ვერ იძვრის.

XXI ნაკვეთი – „ხედავთ, ჩვენ უკვე ვიღიმებით“. „დაძაბული ღიმილი“

სცენის მიღმა, სუფრის გაშლის ხმა ისმის. როგორც ჩანს, სასადილო ოთახში სადილისთვის ემზადებიან... შემოდის ოსვალდი. ცხადია, ყველაფერი იცვლება. ან ხელოვნურად, ან ბუნებრივად. მხოლოდ პასტორ მანდერსს უჭირს დათრგუნული მდგომარეობიდან გამოსვლა. ოსვალდი აქეთ-იქით იყურება. მას სულაც არ უნდა პასტორთან საუბრის ხელახლა დაწყება. ფრუ ალვინგი თავს ძალას ატანს, შვილისკენ მიდის. ოსვალდმა ვერაფერი უნდა შენიშნოს.

ფრუ ალვინგი: **„თავი ისე მოვაჩვენო, რომ კვლავ მშვენიერ ხასიათზე ვარ“.** მაგრამ ამას მხოლოდ პასტორი ამჩნევს. ოსვალდი ასეთი ყურადღებიანი არ არის... იგი იმ ბაღიდან დაბრუნდა, რომელსაც მანდერსთან მღელვარე სცენის შემდეგ მიაშურა. ოსვალდი დიდხანს სეირნობდა იქ წვიმაში, თან ნისლიან ფიორდებს ჩასცქეროდა. ისევ თავის მთავარ თემაზე ფიქრობდა – შეძლებს თუ არა მუშაობას, ვინ იქნება ის ძლი-

ერი ადამიანი, მას რომ მორფს გაუკეთებს, თუ შეტევა გაუმეორდება? ფიქრობდა იმაზე, როგორ უნდა აჯობო „შიშს“, დაუბრუნდე საქმეს, **ცხოვრება თავიდან დაიწყო.** ამ აზრებით აღელვებული ბრუნდება იგი სახლში – „ვინ იქნება ის ადამიანი?“ გონებაში იმეორებს: „დედა?! შეძლებს კი?...“ პასტორმა და ფრუ ალვინგმა მაშინვე შეწყვიტეს საუბარი. ოსვალდი დედას უყურებს: „შეძლებს კი იგი?!“

ოსვალდი: **„რაღაცნაირად გავთავისუფლდე ჩემი მღელვარებისა და შინაგანი გაორებისაგან“.** აქ კი ისევ ეს პასტორი დამხვდა.

მანდერსი: **„მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, მაინც მოვიკრიბო გონება“.** მაგრამ იგი ძლიერ უშლის ნერვებს ოსვალდს... და უცებ, რეგინა... I მოქმედებაში ეს ერთადერთი ადგილია რეგინასთვის, სადაც იგი დარწმუნებული შეიძლება იყოს, რომ ასრულდება მისი სურვილი – გაემგზავროს პარიზში. სხვების თანდასწრებით, ოსვალდთან თავი ისე უჭირავს, როგორც კარგად აღზრდილ ქალიშვილს, თუმცა ცდილობს თავიც მოაწონოს და ცოტა გააღიზიანოს კიდეც.

რეგინა: **„ოსვალდის ყურადღება მივიქციო“.** ამისათვის მთელ თავის ქალიშვილურ მომხიბვლელობას იყენებს.

XXII ნაკვეთი – „გზა ხსნისა“

1. ოსვალდმა იპოვა რეგინა (მთავარი ვითარება).
2. ფრუ ალვინგი – ხვალინდელი ზეიმი.

რეგინას შემოსვლამ და მისმა საქციელმა ოსვლადის ყურადღება მიიქცია. „ჩემი ხსნა მასშია!“ ეს აზრი მსჭვალავს მის ცნობიერებას. „დიახ სწორედ რეგინა!... ოსვალდსა და რეგინას შორის თითქოს ელექტრულმა ნაპერწკალმა გაიელვა. მათ მრავალმნიშვნელოვანი მზერა სტყორცნეს ერთმანეთს. ოსვალდმა სწორ გზას მიაგნო.

ოსვალდი: **„ვისარგებლო ბედნიერი შემთხვევით და რეგინას გავყვე“.** ის, მხოლოდ ის!... რეგინა კი, მას შემდეგ, რაც ოსვალდის მზერა შენიშნა, ვნებამ მოიცვა.

რეგინა: „ოსვალდის სიმპატია დავიმსახურო“. რეგინა თავის მიზანს უახლოვდება. აგზნებისაგან თვალები უბრწყინავს და ლოყები შეუფაკლდება. მართლაც მომაჯადოებელი ხდება, მამაკაცის მოხიბვლა შეუძლია.

რეგინა: **„დავრწმუნდე იმაში, რომ დიდი ხნის ნანატრს, როგორც იქნა, ვუახლოვდები“.** დაახლოებით იგივე ამოცანაა, როგორც მანდერსის

შემოსვლისას, მაგრამ მას ვითარება ცვლის. ფრუ ალვინგი აგზნებულია. ეს აგზნება, შესაბამისად, მწუხარებად ან სიხარულად შეიძლება იქცეს. ამ შემთხვევაში, ელენე გახარებულია. იგი ხედავს ამ მდუმარე პასტორს...

მანდერსი: **„მოვიფიქრო, როგორ მოვიქცე მომავალში“.** ფრუ ალვინგი ცდილობს გამოაცოცხლოს პასტორი, ულიმის. ოპტიმისტურ მზერას მომავლისკენ მიმართავს. **„აქ მხოლოდ ჩემი ბიჭი დარჩება დედასთან ერთად“.** კედლიდან კამერჰერ ალვინგის სურათს ხსნის. სასადილო ოთახში სკამებს ალაგებენ. ისმის როიალზე შესრულებული მსუბუქი, მხიარული მელოდია. შემდეგ იგი, შეუმჩნევლად, ხმადაბლა ორკესტრის ხმოვანებაში გადადის. ფრუ ალვინგი მხიარული, ახალგაზრდულო, მხნე ნაბიჯით მიირბენს მანდერსთან და სასადილო ოთახის კარისკენ მსუბუქად, თითქოს ხტუნვა-ხტუნვით მიჰყავს... პასტორი ქალს ძლივს ეწევა... მაგრამ სასადილოდან სკამების ვარდნის, ჭურჭლის (შესაძლოა, გატეხილის) ხმა და რეგინას შეკივლება (ყრუ, მაგრამ გამარჯვებული) ისმის. და თეთრ პორტიერაზე იხატება ოსვალდის ჩრდილი, რომელიც რეგინას ეხუტება. ისმის რეგინას ჩურჩული: „ოსვალდ, გაგიუდი? ხელი გამიშვი!“ მუსიკა მაშინვე წყდება... რეგინას ხმა ცოტა ჭირვეულია, მაგრამ არა გაღიზიანებული... შემდეგ ჩრდილები ქრებიან.. ფრუ ალვინგი შეტორტმანდა, აკანკალდა და გაშეშდა... ეს ერთი, მთლიანი ნაკვეთია. აქვე მთავრდება I სარეჟისორო ნაკვეთი.

II სარეჟისორო ნაკვეთი

XXIII ნაკვეთი – „მოჩვენებანი“, „წყვილი კიბესთან“, „აჩრდილები“

ფრუ ალვინგის ჩუმი, ხმაჩახლეჩილი ჩურჩული. ასეთი ხმა მხოლოდ უზომოდ შეშინებულ ადამიანს აქვს. უბედური, ძალაგმოცლილი დედა.

ფრუ ალვინგი: **„ვიპოვო ძალა, რომ არ დავეცე“.** პასტორი მასზე არანაკლებაა შეძრული.

მანდერსი: **„შევეცადო გავარკვიო, რას ნიშნავს ყოველივე ეს“.** რამდენი მოულოდნელი შიში... ეჩვენება, რომ აღშფოთებისგან ცა ჩამოიქცა... ზიზღის, სიბილწის გრძნობამ შეიპყრო...

ორ სარეჟისორო ნაკვეთს შორის მიზანსცენათა მიახლოებითი საზღვარი.



როგორ უცებ მოდუნდა, დაიბნა, სულით დაეცა ენერგიით აღსავსე ეს ქალი... „მოჩვენებანი“... XX და XXIII ნაკვეთებში მთელ სიმნვავეს მოქმედ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი ქმნის.

მანდერსი ამგვარ შეძრწუნებას ჩვეული არ არის... ნყვილი გაქრა.

მუსიკა: სწრაფად გაძლიერებადი აკორდები. ერთი, ორი... კიდევ ერთი... ელვის სისწრაფით იხურება ფარდა. კვლავ აკორდი და, კიდევ ერთი, ხანგრძლივი, მკვნესარე.

პირველი მოქმედების დასასრული

II მოქმედება

III სარეჟისორო ნაკვეთი...

I ნაკვეთი: „განმარტოება!"

დასაწყისში რეგინა კიბეებზე ჩამორბის, რაღაცას ასწორებს, ალაგებს. პორტრეტს ადგილზე ჰკიდებს. ახალ მოვლენათა დასაწყისი გარეგნულად მშვიდად მიმდინარეობს. ახლახანს დამთავრდა სადილი. დღეს რეგინა სადილს არ ესწრებოდა, თუმცა, ჩვეულებრივ, ფრუ ალვინგთან ერთად სადილობს. სადილზე მძიმე, არაგულწრფელი განწყობილება სუფევდა. ცხადია, საჭმელზე არავინ ფიქრობდა, ოსვალდის გარდა. მას ალბათ, ძალიან უხაროდა, რომ გემრიელ სუფრასთან აღმოჩნდა. პასტორი მანდერსი ცდილობდა ისე მოქცეულიყო, თითქოს სრულიად არ არის აღელვებული... ფრუ ალვინგი ძლივს აკარებს პირს საჭმელს. ალბათ ოსვალდმა ბევრი დალია... ამიტომ, **ფარდის გახსნისას**, ჭიქის ბოთლზე მიჭახუნების ხმა ისე ისმის, რომ იგი მაყურებელმა გაიგოს. სასადილო ოთახიდან გამოდის პასტორი, მას აღელვებული ფრუ ალვინგი მოყვება. როგორც ჩანს, თავის შეკავება უჭირს, თუმცა ეს გარეგნულად თითქმის არ ჩანს. ჩაფიქრებული, ძლიერ დათრგუნული პასტორი კიბესთან ჩერდება. მისი, ერთი შეხედვით, მშვიდი იერი სრულიად არ შეესატყვისება შინაგან აგზნებას. გრძნობს, რომ ფრუ ალვინგიც რაღაცას ძალიან განიცდის, რაღაცით უზომოდაა შეურაცხყოფილი.

ფრუ ალვინგი: „მარტო დავრჩე პასტორთან", რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ვიპოვო. მას ჩივილი მობეზრდა, მხოლოდ ბრძოლაზე ფიქრობს. გამოცდილება კარნახობს, რომ ბედნიერების მიღწევა მხოლოდ შეუპოვრობით და ნებისყოფით შეიძლება. მას ერთადერთი მეგობრის, მრჩევლის, მართალია, ცუდი მრჩევლის, მაგრამ მხოლოდ მისი იმედი აქვს, სხვას ვერავის დაელაპარაკება.

მანდერსი: „რაც შეიძლება მალე დაველაპარაკო ფრუ ალვინგს". ფრუ ალვინგი კითხულობს, რას აპირებს ოსვალდი, რეგინას საუთაო ოთახში აგზავნის, ერთი სიტყვით, პასტორთან მარტო რჩება. მანდერსი აუჩქარებლად მიდის ფანჯარასთან, რომლიდანაც მოჩანს, რომ გარეთ ბურუსია და ბინდდება (სინათლე), რა მოსაწყენი და ცივი ატმოსფეროა. კარგი იქნება, თუ სცენიდან დარბაზისკენ სიციცე წამოვა, ან ვენტილატორებით ან, უბრალოდ, ღია ფანჯრებიდან.

II ნაკვეთი – „ორი შეხედულება“

ისინი მარტო დარჩნენ, „ყოფილი შეყვარებული გულები“. ნერვიული, აგზნებული საუბარი იწყება იმიტომ, რომ ფრუ ალვინგი ადგილს ვერ პოულობს. ორივე გამოსავალს ეძებს. **ქვეტექსტი ასეთია: „რა ვქნათ?“** ფრუ ალვინგი გადაწყვეტილების მიღებას იწყებს, მაგრამ პასტორი ეჭვის ქვეშ აყენებს ყოველ ახალ აზრს... რეგინა სახლს უნდა მოვაშოროთ, სადმე გავაგზავნოთ. მაგრამ სად? მინდერსის აზრით, რეგინა მხოლოდ მამამისთან უნდა იყოს, თუმცა ენგსტრანი ხომ რეგინას მამა არ არის... ასეა ეს? პასტორი სიმართლის გაგებას ცდილობს.



ასეთი ფარისევლობა! რისთვის, ნუთუ რაღაც 300 ტალერისათვის? ფრუ ალვანგი პასტორს ეწინააღმდეგება. მიაჩნია, რომ ენგსტრანის ცოდვა ეს არ არის. ელენეს ქორწინებაც ხომ ამის მსგავსი მოვლენა იყო...

პასტორი სულ უფრო და უფრო ღელავს. რა მორალია! რა აზრები! „თქვენ ხომ გულისთქმას მიჰყვებოდით!“ – წარმოთქვა მანდერსმა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო... გაჩუმდა. პაუზა. შემდეგ ფრუ ალვინგი დინჯად აუხსნის, საითკენ მიუწევდა გული... იგი დიდ პორტიერასთან დგას, თითქოს უნდა გაეხვიოს მასში. თითქოს ჩაფიქრდა... შემდეგ, გამოფხიზლდა... ოდნავ მკვეთრად... ლაპარაკობს, მაგრამ სხვა რამეზე ფიქრობს. აი, მან გაიგო მანდერსის რეპლიკა: **„კანონიერი წესრიგი!“** ეს სიტყვები ცნობიერებაში ჩაეჭედა. იგი კვლავ ნელა ბრუნდება პასტორისკენ და ასევე დინჯად წარმოთქვამს ყველაფერ დანარჩენს. **ორკესტრი მოჩვენებათა თემას ასრულებს. ბინდი ჩამოწვა.** სინათლე, უმთავრესად, ოთახის სიღრმეს ეცემა. პასტორი თავისი კუთხიდან გამოდის და, ფრუ ალვინგის საუბრისას, პირქუშ მოჩვენებასავით, ლანდივით მძიმედ სცემს ბოლთას. სულ ფიქრობს.

მანდერსი: „დავიცვა ფრუ ალვინგი შეცდომებისგან“. ის ხომ არა მარტო სულიერი მამა, არამედ... ახლობელი ადამიანიცაა. თუმცა, ღიად ამის აღიარება არ შეუძლია. ზოგჯერ ჩერდება და უყურებს ელენეს. ფრუ ალვინგი კი მას თავის შეხედულებებს მოახსენებს.

ფრუ ალვინგი: „ვიპოვო სწორი გამოსავალი“ ფანჯარასთან დგას. იქიდან შემოსული სინათლე ანათებს მას. ის ხომ სიმართლეს ამბობს. ვის ეუბნება? პასტორ მანდერსს? განა ის თავის აზრს შეიცვლის? არა და არა! ფრუ ალვინგი საკუთარ თავს ელაპარაკება, ამას ხშირად აკეთებს...

III ნაკვეთი – „ძველი პურ-მარილი გავიწყდება“

პასტორი გაოგნებულია. ფრუ ალვინგის ნათქვამმა სულის სიღრმემდე შეძრა. ეს მისი უზარმაზარი მარცხია. მთელი სიცოცხლე, საკუთარ თავში ადამიანურს ებრძოდა, თრგუნავდა, წლების მანძილზე ახრჩობდა თავის გრძნობებს. ეგონა, რომ ძლიერი მებრძოლი იყო, საკუთარ თავთან ბროლის რინგზე გამარჯვებული. ეს ხომ ყველაზე რთული ბრძოლაა... პასტორ მანდერსის სამყაროში. რაში მდგომარეობს, არსებითად, მანდერსის გამარჯვება? იმაში, რაშიც „ბრანდის გამარჯვება“. ეს ერთი მოჩვენების ორი ლანდია. მანდერსი საკუთარ სულს ებრძვის. უყვარდა, მაგრამ აიძულებდა თავს, არ ჰყვარებოდა. საყვარელი არსება მასთან მივიდა, მან კი უკან დააბრუნა. საკუთარი გრძნობა პასტორის გრძნობაში ჩამარხა... ამიტომ ხეობაში საეკლესიო ზარების ნელი, მაგრამ ხანგრძლივი რეკვის ხმა გაისმის... იქ, ქვემოთ. ეს დაღუპული ადამიანური „მე“-ს პანაშვიდია. (რელიგიური ადამიანები საღამოობით ეკლესიაში დადიოდნენ)... **დონ!.. დონ!.. დონ!..** ყველა ახალ რეპლიკაზე ზარის ახალი დარტყმა.

და ახლა ფრუ ალვინგი პასტორს სწორედ ამ გამარჯვებას საყვედურობს. რა მტკივნეული, მტანჯველი და საშინელია ყოველივე ეს პასტორისათვის.

მანდერსი: „თავი ვიმართლო“. მაგრამ როგორ შეიძლება გაიმართლო თავი საკუთარი თავის, ფრუ ალვინგის, საკუთარი სინდისის წინაშე. მას სურს ჩურჩულით გადაარწმუნოს ფრუ ალვინგი.

ფრუ ალვინგი: „გავაგებინო, რომ სწორედ მისმა პრინციპებმა დამღუპა“. ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ურთიერთობა გაარკვიეს და ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

IV ნაკვეთი – „რელიგიური სული“

ენგსტრანი შემოვიდა, ცხადია, რაღაცისთვის მოვიდა. მაგრამ მაშინვე არ გაუმჟღავნა მოსვლის მიზეზი. ასეთი უბრალო კაცი არ არის. აქ რაღაც მიდგომაა საჭირო. მისდა ბედად, პასტორმა სწორედ ახლა დადო პირობა, კარგად შეჯოროს ენგსტრანი ფარისევლობისათვის. მან იაკობის მისალმება და თხოვნა მოისმინა.

პასტორი: „რაც შეიძლება ოსტატურად დაუსვას ენგსტრანს შეკითხვა მისი ურთიერთობების შესახებ“. სურს ეშმაკობით აჯობოს გაქექილ დურგალს. ფრუ ალვინგი მშვიდად აკვირდება ენგსტრანს.

ფრუ ალვინგი: „გავიგო, რისთვის მოვიდა ენგსტრანი“. მას იაკობის მოსვლის ნამდვილი მიზეზი აინტერესებს. ის ხომ ტყუილად არ მოვიდოდა... უანგაროდ... მას ამოძრავებს არა მოვალეობის გრძნობა ან პატივისცემა, არამედ – ანგარება. იგი რაღაც მიზნით მოვიდა, მაგრამ მანამდე...

ენგსტრანი: „მინდა გავამართლო ჩემი მოსვლა“. სხვანაირად, ჩუმი მორჩილებისა და კეთილშობილების ნიღბის გარეშე იგი ისეთივე უმწეოა, როგორც პასტორი მანდერსი თავისი მორალით. ენგსტრანი მარცხენა კიბესთან დგას და ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს. არც არავინ ეპატიჟება. პასტორ მანდერსს ბრალმდებლის როლის შესრულება სურს. ოთახის შუაგულში გამოდის, პოზაში დგება და... იწყებს.

V ნაკვეთი – „აშკარა სათნოება“

ასე იწყება იაკობ ენგსტრანის დაკითხვა, მისი „სასტიკი, მრისხანე, დამსჯელი სასამართლო...“ ფრუ ალვინგი მაგიდასთან დგას. არაფერში ერევა.

ფრუ ალვინგი: „გავიგო, სადამდე შეიძლება მივიდეს ენგსტრანის თავხედობა“. მხოლოდ ერთხელ დაარღვია დუმილი. დაახველა. მისი სულიერი ტანჯვა რომ არა, გაიღიმებდა იმის შემხედვარე, რა თავხედია ერთი მოწინააღმდეგე და რა გულუბრყვილო – მეორე, უფრო სწორად – მოსამართლე და განსასჯელი. მკაცრი მოსამართლე პირქუში და სერიოზულია.

მანდერსი: „გავარკვიო, რამდენად დამნაშავეა ენგსტრანი“. ვერ გრძნობს, რომ სიცრუისა და ფარისევლობის ხილული ქსელი გარს აკრავს მის გულუბრყვილოდ ბავშვურ ცნობიერებას.

ენგსტრანი: **„ყველაფერი ნათელი ფერებით ნარმოვაჩინო“**. პასტორის მოტყუება შეუძლია. მაყურებლისათვის ეს ნაკვეთი დამცინავად გამომწვევი უნდა იყოს, ირონიული ღიმილის მომგვრელი.

VI ნაკვეთი – „ალალი გულუბრყვილობა“

პასტორი მანდერსი დარწმუნებულია „შრომისმოყვარე დურგლის“ სულის სინმინდეში. იგი კვლავ გამარჯვებულია. მდუმარე ფრუ ალვინგს უყურებს.

მანდერსი: **„გავაგებინო ელენეს, რამდენად ცდება იგი“**. პასტორი სავსებით დარწმუნებულია ამაში. და, აი, ენგსტრანის კეთილშობილების კიდევ ერთი დასტური: „მეზღვაურთა თავშესაფარი!“ ხუმრობა ხომ არ არის – უბრალო დურგალი ადამიანთა სულებზე ზრუნავს... ო, ეს უდაოდ დიდი ჯილდოა მრავალწლიანი ქადაგებისათვის. პასტორი კვლავ ფრუ ალვინგს უყურებს.

ფრუ ალვინგი: **„მინდა გავიგო, რამდენად გულუბრყვილო და არაპრაქტიკულია პასტორი“**. მასში რაღაც თბილი გრძნობა იღვიძებს ამ უმწეო, ჯიუტი ბავშვისადმი, რომელიც ასე ადვილად აღმოჩნდა „ცხოვრების მოხერხებული სტრატეგის“ კლანჭებში.

ენგსტრანი: **„ჩემი ახალი ნამონყება კეთილშობილების შუქით გავანათო“**. და იგი მიზანს აღწევს. ყველა ზეიმობს...

VII ნაკვეთი – „ღმერთო ჩემო... ასეთი სურვილები“

ენგსტრანი კოჭლობით, უხმაუროდ მიდის. ამ დროს, ოდნავ მომღიმარე ფრუ ალვინგი ჩუმად უახლოვდება კიბეს. წარსულმა გრძნობამ კვლავ გაიღვიძა. დურგლის წასვლის შემდეგ პასტორი გამარჯვებული იერით ბრუნდება ფრუ ალვინგისკენ... ელენე თბილი და ნათელი მზერით შესცქერის.

ფრუ ალვინგი: **„ამ დიდ ბავშვს მოვეფერო“**. პასტორი ელენეს უახლოვდება, ენგსტრანზე საუბრის გაგრძელება სურს.

მანდერსი: **„გავაგებინო, რომ ყველაფერში სიფრთხილეა საჭირო“**. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გრძნობებს ეხება... უმჯობესია თავიდანვე აღვკვეთოთ სულის ეს ცდუნება... პასტორი გამოეთხოვა და წავიდა.

VIII ნაკვეთი – „რა სიჩუმეა გარშემო!“

ფრუ ალვინგმა პასტორი გააცილა, თვალი გააყოლა (რემარკის მიხედვით), ცოტა მიალაგ-მოალაგა, სუფრა გაასწორა. სასადილო ოთახის კარისკენ მიმავალი ელენეს კაბა ჩუმად შარი-შურობს. უხმაუროდ გააღო კარი.



IV სარეჟისორო ნაკვეთი

IX ნაკვეთი – „დაუფარავი უხერხულობა“

ფრუ ალვინგი მოულოდნელობისგან შეკივლებს, მაგრამ უმალ იკავებს თავს. ოსვალდი სასადილო ოთახში სვამს. მაყურებელი მას ვერ ხედავს, მაგრამ ჭიქის ბოთლზე მიჭახუნების ხმა ესმის. ფრუ ალვინგი ოთახის შუაში გადმოდის. ცდილობს თავი შეიკავოს. მოემზადოს, რომ...

ფრუ ალვინგი: „ისე მოვიქცე, თითქოს ოსვალდი საქციელს ვერ ვამჩნევ“. სცენაზე ნელ-ნელა ბინდდება.

მუსიკა – ორკესტრში „მოჩვენებათა“ მუსიკალური თემა აჟღერდება. მომდევნო ნაკვეთებში იგი ტემპს იკრებს და უფრო მაღალ ტონებში ჟღერს, თანდათან აძლიერებს მაყურებელში რაღაც საშინელი მოვლენის მოლოდინის განწყობილებას. იგი შეუმჩნევლად აღმოცენდება და ასევე ქრება.



ფაგოტის, ჩელოსა და კონტრაბასის მსგავსი.

ოსვალდი მაინც უხერხულად გრძნობს თავს დედასთან. და მაინც...

ოსვალდი: „გავამართლო ჩემი შეფერხება სუფრასთან“. ზოგჯერ ალკოჰოლი და თამბაქო თავის ავადმყოფობას დროებით ავიწყებდა. ხან კი დაავადების სუსტი სიმპტომიც კი – თავის ტკივილი, პულსი – მოსალოდნელ საშინელებას ახსენებდა. არაერთი ასეთი მტან-

ჯველი ნუთი გადაუტანია. მართალია, ავადმყოფობა, საბოლოოდ, დაღუპავს, მაგრამ იქნებ ასე სწრაფად არა... ჩვეულებრივ, ასეთი ავადმყოფები ხშირად წარმოიდგენენ ხოლმე საკუთარ დაკრძალვას. ასეთივე მდგომარეობაშია ოსვალდიც. სწორედ ამაზე ფიქრობდა იგი სასადილო მაგიდასთან ჭიქითა და სიგარით ხელში... ამას გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს შხამიან მორფთან დაკავშირებული ვითარება. ე. ი. საქმე ძალიან შორს წავიდა. სასადილოში ასეთ მდგომარეობაში მყოფი ოსვალდი შემოდის.

X ნაკვეთი – „სევდა" – „მღელვარება"

ოსვალდი ოთახში ბოლთას სცემს. ხან როიალთან მიდის, ხან კიბესთან, ხან – დედასთან. სანთელს ანთებს, თავისთან ახლოს დგამს, როიალიდან ალბომს იღებს, დედის პორტრეტის ხატვას იწყებს. ელენე სიყვარულით შესცქერის შვილს. **ორივეს სანთლის შუქი ანათებს** – ოსვალდს სილუეტით, ფრუ ალვინგს კი მთლიანად. იგი რაღაცას განიცდის, წინათგრძნობა ანუხებს... რამდენიმე შტრიხი... ოსვალდი ხედავს, რომ ხატვა არ შეუძლია... გაბრაზებული ალბომს მაგიდაზე აგდებს. ძალიან აღელვებულია, ამიტომაც იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს...

ოსვალდი: „როგორმე გავუზიარო დედას ის, რაც სულზე მაწევს". მაგრამ როგორ? ხომ არ შემიძლია მივახალო: **„დედა, ვიღუპები!"** ეს ხომ მისთვისაც მტკივნეული იქნება და დედისთვისაც. გრძნობს რა შვილის მღელვარებას, ფრუ ალვინგიც იძაბება. „რა მოხდება, მან რომ რაიმე გაიგოს?.. არა, ეს არ

უნდა მოხდეს!" ფრუ ალვინგი ოსვალდის აღელვებას თავისებურად ხსნის – ხმაურიანი პარიზის შემდეგ, როზენვალდი, ბუნებრივია, სოროდ, საფლავად ეჩვენება... ახალგაზრდა კაცი მოწყენილია, უმძიმს... თვითონვე ამბობს, რომ ასეთ ნესტიან ამინდში მუშაობაც კი არ შეიძლება...

ფრუ ალვინგი: „ყველანაირად შევუწყო ხელი ოსვალდის სურვილებს“. იგი ეთანხმება შვილს და მის ყველა შეხედულებას.. უცებ ოსვალდი უცნაურ შეკითხვას უსვამს: „შვილი მისთვის ბედნიერებაა?“

XI ნაკვეთი – „განა შეიძლება დედას შვილი არ უყვარდეს?“

მუსიკა – ორკესტრში IX ნაკვეთის მუსიკალური თემა მეორდება. არა იმისთვის, რომ იგი სპეციალურდ მოისმინოს მაყურებელმა, არამედ მის გრძნობებზე ზემოქმედების მოსახდენად. ფრუ ალვინგი გაოგნებულია.

ოსვალდი: „გავიგო, რამდენად ძვირფასი ვარ დედისთვის“. ვერ გრძნობს, რომ ელენე მხოლოდ შვილით ცხოვრობს, რატომ გაუჩნდა ეს აზრი? იმიტომ ხომ არა, რომ დედამ იგი, მისივე კეთილდღეობის გამო მოაშორა ოჯახს? ნუთუ ყოველივე ამაოდ ჩაივლის?

ფრუ ალვინგი: „დავარწმუნო ოსვალდი მისდამი უზომო სიყვარულში“. გაიგოს, რომ იგი მთელი ჩემი ცხოვრების აზრია... ელენემ ჯერ არ შეიძლება იცოდეს, რატომ დაუსვა ოსვალდმა ეს შეკითხვა... შეძლებს კი დედა მისი საშინელი აღსარების მოსმენას? შეძლებს კი დაეხმაროს „შიშის“ დათრგუნვაში, როდესაც ეს საჭირო გახდება... „არა, მაინც აუცილებელია ვინმეს გული გადაუხსნა, სხვანაირად ჭკუიდან შეიშლები!...“

XII ნაკვეთი – „საშინელი სიმართლე“

სანთელი ანთია. ოსვალდი ნელა დადის, მართალია შინაგანი მდგომარეობა სირბილისკენ უბიძგებს, მაგრამ იგი ამას მთელი ძალით ეწინააღმდეგება, ფრუ ალვინგი დაჟინებით უყურებს მას. ოსვალდი უცებ გაჩერდა, ჯიქურ მივარდება ფანჯარას და დიდ პორტიერას გადმონევს. დედის წინ დგება. ამ წუთიდან ორკესტრში

მუსიკა – ულერს „განთიადი“ ე. გრიგის „პერ გიუნტიდან“, რომელიც ოსვალდის ტრაგიკული აღსარების კონტრასტულია. ეს მუსიკა, სიმსუბუქითა და გამჭვირვალობით ისე აღიქმება, თითქოს ბუნება ადამიანთა ტრაგედიას დასცინის... ნერვიულად და ბოროტად... ფრუ ალვინგს არ ესმის, რა ხდება.

ფრუ ალვინგი: „გავიგო, რა დაემართა ოსვალდს“. დედას არ სურს გაიგოს შვილის მინიშნებები ისე, როგორც საჭიროა. იგი სასტიკ ეჭვს უკუაგდებს... არა... არა... ოსვალდი? როგორ უჭირს მას!

ოსვალდი: „მთელი ძალა მოვიკრიბო იმისათვის, რომ დედას უფრო მშვიდად

ავუხსნა ჩემი სასონარკვეთის არსი“. ოსვალდი ფრუ ალვინგის გვერდით ზის. მთელი სხეულით კანკალებს. რა ძნელია ამ ცახცახის დაძლევა!

XIII ნაკვეთი – „მოჩვენებანი“

და, აი, ოსვალდი ამბობს იმ საშინელებას, რისიც მთელი სიცოცხლე ასე ეშინოდა ფრუ ალვინგს, რასაც ებრძოდა, მალავდა... ხომ არ ჰგავს მისი მდგომარეობა პასტორ მანდერსისას, როდესაც მისთვის ნათელი გახდა, რომ მისი ყველაზე დიდი გამარჯვება უდიდეს დამარცხებად იქცა, მაგრამ ოსვალდი ჯერ ვერ ხვდება საზარელ ჭეშმარიტებას, და ღმერთმა დაიფაროს, რომ მიხვდეს... მას ისეთი შთაბეჭდილება უნდა დარჩეს, რომ ყოველივე ეს ეჩვენება...

ფრუ ალვინგი: „თავი ისე მოვაჩვენო, რომ სრულიად არ მაღელვებს ოსვალდის მდგომარეობა“. რომ ეს უბრალოდ ნერვების ბრალია... მაგრამ ამ დროს ელენეს წინაშე აღმოცენდებიან ეს მოჩვენებანი, აჩრდილები. აი, მათი დამღუპველი საქმე, მათი ძალის ზემოქმედების შედეგი... არ იცის რა ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი, გაოფთრებული ოსვალდი ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებს.

ოსვალდი: „დავარწმუნო დედა, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია“. იგი თავის თავსაც აცოდებს და დედასაც ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ ამდენი უსიამოვნება მიაყენა. ხშირად სურს თავდავიწყებას მიეცეს. დედის წინაშე აღსარებამ მოსალოდნელი შვება არ მოჰგვარა. მან ხომ ყველაფერი არ მოუყვა... არა, თავდავიწყებას უნდა მიეცეს...

XIV ნაკვეთი – „ეს დაუსრულებელი წვიმა“

აუცილებელია დალიოს... სიბნელეა... უსასრულოდ წვიმს... მარადიული სიბნელე... მზე... როგორ უნდა ნახოს მზე... რაზე ვფიქრობ? არაფერზე. რაღაც მიმძიმებს სულს... არ გამომივიდა... „მეურვეობის გადავადება მოგვიწევს“ – ყრუდ წარმოთქვამს ოსვალდი.

ოსვალდი: „როგორ მინდა, ვერაფერს ვხედავდე და არაფერი მესმოდეს“. იქნებ ის მაინც ვნახო... რეგინა... და თითქოს მისი სურვილის პასუხად შემოდის რეგინა. „დიახ, მარტო რეგინას შეუძლია ჩემი გადარჩენა!“ – კვლავ გაუელვებს გონებაში ოსვალდს. რატომ გადაწყვიტა დედამ რეგინას მოხმობა... საცოდავ დედას კი...

ბიბლიოთეკა

ფრუ ალვინგი: „როგორმე დავამშვიდო ოსვალდი“. შვილს ღვინოს სთავაზობს, სინათლის ანთებას ბრძანებს – ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აღელვებული ოსვალდი დაამშვიდოს.

XV ნაკვეთი – „ფსიქოლოგიური დაზვერვა“

შემოდის ახალგაზრდა, ფიცხი, აღაჟღაჟებული რეგინა... თითქოს მაგნიტია ისეთი კაცისთვის, როგორიცაა ოსვალდი. სასიამოვნოდ შემოვიდა, მორჩილად, იგრძნობა მისი ძალა – ძალა ქალისა. „მეძახდით, ქალბატონო?“ – კითხულობს იგი ხმადაბლა, რომ ატმოსფერო არ დაარღვიოს.. ასეთ ქალიშვილებს უნდა ერიდო. შემოსვლის შემდეგ, ოსვალდს ახალი აზრი გაუჩნდა.

ოსვალდი: „მოვიფიქრო, საჭიროა თუ არა ვუთხრა დედას რეგინას შესახებ“. ფრთხილად სინჯავს ნიადაგს. „იქნებ არ არის საჭირო?“

ფრუ ალვინგი: „საინტერესოა, რა თემაზე დამელაპარაკება ოსვალდი?“ რას ფიქრობს იგი? იქნებ რაღაც კიდევ უფრო საშინელს? განა შეიძლება ამ სცენაში დედა-შვილის აგზნების ხარისხი განვსაზღვროთ? იგი მოქმედების მსვლელობისას აღმოცენდება. რეგინამ მაღალი, დიდაბაჟურიანი ვინრო ლამფა შემოიტანა. ოთახი მაშინვე განათდა, მაგრამ არა ძლიერად, რეგინამ სინათლე შემოიტანა. ეს სიმბოლოა ოსვალდისათვის. იგი დიდხანს, დაჟინებით უყურებს ლამფას. რეგინამ იგრძნო ოსვალდის მზერა და თავისი მეტისმეტი მორჩილებით, მისი ინტერესის გაძლიერება სურს. ოსვალდი ხომ მისთვის სანუკვარი ოცნების ასრულების საშუალებაა. რეგინას



შამპანური შემოაქვს. ოსვალდი ასხამს... რა დიდხანს ივსება ჭიქა ამ შესანიშნავი სითხით... ოსვალდი ამაოდ ცდილობს თავის მოთოკვას... რატომ ღელავს ასე? ნუთუ დედასთან საუბრის ეშინია? მაინც რა ემართება? შიშობს, რომ დედა სწორად ვერ გაუგებს? საქმე განა რეგინაა? რეგინაც ხომ, ბოლოს და ბოლოს, საშუალებაა...

XVI ნაკვეთი – „უხერხული საკითხი"

„როგორ მოგწონს რეგინა?" – უცებ ეკითხება ოსვალდი დედას... ფრუ ალვინგი არ დაბნეულა. გუმანით გრძნობდა, ელოდებოდა ამ შეკითხვას... მითუმეტეს მას შემდეგ, რაც სასადილო ოთახში მოხდა. მაგრამ იგი მაინც დაიძაბა.

ფრუ ალვინგი: „ავარიდო ოსვალდი შეცდომას". გარეგნულად თითქოს მშვიდადაა, თუმცა რად უჯდება ეს სიმშვიდე... ჩუმად... ჩუმად... მაგრამ მაინც წინააღმდეგობას უწევს ოსვალდის ჩანაფიქრს, თუმც ჯერ ზუსტად არ იცის, რაში მდგომარეობს იგი... ოსვალდმა, ცხადია, შენიშნა ეს წინააღმდეგობა, მაგრამ იგი...

ოსვალდი: „გავარკვიო, რატომ ააღელვა ასე დედა რეგინას ხსენებამ". სიმშვიდის შენარჩუნება უნდა, მაგრამ არ შეუძლია... დედის ამდენი ზრუნვა აღიზიანებს... არჩევის, ძებნის დრო არა აქვს, იგი ის წყალწაღებულია, ხავსს რომ ეჭიდება... ეს ხავსი რეგინაა. ოსვალდი წამოხტა.

XVII ნაკვეთი – „რეგინას საიდუმლო"

„დედა, რეგინაა ჩემი ხსნა! – ყვირის ოსვალდი... იგი თითქმის გაგიჟდა.

ოსვალდი: „დავარწმუნო დედა, რომ რეგინა ჩემი ხსნაა!" მას შეუძლია ყველაფრის თქმა, რომ დედისთვის გასაგები გახდეს ეს აუცილებლობა... „ნუ მეკითხები" – ამოიკვნესებს ოსვალდი. – „თვითონაც არ ვიცი"... ფრუ ალვინგი ზარს რეკავს... კვლავ ღვინოს ითხოვს... ამით სურს აალაპარაკოს თავისი ბიჭი, უნდა გაარკვიოს, რა აკავშირებს ოსვალდს რეგინასთან.

ფრუ ალვინგი: „გავარკვიო, რა ურთიერთობაა ოსვალდსა და რეგინას შორის". რეგინა რამდენჯერმე შემოვიდა ოთახში, როგორ უყურებდა მას დედა-შვილი... უფრო მეტად შვილი... დედა – მას ადევნებდა თვალყურს... და აი, რეგინას საიდუმლო გახსნილია... ყველაფერი ნათელი გახდა... ამ დროს მხნედ და ენერგიულად შემოდის რეგინა...

XVIII ნაკვეთი – „რექვიემი“ ან „მამის აჩრდილი“, „სიცოცხლის ჰიმნი“

მუსიკა: ორკესტრში ჩუმად ჟღერს რექვიემი, შესაძლოა – მარტო კონტრაბასი. რეპლიკა... რეგინა შეჩერდა, გაოცებული უყურებს ოსვალდს. იგი ქალიშვილს შამპანურს სთავაზობს. ფრუ ალვინგი ამაზეც მიდის... „**მოიტანე ჭიქა, რეგინა**“ – ამბობს იგი და თავს დატეხილ მთელ ტკივილს გულში იკლავს.

ფრუ ალვინგი: „**გავარკვიო, რატომ იქცევა ასე ოსვალდი**“. მას არ ესმის. რაღაცას გრძნობს, მაგრამ – რას? ზოგჯერ თითქოს რაღაცას ხვდება... სადაა ტრაგედიის საფუძველი? სად? ოსვალდი საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობს. არა ღიად, არამედ – მინიშნებით ცდილობს

გააგებინოს დედას, რომ რეგინას გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმოუდგენია და არც ამ სახლში შეუძლია ცხოვრება, სამგლოვიარო მუსიკის ფონზე იგი სიცოცხლეს, ბრძოლას, მუშაობას უმღერის ჰიმნს. პირველად გამოთქვამს თავის შეხედულებებს მაყურებლის წინაშე.

ოსვალდი: „**მივანიშნო, დავუმტკიცო დედას, რომ რეგინასთან ერთად აქედან უნდა წავიდე**“. ბოლოს და ბოლოს, რეგინას ოცნებას ახდენა უწერია. მართალია, ოდნავ დაძაბულ ვითარებაში, მაგრამ მაინც... მას ჯერ არ უნდა ფრუ ალვინგის მფარველობა დაკარგოს, ამიტომაც...

რეგინა: „**შევიტყო მომხდარისადმი ფრუ ალვინგის დამოკიდებულება**“. ელენე რაღაც უცნაურად იქცევა... სიტუაცია იძაბება...

მუსიკა: ორკესტრში IX ნაკვეთის თემა „ანდანტე“ ჟღერს... უცებ ფრუ ალვინგი გონს მოვიდა. „**მამა**“ – გაუელვა მას გონებაში... დიახ, ოსვალდის სურვილებსა და საუბარში სწორედ მამამისი გამოჩნდა. პროჟექტორის შუქმა კამერჰერ ალვინგის პორტრეტი გაანათა... კი მაგრამ, ელენემ ხომ ჩამოხსნა იგი, როგორ აღმოჩნდა ისევ კედელზე? ფრუ ალვინგს ურუანტელმა დაუარა... იგი კვლავ აქ არის!... იგი ყველაფერს მიხვდა.

XIX ნაკვეთი – „წარუმატებელი მცდელობა“

სინათლე – ფრუ ალვინგი ყველაფერს წყვეტს. „ახლა ყველაფერს მივხვდი“ – პორტრეტი ქრება (იგი მოჩვენებასავით უკნიდან ნათდებოდა). პაუზას მუსიკალური ფრაზა ავსებს. ეს უკვე „**Allegro moderato**“-ა.

ფრუ ალვინგი: „ყველაფერი გავამჟღავნო, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღო ამას“. ელენე ადგა. ოსვალდმა რეგინასკენ დაიხია.



ოსვალდი: „გავიგო, რა დაემართა დედას“. ასეთი ელენე მას არასდროს უნახავს – ძლიერი, მტკიცე.

რეგინა: „მოვიფიქრო, როგორ მოვიქცე“. ახლა აღსარების მოწმენი გავხდებით... ახლა, ამ წუთში... ამ დროს კარზე დააკაკუნეს...

XX ნაკვეთი – „pardon“.

მუსიკა – პასტორის შემოსვლისას იგივე მუსიკალური თემა, ოღონდ უკვე „allegro“. სულ მაღლა და მაღლა. ნერვიულად შემოვიდა მანდერსი. მისმა შემოსვლამ ვითარება შეცვალა. მას აქ რაღაც ძალიან უჩვეულო დახვდა... იგი ახლახანს ესაუბრა ენგსტრანს რეგინას შესახებ... და ახლა ქალიშვილს შამპანურის ჭიქით ხელში ხედავს... წარმოუდგენელია...

მანდერსი: „გავარკვიო, რა ხდება აქ“.

რეგინა: „ვაჩვენო, რომ პასტორის სიტყვებს ასრულება არ უწერია“.

ოსვალდი: „პასტორს ყველაფერი ავუხსნა“.

ფრუ ალვინგი: „თავი შევიკავო, თუმცა ამის გაკეთება ძალიან მიჭირს“. და კვლავ ეს დამთრგუნველი მოტივი.

XXI ნაკვეთი – „სულთა შფოთვა“

მუსიკა – კიდევ ერთი მუსიკალური ფრაზა. აქ თემა სიმებიან საკრავებზე სრულდება... არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ რიტმი... ვითარება ისედაც ნათელია...

მანდერსი: „გავარკვიო, ცხადში ვარ თუ სიზმარში“.

ოსვალდი: „დედის საიდუმლო შევიტყო“.
რეგინა: „თავი ვიმართლო პასტორთან“.
ფრუ ალვინგი: „ვთქვა ყველაფერი“, რასაც აქამდე ვმალავდი.

XXII ნაკვეთი – „ხანძარი“

ხმაური სცენის მიღმა. ხავერდის „კლდეები“, მოვარდისფრო სინათლით ნათდება, ქვემოდან ზემოთ, სულ უფრო მკვეთრად და მკვეთრად...

მუსიკა – თემის გაძლიერება – საყვირები, ლიტავრები, ხის ჩასაბერი ინსტრუ-
მენტები. ოთახში სინათლე შენიშნეს, საიდან მოდის იგი? ზარი ხალხს უხმობს ხანძრის ჩასაქრობად... იქ, სიღრმეში... ხანძარი მარცხენა კულისაშია... ყველა კარს მივარდა... ხანძრის ალის შუქი ძლიერდება... ახლა თითქოს სწორედ ამ სახლში მძვინვარებს ხანძარი.

ოსვალდი: „გადავარჩინო მამისეული თავშესაფარი“. იგი უქუდოდ გავარდება სახლიდან. მას რეგინა მიჰყვება.

რეგინა: „დავეხმარო ოსვალდს“. ისიც გარბის. პასტორი გაოგნებულია.

მანდერსი: „გავარკვიო, რა ხდება“.

ფრუ ალვინგი: „მტკიცედ გადავიტანო ბედის საშინელი დარტყმა“. იგი „მოჭ-
რილი ტოტივითაა“... გაქვავდა... სიმივით დაიძაბა, ახლა გაწყ-
დება. ბედისწერა ღუპავს.. მაგრამ იგი არ ემორჩილება, ჯერ
კიდევ იბრძვის... „მოჩვენებათა“ ულმობელი ძალა ახრჩობს...
ერთი ნაბიჯით უკან დაიხია... თვალებზე ხელი აიფარა... ნელა
შორდება კარს... ხანძრის ალის შუქი ახლა უკვე კარიდან აღ-
წევს ოთახში... ფრუ ალვინგს შეეშინდა... თითქოს ბაჭიაა მახ-
რჩობელა გველის წინაშე... შეშფოთებული მიიწევს დიდი ფან-
ჯრისაკენ... იქ, პორტიერის ღრმა ნაოჭებში შეუძლია ჩაიმა-
ლოს... მიირბენს მასთან, სასოწარკვეთილი ჩაეჭიდება. უნდა
დაეკიდოს... ეს მისი ერთადერთი საყრდენია... ეკიდება კიდეც...

მუსიკა: მუსიკალური აქცენტი ორკესტრში... შეკივლების მსგავსი... პორტიე-
რა ფრუ ალვინგის სიმძიმემ ჩამოაგდო... კვნესა.. ქვითინი...

სინათლე: უფარდო ფანჯრიდან ხანძრის შუქი შემოვარდა... ყველაფერი გაა-
ნათა... უკვე დამარცხებული ფრუ ალვინგიც... ჩუმად წარმოთ-
ქვამს: „ჩემი შალი, რეგინა... წავედით!“ ელენე ჯერ არ დანებ-
და... არა.

ელვის სისწრაფით იხურება ფარდა

მეორე მოქმედების დასასრული



ხმაური: პორტიერის ჩამოგლეჯისას ხმაური ძლიერდება. თითქოს ზღვის ტალღები გემის ნაპრალებში იჭრებიან. ეს ხმაური თანდათან ცივი ქარის ზუზუნში გადადის. ფანჯარაში, პირქუში ცის ფონზე, სისხლიანი ღრუბლები ჩანს. მარცხნივ და მარჯვნივ, რაც შეიძლება კონტრასტულად იკვეთება წითლად მოციმციმე საზარელი ღრუბლები. სადღაც, სცენის სიღრმეში, ზარების მუდმივი რეკვა ისმის. ქარია.

III მოქმედება

ხანძარი ქრება... თუმცა დრო და დრო მინავლებული ცეცხლის ბილიკი ხავერდის კლდეზე სუსტად გაიელვებს, ჟოლოსფერი რუხ-ცისფერ ხავერდზე... ჰოლში ყველაფერი ძველებურადაა – ფართოდ გაღებული შემოსასვლელი კარი, ჩამოგლეჯილი ალუბლისფერი ფარდა იატაკზე და როიალის სკამზე. ჯერ ადგილზე არ დაუბრუნებიათ... სევდის მომგვრელად ანათებს ლამფა...

I ნაკვეთი – „მკვდარი შტილი ქარიშხლის შემდეგ"

ფრუ ალვინგი დიდ ფანჯარას მიყრდნობია, სადღაც შორს იყურება... ალბათ არც არაფერს ხე-

მიხეილ ბულგაკოვი

დავს. თითქოს ელენეს ავადმყოფობის მძიმე, მოღუშული აჩრდილი დასცქერის. ყველაფერი დაიქცა, დაიღუპა. რამდენიმე საათში გაქრა მრავალი წლის ნაშრომი. „თავშესაფარი, რომელსაც წარსულთან ანგარიში უნდა გაესწორებინა", დაიწვა... მასთან ერთად კი, სახლში კვლავ ციემა წარსულმა შემოაბიჯა კამერჰერ ალვინგის სახით. მას სახლის დატოვება არ უნდა, სურს კვლავაც იბორიალოს, როგორც პირქუშმა მოჩვენებამ, ბედისგან დაწყეველილ ამ გარემოში... ძალაგამოცლილ ფრუ ალვინგსაც აღარაფერი შეუძლია... და კიდევ ოსვალდი... იგი ვერასოდეს იქნება ბედნიერი, რადგან დედა მას ბედნიერებას ვეღარ მიანიჭებს. ყველაფერი კი ელენეს სიმხდალის, მისი გაუბედაობის ბრალია. თავის დროზე იგი ასე რომ არ მოქცეულიყო... მაინც რა მოხდა?..

ფრუ ალვინგი: „ჩავწვდე მთელი ამ საშინელების არსს". უნდა, მაგრამ არ შეუძლია. ხანძარმა ხომ მთელი მისი მომავალიც შთანთქა, ყველა გეგმა... არსებითად, ყველაფერი დამთავრდა. ფარდის დახურვა შეიძლება... მაგრამ მის გვერდით მდგარი რეგინა სხვა რამეს ახსენებს. ოსვალდი! რა ეშველება... მისი გადარჩენაა საჭირო.

რეგინა: „შევახსენო ფრუ ალვინგს ოსვალდი". რეგინა, არსებითად, მარტო ოსვალდითაა დაინტერესებული. მისთვის სულერთია, იქნება თავშესაფარი თუ არა... ფრუ ალვინგი მძიმე და ნელი ნაბიჯით მიემართება გასასვლელისკენ, თავისი „მკვდრადშობილი" წამონყების სანახავად... ჩუმად, უხმოდ... რეგინა მას აცილებს და მექანიკურად ჩამოგლეჯილ პორტიერას უახლოვდება. ჩუმად იღებს... შემდეგ თვალები აუციმციმდება. მტკიცედ, დინჯად მოისხამს მხრებზე ძვირფას ხავერდს. წელში გაიმართება, ამაყად თავაწეული ადამიანის პოზაში დგება... აი, რაზე ოცნებობს იგი მუდამ, აი, რა არის მისი ცხოვრების აზრი... „ფული... მაღალი საზოგადოება... ძალაუფლება"... ნეტავ, მართლა ასე იყოს!"...

II ნაკვეთი – „როგორ ნერვიულობთ, პასტორო!“

ამ დროს ოთახში დაბნეული და აღელვებული პასტორი მანდერსი შემოდის. ძალიან შეწუხებულია. არა ისე, როგორც ხანძრის დროს. უფრო მეტად – დაბნეულია... მაინც რა მოხდა? ხანძრის დროს მანდერსმა „კეთილი“ ენგსტრანისგან საშინელი ამბავი შეიტყო... თითქოს მან, პასტორმა, შემთხვევით გაუჩინა ცეცხლი თავშესაფარს – ქადაგების დროს სანთლებს წამოედო. როგორ მოხდა ეს? ნუთუ ის მართლაც დამნაშავეა ამ საშინელ უბედურებაში? თანაც, თავშესაფარი ხომ დაზღვეული არ არის... რა საშინელი ეჭვია... რას იფიქრებენ ახლა ქალაქში? ეს ყველაზე მეტად ანუხებს პასტორს. კიდევ ეს რეგინა, რომელიც აგრეთვე ეკითხება, როგორ მოხდა უბედურება. საწყალი მანდერსი.

მანდერსი: **„გავარკვიო, მართლაც ყველა მე მადანაშაულებს ხანძრის გაჩენაში, თუ არა?“** იგი სულით დაეცა. რეგინა სწრაფად იშორებს ხავერდის ფარდას.

რეგინა: **„გავიგო, რა მოუვიდა პასტორს“.** ის ხომ ყოველთვის ისეთი მშვიდი და გონიერი იყო... ახლა კი საკუთარ თავს არ ჰგავს... ოთახში აქეთ-იქით დარბის, ხან კიბესთან მივა, ხან შემოსასვლელთან... ამ დროს კარში ენგსტრანი ჩნდება.

III ნაკვეთი: „ხაფანგში“

როგორც ჭიქა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე, ისე დაატყდა თავს პასტორს ენგსტრანის ჩახლეჩილი ხმით წარმოთქმული სიტყვები... იგი შეკრთა... ამ დროს ორკესტრში კონტრაბასმა 2-3 აკორდი უნდა აიღოს... ენგსტრანი – ეშმაკობისა და მზაკვრობის განსახიერება – ძალზე იშვიათადაა გულწრფელი... ახლა იმიტომ მოვიდა, რომ მისივე ჩაგდებული ნაპერწკალი გააღვივოს.

ენგსტრანი: **„დავარწმუნო პასტორი თავის ბრალეულობაში“.** მანდერსის მდგომარეობა სახიფათოა. ბრალმდებელ ენგსტრანის შემოვლის შემდეგ პასტორი მართლაც ხაფანგში აღმოჩნდა. უფრო უმწეო და გულუბრყვილო გახდა. მას სურს გაიგოს, როგორ დაუშვა ასეთი საშინელი შეცდომა... თითქმის

დარწმუნებულია თავის დანაშაულში... ხალხის მითქმა-მოთქმას ვერ გადაურჩება... „უბედურება, უბედურება!...“ მამის შემხედვარე რეგინა მაშინვე მიხვდა, რომ ენგსტრანმა რაღაც მოიგონა... თუმცა ზუსტად არ იცის, რა.

რეგინა: „გავარკვიო, რა უნდა მამას“. რა უნდა პასტორისგან. მთელი სცენის მანძილზე ორივეს აკვირდება...

IV ნაკვეთი – „ყველაფერი გვარდება“

ამ დროს ბაღიდან ფრუ ალვინგი შემოდის... მან ახლახანს მოინახულა ნახანძრალი. მთლიანად ჩაიფერფლა ყველაფერი. როდესაც ადამიანი სასიკვდილოდაა დაჭრილი და სუსტად მფეთქავი სიცოცხლე მხოლოდ დასჯაა მომაკვდავისათვის, მისი მოკვლა სჯობს, რომ ყველაფერს რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო... სწორედ ამას გრძნობდა სახლისკენ მომავალი ფრუ ალვინგი...

ფრუ ალვინგი: „მალე მოვამთავრო ხანძართან დაკავშირებული საქმეები“. ამის შესახებ მეტის მოსმენა არ სურს... ოთახის შუაგულში დგება და მაშინვე ყურადღების ცენტრად იქცევა. ენგსტრანი დაჯდა. ფრუ ალვინგმა დასაწყისში ვერ შენიშნა იგი. ახლა კი იაკობი მას უბრალოდ აღიზიანებს. იგი რაღაცას ელოდება.

მანდერსი: „გადავწყვიტო, როგორ მოვიქცე“. იგი ისეა დაბნეული... უცებ ენგსტრანი „მეზღვაურთა თავშესაფარზე“ მიანიშნებს“. ეს ხომ იდეაა. პასტორი ამაზეც ფიქრობს. ენგსტრანმა კი, რადგან სუსტი ნიადაგი იპოვა...

ენგსტრანი: „ვისარგებლო მოხერხებული შემთხვევით და ჩანაფიქრი განვახორციელო“. არ იბნევა და არ ფიქრობს ისე, როგორც რეგინა.

რეგინა: „მოვიფიქრო, რა გზას დავადგე“. გრძნობს, რომ ხანძარი ამ სახლისთვის უმძიმესი მოვლენაა. არ შეიძლება მისი ხელიდან გაშვება. როგორ მოიქცეს?

V ნაკვეთი – „ენგსტრანი არ იბნევა“

ბოლოს და ბოლოს, ენგსტრანმა თავისთვის ხელსაყრელი მომენტი შეარჩია. რადაც არ უნდა დაუჯდეს, შექმნილი ვითარება უნდა გამოიყენოს. „პასტორო მანდერს, გვერდით იყავით და სხვის დანაშაულს საკუთარ თავზე ავიღებ. რას იზამ, ასეთი ხასიათი მაქვს, სულ სხვაზე შემტკივა გული!...“ ო, მელა, მელა ადამიანის იერით...

ენგსტრანი: „მინდა „ვიყიდო“ პასტორი“.



ტანჯულის ჩუმი, დაშაქრული ტონით თავისი მიზნის მიღწევას ცდილობს: მანდერსი უნდა დამარცხდეს... და განა ასე ძნელია მასზე გამარჯვება? პასტორს ხომ, პატარა ბავშვივით არ შეუძლია დაფაროს საკუთარი მორცხვობა და უხერხულობა... ენგსტრანს შემთხვევა იმედს უღვიძებს, პასტორი კი...

მანდერსი: „დავმალო ჩემი მორცხვობა და სიხარული ენგსტრანის წინაშე“. ამის გაკეთება ძალიან უჭირს... ღელავს, თავს ვერ ერევა... თითქმის ვერ ამჩნევს ფრუ ალვინგს, რომელიც სიღრმეში მაგიდასთან ზის.

ფრუ ალვინგი: „მარტო ყოფნა მინდა“. მსურს ყველა დავივიწყო... ამიტომ ფარნის შუქი მხოლოდ პასტორსა და ენგსტრანს ეცემა. ფრუ ალვინგი კი მაგიდის ლამფის შუქითაა განათებული. იქნებ იგი დაჟინებით უყურებს ამ ლამფას. იქნებ, მისმა ალმა სულ სხვა ცეცხლი გაახსენა? პასტორის რეპლიკამ თითქოს გამოაფხიზლა. მან დაინახა რეგინა.

რეგინა: „ყოველი შემთხვევისთვის, პასტორისადმი ჩემი პატივისცემა გამოვამეღავნო“. პალტოს უფერთხავს, ჩაცმაში ეხმარება, ქუდს ანვდის, წამოდგომაში შველის...

მანდერსის რეპლიკაზე: „ღმერთმა ქნას, რომ წესრიგისა და კანონიერების სულმა მალე დაიდოს ბინა ამ სახლში!“ ორკესტრს „მოხარხარე“ მუსიკალურმა ფრაზამ გადაუარა, თითქოს გველმა გაისრიალა. თითქოს მოჩვენებებმა პასტორის სიტყვებს სიცილი დააყარეს... ბედის ირონია!

VI ნაკვეთი – „კამერჰერ ალვინგის თავშესაფარი“

კარში შეუმჩნევლად ჩნდება ოსვალდი. ოდნავ დაბნეულია, თითქოს იქ არ მოხვდა... შემოვიდა, კიბეებით ჩუმად ჩამოვიდა და ჩრდილში დადგა. მოვიდა... დაჯდა.... რაღაც უაზროდ, სურს გაიგოს...

ოსვალდი: „გავიგო, რაზე საუბრობენ“. ისე, საერთოდ, სულ ერთია, მაგრამ მაინც – რას ლაპარაკობენ „კამერჰერ ალვინგის

სახლზე"... ოსვალდი უსმენს, თუმცა მისი ფიქრი შორს დაჰქრის... ავადმყოფობის საშინელი ნიშნები იჩენენ თავს.. ჯერ – დაბნეულობა... ჩუმი, მუნჯი... უყურებს ენგსტრანს.

ენგსტრანი: **„ყველას ვაჩვენო ჩემი კეთილი გული და ზრახვები"**. ო, რა კეთილშობილებას, ზრდილობასა და მორჩილებას აფრქვევს. „ნამდვილი ადამიანია". პასტორ მანდერსს კი არ ჰგავს, რომელიც უხერხულობას გრძნობს.

მანდერსი: **„სასნრაფოდ დავტოვო ეს საშინელი, ცოდვით სავსე სახლი"**. ენგსტრანიც თან წავიყვანო და გარეთ, ნავსადგურში, ან ქალაქისკენ მიმავალ გზაზე დაველაპარაკო... ისინი კი მარტო დარჩნენ.

რეგინა: **„მივხვდე, როგორ მოიქცევა ოსვალდი"**. ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ეს კაცი აინტერესებს. ოსვალდს მიყვება. ფრუ ალვინგი კი, რომელიც მხოლოდ ოსვალდის შემოსვლამ „გამოაფხიზლა"...

ფრუ ალვინგი: **„გავარკვიო, რა ნამოინყო ენგსტრანმა"**. მან ხომ „კამერჰერ ალვინგის თავშესაფარი" ახსენა... ნუთუ ეს დაცინვა იყო? იქნებ – ბედის ირონია?! ოსვალდს რა სჭირს? რაღაც არეულია...

VII ნაკვეთი – „დაინვება, ყველაფერი დაინვება"

ოსვალდი გაღიზიანებულია, მეტისმეტად აგზნებული, თავს ძლივს იკავებს... სულ მთლად სველია. რა არის ეს?

ოსვალდი მაგიდისკენ მიდის... ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე ტონით წარმოთქვამს: „ყველაფერი დაინვება!" ფრუ ალვინგი შეაძრწუნა ამ წინათგრძნობამ. რა სჭირს ოსვალდს? რატომ გამოხატა მან ასე მკაფიოდ დედის აზრი? რა ემართება? ელენე შვილს მიუახლოვდა, სურს მოფერებით დაამშვიდოს.

ფრუ ალვინგი: **„გავიგო, რა ემართება ოსვალდს"**. რატომ ვერ იკავებს თავს?

ოსვალდი: **„თავი შევიკავო"**. მაგრამ ამის გაკეთება არ შეუძლია... თანაც უცბად... ხან დაბნეულია, ხან გაბრაზებული და აღელვებული... „რეგინა, დახურე კარი. ოსვალდი ავადაა". **„ოსვალდი ავადაა?"** როგორ?

რეგინა: „გავარკვიო, რა ხდება“. რატომაა ოსვალდი ავად? ამას ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს!

VIII ნაკვეთი – „გაიგეთ მთელი სიმართლე!“

სულ უფრო მეტად იჩენს თავს საშინელი ავადმყოფობა. ოსვალდს თითქოს ერთ საგანზე კონცენტრირება არ შეუძლია. დაყოვნება არ შეიძლება, შესაძლოა შეტევა განმეორდეს. იგი ამას უკვე გრძნობს. „შიში“ სულ უფრო მეტად იპყრობს. ეს გრძნობა საშინელი ოპერაციის უსასრულო მოლოდინს ჰგავს. „რეგინაა ჩემი ხსნა. მალე დავისაკუთრო... მაშინ დახმარება უზრუნველყოფილი მექნება... „შიში“ ოდნავ მაინც განელდება... დედა? განა შეუძლია მას დამეხმაროს?.. რაღაც უნდა გადავწყვიტო...

ოსვალდი: „გადავწყვიტო, ვისგან უნდა ველოდო დახმარებას“. ვისი იმედი შეიძლება მქონდეს უფრო მეტად – დედის თუ რეგინასი? ალბათ რეგინასი! ამას მაშინვე გრძნობს ფრუ ალვინგი. მართალია, ოსვალდის ნერვიულობის ჭეშმარიტი მიზეზი არ იცის, მაგრამ ნათლად ხედავს, რომ ოსვალდს რეგინა უნდა. ელენემ იცის, რომ ეს შეუძლებელია და ახლა გადაწყვიტა, ერთბაშად ყველაფერს ბოლო მოუღოს. ხანძრამდეც სცადა ამის გაკეთება... ე. ი. გუშინდელი შემართება ჯერ კიდევ შერჩა. ახლა ძალიან ფრთხილად უნდა გაისროლოს, რომ თეთრ მელას ბეწვი არ დაუზიანოს.

ფრუ ალვინგი: „გავამჟღავნო საშინელი საიდუმლო“. ამით ბოლო მოვუღო ოსვალდისა და რეგინას დაუშვებელ კავშირს.

რეგინა: „გავარკვიო, რა კავშირი აქვს ამ საუბარს ჩემთან“. რა შუაშია აქ იგი და კამერჰერ ალვინგის საქმეები, მით უმეტეს, რომ კამერჰერის საქციელი, ჯერჯერობით, არაფერზე მეტყველებს.

IX ნაკვეთი – „რეგინა!“

ეს ნაკვეთი ძალზე დაძაბული უნდა იყოს. ოსვალდმა ულმობელი სიმართლე შეიტყო, ფრუ ალვინგმა გულიდან საშინელი ტვირთი მოიხსნა. ოსვალდისთვის ყველაფერი ნათელი გახდა... ამან კი მისი მდგომარეობა საშინლად დაამძიმა. იგი განწირულია! არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოსვალდი მამის ამბავმა შეაძრწუნა. მამა და მის შესახებ შექმნილი იდეალური აზრის მსხვრევა არ აწუხებს... ოსვალდის მკერდიდან ამოხეთქილი ყრუ კვნესა სასიკვდილოდ განწირული, უდანაშაულო ტუსაღის გმინვაა... გაოგნებული მივიდა ფანჯარასთან... მაგრამ ყოველივე ეს რაღაც უცნაურია...

ოსვალდი: „დავარწმუნო საკუთარი თავი, რომ ყველაფერი სწორედ ასეა“... მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებული ფრუ ალვინგი კი მთელ სიმართლეს ბოლომდე ამოთქვამს... რეგინამ უნდა იცოდეს სიმართლე.

ფრუ ალვინგი: „გავაგებინო, რომ მათ შორის სერიოზული არაფერი შეიძლება მოხდეს“. რეგინა ხომ შინაურია... ეს ახალი ვითარება, ორივესთვის დარტყმაა. თუმცა ეს სიახლე რეგინას გეგმებსა და მთელ მის ძალისხმევას ანგრევს... იგი წამოხტა და უკან დახევისას თავახდილი როიალის კლავიშებს დააჯდა...



მუსიკა – ხანგრძლივი, უსიამოვნო ხმა გაისმა... მასთან ერთად ამოიწურა რეგინას ყველა სურვილი ამ სახლში... მუსიკა რეგინას ახალი ცხოვრების დასაწყისს გვამცნობს...

რეგინა: „ჯერ კიდევ უნდა ბოლომდე ჩანვდეს ნათქვამის არსს“. გაშეშდა... „მე?“... ოსვალდის და... ერთმა სიტყვამ ყველაფერი დაამსხვრია.

X ნაკვეთი – „ენგსტრანის ქალიშვილი“

ეს ოსვალდის დაღუპვაცაა. მას ნაკლებად აქვს დედის იმედი... ერთადერთი საყრდენი რეგინა... მისი დაა... რა არის ეს? რაღა დარჩენია?! დედა? ოსვალდს ხომ რეგინა სჭირდებოდა... ახლაც სჭირდება... მაგრამ იგი მიდის...

ოსვალდი: „შევაჩერო რეგინა“. განა ეს შესაძლებელია? რეგინა უკვე სხვაა. უნიღბო რეგინა: თავდაჯერებულ, ეშმაკი, საკუთარი გეგმების მიმდევარი ქალი. თვითონ იცის თავის საქმე, მას სიცოცხლე უნდა. ოსვალდთან კი რა ელოდა? რა დაემართებოდა მას ფრუ ალვინგთან?

რეგინა: „ვუსაყვედურო ფრუ ალვინგს“, რომელიც ხედავს, რა გზას უნდა დავადგე.

ფრუ ალვინგი: „გავაფრხილო და დავანყნარო რეგინა". მაგრამ ყველაფერი ამაოა. რეგინა მიდის – მტკიცე, მედიდური ნაბიჯით, კართან მოტრიალდება... რამდენიმე წამს უყურებს ერთად მდგომ დედა-შვილს და მკვეთრად წარმოთქვამს „Adieu" – შემდეგ სწრაფად გადის.

XI ნაკვეთი – „დილა"



პაუზა. ფრუ ალვინგი და ოსვალდი სიჩუმეში დარჩნენ. თითქოს „დიდი ხნის ნანატრმა" უცებ გაიარა და მის ნაცვლად **ცარიელი** „ხვალინდელი დღე" მოვიდა. სიცარიელე... მაგრამ ეს სულ ერთი წამით. შემდეგ ოსვალდის გონება ისევ გაშმაგებით ამუშავდება... რა არის ეს? რისი იმედი უნდა ჰქონდეს ოსვალდს? მოასწრებს დედისთვის უკანასკნელი თხოვნის გამჟღავნებას? გაუგებს მას ელენე თუ არა?.. **მოასწრებს ოსვალდი?** იგი ხომ უკვე კატასტროფის მოახლოებას გრძნობს...

ამიტომაც ასე აღიზიანებს ეს დაჟინებული შეკითხვები დედ-მამისადმი მის სიყვარულზე, იგი დედას მიანიშნებს, რომ ახლა თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროს.... თანაც, ისე ცოტა დრო აქვს. **„დედა, ახლა უკვე გვიანაა?"** – კითხულობს ოსვალდი. **„მალე მზეს დაინახავ"** – პასუხობს ფრუ ალვინგი, მით უმეტეს, აჩქარებაა საჭირო... მზესთან ერთად ხომ ახალი ცხოვრება დაიწყება...

ოსვალდი: „თავს ძალა დაატანოს და დედას ყველაფერი გაუმჟღავნოს". ეს ძალიან რთული ამოცანაა მაშინ, როდესაც არც იცი და არც შეგიძლია ყველაფრის მარტივად და ნათლად ახსნა... მას ხომ ასე არ უყვარს ყვირილი. სინათლე, უკანა ფარდაზე განთიადის სუსტი შუქი ჩნდება... ეს რძისფერი სინათლე თანდათან ძლიერდება. მუსიკა ჯერ არ ისმის. მას ჯერ არ გაუღვიძია.

ფრუ ალვინგი: „გავიგო, რა აღელვებს ასე, ოსვალდს". განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ რეპლიკა ამომავალ მზის შესახებ. მისი ორივე რეპლიკა კონტრაბასისა და საყვირის ჩახლეჩილი ხმის თანხლებით წარმოითქმის.

XII ნაკვეთი – „უკანასკნელი გულახდილობა“

ბოლოს და ბოლოს, ოსვალდმა გადაწყვიტა. „მოდი ვილაპარაკოთ, დედა!“ ორივე დაჯდა. დედა – დივანზე, შვილი – სკამზე, ელენეს გადაწყვეტილი აქვს დაამშვიდოს ოსვალდი, დაარწმუნოს, რომ უბედურება არ მოხდება. ოსვალდს კი უნდა დედას ყველაფერი ბოლომდე გაუმჟღავნოს და დახმარება სთხოვოს.

ოსვალდი: **„რაც შეიძლება ნათლად გამოვთქვა ჩემი თხოვნა“**. რომ არც ძალზე საშინელი იყოს და, ამასთანავე, ზუსტი. იგი სულ უფრო და უფრო ღელავს.

ფრუ ალვინგი: **„გავარკვიო, საით მიყავს საქმე ოსვალდს“**. ოსვალდი ძლივს იკავებს თავს... ეშინია, არ დააგვიანდეს... ავადმყოფობამ ყოველ წამს შეიძლება ამოხეთქოს. ჯერ ფანჯარაში იყურება და ყრუდ იწყებს ლაპარაკს, შემდეგ ვეღარ ითმენს, როიალთან მიირბენს და მას ეყრდნობა (ინსტრუმენტზე კი რეგინას მიერ დატოვებული ალუბლისფერი ხავერდის ფარდაა დაფენილი). ოსვალდს აკანკალებს, ფარდას შემოიხვევს და უცებ – კვნესა... უცებ მოიგლიჯა სხეულიდან ხავერდი. გაოცებულია, რომ მის გონებაში სულ ახლახანს აღმოცენებული ფერი უცებ მის ხელში აღმოჩნდა. ამან კიდევ უფრო აანერვიულა... ააჩქარა... ოსვალდი დედის წინ დადგა და თითქოს მოხსენებას კითხულობსო... ყველაფერი გადმოულაგა... მაშინვე შეიშმუშნა, გაიღიმა... **მორფი, მორფი, მორფი!**



XIII ნაკვეთი – „დედა, მოკალი შვილი!“

შიშისაგან გახევებული ფრუ ალვინგი ჩურჩულით, ჩახლეჩილი, მკერდისმიერი ხმით ამბობს: **„ოსვალდ... ჩემო ბიჭო, რა მოგივიდა...“** თითქოს უნდა უთხრას: „რა ჩაიფიქრე?!“

მუსიკა: ორკესტრში **„მოჩვენებების“** თემა ჟღერს. (როგორც ხანძრის პირველ მუსიკალურ ნაკვეთში). შემდეგ ყველაფერი ჩურჩულით მიდის, რაც მოცემულ ვითარებაში ატმოსფეროს უკიდურესად ძაბავს. ზოგჯერ ჩურჩულია კულმინაცია და არა ყვირილი. ფრუ

ალვინგს ყვირილი არ შეუძლია. იგი ხმაჩახლეჩილი, ჩურჩულით პასუხობს შვილს, რომელიც, თავის მხრივ, მშვიდად ცდილობს დაიყოლიოს დედა, რაღაც, თითქოს ჩვეულებრივ საქმეზე.

ოსვალდი: „დავარწმუნო დედა, რომ ეს ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი ხსნაა“. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფრუ ალვინგი მიხვდა, რას ითხოვს ოსვალდი, აცახცახებულმა შეჰყვირა: „მე?“... თუმცა იგი ცდილობს...

ფრუ ალვინგი: „ვიპოვო ძალა, რომ ცნობიერება არ დავკარგო“. ოსვალდი ელენეს მის მოკვლას სთავაზობს. დედას არ ესმის, რა ძალამ ათქმევინა შვილს ეს... იგი კვლავ ჩურჩულით კითხულობს... **„მე, რომელმაც სიცოცხლე გაჩუქე?“** და უცებ ბედისწერაზე გაბრაზებულმა ოსვალდმა იყვირა: „მე იგი არ მითხოვია. ბოლოს და ბოლოს, რა სიცოცხლე მაჩუქე?... უკან წაიღე!“ – კივის დასაღუპად განწირული სასოწარკვეთილი ოსვალდი...

მუსიკა – ორკესტრში კვლავ „მოჩვენებათა“ თემა ჟღერს (როგორც ხანძრის I ნაკვეთში).

XIV ნაკვეთი – „ვალდებული ხარ!“ „გადანყვეტა“

აი, ფრუ ალვინგის მტანჯველი ბრძოლის შედეგი... „რა სიცოცხლე მაჩუქე? – მიახალა შვილმა, რომლისთვისაც ყველაფერს ითმენდა. ფრუ ალვინგი გრძნობს, რომ ძალა ელევა, სახეზე ხელებს იფარებს და ყვირილით გარბის კარისკენ... „მიშველეთ, მიშველეთ!...“ იგი საკუთარი ოჯახის საბოლოო დაღუპვას გრძნობს, არ შეუძლია მისი გადარჩენა. მისი საყვარელი შვილი უფსკრულის პირასაა.

ფრუ ალვინგი: „ვიპოვო გამოსავალი სასიკვდილო წრიდან“. მაგრამ სად არის ეს გამოსავალი? ეჩვენება, რომ მის სახლში გაბატონებული პირქუში, ცივი აჩრდილები დევნიან და ახრჩობენ... ოსვალდი დედას კიბესთან ეწევა, არ გაუშვებს, სანამ თანხმობას არ მიიღებს, სანამ... ეს მისი უკანასკნელი ცხოვრებისეული ნაბიჯია... ამ წუთიდან ის უკვე გიჟია. თუმცა მისი ცნობიერება ინერციით ჯერ კიდევ მიედინება. ეს ძველი ოსვალდის ინერციაა.

ოსვალდი: „ვაიძულო დედა, დამეხმაროს!“ თავის ყველა უკანასკნელ თხოვნას იგი კიბეზე წარმოთქვამს. ნორმალურ მდგომარეობას ჯერ კიდევ რაღაც უცნაური ბრძოლით ინარჩუნებს. თუ ის ჩაცხრება, ცნობიერებაც გაქრება.

Mihsul Tuqanishvili

სასოწარკვეთილი ფრუ ალვინგი ფანჯარასთან მი-

ირბენს, რამდენიმე წამით გახედავს განთიადს, შემდეგ მკვეთრად შემობრუნდება, ოთახის შუაგულში შემოდის და ოსვალდს ხელს უწვდის. „აი, ჩემი ხელი!" – ამბობს იგი. მაგრამ ის ახლა უკვე დედა აღარ არის, მეგობარია, რომელიც ამხანაგს სასიკვდილო საფრთხის მოახლოებისას მოკვლას ჰპირდება... მიიღო რა, ბოლოს და ბოლოს ის, რასაც ამდენ ხანს ელოდა, ოსვალდი უცებ იცვლება... (ამ დროს მისი სახე და ფიგურა განათებულია)... მოლბა, ხელები ჩამოუშვა, მოიხარა... ჩუმად მიდის მაგიდასთან და მძიმედ ეშვება სავარძელში. მაგიდაზე სანთელი დგას. დაღლილი უყურებს მას. ძლივს გასაგონად წარმოთქვამს უკანასკნელ რეპლიკას. ფრუ ალვინგი ზურგიდან მიუახლოვდება, ეფერება, ჩუმად არწმუნებს...

ახლა, XV ნაკვეთში, თითქოს ყველაფერი უნისონში მიდის.

XV ნაკვეთი – „აი, ახლა, ყველაფერი კარგადაა!"
სამყარო ორად გაიყო.

1. ცხადი სამყარო – ფრუ ალვინგი.
2. სიგიჟის სამყარო – ოსვალდი.

ოსვალდი დაჟინებით უყურებს სანთლის ალს. ალბათ ხანძარი მზე, თავისი ნახატი ან სხვა რამ, ჰგონია. მზის დისკო ზემოთ ადის. ჩრდილოეთის მზის სხივი იშვიათად აღწევს ნისლში. მაგრამ როდესაც ეს ხდება, ცაზე ჩანს მეწამული სფერო, რომელიც არც ათბობს და არც ანათებს. მიუხედავად ამისა, სინათლე მაინც ოდნავ მატულობს. ორკესტრში განთიადის მუსიკალური თემა ჟღერს – შეუმჩნევლად, ლირიკულად, რბილად, ნაზად... ეს მუსიკა, ფაქტიურად, სიცოცხლისა და სილამაზის სადიდებელი ჰიმნივითაა...

ფრუ ალვინგი, ჩუმად და მშვიდად (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად) აწყნარებს შვილს... თმაზე ეფერება... რეზინის საბავშვო, ლამაზი და მიმ-

ზიდველი ბურთივით ამოდის მზე.. აი, უკვე ყველაფერი კარგადაა, „შენ ახლა დაისვენებ. ხედავ, რა მშვენიერი დღე თენდება? **მზე ჩახჩახებს.** ახლა დაინახავ, რა ლამაზია შენი სამშობლო...“

ფრუ ალვინგი: „დავაიმედო, დავამშვიდო შვილი“. იგი სწორედ ასე იქცევა. ოსვალდი? ის კვლავ დაჟინებით, მაგრამ უკვე უაზროდ უყურებს სანთელს... და უცებ ეს სიტყვა – „მზე!“ **„ჩახჩახა მზე ამოვა!“** მის გვერდით მდგომი ამ ქალის, დედის სიტყვებიდან მან მხოლოდ „მზე“ გაიგო... როგორია ეს მზე? რატომ არ აძლევენ მას ოსვალდს?.. იგი აფორიაქდა, კვლავ სივრცეს მიაშტერდა... მზე არსად ჩანს... აუცილებლად უნდა იპოვოს... მას ისე უყვარს მზის ზემოთ აგდება და მისი დადევნება... მაგრამ სად არის იგი... რატომ არ აძლევენ მასთან თამაშის საშუალებას?



ოსვალდი: „რადაც არ უნდა დამიჯდეს, ვეთამაშო მზეს“.

მუსიკა: ორკესტრში ძლიერდება ვნებიანი, ლირიკული, ბედნიერი და მხნე მელოდია. ოსვალდი შანდალს იღებს... წინ გაიშვერს, რომ გზა გაინათოს... იქნებ მზე სადღაც იქ არის... შემდეგ ჭირვეულად წარმოთქვამს: „დედა... (პაუზა). მომეცი მზე...“ მინდა ვეთამაშო... სად არის... (ასე ითხოვენ ჭირვეული ბავშვები, რომლებიც მოფერებით ცდილობენ მიიღონ სათამაშო).

VII სარეჟისორო ნაკვეთი

XVI ნაკვეთი – „დაღუპული“ (ვარიანტი).

ოსვალდი ნელა დგება სანთლით ხელში, იკუზება და იატაკზე, მაგიდისა და სკამების ქვეშ რაღაცას ეძებს. ოთახი თანდათან ნათდება. ოსვალდი კი ეძებს და ეძებს. ფრუ ალვინგი მაშინვე ვერ მიხვდა, რა ხდება... მით უფრო საშინელი გახდა სინამდვილე... „ოსვალდ, რა მოგდის?“ ელენეს მთელი სხეული უკანკალებს, მისი არსება შიშმა მოიცვა. „მოჩვენებანი, მოჩვენებანი, მოჩვენებანი“ – ყურში ჩაესმის საშინელი სიტყვები... მათ დაღუპეს მისი შვილი. ფრუ

ალვინგი ოსვალდს მივარდება, ანჯღრევს. შვილი კი კვლავ ეძებს, იმეორებს – „მზე, მზე!“... შემთხვევით ფანჯარაში გაიხედა, მას სანთელი მიანათა და უცებ გაიღიმა, ჩაიხითხითა... ბოლოს და ბოლოს, თავისი სათამაშო იპოვა.

გაქვავებული, თავზარდაცემული ფრუ ალვინგი ხმას ვერ იღებს... მისი გონება საოცარი სისწრაფით მუშაობს... „როგორ მოვიქცე?“...

ფრუ ალვინგი: **„არ მოვიკლა თავი, სანამ ოსვალდს მდგომარეობას არ შევუმსუბუქებ“.** ოსვალდი კვლავ ეძებს. ფრუ ალვინგი თავისი უკანასკნელი ამოცანის შესრულებას ცდილობს – თავს ძალა დაატანოს და ოსვალდს მორფი მისცეს. შვილთან მიირბინა, ჯიბიდან წამალი ამოიღო... შეჩერდა... არა, არ შეუძლია... მაგრამ საჭიროა... მაგიდასთან მიიჭრა, ჭიქაში მორფი ჩაყარა, ოსვალდს მისდევს, მაგრამ საწამლავს ვერ აძლევს...

დასასრული



1. Обычное положение на кругу



2. Положение к нокдауну. (Разрыв



გამჭოლი მოქმედებები

I მოქმედება
2 სარეჟისორო ნაკვეთი

ფრუ ალვინგი	–	ბოლო მოვუღო წარსულს.
ოსვალდი	–	გავერთო და ვიპოვო გამოსავალი.
პასტორი მანდერსი	–	დავარწმუნო ფრუ ალვინგი ჩემი მორალის ჭეშმარიტებაში.
რეგინა	–	შევამზადო ნიადაგი ჩემი გეგმების შესასრულებლად.
ენგსტრანი	–	გავარკვიო, შეიძლება თუ არა მქონდეს რეგინას იმედი.

II მოქმედება
3 სარეჟისორო ნაკვეთი

ფრუ ალვინგი	–	წინ აღვუდგე ოსვალდის განზრახვას.
ოსვალდი	–	დავარწმუნო დედა, რომ რეგინა ჩემთვის აუცილებელია.

მანდერსი – ყველს ხელი მოვუმართო და ჭეშმარიტების გზაზე დავაყენო.

რეგინა – ჩემი საქციელით კეთილგანწყობა დავიმსახურო.

ენგსტრანი – პასტორი მოკავშირედ გავიხადო.

III მოქმედება

2 სარეჟისორო ნაკვეთი

ფრუ ალვინგი – ვიპოვო ჩემში ძალა ოსვალდის გადასარჩენად.

ოსვალდი – ვაიძულო დედა დამეხმაროს.

მანდერსი – არ შეიბღალოს ჩემი კარგი რეპუტაცია

რეგინა – დავისაკუთრო ოსვალდი.

ენგსტრანი – მდგომარეობა რაც შეიძლება მომგებიანად გამოვიყენო.

პიესა

7 სარეჟისორო ნაკვეთი

ფრუ ალვინგი – წარსულის ყველა შედეგი გავანადგურო.

ოსვალდი – უშფოთველი არსებობა უზრუნველვყო.

მანდერსი – გონს მოვიყვანო ცოდვილნი სულნი.

1. ჭეშმარიტების გზაზე დავაყენო ალვინგების ოჯახი.
2. ძეგლი დავუდგა მას, ვისი გულისთვისაც საყვარელ ქალზე უარი ვთქვი.
3. დავაბრუნო რეგინა (ჭეშმარიტების გზაზე) „მამისეულ სახლში“.

რეგინა – გავხდე ოსვალდის ცოლი.

ენგსტრანი – რაც შეიძლება სარფიანად გამოვიყენო სიტუაცია.

პიესის გამჭოლი მოქმედება

„ცხოვრების თავიდან დაწყება“ ან „თავიდან დავიწყოთ ცხოვრება“.

ზეამოცანები

ფრუ ალვინგი – ახალი, ნათელი, ბედნიერი, მხიარული ცხოვრებით ვიცხოვრო.

ოსვალდი – ვიმუშაო, სიხარულითა და იმედით სავსე ნანარმოებები შევქმნა.

მანდერსი – მართალი კაცის ურყევი რეპუტაცია შევიქმნა. ვაჩვენო ხალხს: რომ საკუთარ თავს ვძლიე. რომ დავთრგუნე ყველა გრძნობა, მისწრაფება; მსხვერპლად შევწირე საკუთარი თავი და სული.

რეგინა – თავი დავაღწიო აქაურობას და აუცილებლად წავიდე პარიზში!

ენგსტრანი – გავხსნა მდიდრული დაწესებულება „კამერჰერ ალვინგის" (კაპიტნებისა და შტურმანების) თავშესაფარი

ყოველ პერსონაჟს მტკიცედ აქვს განზრახული, ბოლომდე მიიყვანოს თავისი გეგმა, თუმცა, მიზნისკენ მიმავალ გზაზე, თითოეულ მათგანს უამრავი წინააღმდეგობა ხვდება, რაც მოქმედებას ააქტიურებს.

მთავარი სპექტაკლში ფრუ ალვინგის თემაა, რომელიც ერთ წრედ კრავს სამი პერსონაჟის – ოსვალდის, ფრუ ალვინგისა და პასტორ მანდერსის ქცევის მოტივებს.

ფრუ ალვინგი – ბედნიერი და მხნე ფრუ ალვინგი, რომელმაც საკუთარი თავი ძირფესვიანად გარდაქმნა, რომელიც მზად არის სამუდამოდ დაივიწყოს „მიცვალებული", რომელმაც მთელი კაპიტალი კამერჰერ ალვინგის სახელობის თავშესაფარს გადასცა, მზადაა ოსვალდის სახით სხვა ცხოვრებას მხნედ შეხვდეს.

ოსვალდი – ნიჭიერი მხატვარი. მის ნახატებზე შრომისა და ცხოვრების სიხარულია აღბეჭდილი. დედასთან დასასვენებლად და დასამშვიდებლად ჩამოვიდა, მაგრამ... მთელი მისი გეგმები, შემოქმედება, პიროვნება დაფერფლა იმ ძალამ, რომელსაც პასტორი მანდერსი განადიდებდა და რომლის მატარებელიც მამამისი – კამერჰერი ალვინგი იყო.

პასტორი მანდერსი – თვლის, რომ ფრუ ალვინგისადმი მის სიყვარულზე უარის თქმა, საკუთარ თავთან უმძიმესი ბრძოლის შედეგი „უდიდესი გამარჯვებაა ცხოვრებაში", საკუთარ თავზე გამარჯვება.

მიხეილ თუმანიშვილი

მისი ახალი გმირობა, რომელსაც იგი ისე სჩადის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი – ძეგლი აუგოს

მას, ვის გამოც უარი თქვა საყვარელ ქალზე – კამერჰერ ალვინგის შესანიშნავი თავშესაფარია. მას მტკიცედ სწამს თავის გადაწყვეტილებათა კეთილშობილების და გონიერებისა.

რეგინა – ჯერ კიდევ ოსვალდის წინა ჩამოსვლისას, ორი წლის წინ, შემთხვევით ჰკითხა პარიზზე... ოსვალდმა უპასუხა: „ამას როგორმე მოვახერხებთ". მას მერე ფრანგულის სწავლა დაიწყო. ახლა ელოდება, რეგინა ფიქრობს, რომ შინ დაბრუნების შემდეგ, ოსვალდი თან წაიყვანს პარიზში, უბრალოდ ისე, ან როგორც მეუღლეს. ოსვალდი ჩამოვიდა. ალბათ რეგინა უკვე ელაპარაკა ამაზე. და იგი მტკიცედ შემოაბიჯებს ტრაგედიის სიუჟეტში. პარიზი მისი ცხოვრების მიზანია, ოსვალდი – საშუალება. ამიტომაც ასე მკვახედ ელაპარაკება ენგსტრანს და ასე ფრთხილად – პასტორს. მის გეგმებს არაფერმა უნდა შეუშალოს ხელი.

ენგსტრანი – იგი კამერჰერ ალვინგის თავშესაფრის მსგავს „ღვთის სამადლო დაწესებულებათა" მშენებელია, იმ სამყაროს შემქმნელი, რომლის მსოფლმხედველობასაც ქადაგებს პასტორი მანდერსი. ენგსტრანი აშენებს დაწესებულებებს, რომლებიც უხამსობასა და მეშჩანობას თესავენ. იგი მტკიცე ნაბიჯით მიიწევს თავისი მტაცებლური მიზნებისაკენ.

ტრაგედია შეხვედრათა მაჟორული ნაკვეთებით იწყება. ენერგიით აღსავსე და მტკიცე მოქმედებისკენ სწრაფვით შეპყრობილი გმირები, თავიდანვე წინააღმდეგობებს აწყდებიან, მაგრამ მათთან ბრძოლაში იღუპებიან.

Zeichnen und Schreiben

ლიტერატურის სია:

ა. ჰაიდენი	„იბსენის იდეოლოგია“
მერინგი	„იბსენის შესახებ“
გ. პლეხანოვი	„ჰენრიკ იბსენი“
ჰანზენი	„ჰ. იბსენის ცხოვრება და შემოქმედება“
ჰ. იბსენი	„წერილები“
ფაგე	„XIX ასწლეულის ისტორია“
დუმიკი	„იბსენი“
ვოდოვოზოვი	„ნორვეგია“
აქსელ გარდე	„უმთავრესი აზრები ჰენრიკ იბსენის შემოქმედებაში“
ჟურნალები:	ა) „Искусство и жизнь“ – „იბსენის წინააღმდეგ“ ბ) „Театр и искусство“ – „იბსენის პესიმიზმი“
გვოზდევი	„დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორია“
ფ. ნიცშე	„ესე იტყოდა ზარატუსტრა“ „სიკეთის და ბოროტების მიღმა“
კოგანი	„დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია“
ბიერნსონი	„თხზულებათა კრებული“
ჰ. იბსენი	„თხზულებათა კრებული“
ფაიზენჰარდტი	„ედვარდ გრიგი“
კრებული	„ვრუბელი“
დიდი საბჭოთა ენციკლოპედია	
ჟურნალი	„Театр и исскуство“ – „იბსენის სიმბოლიზმი“
ჟურნალი	„Интернациональная литература“ – „40 წლის გაზაფხულზე“
ლიხტენბერგის წერილი	„იბსენის პესიმიზმი“

"ანტიგონე"

ჟან ანუი
ანტიგონე

სარეჟისორო ექსპლიკაცია

Это все, что осталось. М. Цветаева.

N1 დასაწყისი

სიბნელეში ავტოკატასტროფის ხმა ისმის. ეს ის კატასტროფაა, რომლისკენაც მიისწრაფვის სამყარო სიცრუისა და ფარისევლობის გზით და რომლის სახელიც „ფაშიზმია".

ერთმანეთში არეული მუსიკა და ხმაური. სწრაფად მოძრავი ორი ავტომანქანის გამოსახულება (მხოლოდ შუქფარები). ამ დროს გამოდიან მსახიობები, სცენაზე გაფანტული სინათლეა. სიჩუმე. პროლოგი.

იგივე უნდა იყოს სპექტაკლის ფინალშიც – გზაზე დიდი სიჩქარით მიქრის სასწრაფო დახმარების მანქანა (სირენის ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდება, ისტერიკამდე მიდის) – სინათლე კი ნელ-ნელა იკლებს. რჩება მხოლოდ ძალზე განათებული პართენონი (მაკეტი) გისოსებიანი ფანჯრის მიღმა. პართენონი ღია ცისფერ ფონზე.

N2 დანაშაულზე წაასწრეს! მუსიკა. I თემა. შუბერტი.

1. შემოდის ანტიგონე. ცდილობს ისე იმოძრაოს, რომ იატაკმა არ იჭრაჭუნოს (მეც ასე ფრთხილად ვდგებოდი ღამე, რომ დედაჩემისთვის საჩუქარი მომემზადებინა). ე. ი. ანტიგონეს ეშინია, არ გაიგონ, რომ სახლში არ იყო.



მიხეილ თუალაძე

ძიძა ფანჯარასთან დგას. როგორც ჩანს, ანტიგონეს ელოდება, მაგრამ მის შემოსვლას ვერ ამჩნევს. ანტიგონე თავისი ოთახისკენ მიდის. ძიძა (სიბნელიდან) – სად იყავი?

ანტიგონე (უეცარმა ხმამ შეაშინა) – ვსეირნობდი, ძიძა.

ძიძა დიდხანს და დაჟინებით უყურებს ანტიგონეს, შემდეგ ჯიქურ მივარდება, სანდლებს ხელიდან გამოგლეჯს, ათვალიერებს (ხედავს, რომ სანდლები ჭუჭყიანია). ძიძა ისევ ანტიგონეს შეხედავს, მას კი თითი ტუჩებზე მიუდვია (ჩუმად იყავიო, თხოვს). ანტიგონე ფანჯარაში იყურება და სწრაფად ლაპარაკობს (მის ლაპარაკს აქტიური ჟესტიკულაცია ახლავს თან).

2. მისი რეპლიკის ბოლოს ძიძა მუხლებზე დგება და ანტიგონეს სანდლებს აცმევს.



ძიძას ყოველ რეპლიკაზე ანტიგონე, მოძრაობით თხოვს, გაჩუმდეს. ძიძა ბუზღუნებს, თითქოს თავის თავს ელაპარაკება (დაბნეულია, ვერ გაუგია, რა ხდება. იმის წარმოდგენაც კი აშინებს, რომ ანტიგონე პოლინიკეს გვამთან იყო). როდესაც ძიძამ თავის გაზრდილს სანდლები ჩააცვა და შეუკრა, ანტიგონე ფანჯარასთან მივიდა და გისოსებს ჩაეჭიდა.

იატაკზე მჯდომი ძიძა თვალს ადევნებს მას, მივიდა.

აქ, პაუზის შემდეგ, ძიძას რეპლიკაა: „სანამ დაწვები, ფეხების დაბანა მოგიწევს“.

ანტიგონე (პაუზის შემდეგ) – მე არ დავწვები.

3. აქ ძალიან მძაფრი, გააფთრებული დიალოგია, რომელიც თავბრუდამხვევ ტემპში მიმდინარეობს. მიზანსცენაც შესატყვისია – ანტიგონე ფანჯარასთან დგას, ზურგით მაყურებლისკენ, ძიძა კი იატაკზე ზის და ძაღლივით ყეფს – სად დაეთრეოდი?

4. ანტიგონე მკვეთრად მოტრიალდა და მიახალა: „არსადაც არ დავეთრეოდი!“

5. პაუზა. ანტიგონე ნელა წავიდა ფანჯარასთან მდგარი სკამისკენ და მასზე „აძვრა“. ჩაფიქრდა.

ძიძა – პაემანზე იყავი?

ანტიგონე – დიახ.



ძიძა – შეყვარებული გყავს?

ანტიგონე – ჰო, მყავს.

თითქოს გამდნარი კალა წვეთავს, სვენებ-სვენებით.

6. ანტიგონე კვლავ სკამზეა ამძვრალი, ძიძა კი მას ჩურჩულით წარმოთქმული (რომ არავინ გაიგოს) მრისხანე სიტყვებით დაატყდება თავს. საშინლად ლანძღავს. ტემპი სწრაფია. ძიძა უკვე მიხვდა, სად იყო ანტიგონე, მაგრამ საკუთარ თავსაც კი არ უმხელს ამას, ეშინია. საშინელებაა. ძიძას თავზარი დაეცა. კი მაგრამ, საიდანა აქვს ამ გოგოს ასეთი ძალა? ძიძა ლანძღავს მას, თან – დადის:

ა) ყველა კართან მიდის, შეაღებს, ყურს მიუგდებს.

ბ) რამდენიმე სკამს გაასწორებს **(ამ საქმეს კრეონტი, ისმენე, ევრიდიკე და ძიძა აკეთებენ)**.

ანტიგონე ძიძას თითქმის არაფერს პასუხობს.

7. და, უცებ, ძიძა იატაკზე ჯდება და ჩუმად ატირდება, აწკმუტუნდება: „რას მეტყვის დედაშენი, იმ ქვეყნად რომ შევხვდები“.

ანტიგონე უცებ მოწყდება ადგილს და ძიძასთან მიირბენს. ეფერება, ძიძაც ალერსიანად ესაუბრება, თხოვს, შიში გაუქარწყლოს. გულის ამაჩუყებელი სცენაა. მაგრამ ბოლოს ანტიგონე კვლავ ჯიუტდება. ძიძას ეუბნება: ისე იქნება, როგორც მე მსურს, და არა ისე, როგორც შენ და ყველას“.

დანაშაულზე წაასწრეს.

ეს ექსპოზიციაა.

დასაწყისში ანტიგონე ცდილობს გონს მოვიდეს, ძიძას მის ლანძღვაში მიეხმაროს, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ძიძა რაღაცას ხვდება, ანტიგონე ეფერება მას.

მიხეილ ფუტკარაძე

ძიძამ ზუსტად არ

იცის, რომ ანტიგონე პოლინიკეს (სტალინს) მარხავდა. მას მხოლოდ ამის ეჭვი აქვს და, ამიტომ, ძალიან ნერვიულობს. ამის ნარმოდგენაც კი ზარავს. ამ საშინელ აზრებს თავიდან იცილებს (**აზრი კი მაინც ჩნდება, იმიტომ, რომ ანტიგონეს ხელები და კაბა ჭუჭყიანი აქვს, სანდლები კი – თიხით მოთხვრილი**). ამიტომაც ასე გააფრთებით ესხმის თავს ძიძა, ოლონდ აქცენტს ღამის პაემანზე აკეთებს. გარყვნილება!!! თითქოს ამით ძიძა თავს იღიზიანებს კიდეც მაშინ, როდესაც, არსებითად, მას მომავალში მოსალოდნელი საშინელი მოვლენები სცემენ თავზარს.

აი, ატირდა კიდეც, მოთქმა-გოდება დაიწყო, როდესაც დარწმუნდა, რომ საქმე ძალიან ცუდადაა.

ამ სცენის დასაწყისში ანტიგონე სულ მთლად გათოშილი შემოდის, ძალიან სცივა (ხომ ამბობს ჩაფარი, ცოტა მოგვიანებით: იმ ღამეს ძალიან ციოდაო).

ანტიგონემ, ფაქტიურად, ყველაფერი გააკეთა. ახლა ელოდება. ან დასჯიან, ან ვერაფერს გაიგებენ. ეს ერთგვარი გულუბრყვილობაა – ნუთუ მას სჯერა, რომ პოლინიკეს ისე დაასაფლავებს, ხელახლა რომ ვერ ამოთხარონ? არა, მან ყველაფერი კარგად იცის. ეს, უბრალოდ, პროტესტია. ახლა იგი მგლოვიარე ქალია. ეს ამბავი ჩვენთან, საქართველოში რომ მომხდარიყო, და ძმას როგორ დაიტირებდა? მას ხომ ვერავითარი კანონი და ბრძანება ვერ შეაჩერებდა. ყველაფერი გასაგებია.

ისმენეს კი მეტად უყვარს საკუთარი თავი.

პიესის უმთავრესი ვითარება – დას მკვდარი ძმის დატირებას უკრძალავენ.

N3 „ღალატი". მუსიკა. თემა N2

ვითარება: ისმენემ დროზე ვერ გაიღვიძა. ამიტომაც ძმის ცხედართან ვერ მივიდა, თუმცა გუშინ (პატრიოტული გრძნობებით შეპყრობილმა) ანტიგონეს ამის პირობა მისცა. კიდევ იმიტომაც დაეძინა, რომ ამ პრობლემის მთელ სერიოზულობას (მნიშვნელობას) ვერ გრძნობდა. მას ანტიგონესი არ სჯეროდა, უბრალოდ ძალიან მოსწონდა დის ამაღლებული განწყობილება, რომანტიზმი, კრეონტის საქციელით აღშფოთება და ა. შ. მაგრამ ისმენე ის ადამიანია, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობს პატრიოტიზმზე, საქმით კი – არაფერს აკეთებს. დღეს კი, უბრალოდ ვერ გაიღვიძა.

ამოცანები:

1. **ისმენე – დავფარო სირცხვილის გრძნობა იმის გამო, რომ ღამე ანტიგონეს ძმის ცხედართან არ გავყევი.**
   ანტიგონე – გავაგებინო ისმენეს, რომ მოღალატეა.

2. **ანტიგონე – აბუჩად ავიგდო ისმენეს სიმხდალე. (ზიზღი).**
ისმენე – როგორმე გავამართლო ჩემი საქციელი. (მან ხომ ღვიძლი ძმის დამარხვაზე უარი თქვა).
დები პატარა მოზვერებივით თავჩაღნულნი სხედან ერთმანეთის მოპირდაპირედ, გაბუტულები ერთურთს მისჩერებიან. ნახევრად სიბნელეა. მხოლოდ ფანჯრის იქით შეეხო ახლად ამოსული მზის ნათელი სხივი პართენონის სახურავს. ეს სამშობლოა.



3. **მიმოფანტული მძივები.**
ისმენე – დავარწმუნო ანტიგონე, ხელი აიღოს თავის ჩანაფიქრზე.
ანტიგონე – არ მოვუსმინო ისმენეს, მალე მოვიშორო თავიდან მოღალატე და.

რეპლიკაზე: „ასეთი ლამაზი თმის პატრონი, ალბათ რაღაც სისულელეზე არ იფიქრებს", ანტიგონეს უნდა ისმენეს ქარვის მსხვილი მძივი მოხსნას, მაგრამ ნერვიულობისა და სიჩქარისაგან, შემთხვევით ძაფს განყვეტს და ძვირფასი თვლები ოთახში ხმაურით მიმოიფანტება. ანტიგონე მათ ძებნას იწყებს (ჯერ კიდევ ბნელა). სკამებს გაწევს (შემდეგ მათ ძიძა დააბრუნებს თავის ადგილზე), რაც გარკვეულ უწესრიგობას ქმნის. ანტიგონე მძივის თვლებს აგროვებს და 2-3 ცალს ისმენეს წინ გამოწვდილ ხელებში უყრის. ამით აიძულებს დას, ამ პოზაში შებოჭილი იდგეს. ისმენეს თანდათანობითი „შებოჭვის" **პროცესი** უნდა შევქმნათ. **ამის იმპროვიზირებაა საჭირო.**



4. **ანტიგონე – შევწყვიტო ფარისევლური საუბარი.**
ისმენე – გავიგო, სამუდამოდ დავკარგე და, თუ მასთან ურთიერთობის აღდგენის საშუალება ჯერ კიდევ მაქვს? (ისმენე ხომ გრძნობს, რომ ანტიგონეს ეზიზღება იგი).
ისმენეს წინ განვდილი ხელისგული მძივებით აქვს სავსე, ეშინია, კიდევ არ დააპნიოს. ასე გადის სცენიდან დამარცხებული ისმენე. ანტიგონე კი ამგვარ პოზაში რჩება.

ორივე ოიდიპოსის ჭირვეული და ჯიუტი შვილია. ისინი თავიანთ პირად ურთიერთობებს არკვევენ. ერთმანეთის მოპირდაპირედ სხედან, ხელებით სკამებს ეყრდნობიან. მძიმე ხასიათის, ჯიუტი გოგონები. თავიანთი ბობოქარი ხასიათის მოთოკვა უჭირთ. გაბუტულები სხედან, კაჟივით უდრეკნი. ერთი გაკვრა და ნაპერწკლები ნამოსცვივათ.



მთელი ამ სცენის განმავლობაში, ანტიგონე თავს ცუდად გრძნობს. ყველაზე სახიფათოა ამ სცენის ეფექტურად თამაში. მაგალითად:

1. იდიოტური სიცილი	1. ძიძას ულიმის, რომ მან თვალზე მომდგარი ცრემლი არ დაინახოს.
2. მთავარი ფრაზის სათქმელად წინ გამოიქცევა	2. ისმენეს მძივის კიდევ ერთი თვალი დაინახა (მთავარი კი ისაა, რომ გაიქცა, რათა მისი ცრემლი არ შენიშნონ). დგას და მძივს ათვალიერებს.
3. ძიძის წინაშე მუხლებზე დამხობა	3. სახე ძიძის მუხლებში ჩამალა. როგორც ამას ბავშვობაში აკეთებდა. უნდა, რომ დამშვიდდეს.
4. რამპისკენ გამოიქცა	4. ძიძას გავექცე.
5.	5. ღუნღულა შალში გავეხვიო, ჩავიმალო, ჩავთბე.

все
подмекеты
ЗРИМЫ

მიხეილ თუბანიშვილი

ევრიდიკე – სულ ქსოვს, გორგალი მცირდება, ნაქსოვს კი არაფერი ემატება. მის საქსოვ ძაფში ანტიგონე და ჰემონი იხლართებიან.

ევრიდიკე ყველა ეპიზოდში სცენაზეა. ხმას არ იღებს, მაგრამ მისი ფიზიკური ქმედებიდან თანდათან ნათელი ხდება, რომ თავს მოიკლავს. იგი საიდუმლოებით მოცული ტრაგიკული ფიგურაა. რატომ?

ის ხვდება, რომ სიყალბეში ცხოვრობს. ყველაზე უკეთ იცის, რა კაცია კრეონტი. ინტიმურ ცხოვრებაში ყველაზე კარგად ხედავ ადამიანს. ევრიდიკემ იცის, როგორია მისი ქმარი, მაგრამ – არაფერს ამბობს. ხმას თუ ამოიღებს, გაანადგურებენ. კრეონტის შესახებ მხოლოდ კარგი უნდა იცოდნენ.

ნათესავები

კრეონტი ანტიგონეს გარშემო უვლის, მაგრამ თითქმის არ უყურებს მას. დარწმუნებულია, რომ ანტიგონეს დამარცხება ძალიან იოლია. **ის მეფეა – ძალა.** მას სურს ანტიგონე თავისი საქციელის უაზრობაში დაარწმუნოს.

ანტიგონე ზის, კრეონტი ფეხზე დგას და დისნულს თვალებში უყურებს. იქნებ გოგონა ვილაცამ შეაგულიანა და იგი მხოლოდ იარაღია ოპოზიციის ხელში? კრეონტმა ანტიგონე სკამებს შორის იატაკზე დააგდო, მან რამდენიმე სკამი წააქცია.

ბოლოს კრეონტი ანტიგონეს **თანასწორია.** პიჯაკი გაიხადა, გვერდით მიუჯდა, თვალებში ჩახედა. **ეს უკვე ჩხუბი კი არა, გულახდილობაა.**

ანტიგონეს და კრეონტის დიალოგი – ძალა – ნიჩაბი – დაჭერილი ნადირი

I მოვლენა – ოფიციალური შეხვედრა, ოფიციალური განცხადება, ცივი ტონი. მეტალი ხმაში. ვაიძულო...

II მოვლენა – დავარწმუნო ანტიგონე მისი ჩანაფიქრის უაზრობაში. აბუჩად აგდება, ირონიული დაცინვა.

III მოვლენა – კრეონტი გაღიზიანდა, ეჭვი აქვს, რომ ანტიგონე მისი მტრების მოგზავნილია. დაკითხვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.

IV მოვლენა – პატარა ნადირი იღრინება. მოვიფიქრო, როგორ მოვიქცე. ანტიგონეს პირველი კონტრშეტევა.

V მოვლენა – ნამება. ძალით დავიმორჩილო (ეს მაშინ, როდესაც კრეონტი დარწმუნდა, რომ ანტიგონე სულელიცაა და არაფერი ესმის. დებილი).



ძიძა ძალიან მოხუცი ქალია, რომელიც უკვე კაცს ემსგავსება (ამიტომ იგი შეიძლება მსახიობმა კაცმაც ითამაშოს). ძიძა ძალიან ნაზია, თუმცა სულ ბუზღუნებს. პატარა, ბუზღუნა მოხუცი, რომელსაც შრომამ ყოველივე ქალური დააკარგინა. ასეთმა ქალმა გამოკვება ანტიგონე.

ქორო – ქალია, ახალგაზრდა, ვნებიანი მაცნე, ძალიან ნერვიული და მგზნებარე.



სკამების გადაადგილება.

1. თავდაპირველად სკამები მკაცრი (ხელოვნური) წესრიგის მიხედვითაა განლაგებული.

2. კულმინაციურ სცენამდე, თანადათან და შეუმჩნეველად ხდება სკამების უწესრიგო თავმოყრა სცენის შუა ნაწილში.



3. კრეონტი ფინალში მათ თავის ადგილზე აბრუნებს. ხელს უშლიან, მაგრამ იგი თავს ძალას ატანს და სკამებს ალაგებს. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს საქმე მოაგვარა, კრეონტი კითხულობს: „რა გვაქვს დღეს? საბჭო?“



ვფიქრობ, ანტიგონეს მაინც სჯერა, რომ არ მოკლავენ.

ანტიგონე –

1. შიგნიდან ავაფეთქო სიცრუეზე დამყარებული მათი მშვიდი კეთილდღეობა.
2. ყველას ჯიბრზე – სიმართლე ვთქვა.
3. შური ვიძიო მამაჩემის გამო. იმისთვის, რომ დემოკრატიისა
   და თავისუფლების პრინციპებს უღალატეს.

ანტიგონე მაინც ფიქრობს, რომ დასჯიან, მაგრამ არ მოკლავენ. ციხეში ჩასვამენ – ეს საპატიოცაა. ამიტომაც არის ასე ჩაფიქრებული დასაწყისში – ჰგონია, რომ ჰემონთან განშორება მოუწევს. მისთვის ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია. ჰემონთან პირველი სცენა უტრაგიკულესი უნდა იყოს. ანტიგონე ტირის, გიჟდება სიყვარულით.

თემა – პატიოსნებაზე, ღირსებაზე, ხეპრეობაზე, ფაშიზმზე!

ფაშისტები, დემოკრატიისა და კაცთმოყვარეობის ლოზუნგების საფარქვეშ **თავიანთ პირად საქმეებს აკეთებენ.** ადამიანთა ბედსა და სიცოცხლეს თავიანთ პირად ინტერესებს უმორჩილებენ. სწორედ ეს არის ხეპრეობა – მილიონების ცხოვრება შენთვის გამოსადეგ, პირად ინტერესებს დაუქვემდებარო! ამიტომაც გაუთავებლად ტყუიან. საბერძნეთში ყველა კომუნისტი ციხეში ჩასვეს, დახვრიტეს და ინტიმურად, ადამიანურად გვიხსნიან, რომ ეს ხალხის საკეთილდღეოდ გაკეთდა. ცრუობენ, არამზადები! უბრალოდ კომუნისტები მათ უნამუსო მაქინაციებს ამხელდნენ და ამით ხელს უშლიდნენ. ახლა კი ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლება, მითუმეტეს, თუ აუცილებლობად გაასაღებ.

მაო ძე დუნიც ხეპრეა! ეს ფაშიზმია. მას თვითდამკვიდრება სურს, განდიდება (აი, კაცს მოუნდა, ჩვეულებრივმა, ადამიანურმა სისუსტემ მოიცვა, როგორც ეს მსახიობებს ემართებათ ხოლმე. და ის მთელი 700 მილიონი ადამიანის ცხოვრებას უკულმა აბრუნებს. მაგრამ ფაშიზმის ახალი ტიპი ძალზე ინტელიგენტურია, ადამიანური. **იგი კლავს, მაგრამ ამ მკვლელობას განიცდის** (სხვის დასანახად). **ეს ხეპრეობის, ფაშიზმის უმაღლესი ფორმაა.** მათ, ყველაზე მეტად, მასაზე ზემოქმედების ძალისა და ავტორიტეტის დაკარგვის ეშინიათ. იმ მასაზე, რომელიც უკვე მოატყუეს. ისინი უსინდისოდ მატყუარა თვალებით იყურებიან. **ეს არამზადები, კეთილნი არიან!** ყველას არწმუნებენ, რომ ყველაფერი რიგზეა და თუ ვინმე ნაკლსა და შეცდომაზე კრინტს დაძრავს, მას ხალხის მტრად აცხადებენ. შეცდომა არ შეიძლება იყოს. გარდა ამისა, მათ უნდათ შექმნან შთაბეჭდილება, რომ



Автор неизвестен

ანტიგონეს კოტურნები.

1. ანტიგონე სცენაზე ფეხშიშველი შემოდის, სანდლები ხელში უჭირავს.
2. ისმენესთან სცენაში სანდლებს იცვამს.
3. ჰემონთან ეპიზოდის შემდეგ, ტექსტზე: „აი, ჰემონთანაც მოვრჩით!" კოტურნებს იცვამს. (ეს კოტურნები პირველად ძიძის სიტყვებზე: „მეფის ქალიშვილი ხარ"– ჩნდება. ძიძა ანტიგონეს მოოქროვილ კოტურნებს დაუგდებს წინ. ანტიგონე, კოტურნებით ხელში, მთელ ეტიუდს გაითამაშებს).
4. კრეონტთან სცენა – ანტიგონე კოტურნებზეა. ეს მისი მისიის პათოსია. იგი ამაღლდა და გაძლიერდა.
5. კრეონტთან კამათის შემდეგ ანტიგონე კოტურნებიდან ჩამოდის (მაშინ, როდესაც ბიძას „მზარეულს" ეძახის, აღიზიანებს). ყველას თვალწინ კოტურნებს იხდის. ფეხშიშველაა. ასე გაჰყავთ (ხელში სანდლები უჭირავს). გრძელი კაბა აცვია.
6. ჩაფართან უკანასკნელი დიალოგის დროს ანტიგონე სანდლებშია. ჩვეულებრივი გოგონა, რომელსაც სანდლები აცვია.



„კუთხეში დადექი"

კრეონტისა და ანტიგონეს დიდი ორთაბრძოლის ერთ ეპიზოდში, ანტიგონე, პატარა ბავშვივით, კუთხეში დგება. კრეონტი ისე ტუქსავს, როგორც პატარა ბავშვს, შემდეგ ანტიგონე ბიძას ზურგს შეაქცევს და დიდხანს ტირის, ხელში კრეონტის მიერ ოდესღაც ნაჩუქარი თოჯინა უჭირავს, რომელსაც შემდეგ ძირს დაანარცხებს.



ძალიან ბევრს მუშაობენ, ძალიან იღლებიან, არსებითად კი – არაფერს აკეთებენ. ვიღაც მინისტრებს ხსნიან და მაშინვე სხვა თანამდებობაზე ნიშნავენ. მოჩვენებითად სამართლიანნი არიან. არსებითად კი, ერთი ხროვაა. ყველამ იცის, რომ დ... ფაშისტია, მაგრამ შიშით ხელს არავინ ახლებს. სწორედ იმიტომ, რომ ეს ერთი ხროვაა. იციან, რომ დ... ნაძირალა და სპეკულიანტია, მაგრამ ხელს არ ახლებენ, პირიქით – ხელმძღვანელ პოსტზე ნიშნავენ. ყველამ იცის, რომ მას 5 სახლი აქვს, საზოგადოება ამით აღშფოთებულია, მაგრამ კიდევ ერთ უზარმაზარ ბინას აძლევენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვან ფიგურებად აქცევენ ვიგინდარებს. იმიტომ, რომ მათი ეშინიათ. ისინი ხომ ერთი ხროვი-



დან არიან! ერთმანეთსაც კი არწმუნებენ, რომ მათ სახელმწიფო ინტერესები ამოძრავებთ. იციან, რომ ა... მკვლელია, მაგრამ თავს იკატუნებენ, რომ არ იციან! მის წინაშე მლიქვნელობენ. რატომ? იმიტომ, რომ ეს ვიღაცისთვის და რაღაცისთვისაა საჭირო. სინამდვილეში კი, ადგილის დაკარგვის ეშინიათ. ვაი თუ, რაღაც ისე არ გავაკეთე და თანამდებობიდან მომხსნან? და ასე ტყუილი ტყუილს მისდევს, უზარმაზარ გროვად იქცევა! მის უკან სიმართლე აღარც ჩანს. ყველას რაღაცის ეშინია. ადრე ეშინოდათ სტალინის, ბერიასი და ა. შ. ახლა კი საკუთარი უძლურების შიში აქვთ. ამიტომ ეს უნდა დამალო. ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, რომ „ყველაფერი რიგზეა". სწორედ ეს არის ფაშიზმი, ხეპრეობა, სიცრუე უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს. ტყუიან მილიონები, რამდენიმე ფიგურა კი – რამდენიმე კრეონტი – ფხიზლად და ყურადღებით ადევნებს თვალს იმას, რომ ვერავინ გაბედოს თქმა: „რატომ ცრუობთ, მეფე ხომ შიშველია?!" ნუთუ შეიძლება ამ უზარმაზარი მასობრივი ტყუილის მოთმენა? საწყალი, საბრალო, განწირული ანტი-

გონეები, ისინი იღუპებიან, რადგან არ უნდათ იმის თქმა რაც ვიღაცას სჭირდება. მათ იმის თქმა უნდათ, რასაც ფიქრობენ, მაგრამ რა ძნელია ასე მოქცევა. ყველამ იცის, რომ ეს სიცრუეა, მაგრამ „არა"-ს თქმა არ შეუძლიათ. არა, არა! ცუდ მსახიობს, უვარგის მოქალაქეს, ნამდვილ ფაშისტს, რომელიც მუდამ „კომუნისტურ" ფრაზებს წარმოთქვამდა, სხვანაირად ლაპარაკი უკვე აღარ შეეძლო. მისი მეხსიერებიდან „პატიოსანი სიტყვა" ამოვარდა. იგი მანქანად იქცა. იგი „შიშის პროდუქტია". მაგრამ შენ არაფერს ამბობ. თუ იტყვი კიდეც, ისინი, შენი პატივისცემით, ერთ ყურში შეუშვებენ ნათქვამს, მეორიდან კი – გამოუშვებენ. არც არაფერი გითქვამს, არც არაფერი გაგვიგია.

ანტიგონემ კი თქვა: „არა". კაცმა რომ თქვას, მას ისეთი არაფერი ჩაუდენია, საკუთარი აზრის გამოთქმა გაბედა მხოლოდ. ძმის დამარხვა აუკრძალეს, ანტიგონემ გადაწყვიტა, რომ პოლინიკე უნდა დაასაფლაოს. იცის, ეს აკრძალულია, მაგრამ ვალდებულია დამარხოს, თუმცა კარგად ესმის, რომ ამის გამო სიკვდილი ელის. ამის გაკეთება სხვას რომ მოესურვებინა, შესაძლოა, ანტიგონეს წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ ის და ისმენე დები არიან – ძმის დასაფლავება მათი ვალია. ანტიგონემ თავიდანვე იცის, რომ სიკვდილით დასჯიან, მაგრამ მას აკრძალვების ატმოსფეროში ვიღაცის „რჩევებით" ცხოვრება მობეზრდა. **სული ეხუთება სამშობლოს, ხალხის, არსებითად კი – კრეონტის ინტერესებისთვის შექმნილი „წესიერი" სიცრუის ატმოსფეროში. მას საშინლად მობეზრდა ყოველივე ეს.** სიცოცხლე აღარ უნდა, მიუხედავად იმისა, რომ გაგიჟებით უყვარს ჰემონი. უფრთხის ამ ბედნიერებას, რომელიც წესრიგად და ბედნიერი ცხოვრებისკენ სწრაფვად იქცევა. სხვებზე დიდი და კეთილმონყობილი ბინა, მანქანა, კაფელი, ავეჯი, ტანსაცმელი, ტელევიზორი, ტელეფონი, უცხოეთში მოგზაურობა, კინოფესტივალები (ეს ხომ კომფორტი არ არის – ცხოვრების აუცილებელ პირველად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა); ნიჭიერი შვილები, კეთილი, პატიოსანი ქმარი, საკუთარი თავის მოტყუება იმით, რომ ყოველივე ეს შრომითაა მოპოვებული. ასეთი ბედნიერება – საკუთარი თავის მოტყუებაა. სინამდვილეში ეს არის იმ კეთილდღეობის გამოყენება, რომელიც კრეონტთან კარგ ურთიერთობას, მისთვის გაღიმებას, **მისი გენიალურობის აღიარებას მოაქვს.** რა ნაცნობია ყოველივე ეს?! ანტიგონეს ასეთი ბედნიერება არ უნდა. მისგან გული ერევა. ეს ისმენეს ხვედრია. ისმენე ხომ სწორედ ასეთია. მაშინაც კი, როდესაც ანტიგონესთან მოირბინა და უთხრა, შენთან ერთად წამოვალო, უკვე იცოდა, რომ ყველაფერი მომხდარია. ეშმაკობა სათნოების საფარქვეშ, მაღალი წრის ანგელოზები და ა. შ. ისმენე „მდაბიოა", ეს არის ამ როლის არსი.

მიხეილ თუბანიშვილი

ანტიგონე ჰემონის ცოლობას დათანხმდა. ამიტომაც დაუახლოვდა კრეონტს. კარგად ხედავს, ვინ არის იგი. ანტიგონე შიშობს, რომ ჰემონი, მომავალში, მამას დაემსგავება და ეს აგიჟებს. მუდამ ჩაფიქრებულია. საკუთარი მომავალი სძულს. ამიტომ, როდესაც პოლინიკეს დამარხვა იკრძალება, ძმის სიყვარულისა (მან თვითონ მოიგონა ეს სიყვარული, რადგან პოლინიკე ახლა არავის უყვარს) და მისი სიკვდილისგან თავს დატეხილი უბედურების გამო აფექტში ჩავარდნილი ანტიგონე (ისტერიული ადამიანი) გადაწყვეტს, ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც თვითმკვლელობის ტოლფასია. მხოლოდ ასე გახსნის მოსალოდნელი ოჯახური პერსპექტივის კვანძს. ამიტომაც ასე ჩქარობს ჰემონთან დამშვიდობებას. კი მაგრამ, მის ცოლობას რისთვის დათანხმდა? სულ ჩაფიქრებული რატომ იყო? იმიტომ, რომ მშვენივრად ხედავდა და მწვავედ განიცდიდა მის გარემომცველ სიცრუეს. როგორც ქალს, უყვარდა ჰემონი და სძულდა მდაბიო და, რომლისთვისაც ცხოვრება ასე ადვილია. ჰემონთან საკუთარი ბედის დაკავშირება ანტიგონეს არ სურდა, მაგრამ როდესაც ჰემონი ისმენეს მოშორდა და მასთან მივიდა, ანტიგონე, ეჭვიანობის გამო მის ცოლობას დათანხმდა. შესაძლოა, ჯიბრზეც, და კიდევ იმიტომ, რომ ძალიან უყვარდა ჰემონი. მხოლოდ შემდეგ, გონს მოსული, გიჟდებოდა. აქ თავი იჩინა ოიდიპოსის მოდგმის თავისუფლებისმოყვარე სულმა და პატიოსნებამ. ანტიგონე თავისი მომავალი, ბედნიერი ცხოვრების სურათებს წარმოიდგენდა. ამგვარად ისტერიკამდე მიიყვანა თავი და „თვითმკვლელობა ჩაიდინა", რისთვისაც „პოლინიკეს სიკვდილი" გამოიყენა. როდესაც კრეონტმა გაუმჟღავნა, რომ „არავინ იცის, რომელი ძმა წევს იქ", ანტიგონე, მართალია, მიჩუმდა, მაგრამ თავის ოთახში მაინც არ შევიდა. ეს წინასწარ განზრახული რწმენით განხორციელებული თვითმკვლელობაა. მას ამ ყალბ ურთიერთობებში ცხოვრება არ შეუძლია. ის უნდა მოკვდეს.

ძიძაც დროის გამოხატულებაა. გარეგნულად სულ რაღაცას კრძალავს (ასეთია კანონი), სინამდვილეში კი, ჩუმ-ჩუმად (სიყვარულით) აქეზებს. ესეც პათოლოგიაა. ძიძას ანტიგონე უყვარს, მასში თავის წარსულს ხედავს.

ისმენე საკუთარ თავს არწმუნებს, რომ ეს ყოფითი პირობები სიცოცხლისთვისაა აუცილებელი. მაგრამ არასოდეს ამტკიცებს, რომ ამის გარდა არსებობს კიდევ ცხოვრების სხვა მხარე, უფრო მნიშვნელოვანი – მოქალაქედ, უბრალო ადამიანად ყოფნა. მეშჩანური ბედნიერების მოთხოვნა და მისი ბრძოლით დაცვა პატარა ადამიანის თავდაცვის საშუალებაა. ეს არის „დამალობანას" თამაში სინდისსა და საკუთარი არასრულყოფილების შეგრძნებასთან.

ანტიგონეს მხრიდან მისი სილამაზის გესლიან დაცინვასაც სრული სერიოზულობით აღიქვამს. თავს უხერხულად არ გრძნობს, როდესაც საკუთარ

სილამაზეზე ელაპარაკებიან. ეს ადამიანთა გაბედნიერებისათვის ბოძებული ღვთის ნყალობაა. ეს გ...ია, ოღონდ მისი გარეგნული გამოვლინებების გარეშე (ქცევისა და მეტყველების მანერა). ეს გ.... აა რიტმის, აგზნების, „შთაგონებულობისა" და საკუთარ მაღალ მისიაში (ყველას მასწავლებელი და დამრიგებელი იყოს) დარწმუნებულობის თვალსაზრისით. ისმენეს რცხვენია (ის ხომ მაინც ოიდიპოსის ქალიშვილია) და ამ სირცხვილს მჩქეფარე მოღვაწეობის, მხიარულების, მოჩვენებითი ბედნიერების საფარქვეშ მალავს. არსებითად, იგი მოღალატეა. კრეონტის დროსაც მშვენივრად მოიწყო ცხოვრება. კრეონტს კი ფარულად სძულს ოიდიპოსი. შვილებმა ეს იციან. ისმენე კი ისე იქცევა, თითქოს არაფერი იცის, კრეონტის ფრთის ქვეშ მშვენივრად მოკალათდა.

1. ალბათ, ანტიგონესთან პირველი სცენის შემდეგ, ისმენე ვერ იძინებს, შემდეგ დგება და მსახურს ჰემონთან აგზავნის. „ანტიგონეს თავს რაღაც უბედურებაა, მალე მოდი!"
2. ანტიგონესა და ჰემონის პირველი დიალოგის დროს, ისმენე კარს უკანაა. როგორც ჩანს, ყურს უგდებდა, რადგანაც ჰემონის გასვლის შემდეგ ტირილით შემორბის. პოლინიკეს საკითხი მისთვის დიდი ხანია გარკვეულია. ახლა და უნდა გადაარჩინოს.
3. „ანტიგონე!" ყვირის ისმენე და დას მისდევს.

ისმენე არწმუნებს ანტიგონეს, უარი თქვას თავის განზრახვაზე, გადააბიჯოს სიმართლეს და სიცრუის მყუდრო სამყაროში მოკალათდეს.

ისმენე არწმუნებს ანტიგონეს, არ დაასახიჩროს თავისი კეთილდღეობა.

ისმენე თავს იკავებს, რომ არ გალანძღოს და, მისი მძიმე ხასიათის გამო. ეს ლ...აა, შ....ა, დ....ა, როდესაც მათ ედავები. ეს ნ....ა თ....ია.

ეს ისტერიკაა. ისმენე კანკალმა აიტანა.

„საწყალი ისმენე" – თურმე როგორ უჭირს იმის აღიარება, რომ პოლინიკეს დამარხვა არ უნდა.

კრეონტს ოიდიპოსის ხსოვნაც კი სძულს – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან ხალხში ოიდიპოსს დიდებული, პატიოსანი, ძლიერი კაცის სახელი აქვს. მართალია, ჩვენ ასეთი დიდებულები არა ვართ – შედარებით უბრალო ადამიანები, მაგრამ მაინც ისე უნდა ვმართოთ ქვეყანა, როგორც გვინდა. ვიღაცამ ხომ უნდა გმართოთ თქვენ! ჩვენ ამას ისე გავაკეთებთ, რომ არც დიდება გვექნება და არც „დიადის" სახელი. მაგრამ კრეონტს მაინც სულ აღიზიანებს ოიდიპოსზე, როგორც ძლიერ და წესიერ ადამიანზე ლაპარაკი. იმიტომ, რომ თავად არ შეუძლია ასეთი იყოს. ოიდიპოსს დიპლომატიური ჯახირი და პოლიტიკა არ ჭირდებოდა, მისთვის მთავარი – სიმართლე იყო. მას შეეძლო უარი ეთ-

ქვა ძალაუფლებაზე, თანამდებობაზე, რადგანაც თავისთავად იყო დიადი. კრეონტი კი ძალაუფლებაზე უარს არ იტყვის. ის არც ისეთი სულელია. თანამდებობის გარეშე ის არაფერს წარმოადგენს. აი, ეს არის მიზეზი. აი, ამიტომ ცდილობს იგი, ასე დაჟინებით, ანტიგონეს გადარწმუნებას. მაგრამ არაფერი გამოსდის.

ყველაფრის საფუძველია კონფლიქტი ორ ოჯახს, უფრო სწორად, ორ მსოფლმხედველობას შორის.



ამ ორი მსოფლმხედველობის მტრობა. ანტიგონეს აღიზიანებს ის, რომ არსებითად შეიცვალა მეფობისა და ადამიანთა მართვის მეთოდები. კრეონტს კი ის აგიჟებს, რომ ოიდიპოსს, ბევრნი ჯერ კიდევ თავიანთ იდეალად მიიჩნევენ. ყველაფერი ამაზე აიგება.

განათება

1. ანტიგონე ბნელ ოთახში შემოდის (ოდნავ რძისფერი სინათლე კარიდან, რომელსაც შეაღებს). დარაბები დახურულია. ძიძა, სანთლით ხელში, ეპიზოდის მიმდინარეობის დროს, დარაბებს აღებს. ფანჯრის მიღმა – რძისფერი შუქი. „ნისლში“ ოდნავ ჩანს პართენონი.
2. ისმენესთან სცენა – ერთი ფარანი ანთია. გმირთა ფსიქოლოგიის შესწავლა, ანატომირება იწყება.
3. კრეონტთან ორთაბრძოლის ფინალში ყველა ფარანი ანთია – კულმინაცია.
4. ნელ-ნელა ყველაფერი ქრება.
5. ფინალში მსახური (თუ პაჟი? ბიჭუნა) ლუმინისცენციურ სინათლეს ანთებს (დღის სინათლე). ფანჯარაში, ღამის შუქით განათებულ გისოსებს მიღმა, პართენონი მოჩანს. (როგორც მცხეთის ჯვარი).
6. როდესაც კრეონტი და პაჟი გადიან, ღია კარიდან სინათლის ყვითელი სხივი გამოდის, თითქოს კარგად განათებული ოთახიდან.



ანტიგონე – ავაფეთქო ეს მშვიდი კეთილდღეობა და კმაყოფილება, რომელიც სიყალბესა და ხეპრეობაზეა დამყარებული. დავიყვირო: „თქვენი ხელისუფალნი ხეპრენი არიან! მათ იდეას უღალატეს. თავს კი ისე გვაჩვენებენ, თითქოს იდეისათვის ცხოვრობენ, სინამდვილეში კი – თავისთვის.

ანტიგონეს მოწინააღმდეგენი:

კრეონტი
ისმენე
ჩაფრები.

მისი მეგობრები:

ჰემონი (იგი პროტესტს აცხადებს)
ევრიდიკე
პაჟი დუმან
ძიძა

ქორო? – მეგობარი – ეს ჩვენ ვართ.

კრეონტი – ვაიძულო ანტიგონე, გაჩუმდეს.

ჰემონი – არ დავკარგო ანტიგონე.

ისმენე – არ დავკარგო ის, რაც მაქვს. მთავრობასთან ურთიერთობა არ გავიფუჭო.

მიხეილ თუმანიშვილი

ზეამოცანები და გამჭოლი მოქმედებები.

ანტიგონე (20 წლის) – **ზეამოცანა** – ავაფეთქო ეს კეთილდღეობა, ეს ხეპრეობა. **გამჭოლი მოქმედება** – დავძლიო შიში იმისათვის, რომ ეს ჩავიდინო.

კრეონტი – გამჭოლი მოქმედება – გავაჩუმო და გადავარჩინო ანტიგონე.

ჰემონი – გამჭოლი მოქმედება – არ დავკარგო ანტიგონე.

ისმენე (22-23 წ.) – **გამჭოლი მოქმედება** – არ გავიფუჭო ურთიერთობა ხელისუფლებასთან.

შევადგინო „ანტიგონეს“ პროგრამა

1. მითი.
2. ანუის შესახებ.
3. ფრაზები გაზეთებიდან.
4. პართენონი (ფოტო).
5. მოქმედი პირნი და შემსრულებელნი.



ანტიგონე

ყველა ქვეტექსტი ჟესტით, ქცევით უნდა წარმოჩინდეს.

პირველი აქტი

ემოციური ნაწილი

1. **სვეტები.** გარკვეული წესით (ნახევარწრიულად) განლაგებული სკამები, განათების აპარატურა ისეა განთავსებული, როგორც კინოს გადასაღებ მოედანზე. აქ, ამ „მოედნის“ შუაგულში რაღაც უნდა მოხდეს. სიბნელეა. გაისმის მანქანის მუხრუჭების საშინელი ღრჭიალის ხმა (ავტოკატასტროფა მოხდა) და ვერდის რექვიემი (საყვირთა ბღავილი). სიბნელიდან მოჩანს ოღრო-ჩოღრო გზებზე საშინელი სისწრაფით მომავალი ორი მანქანის ანთებული ფარების ციმციმი. მანქანები მიქრიან და ცდილობენ მოსახვევებში ერთმანეთს გაუსწრონ – ეს ჩვენი საზოგადოება მიექანება უფსკრულისაკენ სიცრუის, სიყალბის, ფარისეველური ლოზუნგების გზით.

   სიბნელეში გამოდიან მსახიობები და თავ-თავიანთ ადგილებს იკავებენ. სცენა ნათდება.

2. **პროლოგი** – მსახიობი, თითქმის აუღელვებლად წარმოგვიდგენს ტრაგედიის პერსონაჟებს. ისინი აქვე, სხვადასხვა კუთხეში, დამნაშავეებივით მიყუჟულან. თანდათან, მოქმედების დაწყებასთან ერთად გაუჩინარდებიან, ყველა თავის საქმეს მიაშურებს.

3. **სიტუაცია I** – მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყების დროს დაიღუპა ანტიგონეს ორივე ძმა, ოიდიპოსის ვაჟები, მთავრობამ (კრეონტმა) ერთი მათგანი დიდი პატივით დაკრძალა, ისე, როგორც ნამდვილ გმირს შეეფერება, მეორე კი – სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად, ბრძოლის ველზე აფთართა და ორბთა საჯიჯგნად დატოვა – აი, ასეთი ბედი ეწევა ყველას, ვინც კანონიერი ხელისუფლების დამხობას განიზრახავსო!

4. **წინა დღეს დებმა** (ანტიგონემ და ისმენემ) მოილაპარაკეს, რომ ჩუმად მივიდოდნენ ძმის ცხედართან და დამარხავდნენ, მაგრამ ისმენემ, ჩვეულებისამებრ, დროზე ვერ შეძლო გაღვიძება. ანტიგონე მარტო წავიდა.

5. **სისხამ დილით,** გათოშილი, სრულიად გატანჯული ანტიგონე ყოფილი ბრძოლის ველიდან ბრუნდება, სადაც მან ძმის ცხედარს სათამაშო ნიჩბით მიწა მიაყარა, ჰგონია, ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. ჩუმად გაიხდის გაჭუჭყიანებულ სანდლებს, ცდილობს შეუმჩნევლად შეიპაროს საძინებელ ოთახში, მაგრამ ძიძა ჩაავლებს.

6. **ძიძა ყველაფერს ხვდება**, მაგრამ სხვების დასანახად, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, საყვედურობს ანტიგონეს, გავა, ხალათს შემოუტანს, თბილ რძეს დაალევინებს, ცხელი წყლით ფეხებს დაბანს, სანდლებს სადღაც დამალავს, ახლებს გამოუტანს. ცდილობს დაფაროს თავისი ურჩი გაზრდილის ღამის „მოგზაურობის" კვალი.

7. **ოთახში ისმენე შემოდის** – ახლად გაღვიძებული, ლამაზი. ცდილობს დაარწმუნოს ანტიგონე, ხელი აიღოს ჩანაფიქრზე, არ შეეწინააღმდეგოს ბიძას, ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც ის ურჩევს. კრეონტმა იცის, რა არის მათთვის უკეთესი, როგორ სჯობს მოქცევა.

ანტიგონე უხეშად მიუგებს, რომ ისმენეს გარეშეც ყველაფერი უკვე მოგვარებულია. საქმე გაკეთებულია. აქ კვანძი იკვრება.

კამათში, აღელვებული ანტიგონე ისმენეს მძივს (გაკეთება არ დავიწყნია) სწვდება და ჩამოგლეჯს. ძვირფასი თვლები ოთახში მიმოიფანტება. ისმენე განცვიფრებული დგას – ეს ხომ ძალიან ძვირფასი მძივია! ჩაიკუზება და აკრეფას იწყებს. ანტიგონესთან კამათი მისთვის მეორეხარისხოვანი ხდება. ისმენე ითვლის მძივებს და უკანასკნელს ვერ პოულობს. საშინლადაა აღელვებული. ანტიგონე სკამის ქვეშ შეგორებულ მძივს დაინახავს, აიღებს და თითქოს ნერტილს სვამსო ამ უაზრო კამათში, აწვდის მას ისმენეს, თან ოთახიდან აგდებს.

8. **ანტიგონეს უცებ შეამცივნებს**, კანკალი აიტანს, ასე ემართება, როდესაც ძალიან ნერვიულობს, მთელი სხეულით იწყებს ცახცახს. ძიძას დიდი, ლუნღულა შალი შემოაქვს და შიგ გაახვევს პატარა აღზრდილს. ასე გადახვეულნი სხედან ისინი ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. (სარკმელში ინათა, სადღაც შორს, შემაღლებაზე ძველი ტაძრის კედლებს მზის სხივი მიადგა) და... ანტიგონე გამოთხოვებას იწყებს.

ახლა იგი ძალიან დასუსტებულია, ავადმყოფი, უმწეო. ემუდარება ძიძას, ჩემი სიკვდილის შემდეგ კარგად მოუარე ჩემს უსაყვარლეს ძაღლსო. უნდა გააგებინოს, რომ ეს გამოთხოვებაა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ კარგად ვერც წარმოუდგენია, რა არის ეს. ძიძა ეფერება, თვალებს უკოცნის, როგორც ოდესღაც, ბავშვობაში. თავს იკატუნებს, თითქოს ვერაფერს ხვდება, ძიძამ ღონიერი, შრომას ნაჩვევი ხელები მაგრად მოხვია თავის ბავშვს და მზადაა დაიცვას, არავის დაუთმოს იგი. ისე ძლიერად იკრავს ამ პატარა, დაუძლურებულ სხეულს, თითქოს უნდა შეერწყას მას, და მაშინ, გინდაც აწამონ, მოკლან – არავის დაუთმობს თავის ერთადერთ, უძვირფასეს არსებას. ყველაფერში ხომ თვითონ არის დამნაშავე.

განა ანტიგონე მისი აღზრდილი არაა! ხომ მან გაზარდა ასეთი! ძიძა საკუთარ თავს წყევლის.

9. გამოთხოვება!

ისმენე გონს მოეგება და, მიუხედავად იმისა, რომ ადრიანი დილაა, ჰემონს დაედევნება, ასე ხომ არ შეიძლება, რაღაც უნდა იღონოს. იქნებ ჰემონმა, ანტიგონეს შესანიშნავმა საქმრომ, საცოლეს ამ სისულელეზე ხელი ააღებინოს. ვის სჭირდება ეს მსხვერპლი?!

10. ჰემონის დატირება!

საყვარელი ადამიანის დატირება! ანტიგონე ეფერება მას, ცხოვრებაში პირველად – კოცნის, ემშვიდობება. ცრემლებით ევსება თვალები, თავს ძლივს იკავებს. ჰემონი დაბნეულია, ვერ გაუგია, რა ხდება. ცდილობს დააწყნაროს სატრფო. საშინელი სცენაა. ბედნიერთა ტანჯვა, უბედურება (ტრისტანისა და იზოლდას, ვისისა და რამინის გოდება), ტრაგიკული განშორება, ანტიგონე ემშვიდობება ჰემონს, რომ შემდგომ თავისუფლად იმოქმედოს. ეს უდიდესი მსხვერპლია.

კარს უკან ისმენე დგას (იგი 22-23 წლისა იქნება). ანტიგონესა და ჰემონის შეხვედრის შედეგს ელის, მაგრამ, უცებ მიხვდება, რომ მისი ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა. ჰემონი წავა იმ იმედით, რომ მამამისი დაეხმარება ვითარების გარკვევაში, ყველაფერს ისე მოაგვარებს, როგორც საჭიროა.

11. ოთახში ისმენე შემორბის. კიდევ ერთხელ ცდილობს დაარწმუნოს ანტიგონე, მოიქცეს ისე, როგორც ბიძას სურს. ისმენეს არ უნდა მთავრობასთან ურთიერთობა გაიფუჭოს. ანტიგონე მტკიცედ უცხადებს, რომ აკრძალვის მიუხედავად, ისინი ვალდებულნი არიან ძმის ცხედარი მიწას მიაბარონ. ეს მათი წმინდათა წმინდა ვალია. და ანტიგონე კვლავ ძმის ცხედრისკენ გაეშურება. ჩიხი. გამოუვალი მდგომარეობა.

მუსიკა, ბეთჰოვენის „ბაგატელები“.

12. განგაში.

მთელ თეატრში ზარების რეკვა ატყდება. გაბმულად კივის სირენა, აციმციმდება მილიციის მანქანის ნათურები, გაუთავებლად რეკავს რამდენიმე ტელეფონი. ყველა სადღაც გარბის, კარებს აჯახუნებენ. ოჯახური საქმე პოლიტიკად იქცევა. ბრძოლაში სამთავრობო ორგანოები ჩაერთვებიან. შეშინებული ჩაფარი კრეონტს ატყობინებს, რომ მეამბოხის ცხედარს მიწას აყრიდა ვიღაც გოგონა, რომელიც მან, მად-

ლობა ღმერთს, დაიჭირა და აქ მოათრია. ანტიგონე! ო, ოიდიპოსის ეს წყეული მოდგმა! კრეონტი ცდილობს სწრაფად გაიაზროს მომხდარი, გამოსავალი იპოვოს და, რაც შეიძლება მალე მიჩქმალოს ეს ამბავი, რომ მან ოპოზიციამდე, თებემდე არ მიაღწიოს. კრეონტი ნერვიულობს. მტრებმა პოლიტიკური თამაშის ეს პარტია მოუგეს. კრეონტის გვერდით მისი პაჟი დგას. უცებ იდეა, მოულოდნელი სვლა გაუელვებს თავში: ეს პატარა ბიჭუნა ხომ არ შეეწირა მსხვერპლად? ვითომ მან დაარღვია საგანგებო მდგომარეობა, სამხედრო რეჟიმის განკარგულება! იქნებ მართლა ეს ბიჭუნა შესწიროს მსხვერპლად? „ბიჭუნა, თანახმა ხარ, ჩემი გულისთვის მოკვდე?“ ბიჭუნა, ფართოდ გახელილი თვალებით, ჩუმად უყურებს. პიესის მიხედვით, პაჟს სიტყვები არა აქვს. ის მხოლოდ უყურებს კრეონტს და უხმოდ დაყვება მას. იგი კრეონტის სინდისია. „რატომ უნდა მოკვდეს ჩემი გულისათვის ეს ბიჭუნა? იდეის გამო? რომელი იდეის? სულ ერთია! ყველაფერი სულ ერთია, მთავარია, დროზე მიიჩქმალოს ეს იდიოტური ამბავი, რომ მან თებემდე, პარლამენტამდე არ მიაღწიოს“ (თითქოს განგებ, ჯიბრზე, სწორედ დღეს არის მოწვეული პარლამენტის სხდომა, სადაც კრეონტმა, თავის მოხსენებაში, საზოგადოების მშენებლობის წარმატებებზე უნდა ისაუბროს), თორემ ამას აჯანყებაც შეიძლება მოჰყვეს.

ჩაფარი შიშისგან კანკალებს, თავის ტყავს უფრთხილდება. როგორ გადარჩეს? პიესის მიხედვით, მოქმედება გრძელდება, ჩვენს სპექტაკლში კი აქ იქნება პირველი მოქმედების დასასრული. (როდესაც წარმოდგენას ვთამაშობდით, I აქტის ბოლოს არასოდეს ყოფილა ტაში).

მეორე აქტი

13. **ქორო – მსახიობი**, იგი მსჯელობს ტრაგედიის უპირატესობაზე დრამასთან შედარებით, ლაპარაკობს იმაზე, რომ XX საუკუნე – ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ეპოქაა. იგი ისეთივე გამოუვალ მდგომარეობაშია, როგორც ტრაგედიის გმირი.

14. **ჩაფრებმა დაიჭირეს ანტიგონე**, ბორკილები დაადეს და ჯაჭვით შემოათრიეს სასახლეში, ჩაფრებს სრულებით არ აინტერესებთ, რატომ ჩაიდინა მან დანაშაული. მათთვის მთავარია, ამ სიტუაციიდან თვითონ გამოძვრნენ „სუფთად". ჩაფრები საზოგადოების წევრები არ არიან, მათ არანაირი იდეა არ გააჩნიათ. ისინი ყოველთვის ემხრობიან იმათ, ვინც კარგად უხდის. რა მნიშვნელობა აქვს, ფაშიზმი იქნება ეს, კომუნიზმი თუ სხვა რამ? ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები არიან. თუ საჭირო გახდება, მზად არიან დემონსტრაციებზე „ვაშა" და ნაირ-ნაირი ლოზუნგი იყვირონ! მთავარია, ეს მათთვის სარფიანი იყოს, მეტი მოგება ნახონ, მიიღონ თანამდებობა, მომგებიანი ადგილი, სპეციალური მაღაზიის მომსახურება თუ სხვა პრივილეგია.

   აი, ახლაც თავხედურად დამსხდარან სახელმწიფო სკამებზე, უჭირავთ ჯაჭვით დაბმული ანტიგონე და ჯერ კიდევ ცოცხალი გოგონას თანდასწრებით მის ქელეხზე საუბრობენ. ეს არის ხეპრეობის უდიდესი დღესასწაული!

არეული, შფოთიანი დღეები, ვიღაცამ თქვა: „საქართველოში მე თვითონ უნდა ჩავიდეო". და უცებ ყველაფერი დატრიალდა, დაბზრიალდა, აგუგუნდა, აწრიალდნენ კაბინეტებში აქამდე ტკბილ ძილს მიცემული მინისტრის მოადგილეები და კიდევ ვიღაც საეჭვო ხალხი. (გასტროლებს რომ დაჰყვებიან ვიღაც ტიპები, აი, მათი მსგავსი). ყველა დაშინებული და გაბოროტებულია, გაუთავებელ „რჩევებს და მითითებებს" იძლევიან. მათი რჩევები კი ერთგვარ ბალანსს ქმნის იმ მავთულზე, რომელიც ერთი ბოლოთი ადგილობრივ პატრიოტიზმზეა დამაგრებული, მეორით კი – „ცენტრზე".

– ბატონო მიხეილ, ხომ გესმით, კონცერტის დასაწყისში განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ პატივცემულ სტუმარს!

– რატომ?

– ხომ გესმით!

მლიქვნელობის ბორბალი დატრიალდა. კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ? რა საზიზღრები არიან ეს ჩაფრები. თუ გუშინ მავანი და მავანი არაფერს წარმოადგენდა, დღეს იგი, რატომღაც, მნიშვნელოვანი ფიგურაა. მის აზრს ანგარიშს უწევენ, აინტერესებთ. დღეს ის ავტორიტეტია, ხელისუფლების წარმომადგენელი. ჩვენ კი, მათხოვრებივით ვუღიმით ამ ნაძირალებს იმის გამო, რომ მათ რაღაცაში ხელი არ შეგვიშალონ, ცხოვრება არ გაგვიმწარონ.

ამ დღეებში ისევ გამომიძახეს, დამავალეს: „ქუთაისში სიცილის დღესასწაული „ქუთაისობა" უნდა ჩაატაროთო. ცოტა მაინც გაიცინოს ხალხმა!" კი მაგრამ, ეცინებათ?! ნუთუ ასე მოგვარებული აქვთ ყველაფერი? ეს ტიპები – ჩაფრები, ერთ ყაიდაზე, ერთნაირ, ნაცრისფერ კოსტიუმებში გამოწყობილნი, ხალიჩადაგებულ იატაკზე დააბიჯებენ, სხდომებს მდიდრულად მოწყობილ კაბინეტებში ატარებენ, საქმიანი, „გაბღენძილი" სახეებით სხდებიან მანქანებში და მუდამ სადღაც მიიჩქარიან. საზოგადოებრივი საქმე მათთვის ცარიელი საპნის ბუშტია. იდეა გაქრა, დარჩა მხოლოდ ბუტაფორული სიტყვები, რომლებიც ყოველ სადგურზე, ქუჩასა თუ კუთხე-კუნჭულზეა მიწერილი. ის, ვინც თავის დროზე ეწირებოდა ამ იდეებს – შეცდა. იმ ხალხის მაგივრად სხვები მოვიდნენ. მათ ამ იდეებთან საერთო არაფერი აქვთ. ჩემი სიდედრი ამბობდა: „მაგათ ყველაფერი გააფუჭეს. სულ იმას გაიძახოდნენ – თანასწორობა, ერთობა, თავისუფლება იქნებაო. მამაჩემს ნისქვილი ჩამოართვეს, უთხრეს – ხალხს უნდა გადავცეთო. მერე რაიკომის მდივანმა ნისქვილი მიისაკუთრა და მეზობლებს სიმინდის დაფქვაში ფულს ართმევდა". არა, არ ჩავატარებ სიცილის დღესასწაულს ქუთაისში იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეს ჩემი საქმე არ არის და მეორეც – სრულებით არ მეცინება!

15. მანქანა ამუშავდა! უნდა გავაჩეროთ!

შემორბის კრეონტი. მოკლედ, საქმიანად არკვევს ჩაფრებთან ვითარებას. ფიქრობს, როგორ მოიქცეს შექმნილ სიტუაციაში, რომ როგორმე პოლიტიკური მანქანა არ ამოქმედდეს. სასტიკად უკრძალავს ჩაფრებს მომხდარის შესახებ სიტყვის წამოცდენასაც კი. ოპოზიციამაც სწორედ ახლა წამოყო თავი და შეტევისთვის ემზადება. კრეონტს არ სცალია, დღეს პარლამენტის სხდომაა, მოხსენებისთვის უნდა მოემზადოს.

16. კრეონტი ცდილობს, რაც შეიძლება მალე მოამთავროს ეს საქმე. უხსნის

ანტიგონეს, როგორ უნდა მოიქცეს ამ ვითარებაში. კრეონტს სურს ყველაფერი ისე წარმოაჩინოს, თითქოს რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. თითქოს ანტიგონე სრულიად შემთხვევით მოხვდა აკრძალულ ადგილას. „გამაგებინა ერთი, რა გინდოდა იქ, სხვა ადგილი ვერ ნახე სასეირნოდ?!" რაღაც სისულელე ჩაიდინა ამ გოგომ, ახლა კი კრეონტმა იტეხოს თავი, ეძებოს გამოსავალი. „ახლავე წახვალ და იტყვი, რომ ეს ყველაფერი ბავშვობაა, თამაში, რომ შენ არ გინდოდა კანონის დარღვევა". მაგრამ ანტიგონე ჯიუტი ბავშვივით მოიკრებს ძალას, შიშის გრძნობას დაძლევს და იტყვის: „არა?"

მუსიკა. ბეთჰოვენის „ბაგატელები".

17. ორთაბრძოლის დასაწყისი

კრეონტი გაბრაზდა. დისწულს დაკითხვას უწყობს. ვერ გაუგია, როგორ გაბედა ამ ერთი ციდა გოგომ; და მის მიერ გაცემული განკარგულება დაარღვია?

ანტიგონე ატირდება,: „ეს ხომ ჩემი ძმაა!" „კი მაგრამ, მე ხომ ავკრძალე!" – პასუხობს კრეონტი. დისწულს არ სურს და აღარც შესწევს ძალა შეეპასუხოს ბიძას. მთავარი ხომ უკვე მოხდა – კანონი დაირღვა! მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი განა რა ჩაიდინა? დას უნდა რომ დაიტიროს და დაკრძალოს თავისი ძმა. მას კი ამის გაკეთებას უკრძალავენ! რატომ? ეს რომ საქართველოში მომხდარიყო, ხომ არ აკრძალავდნენ?

თუმცა 1936-37 წლებში კრძალავდნენ! აი ესაა პრობლემის მთელი სირთულე!

კრძა-ლავ-დნენ!

18. კრეონტი აღელვებულია. ხელში სათამაშო ნიჩაბი უჭირავს. იგი ჩაფრებმა ანტიგონეს მაშინ წაართვეს, როდესაც ის პოლინიკეს ცხედარს მიწას აყრიდა. „რა სისულელეა! რაზე ვხარჯავ დროს! ყველაფერი ჩემი მტრების ნახელავია. თუ გგონია, რადგან ოიდიპოსის ქალიშვილი ხარ, კანონები არ გეხება?!" – ეუბნება კრეონტი. „არა, არ მგონია" – პასუხობს ანტიგონე. კრეონტი ძალიან აღელვებულია, ანტიგონეს ცივი, ოფიციალური ტონით ელაპარაკება. ესაა ბიძის შეხვედრა თავის სულელ, გაუზრდელ დისწულთან. ერთი კარგად უნდა მიბეგვოს კაცმა და კუთხეში დააყენოს – მაშინ ისწავლის ჭკუას. ეს ძიძა კი საერთოდ უნდა გააგდო, დაიჭირო ან გადაასახლო. მოამრავლეს აქ უკმაყოფილოთა მთელი ჯარი!

მიხეილ თუმანიშვილი

კრეონტი ცდილობს დაარწმუნოს ანტიგონე, რომ

მისი წამონყება სისულელეა და მეტი არაფერი. დასცინის მას. ანტიგონე ნადირივით იღრინება.

19. **ოჯახური უსიამოვნება.**

კრეონტი განრისხებულია. გაახსენდა ოიდიპოსი, მისი ხასიათი და თავისი დიდებული ნათესავისადმი ძველი სიძულვილის გრძნობას ვეღარ მალავს. ოიდიპოსის მოდგმას ხომ არ შეუძლია ნორმალურად, ადამიანურად იცხოვროს. მისი შთამომავლები აუცილებლად უნდა ებრძოლონ სიკვდილს, განგებას, უნდა მოკლან მამა, დედა – ცოლად შეირთონ, თვალები დაითხარონ, თავისი სიმართლითა და სამართლიანობით ქვეყანა ჭკუიდან შეშალონ. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას! „ჩვენ კი... ჩვენ ვერ მივწვდებით იმ დიდ ადამიანებს, უბრალო ხალხი ვართ, სადა გვცალია თვალების დასათხრელად? ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და ვმართოთ. ვიღაცამ ხომ უნდა გმართოთ თქვენ?! მე რომ არა, ერთმანეთს გადაჭამდით“ – მიმართავს ანტიგონეს კრეონტი. იგი იმდენად სულელი არ არის, რომ ხელისუფლებაზე უარი თქვას. ამ ადგილის გარეშე იგი არარაობაა. ამიტომაც ასე გამალებით ცდილობს აუხსნას ანტიგონეს, რომ პოლიტიკაში ორჯერ ორი ყოველთვის არ უდრის ოთხს.

ეს ძალიან დიდი ოჯახური უსიამოვნებაა. ანტიგონე თვალებში მისჩერებია კრეონტს და ჩუმად, ძალიან ჩუმად ტირის.

20. **კრეონტი მიუახლოვდება ანტიგონეს**, მოეხვევა, მოეფერება, გაეხუმრება კიდეც. სახლში წასვლას ურჩევს. პირდება, რომ თვითონ მოაგვარებს ყველაფერს ისე, რომ ეს ამბავი არ გახმაურდება. კრეონტი თვლის, რომ ამით საუბარი დამთავრებულია.

აქ ორთაბრძოლის პირველი ეტაპის ფინალია, მაგრამ...
ანტიგონე კარს მიუახლოვდება, ოღონდ არა თავის ოთახში შესასვლელ კარს.
კრეონტი: ანტიგონე, სად მიდიხარ?
ანტიგონე: იცით, სად (ე. ი. ძმასთან).

რა ყალბია ეს ყველაფერი! ირჩევენ პრეზიდიუმს. ხელის აწევით კენჭს უყრიან, ვინ მომხრეა, ვინ – წინააღმდეგი, თავი ვინ შეიკავა. ხოლო როცა ერთხმად არჩეულები პრეზიდიუმში ავლენ, ტიპოგრაფიული წესით წინასწარ დაბეჭდილ ბლანკებზე იწყებენ საკუთარი გვარების ძებნას – ვინ სად უნდა დაჯდეს. რატომ არ შეიძლება პრეზიდიუმის არჩევა ყოველგვარი წინასწარ შემზადებული ქაღალდების გარეშე? ჯერ ერთი დაასახლონ, მერე –

მეორე. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას? პრეზიდიუმი ხომ მაინც არაფერს წყვეტს. ყველაფერი წინასწარ არის დადგენილი. პრეზიდიუმი ამ მასკარადის მხოლოდ რიტუალია.

მთელი ქვეყანა ამ ფაშისტების ხელთაა. სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას უწოდებენ ისინი თავის თავს – კაპიტალისტებს, კომუნისტებს თუ ალი-ბაბას გამოქვაბულის ყაჩაღებს. მათი ლოზუნგები და მონოდებები შინაარსგამოცლილ, ფუყე სიტყვებად იქცა. საზოგადო საქმეების ნიღაბს ამოფარებულნი, საკუთარ საქმეებს აკვარხჭინებენ, ხელისუფლებაში მოხვედრას, პრესის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. ყველაფერი იყიდება: სასამართლო, მილიცია, სამხედრო კომისარიატი, ჯარი. სიმართლეს ვერ იპოვი კაცი. მათ ყველაფრის უფლება აქვთ, ისინი განაგებენ სწავლა-განათლებას, სკოლას, ხელოვნებას, განსაზღვრავენ ქცევის, ეთიკის ნორმებს. კრეონტისთვის ძნელია ამ ყაჩაღების მეთაურის როლის თამაში. ოიდპოსისთვის ყველაფერი ეს გაცილებით ადვილი იყო.

21. მეორე რაუნდი.

არა, ასე არ შეიძლება! ეს გოგონა ნამდვილად ჭკუიდან შეშლის კრეონტს. იგი უთუოდ მტრების, ამ წყეული ოპოზიციის შემოგზავნილი იქნება „მორჩი ამ სისულელეებს, თორემ ახლავე გაჩვენებ, როგორ უნდა დაკითხვა საგანგებო კომიტეტში. მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა გაჩუმება!" – ემუქრება კრეონტი. მაგრამ ანტიგონე არ ნებდება, ეკამათება, ეწინააღმდეგება. მაშინ კრეონტი ძალას მიმართავს – მაგრად ჩაავლებს ხელს და მოუჭერს. ანტიგონე უცებ გაწითლდება, მერე ფერს დაკარგავს, გამომწვევად ჩახედავს კრეონტს თვალებში და ჩუმად, თითქოს თავის თავს ექიშპებაო, ეტყვის: „აღარ მტკივა!" ანტიგონე ცდილობს საკუთარ თავში შიშის და ტკივილის გრძნობა დაძლიოს.

22. კრეონტის გულახდილობა.

რა მოუხერხოს ამ გოგოს?

კრეონტი: კარგი, ახლავე აგიხსნი ყველაფერს. თუ შეძლებ გაერკვიო ამ პოლიტიკურ თამაშში.

პაუზა, კიდევ პაუზა. და, აი, კრეონტი გულახდილად ესაუბრება ანტიგონეს. ან იქნებ მხოლოდ იმისთვის ლაპარაკობს, რომ საკუთარი თავი დაარწმუნოს – სწორად ვიქცევიო. არა და, როგორ გინდა აუხსნა, რომ მისი ძმა პოლინიკე – მხოლოდ და მხოლოდ პო-ლი-ტი-კაა! შესაძლოა, თავად. კრეონტი სხვანაირადაც კი ფიქრობდეს, მაგრამ იძულებულია ასე მოიქ-
ცეს. ეს ხომ მისი ბრძოლაა მოწინააღმდეგეებთან.



23. **ბრძოლა.**

ანტიგონე იღრინება, შემდეგ იწყებს კამათს, როგორც ზრდასრული, მოწიფული ადამიანი. აი, სად იჩინა თავი ოიდიპოსის სისხლმა! ეს ანტიგონეს პირველი კონტრშეტევაა.

სქემა:

კრეონტი: ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა აზრის არის ჩვენი საზოგადოების შესახებ სამტრედიელი დელეგატი. უნდა ვიმუშაო, რომ როგორმე შევინარჩუნო ნგრევის პირას მისული ეს საზოგადოება, სახელმწიფო წყობა.

ანტიგონე: რისთვის? რატომ არ შეიძლება თქვა „არა!" რატომ არ გინდა დაანგრიო, რომ მერე ააშენო? რატომ გინდა მოიტყუო თავი და იფიქრო, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ?!

ანტიგონე და კრეონტი ამ ორთაბრძოლაში თანასწორი მოწინააღმდეგენი არიან. ისინი თანაბარი ძალით იბრძვიან, ანტიგონე უმტკიცებს, რომ იგი კრეონტზე ძლიერი და ბედნიერია, რადგანაც პოლიტიკურ სიცრუესთან საერთო არაფერი აქვს. მას თავისუფლად შეუძლია აკეთოს ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. ო, როგორ ოცნებობს ანტიგონე, ააფეთქოს ეს

ბუტაფორული კეთილდღეობა, სიცრუისა და ხეპრეობის ეს სამეფო – სულ ერთია, ვისი – პროლეტარიატის თუ ნაცისტების – ამაზრზენი სამეფო. და იყვიროს: „არა! რატომ სტყუით ყველა!" – მერე კი, რაც გინდა დაემართოს, თუნდაც მოკვდეს! ამ წყეულმა პოლიტიკოსებმა უღალატეს შესანიშნავ იდეას: მეგობრობას, თანასწორობას, თავისუფლებას, დემოკრატიას! თავიანთ კაბინეტებში, რბილ სავარძლებში მოკალათებულებს თავი მოაქვთ, ვითომ ახლაც კი იდეისთვის ცხოვრობენ. ტყუილია ყველაფერი, უსინდისო ტყუილი! გასანადგურებელია სიყალბესა და ხეპრეობაზე აშენებული, რჩეულთა კმაყოფილების ეს საუფლო!!!

მადრიდის თეატრალურ ფესტივალზე გამგზავრების წინ, მოსკოვში, ერთ უზარმაზარ შენობაში გამოგვიძახეს! უამრავი, გვერდიგვერდ ჩამწკრივებული კაბინეტი! ერთ-ერთი ჩინოვნიკი, ორი საათის განმავლობაში გვიხსნის, როგორ უნდა მოვიქცეთ ესპანეთში, რისი თქმა შეგვიძლია, რისი – არა, რა არის ნებადართული, რა – აკრძალული, წყენისა და დამცირებისგან გული კინაღამ გამისკდა. როგორ უნდა მეჭიროს თავი საზოგადოებაში – ეს ბავშვობაში მშობლებმა საკუთარი მაგალითით მასწავლეს. ეს მათ, როგორც იტყვიან, ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი! ეს ვინ გამომიხტა აქ, ჭკუის მასწავლებელი! უცებ ყვირილი მომინდა: „გაჩუმდით, თქვე ხეპრეებო!" ხეპერეობა კი, თუ არტურ მილერის პერეფრაზს გავაკეთებთ, იგივე ფაშიზმია! თქვენ ნამდვილი ფაშისტები ხართ, გლეხუჭები, მდაბიოები! დამეკარგეთ აქედან და ნუ მასწავლით, როგორ უნდა მოვიქცე! გთხოვთ!

ამ რაუნდში ანტიგონემ გაიმარჯვა, მაგრამ კრეონტი კიდევ ერთხელ ცდილობს გადაარწმუნოს იგი (რამდენ დროს კარგავს ამ ჯიუტ გოგოსთან კამათში). კრეონტი პოლიტიკური ბრძოლის არსის ახსნას იწყებს. ცდილობს გააგებინოს ანტიგონეს, რომ მისი ორივე ძმა ნაძირალაა, ორივე ხელისუფლებას ებრძოდა და ერთის განდიდება, ხოლო მეორის დამცირება – მხოლოდ პოლიტიკური თამაშია და სხვა არაფერი. სიკვდილის შემდეგ მათი სახეებიც კი ვერ გაარჩიეს – რომელი იყო ეთეოკლე და რომელი – პოლინიკე, ამიტომ, ღმერთმა იცის, ვინ წევს ახლა ბრძოლის ველზე. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას?! კრეონტი უცებ გადაწყვეტს, ყველაფერი აუხსნას ანტიგონეს: „გგონია, მართლა არ მესმის, რომ მთელი ეს იმპერია ცარიელი ბლეფია? მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცევი. გესმის, უფლება არა მაქვს! არა მაქვს! სხვაგვარად, ყველაფერი დაინგრევა და ჩვენც ამ უზარმაზარი იმპერიის ნანგრევებში მოვყვებით.

ანტიგონე დუმს.

კრეონტმა იფიქრა, როგორც იქნა, ანტიგონე გადავარწმუნე და გადმოვიბირეო. მიუახლოვდება, რაღაცას გაეხუმრება.

ეს ორთაბრძოლის მეორე ეტაპის ფინალია

24. **კრეონტი, კრეონტები** (ისინი ხომ გამორჩეული პიროვნებანი არიან, რომელთაც ხელეწიფებათ საზოგადოებრივი აზრის შექმნა, პოლიტიკური სვლების გათვლა. მათ იციან, როდის უნდა გამოიყენონ ძალა, როდის – წაახალისონ. დიდი პოლიტიკური თამაშის ნამდვილი ოსტატები არიან), **მაინც არ არიან ოიდიპოსები – გმირები!**

მათ ხელშია ადამიანების, საზოგადოების, სახელმწიფოთა ბედი. ისინი აღტაცებას ინვევენ, ფანატიკოსები მათზე ლოცულობენ, აღმერთებენ მათ. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ დიქტატის, ძალადობის ქვა ააგორონ. ისინი ყოველთვის სასახლის კედლებს მიღმა არიან, მათ ვერ ხედავენ. ისინი არიან იქ, სადაც სახელმწიფოების ან ხალხის ბედი წყდება – ყოვლის შემძლე, ბრძენი ადამიანები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვფიქრობდით.

მაგრამ აი, გააღეს კრემლის კარი და აღმოჩნდა, რომ იქ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები მუშაობენ, თავისი სისუსტეებით, სურვილებითა თუ ვნებებით. მხოლოდ გარედან ჩანს, თითქოს ისინი განსაკუთრებული, შთაგონებული (მაო ძე დუნი კარგ ლექსებსაც კი წერდა), სამართლიანი ადამიანები არიან. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი კარიერისტები ყოფილან. კრეონტი თავის პოლიტიკურ მანქანას იცავს, ამავე დროს – დემოკრატიას თამაშობს. იგი, თავისებურად, შეიძლება სხვებზე უკეთესიცაა – ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა, უყვარდა მუსიკა, შეყვარებულიც იყო. აი, ისეთი, როგორც დღეს ჰემონია.

ანტიგონე ხვდება, რომ კრეონტი ცდილობს აიძულოს ისე იფიქროს და იმოქმედოს, როგორც ეს ბიძას თავის მტრებთან ბრძოლაში სჭირდება დღეს არსებულ ვითარებაში.

მუსიკა. ბეთჰოვენის „ბაგატელები".

25. **ანტიგონეს ამბოხი.**

აი, სად იფეთქა ოიდიპოსის სისხლმა! ანტიგონეს ნერვიული შეტევა – ნამდვილი ისტერიკა ემართება. ფანჯარასთან მიირბენს, გააღებს და მთელი თებეს გასაგონად მორთავს ყვირილს, ახლა ესაა მთავარი! გამოვარდება ისმენე და ისიც დას უჭერს მხარს, კრეონტი შეეცდება გააჩეროს დისშვილი, მაგრამ გააფთრებული ანტიგონე მივარდება კრეონტისეული ნესრიგით განლაგებულ სკამებს და სათითაოდ ძირს ანარცხებს მათ. კრე-

ონტი თავის ადგილას აბრუნებს, ანესრიგებს სკამებს, ცდილობს გააჩეროს ანტიგონე. მას არ უნდა დაუძახოს ჩაფრებს, მაგრამ ანტიგონე.. და დაუძახებს კიდეც!

საგანგებო სირენის გაბმული ხმა.

26. **ჩაფრები ანტიგონეს ხელს ჩაავლებენ** და მიპყავთ, კრეონტი ზურგს შეაქცევს, ის კვლავ სკამების დალაგებითაა დაკავებული, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი სხვა არაფერია, აუცილებელია წესრიგი, წესრიგი და კიდევ ერთხელ წესრიგი!

ისმენე ანტიგონეს გაედევნება, ნამდვილად მას მისდევს? შუა მოქმედების დროს შემოჭრილი ქორო ცდილობს შეაჩეროს მოქმედების მსვლელობა, შეაჩეროს კრეონტი და დააბრუნოს ანტიგონე, კაცობრიობა ცდილობს შეაჩეროს ტრაგედიის დატრიალებული ბორბალი, კრეონტი შეუვალია.

27. **შემორბის ჰემონი, ემუდარება მამას,** გადაარჩინოს ანტიგონე, თუნდაც მისი, ჰემონის გულისათვის. შვილმა პირველად დაინახა მამის თვალებში სიკვდილი. მას უნდა, რომ კრეონტი სხვანაირი იყოს. ჰემონს არ სურს მამას დაემსგავსოს! არა და, როგორ უყვარდა მამა! უცებ ჰემონის შემზარავი ყესტი:

„მიშველეთ!" ის ვერ გადაიტანს ანტიგონეს დაკარგვას!

აქ სპექტაკლის კულმინაციაა.

მუსიკა. ბეთჰოვენის „ბაგატელები".

28. **ეს სპექტაკლი ხეპრეობის და ფაშიზმის წინააღმდეგ ამბოხებაზე მოგვითხრობს.** ვიღაცამ პირველმა დახუჭა თვალი სახელმწიფო დანაშაულზე საკუთარი სარგებლის გამო და როცა უნდა ეთქვა „არა", თქვა – „კი". დემოკრატია გაიყიდა. ასე იყიდება სისტემა, მეთოდი, მცნებები (მათ თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებენ), რწმენა, მერე ყველაფერი გაცილებით ადვილად ხდება – თავისით მიგორავს, თანდათან ეჩვეოდნენ სიყალბეს და ლოზუნგს – „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" – სიმართლედ „მიიჩნევდნენ". ვინ პროლეტარები, რა პროლეტარები, სად არიან ეს პროლეტარები და საერთოდ, რატომ უნდა შეერთდნენ? გარშემო ყველაფერი სიყალბემ მოიცვა. ხეპრეები ისე გამრავლდნენ, როგორც სარეველა ბოსტანში. ჩვენ კი გვიხარია, ეს რა მოსავალი მოსულაო!

ანტიგონეს ჩაფრები მიათრევენ, მათთვის სულერთია, ვის წაათრევენ – კრეონტი მათ ზურგს შეაქცევს.

ვგრძნობ თავს და მოწყენილობისგან, ჩვეულებისამებრ, საკუთარ შეგრძენებებს ვიწერ. რაღაც საშინელებაა. კითხულობენ ვიღაცის მიერ წინასწარ გამზადებულ მოხსენებებს. იმეორებენ გაზეთებში ათასგზის დაბეჭდილს, ერთსა და იმავეს ტკეპნიან. უშველებელ დარბაზში საშინელი ყაყანი დგას – ყველა საუბრობს, მომხსენებელს არავინ უსმენს. ხელისუფლების პირამიდა კარგად ჩასუქებული, პირგაპარსული მოხელეებისგან შედგება. მათთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტ ხანს შეინარჩუნონ თავიანთი რბილი სავარძლები. ყველა ჩუმ-ჩუმად ლანძღავს კომუნისტურ სისტემას, მაგრამ, ამავე დროს, მშვენივრად სარგებლობს ამ დრომოჭმული ფენომენის პრივილეგიებით. ჩემი მეგობარი მსახიობი-დელეგატი გალეწილი მთვრალი დგას მასსავით ნასვამ ხალხში და ლაზღანდარობს. რა გვინდა აქ? რას ვაკეთებთ? ხომ აშკარაა, რომ ყველას, ამ კონფერენციის მომწყობთა ჩათვლით (არც კი ვიცით, რა მიზეზით მოეწყო კონფერენცია და საერთოდ, რატომ მოგვიწვიეს?), რომ იტყვიან, ცალ ფეხზე გვკიდია ეს ყველაფერი. ყველა შესვენებას ელოდება, რომ ბუფეტში ნავიდეს. ამბობენ, იქ ნითელი და შავი ხიზილალაა, ზუთხი, ჩეხური ლუდი. ამიტომაც ვართ ფოიეში და არა სხდომათა დარბაზში. ეს გრანდიოზული ფარსია, ჩვენ კრეონტის ჩაფრებივით ვართ: რასაც გვიბრძანებენ, იმას ვასრულებთ. ყველაფერი წინასწარ შემუშავებული გეგმით მიმდინარეობს. ამიტომაც არის ასეთი აუტანელი და შესაზარი.

სახლში მინდოდა ნასვლა, მაგრამ კართან ორმა ახალგაზრდამ (ჩაფარმა) მკაცრად გადამიღობა გზა: „არ შეიძლება, ყველა ასე რომ გაგიშვათ, დარბაზში აღარავინ დარჩება". ბუნაგში დაბრუნება მომიხდა. წესით უნდა მეთქვა „არა" და ნავსულიყავი.

29. **ანტიგონე მარტოა ჩაფართან.** ეს არის უკანასკნელი ადამიანი, ვისაც იგი ხედავს. ჩაფარი, ვითომც არაფერი, თხილს ამტვრევს და ხმაურით ღეჭავს. ლაპარაკობს პენსიის შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს. პატარა ანტიგონე შიშმა აიტანა, დამფრთხალი ჩიტივითაა მობუზული. მისი „არა" სასახლის სიცარიელეში დარჩა, მის ამბოხს თებემდე არ მიუღწევია, იგი ემუდარება ჩაფარს (ოიდიპოსის ბეჭედს ჩუქნის), ჩაინეროს წერილი, რომელსაც ანტიგონე უკარნახებს და იგი ჰემონს გადასცემს.

ანტიგონეს წერილი

„ჩემო საყვარელო!" გადავწყვიტე მოვკვდე და შენ, ალბათ, გადამიყვარებ. კრეონტი მართალი აღმოჩნდა, რა შემზარავია ეს ყველაფერი! ახლა, ამ ადამიანის გვერდით, აღარც კი მესმის, რისთვის ვკვდები, მეშინია. ო, ჰემონ, ჩვენი პატარა ბიჭი, ჩვენი ოცნება.. მხოლოდ ახლა მესმის, რა მარტივი ყოფილა სიცოცხლე. მაპატიე, საყვარელო! პატარა ანტიგონე რომ არა, ყველანი გაცილებით მშვიდად იქნებოდით. მიყვარხარ!"

საშინელი წერილია. იგი ბევრ რამეს მაგონებს.

წერილის გადაცემა ვერ მოასწრეს. ანტიგონე გაჰყავთ. ყველაფერი ძალზე მარტივია. ოდესღაც მეც ასე მივყავდი, ომის დროს, დასახვრეტად, თივის ზვინების მახლობლად. ასეთია ცხოვრება!

30. **ეს უკვე დასასრულია.** ქორო კრეონტს ჯერ ევრიდიკეს, შემდეგ კი – ჰემონის სიკვდილს აცნობებს.. კრეონტი ყველაფერს აიტანს.

31. **კრეონტი მარტოა** (მის გვერდით პატარა ბიჭუნაა – მისი სინდისი). სამსახურში მიდის. დღეს ბიუროს სხდომაა, მოხსენება უნდა გააკეთოს. ჩვენ საზოგადოებაში, ძველებურად, ყველაფერი რიგზეა.

32. **ქორო – ფინალი.**
სადღაც სიბნელეში მიქრის მანქანა. ისმის სასწრაფო დახმარების სირენის განმგმირავი წივილი, ავისმომასწავებლად ციმციმებს ნათურა მანქანის სახურავზე, მაგრამ, ხომ არ დააგვიანა?

ვინ არის ეს ხალხი? რა საზოგადოებაა? უნდათ ყველა დაარწმუნონ, რომ ხალხზე ზრუნვის მეტს არაფერს აკეთებენ, რომ შეცდომა არ მოსდით, ცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს ბევრს მუშაობენ, ძალიან იღლებიან (სინამდვილეში არავინ არაფერს აკეთებს. შეიძლება, მარტო კრეონტი მუშაობს).

ვიღაცის თვალის ასახვევად მოხსნიან მინისტრს, მერე იქვე, უფრო მაღალ თანამდებობაზე დასვამენ. მათ განსაკუთრებული სახლები და აგარაკები აქვთ, თავიანთ შვილებს სპილოებზე სანადიროდ, აფრიკაში გზავნიან, სიცრუე წლობით გროვდება. ყველას რაღაცის ან ვიღაცის ეშინია. კრეონტი ხსნის და ნიშნავს არა იმის მიხედვით, რამდენად სასიკეთოა ეს და წაადგება თუ არა საქმეს, არამედ იმის მიხედვით, რამდენად საჭიროა ეს დღეს მისი პოლიტიკისათვის. ეს თამაშია, დიდი თამაში. კრეონტმა მშვენივრად იცის, რომ მავანი და მავანი ნაძირალაა, მიუხედავად ამისა, მას ახალ თანამდებობაზე ნიშნავს. კრეონტს შეუძლია იფიქროს ერთი, აკეთოს მეორე, იმის მიხედვით, რა უფრო საჭიროა მისთვის დღეს. შეიძლება ვიღაცას ვერ იტანდეს, სხვების გასაგონად კი აქოს და ადიდოს – ოიდიპოსისათვის ყველაფერი გაცილებით ადვილი იყო. ერთია ეძიო სიმართლე და შეუდარებლად მძიმეა – მართო საზოგადოება, სადაც ყველა ტყუის და იძულებული ხარ, ფხიზლად ადევნო თვალი, შემთხვევით ვიღაცას სიმართლე არ წამოსცდეს.

ანტიგონეს სული ეხუთება სიყალბისა და სიცრუის ამ აუტანელ ატმოსფეროში. არა და, რა ადვილია ბედნიერი იყო ამ საზო-

გადოებაში: საკმარისია არ გქონდეს საკუთარი აზრი და იმეორო ყოველივე ის, რასაც გაზეთებში წერენ. აი, როგორც ისმენე. თუმცა, ვინ იცის, არც მთლად ასეა საქმე...

33. ოიდიპოსი ყოველთვის სიმართლეს ეძიებდა, მიზეზებს ჩხრეკდა. ჩაჰკირკიტებდა. კრეონტი ცდილობს მიჩქმალოს მიზეზები, არ გამოამზეურეს. ამიტომაც ქმნის ილუზიას: „ჩვენთან ყველაფერი რიგზეა!" ოიდიპოსი – მრავალთაგან ყველაზე გამორჩეულია, ის საზოგადოების ნაწილია, მას არ ძალუძს ხალხს სიმართლე დაუმალოს. კრეონტი ერთია, ერთ-ერთი, ვინც უნდა ატყუოს მრავალნი და მრავალნი, რათა დაარწმუნოს, რომ „ყველაფერი რიგზეა". კრეონტი ამბობს: „ანტიგონე იმისთვის არსებობდა, რომ უნდა მომკვდარიყო. შეიძლება თვითონ არც კი ჰქონდა გათვითცნობიერებული, მაგრამ პოლინიკე მხოლოდ საბაბი იყო. ანტიგონე იძულებული რომ ყოფილიყო, ამ საბაბზე უარი ეთქვა, ის, უეჭველად, რაიმე სხვა საბაბს მოძებნიდა. მისთვის ყველაზე მთავარი იყო ეთქვა „არა" და მომკვდარიყო".

დაიბადე, ანტიგონე!

გაიღვიძე, ანტიგონე!

მოდი, ანტიგონე!

ანტიგონე საზოგადოების სინდისია, მისი იმედი!



გუშინ „ანტიგონეს“ განხილვა იყო. ჩემი სპექტაკლების განხილვა ყოველთვის დაძაბულად, კონფლიქტურად მიმდინარეობდა.

მთავარი მოხელე – რაზეა ეს პიესა?

II მოხელე – ანუის დრამატურგია მეზიზღება. როგორ შეიძლება ანუის დადგმა, როდესაც სოფოკლე არსებობს, თანაც დღეს, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში ასეთი ამბებია!

III მოხელე – სპექტაკლი ძალიან კარგია, მაგრამ რისკენ მოგვიწოდებს? და სწორედ მაშინ, როდესაც ევროპაში საშინელი ამბები ტრიალებს. სპექტაკლი ასოციაციებს ბადებს. ის რა, ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული?

ტელეფონით: მიშა, შენ არ გესმის! ბრწყინვალე სპექტაკლი დადგი!

მე (დიდხანს ვლაპარაკობ) – ვერ გამიგია, კონკრეტულად რა ასოციაციები გებადებათ? ე. ი. გამოდის, რომ სპექტაკლი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული?

მთავარი მოხელე – მე, როგორც უფროსი, მოვითხოვ, რომ ჩვენს პოლიტიკას ანგარიში გაუწიოთ.

თეატრის დირექტორი (ჩუმად) – ნუ ნერვიულობ, არ მიაქციო ყურადღება.

მე (აღელვებული დიდხანს ვლაპარაკობ) – მაშინ მოხსენით სპექტაკლი, პრინციპულები ხომ უნდა იყოთ. მოხსენით, მოხსენით სპექტაკლი.

მთავარი მოხელე – რატომ? ჩვენ არ მოვხსნით სპექტაკლს, ჩვენ მხოლოდ ვმსჯელობთ, შემდეგ კი შესაბამის დასკვნებს გამოვიტანთ.

ქალბატონი უფროსი – რატომ უნდა მოვხსნათ? სპექტაკლს მაყურებელი არ ეყოლება. ის ისედაც მოხსნის თავის თავს.

მთავარი როლის შემსრულებელი – არაფრით არ მეგონა, რომ ასე მოიქცეოდი. ლანძღავ პიესას მაშინ, როდესაც თვითონ დაამტკიცე.

II მოხელე – თავიდანვე ვამბობდი, რომ საჭიროა სხვა რეჟისორი მოვიწვიოთ და საერთოდაც, სოფოკლე დაიდგას, რენესანსი...

ხელოვნებათმცოდნე – არ მესმის, რა შუაშია აქ რენესანსი?

მე (აღელვებით) – კი მაგრამ, ვერ გამიგია, რა გინდათ? ჩაფრებს ხელებზე სვასტიკა გავუკეთოთ – აქაოდა, ჩვენ არ გვეხებაო, თუ რა? ამით ხელოვნება უკეთესი გახდება?

თეატრმცოდნე – ყოჩაღ, ბატონო მიხეილ, ყოჩაღ.

ქალბატონი უფროსი – მაყურებელი მაინც არ ეყოლება ამ სპექტაკლს.

მთავარი მოხელე – რა ანგარიშით დამთავრდა ფეხბურთი?

მსახიობი (ჩუმად) – კარგი იქნებოდა, სპექტაკლი რომ მოეხსნათ.

მე (აღელვებით) – დამანებეთ თავი, თქვენი პოლიტიკით.

ხმები – გილოცავთ, გილოცავთ! მშვენიერი სპექტაკლია!

მიხეილ თუმანიშვილი

მთავარი მოხელე – აი, ახლა სულ სხვა ამბავია. აქცენტები შერბილდა, დაზუსტდა. (არადა, ისე ვიყავი გულდაწყვეტილი, არც კი მივკარებივარ სპექტაკლს და ბუნებრივია, არაფერი შემიცვლია).

მსახიობი (აღელვებით) – ბატონო მიხეილ, ყველა აღიარებს, რომ ეს თქვენი საუკეთესო სპექტაკლია!

დირექტორი – არა, კოპოუტი* მაინც სხვა იყო!

პრიმადონა (დილით, ტელეფონით) – მიშა, მთელი ღამე არ მიძინია. მართალია, თვითონ არ მინახავს, ვწევარ, მაგრამ მითხრეს, რომ რაღაც საოცრებაა. ისე ვნერვიულობ, მეშინია, ამ გამარჯვებას რამე ცუდი არ მოყვეს. მთელი ღამე არ მიძინია, ნემსი გამიკეთეს. ზინა მართლა კარგია?

ნაცნობი – მიშა, გილოცავ, ძალიან კარგი სპექტაკლია. ვიღაცეებმა კი თქვეს, რომ წარმოდგენა ხელისუფლების წინააღმდეგ არისო?

ეროსი – კონიაკი ჩემზე იყოს!

ტოლია ეფროსი – ეს ნამდვილია, ძალიან დიდი და პროფესიონალური. ეს რიხტერის კატეგორიის ხელოვნების მოვლენაა. ყველაფერი ისე ზუსტადაა მოძებნილი, გადაწყვეტილი... მოხუცი (ს. ზაქარიაძე) არაჩვეულებრივია. ეს ისეთი სპექტაკლია, რომ შენ იმპერატორივით შეგიძლია იარო.

ნამდვილი ოსტატი ხარ და რას გეტყვი, იცი – რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, ერთი მაგათი...

ნაცნობი რეჟისორი– მომილოცავს, ნამდვილი ასპროცენტიანი სპექტაკლია. სხვათა შორის, გუშინ ოპერაში ორმა მომღერალმა ისე იჩხუბა! ჰა-ჰა-ჰა!

სახლში – როგორ დაიღალე. შენ თვითონ თუ ხარ კმაყოფილი?

(ჩუმად, თითქმის ჩურჩულით) – ძალიან მომეწონა.

1967-68 წ.წ.

---

* მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლი, ჰ. კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია".

თორნთონ უაილდერი



„ჩვენი პატარა ქალაქი“ – ჩანაფიქრის მონახაზი

1. ცარიელი სცენა. გამოდიან მსახიობები სავარჯიშო კოსტიუმებში. ვარჯიშს ატარებენ. იგი მუსიკის თანხლებით, საინტერესოდ უნდა დაიდგას.
2. გამოდის რეჟისორის ასისტენტი, სცენას ამზადებს და წარსულზე მოგვითხრობს.
3. მსახიობები ქალაქის შეგრძნებას აფექტურად ქმნიან.
   მსახიობთა ნანილი მეგობრების ქცევას ხმაურების ორკესტრით ახმოვანებს. თანდასწრების ეფექტი.

მიხეილ თუმანიშვილი

5. სცენას ძველი ქართული სასაფლაო გადმოჰყურებს. მისი ქვები, კვიპაროსები. თითქოს მდინარეში ირეკლება. ან იქნებ ეს ქალაქის გადაბრუნებული მაკეტია? ზუსტად იმ ადგილების თავზე სადაც მოქმედება ხდება?
6. ომის წინა პერიოდის ქუთაისისთვის დამახასიათებელი კოსტიუმები.
7. სცენა წარმოადგენს ოთახს, მსახიობის ოსტატობის გაკვეთილის ჩასატარებელ კლასს, დარბაზს. კლასიკური ცეკვისათვის აუცილებელი მოაჯირები, ტუმბოები, სკამები, ორი მაგიდა, ორი კიბე, ტრაპეციები, ბურთები, ჯოხები (ალექსიძის სავარჯიშო). სცენაზე მინიმალური რაოდენობის საგანია.
8. საკლასო დაფა, ცარცი, რომ დავნეროთ და დავხატოთ (განცხადებები, სიყვარულის ახსნა, თანაშემწეს შეუძლია დახატოს დედამიწა, გაბურღოს იგი და ჯიბიდან პატარა ამერიკული ქალაქის რუკა ამოიღოს).
9. აი, მუსიკა კი ჯერ არ ვიცი, როგორი უნდა იყოს ან როგორ გამოვიყენო.

იქნებ „სეჩუანელი კეთილი ადამიანის" ჩანაფიქრი გამოვიყენო და ქალაქი შევქმნა?

იქნებ დეკორაცია – ბავშვის ნახატებია?

ეს ნინელიზე და ჩემზეა – ჩვენი სევდიანი ისტორია.

25.10.81 წ.

სპექტაკლის დასაწყისი („ჩვენი პატარა ქალაქი")

ცარიელი სცენა. შუაში დგას „ლამპარი", რომელიც შემდეგ ქრება. შესაძლოა, ეს ლამპარი კი არა, საფლავის ქვაა: ძველი ქართული საფლავის ქვები ან ქანდაკება, შემდეგ ყოველივე ეს ზემოთ ადის, ოღონდ – პირიქით. თითქოს ცხოვრება ზეცაში აისახება.

სცენის წინ, ორივე მხარეს, ორი მოედანია გამხომვანებელთა ორკესტრისათვის. ყოველ როლზე ორი მსახიობი ინიშნება: ერთი თამაშობს, მეორე კი – მოქმედ პირთა „აფექტურ" ქმედებას აბმოვანებს და პირიქით. სასაცილო ინსტრუმენტები აქვთ, როგორც სერგეი ობრაზცოვს. ადამიანის ძვლებიც კი შეიძლება ჰქონდეთ.

შემოდის თანაშემწე, სცენის მუშებს ავეჯისა და კიბის დადგმაში ეხმარება. მაყურებელს ხმამაღლა არ ესაუბრება, მისდამი ნდობითაა გამსჭვალული. საქმის კურსში შეჰყავს, უხსნის, რომ მაყურებელი რიტუალის მონაწი-

ლეა და არა სპექტაკლისა. მსახიობები სპექტაკლს კი არ თამაშობენ არამედ თვითონ განიცდიან მთელ ამ რიტუალურ პროცესს. აჩრდილთა და აზრთა, გრძნობათა სამყაროში გადასახლდებიან, ამ ქვეყანას შორდებიან.

მუსიკა – ორღანის ხმა.

შემოდიან მსახიობები. თითქოს გათავისუფლდნენ ყოველგვარი მიწიერისგან, ჩვეულებრივისგან, ოჯახურისგან; ყოველდღიურ ფაციფუცს განუდგნენ. მათ სხვადასხვანაირი სავარჯიშო კოსტიუმი აცვიათ, ვისაც როგორი მოწონს და უხდება. კოსტიუმები ძალიან ეფექტური უნდა იყოს, თავისუფალი, თან – მსახიობს უხდებოდეს.

იწყება ტრენაჟი – რიტუალი: სიზმრების, ჩრდილების ქვეყანაში გადასახლება. ხელოვნების ჰიპნოზი. მაყურებელს ამ მასობრივ ჰიპნოზზე დასწრების უფლება აქვს. აქ ყველაფერი ბ. ბრეხტის ეპიკური თეატრის საწინააღმდეგოა! აქ ყველაფერი მისტიკური, ყოველდღიურობისგან თავისუფალია.

კონკრეტული ქმედების დასაწყისში მსახიობები, რიგრიგობით ჩამოდიან სცენასა და მაყურებელთა დარბაზის კედელს შორის არსებულ გასასვლელში და სხვადასხვა ქუდს, თავსაფარს, ფეხსაცმელსა თუ ქამარს ირგებენ. დანარჩენი ყველაფერი – აფექტურად.

თანეშემწე ქალაქის შესახებ გვიყვება, მსახიობები კი მის კონტურებს აფექტურად ქმნიან (მოძრაობით, მზერით, ატმოსფეროთი).

ეტიუდის აზრი: ვაჩვენოთ, როგორ იქცევიან ადამიანები რობოტებად, როგორ აღმოჩნდებიან საშინლად საქმიან ორომტრიალში, ყოველდღიური ცხოვრებისეული აურზაურის გამო.

ეტიუდი: ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება!

იდეა: ადამიანებო, შეჩერდით, ნუ ჩქარობთ, მიმოიხედეთ, მიაქციეთ ყურადღება იმას, რაც თქვენ გარშემო ხდება, მათ, ვინც თქვენ გვერდითაა.

ფორმა: ადამიანთა არაბუნებრივი ქცევა ცხოვრებაში. შევადაროთ იგი ლომს, რომელსაც, როგორც ამბობენ, დღე-ღამეში 16 საათი სძინავს, 1 საათს ნადირობს და ჭამს, დანარჩენი 7 საათი კი – აკვირდება, ფიქრობს, არ ჩქარობს. (მან რომ წერა-კითხვა, ხატვა ან სხვა ამგვარი რამ იცოდეს!). ზოგჯერ თამაშობს, ნებივრობს, მომავალი ნადირობის რეპეტიციას გადის, მაგრამ ყველაფერს აუჩქარებლად აკეთებს, როგორც იმ სავარჯიშოს, ტრენაჟს, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს.

სავარჯიშოები: მსახიობებთან ერთად „სიზმრობანა“ ვითამაშო.

იწყება ტრენაჟი. მასში მონაწილეობა მხოლოდ იმ მსახიობებმა უნდა მიიღონ, რომლებიც კარგად გამოიყურებიან – ეს სანახაობაა!

1. ტანვარჯიში (ძალიან ლამაზად დადგმული) – შინაარსი: ცხოვრება.
2. ლასო (ძალიან ბობოქარი სავარჯიშო) შინაარსი – ცხოვრების არსი.
3. ენის გასატეხები – შინაარსობრივად, ცხოვრების არსის შესახებ (დავავალო ასისტენტს).
4. სიჩუმის მოსმენა (ნირვანაში გადასვლა).
5. რიტუალი (ექსტაზი).

ისე გავაკეთოთ ფიზიკური სავარჯიშოები, რომ ვიგრძნოთ და დავინახოთ საკუთარი მოძრაობა, გვერდიდან შევაფასოთ იგი ისე, თითქოს სხვისია. ლამაზ, ესთეტიკურ მოძრაობად ვაქციოთ.

ვარჯიშის 2 ეტაპი:

1. წარმოსახვით მოიხმეთ გარდაცვლილი ნაცნობები.
   ა) შეიგრძენით ისინი
   ბ) დაინახეთ
   გ) დაათვალიერეთ
   დ) შეაღწიეთ მათში

„ჩვენი პატარა ქალაქი“

3 ნაწილი: გაღვიძება
დღის დასაწყისი
გიჟური მანქანა ამუშავდა!

დილა გამახსენდა ჩვენ ეზოში ჯავახიშვილის ქუჩაზე.

1. მეეზოვე ქუჩას და ეზოს გვის.
2. მერძევეს რძე მოაქვს ნისიად. თავისი ბიდონიდან დიასახლისს ქვაბში უსხამს. კედელზე ვალის რაოდენობას აღნიშნავს.
3. მუშა ქარხანაში მიდის.
4. ვილაცამ ნაგვის ვედრო გამოიტანა, ნაგვის ყუთს თავი ახადა, შიგ ნაგავი ჩაყარა, ყუთს თავი დაახურა, ონკანთან მივიდა, ვედრო გამორეცხა.
5. ონკანთან ორნი იბანენ. ერთი – საფუძვლიანად, წელამდე შიშველი იბანს, მეორე – ზერელედ, მხოლოდ თვალებს ისველებს. ეს პროცედურა არ სიამოვნებს.
6. რიგი საპირფარეშოსთან.

7. ახალგაზრდა კაცი ვარჯიშობს (შურა ვლადიმიროვი).
8. ვიღაც შეშას ხერხავს, შემდეგ კი ნაჯახით ჩეხავს.
9. ვიღაც პურის საყიდლად მიდის.
10. ვიღაცამ გარეცხილი თეთრეული გამოიტანა და ონკანის ქვეშ ავლებს. მერე თოკს ჭიმავს, თეთრეულს ფენს, თოკს ჯოხს შეუდგამს.
11. მეწაღე კუთხეში ჯდება. გამოაქვს თავისი სკამი, აბრა (დახატული ფეხსაცმელი), მაგიდა ინსტრუმენტებით. მუშაობას იწყებს. აფექტურად ურტყამს.
12. ვიღაც ფანჯრებს წმენდს.
13. ვიღაც ბაღჩაში მუშაობს, ვარდებს კრეფს, თაიგულს აკეთებს, ყნოსავს. შემდეგ ბაღჩას სარეველებისაგან ასუფთავებს, ტოტებს ჭრის.
14. ვიღაც ნავთქურასთან საქმიანობს – ნავთით ავსებს, ფითილს წმენდს, ანთებს, ჩაიდანს დგამს. საუზმეს იმზადებს და ა. შ.
15. დანების მლესავი მოდის. მასთან დანები მოაქვთ, იგი ლესავს.
16. „სტარი ადიოჟ პოკუპაი“ მოდის ტომრით.
17. „აკოშკი – შუშები!“ მოდის თავისი ყუთით.
18. „მიწა, მიწა, ყვავილების მიწა!“ გაჰყვირის კიკეთელი გლეხი.
19. ერთი ქალი ქათმებსა და ინდაურებს გუშინდელ ღომს უყრის.
20. მეორე კი – ნოხს ფერთხავს. მეზობლები დემონსტრატიულად ხურავენ ფანჯრებს.
21. ბოლოს ყველაფერი აფუსფუსდა, დატრიალდა, აქეთ-იქით დარბიან, მიდი-მოდიან, ძლივს სუნთქავენ.

თორნთონ უაილდერი
„ჩვენი პატარა ქალაქი“
(გადმოაქართულა რეზო გაბრიაძემ)

ფარდები, მიტოვებული საცხოვრებელი. ფანჯრებისა და კარების გატეხილი ჩარჩოები, დამტვრეული შუშა, აბლაბუდა. ხრწნის კვალი. ორპირი ქარი ოთახებში დასეირნობს. ერთ ლურსმანზე ბაბუა გრიშას ოჯახის ფოტოა ჩამოკონწიალებული. სულ მთლად გაყვითლებულა. იქ ოდესღაც ვიღაც ცხოვრობდა. ამ ხარახურაში მოჩანს ძველი, ომამდელი პატეფონი, ძველი ფირფიტები: პეტერი, არგენტინული ტანგო, ფოქსტროტი: მტვრით დაფარული გიტარა. როდესაც რეჟისორის თანაშემწე ხელში რაღაცას იღებს – მტვერს სულს უბერავს. ოთახში რაღაც ეკლიანი ტოტები შემომძვრალა. იატაკზე მცენარეები ამოიზარდა.



საათი გაჩერებულა: იქნებ მექანიზმია ამოცლილი? ზამბარაა გამოშვერილი. დიდი ქოთანი გამხმარი ფიკუსით. აქ ოდესღაც ადამიანები ცხოვრობდნენ, ფუსფუსებდნენ, ერთმანეთი უყვარდათ, ოჯახებს ქმნიდნენ, განიცდიდნენ, კვდებოდნენ, ერთი მეორეს მარხავდნენ. შეიძლება კუთხეში **სასაფლაოს ძველი ქართული ქვაა** მიყუდებული, წარწერით (ნეტავ საიდან აღმოჩნდა აქ?). **ლუდის კათხა**, ლუდი ამოშრა და ყვითელი ლაქა დატოვა. ქარი ფარდებს არხევს, ძველ, ჭუჭყიან ფარდებს. თავის ქალა...

ოდესღაც აქ ცხოვრობდნენ, ახლა კი – არავინაა. ყველა წავიდა. ძველი საცხოვრებელია, ოდესღაც აქ მცხოვრებთა შთამომავლები, მათი მომდევნო თაობა კორპუსების ბინა-სკებში გადასახლდა, აქ კი ყველაფერი ისე დატოვა, როგორ ოდესღაც იყო. აქ სამყაროა.

აი, გამოჩნდენ ვარსკვლავები, აჩრდილები, მოგონებები, კუთხეებში მოხეტიალე სულები გაჩნდნენ.

ქვიშის საათი. ქვიშა ცვივა, ხელიდან გვეცლება, ჩვენ კი ამას ვერ ვამჩნევთ. რა კარგია, რომ ქვიშის ასეთ საათებს ყოველ წუთს არ ვხედავთ. თორემ, ხომ გაგვაგიჟებდა იმის შეგრძნება, რომ ქვიშა სულ ცვივა და ცვივა, სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება.

ნასახლარი. ოდესღაც აქ რაღაცას განიცდიდნენ, ფუსფუსებდნენ, რაღაცის მიღწევას ან შოვნას ცდილობდნენ. რისთვის? მხოლოდ დროებით, სანამ ჯერ კიდევ ცვივა ქვიშა ცხოვრების ქვიშის საათში.

პიანინო, სანოლი... მარჯვნივ და მარცხნივ აწერია ქუჩის სახელი, ნომერი და მობინადრის გვარი. პირველი და მეორე ფანჯრიდან ხის გამხმარი ტოტები ჩანს.

წერეთლის	წერეთლის
2	3
ალავიძე	გელოვანი

პირველი დღის მოვლენათა დაზვერვის მცდელობა

1. რეჟისორის თანაშემწის მიმართვა მაყურებლისადმი, მისი საუბარი თ. უაილდერისა და მისი ნაწარმოების გადაკეთების შესახებ (დაფა, ცარცი, ნაჭერი, ქალაქის რუკა).
2. ქალაქისა და დილის აღწერა.
3. კაკაურიძის ისტორია და მისი პირველი გამოჩენა. თეთრი ნაბადი (?)
4. ტანსაცმლის გამომჭრელი ებრაელი იანკალა. მისი გამოჩენა და ისტორია.
5. თანაშემწე ექიმ ალავიძის სახლის მდებარეობას უხსნის მაყურებელს.
6. თანაშემწე ამ საკითხის ლირიკულ კომენტარს აგრძელებს, მაგრამ... (?)
7. გელოვანის სახლზე ოდნავ მოგვიანებით მოგვითხრობს, ძირითადად – ფოტოგრაფ ფხალაძეზე (?)
8. გამჭვირვალე ფარდა ეშვება – იგი სამყაროს სიკვდილ-სიცოცხლედ ჰყოფს.
9. ნინო გამოჩნდება. იგი საქმითაა დაკავებული, თანაშემწე კი მისი გათხოვების შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ დაქორწინდნენ ნინო და ექიმი ალავიძე (ეს კარგია). შემდეგ გვიყვება მის გარდაცვალებაზე და დიმიტრის ნაღველზე (ეს ჩემზე და ნინელიზეა). თხრობისას ნინო გაუჩერებლად მუშაობს, როგორც მანქანა.
10. დიმიტრის და ნინოს შეხვედრა. მეუღლეები. ქმარი ცოლს თეთრეულის გაჭიმვაში ეხმარება. (რამდენი ყოველდღიური, გადაუდებელი საქმე გვაქვს!)

11. დიმიტრისა და წყლის დამტარებელ ისინკას შეხვედრა. საუბარი არაფერზე (კარგი).
12. ეპიზოდი მეშუშე თეოდორესთან. არაფერზე (კარგი). როგორც ცხოვრებაში.
13. დილა. ალავიძის ოჯახი იღვიძებს, ლაპარაკობენ, ყველა თავის საქმეს აკეთებს. ჩქარობენ, არ ჩერდებიან, დასაქოქი მანქანებივით არიან. გელოვანის ოჯახიც იღვიძებს.
14. დილის აურზაური ალავიძეებისა და გელოვანების ოჯახებში.
15. დილის აურზაური და ბავშვების სკოლაში გასტუმრება. ყველა აგვიანებს.
16. ნინო და ქეთევანი, სასწრაფო საქმის მიუხედავად, ჭორაობენ. ისინი რობოტებივით არიან. ნუთუ ამისთვის ღირდა ამ ქვეყნად დაბადება? მუდამ მოფუსფუსე, საქმეში მყოფი დიასახლისი, ყველაზე უმადური სპეციალობაა მსოფლიოში. მუსიკის თანხლებით მუშაობენ – პერპეტუუმ მობილე.
17. საიდუმლო – აღიარება. ძველი სიყვარულის დატირება (ნინო-ქეთევანი).
18. თანაშემწის გრძელი, მაგრამ კარგი, ლირიკული გადახვევა წარსულში.
19. თანაშემწე ქალაქის, თეატრის წარსულზე მოგვითხრობს (?)
20. ეპიზოდი სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში. საჭიროა?
21. იანკელა და კაკაურიძე. იანკელა კაკაურიძის ჩექმის ზომას იღებს. იგი აბასთუმანში მიდის. საჭიროა ეს ეპიზოდი?
22. არჩილ გამრეკელის ეპიზოდი. იგი თანაშემწის სილუეტს ჭრის (?)
23. თანაშემწე უყურებს, თუ როგორ ბრუნდებიან ბავშვები სკოლიდან თავიანთ სახლებში (ჩემი სკოლა გავიხსენო).
24. მამა-შვილის, დავითისა და ნესტანის შეხვედრა. გზადაგზა.
25. შეყვარებულობა – ნესტანის და გიორგის შეხვედრა (გავიხსენო ჩემი ნერილები ლიდასადმი).
26. დედა-შვილი. ქალიშვილი სკოლიდან დაბრუნდა: საუზმობს, იბანს, ან იქნებ შხაპს იღებს? ყველაფერი გზადაგზა ხდება, ყვირილ-ყვირილით, ინტიმური საუბარი სიყვარულზე. ამ შეკითხვებს გიორგისთან ნინა ეპიზოდის გავლენა ეტყობა.
27. თანაშემწის მსჯელობა კაცობრიობის წარსულის შესახებ (ბაბილონი).
28. სიყვარულის ახსნა. მხოლოდ ეს არის განსაკუთრებული მოვლენა (მთელი დღის განმავლობაში, დანარჩენი კი – აქეთ-იქით სირბილი და ფაციფუცია). ორი ტემპი (უკუსვლა). გიორგი და ნესტანი.
29. ჭკუის დარიგება ძილის წინ, ყოველი შემთხვევისათვის. მამა ამთქნარებს, გიორგი ნესტანზე ფიქრობს – ყველას თავისი საზრუნავი აქვს და ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევენ.
30. ღამეა. სიჩუმე. სადღაც ჰერცოგის არია ისმის „რიგოლეტოს“ V მოქმედებიდან, რომეოსა და ჯულიეტას გარდა, ყველას ძინავს. აქ უსიტყვო სცენაა.

ვფიქრობ, რომ ყველა ეს ეპიზოდი, მოქმედ პირთა გავლა, ერთი სცენიდან მეორეზე გადასვლა – ჩვენი გიჟური ცხოვრების ერთიან, უწყვეტ სურათად, მოდელად უნდა ვაქციოთ. აქ არავის სცალია, ყველა დაკავებულია, ყველას სადღაც ეჩქარება, ვერ ამჩნევენ რა ხდება მათ გარშემო. ყველა – მხატვრების, პოეტებისა და მუსიკოსების გარდა. მაგრამ ეს მათი სპეციალობაა, პროფესია. სხვები კი დღე და ღამე მუშაობენ და მაინცდამაინც არ ახსოვთ, ერთხელ რომ ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე.

თანაშემნის გულახდილობა კონტრასტს უნდა ქმნიდეს მოქმედ პირთა ფაციფუცთან. თანაშემნეს შეუძლია მათ გვერდიდან შეხედოს, დააკვირდეს, შეადაროს, აითვისოს, განაზოგადოს, შეაფასოს, სიამოვნება მიიღოს იმისგან, რომ ამის გაკეთება შეუძლია და, რომ დაბადება-სიკვდილის კოშმარული რიგიდან ამოვარდა.

დანარჩენები ჩქარობენ, ცხოვრებას უყურადღებოდ ტოვებენ, ხვალინდელი დღის არ სჯერათ, ეშინიათ. მათი ხვედრი – გაუგებარი სიჩქარეა.

თუმცა, რატომ გაუგებარი? ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ეს, რატომღაც, არ გვახსოვს. არსებობდა სიცოცხლე – დედაჩემი – და აღარ არის, და არ იყო საჭირო ამდენი განცდა და ტანჯვა. არსებობდა სიცოცხლე – ნინელი – და აღარ არის იგი. არ ღირდა ამდენს ხანს კეთილდღეობის ლოდინი. იქნებ (ცხოვრების) აზრი ისაა, რომ სხვას ამ მონაკვეთის უფრო ადვილად გავლის საშუალება მისცე ან იმაზე მეტი გააკეთო, ვიდრე ეს მისი შრომისა და მეცადინეობის გარეშე მოხდებოდა. ალბათ ესაა – რაღაცის გაგრძელების, კვალის დატოვების მარადიული აზრი.

მაგრამ რატომ ჩქარობენ ასე ადამიანები მუდამ? მხოლოდ შეყვარებულობის წამს გაირინდებიან ხოლმე. იქნებ ესაა „დონ-ჟუანის“ აზრი?!

II მოქმედება
(გავიდა სამი წელი)

31. თანაშემნის მეტად ხანგრძლივი მსჯელობა წლების მონაცვლეობის შესახებ. შესამოკლებელია. იქნებ აქ გადმოვიტანოთ I აქტის ერთ-ერთი ლირიკული გადახვევა?
32. ექიმ ალავიძისა და აბრამის არც თუ ისე საინტერესო დიალოგი (?)
33. ნინო და ქეთევანი საოჯახო საქმეებით არიან დაკავებულნი (მთლად გასაგები არ არის, რისთვისაა ეს საჭირო. იქნებ ფონის შესაქმნელად?)
34. მთვრალი არჩილ გამრეკელის ეპიზოდი. ნესტანის ძმა, თენგიზი, ბიძას თავისი დის პროფი-



ლის გამოჭრას თხოვს საქორწინო საჩუქრისთვის. არჩილი დათვრა, სასიყვარულო ისტერიკა მოაწყო და თავისი ყოფილი შეყვარებულის პროფილი გამოჭრა.

35. სანოვაგის დამტარებელი აბრამის პატარა ეპიზოდი. ებრაელმა ბიჭმა ექიმს პროდუქტები მოუტანა (შეადარეთ N32-ს). კარგი ყოფითი ეპიზოდი.
36. დიმიტრი და ნინო ქორწილის დილას ღელავენ. ურთულესი დღე აქვთ, ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდი. დაბნეულნი არიან, რაღაც, რასაც ასე დიდხანს აგებდნენ – ირღვევა, იცვლება.
37. სიძეს (გიორგის) პატარძალთან მისვლა უნდა – მშობლები ღელავენ.
38. ძალიან კარგი ეპიზოდი – დავითი რჩევა-დარიგებას აძლევს გიორგის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოექცეს კაცი ცოლს.
39. სიძის მშობლები ღელავენ, მიდი-მოდიან, ემზადებიან (დიმიტრი და ნინო).
40. თანაშემწე მოქმედებას აჩერებს და მაყურებელს ურჩევს, ყველამ თავისი ქორწილის დღე გაიხსენოს.
41. რეტროსპექცია – ნესტანსა და გიორგის შორის სიყვარულის ახსნა. (თანაშემწე ღვეზელებისა და გაზიანი წყლის გამყიდველს ასახიერებს).
42. მმაჩის ბიუროში (ლიკა და ზურაბი)* თანაშემწე ხელის მოწერის ცერემონიალზე საუბრობს, ამავე დროს, სკამებს ალაგებს.
43. ქეთევანი. დედის განცდები ქალიშვილის გათხოვების დროს. იგი, ფაქტიურად, შვილს სასიკვდილოდ აგზავნის.

---

* ლიკა და ზურაბი – მიხეილ თუმანიშვილის ქალიშვილი და სიძე.

44. გიორგი ხუმრობა-ხუმრობით დაშორდება მეგობარ კალათბურთელებს, თანაშემწე სადღესასწაულო გარემოს ქმნის – ქოთნის ყვავილი, შიგ ჩავარდნილი პაპიროსის ნამწვით, პატეფონი, სულელური, მექანიკური ტექსტი (გავიხსენო ჩემი ორივე ხელის მოწერა მმაჩის ბიუროში).
45. გიორგი ხუმრობით ეუბნება ნინოს (დედას), რომ დაქორწინება არ უნდა. სადღაც შიგნით, ეს გრძნობა მართლაც არსებობს (ლიკას არ უნდოდა, ტიროდა). შემდეგ შვილი დედას ამშვიდებს.
46. ნესტანი აშინებს მამას (დავითს) იმით, რომ დაქორწინება არ სურს (ლიკა).
47. გიორგი და ნესტანი დავითთან. დავითი ნესტანს გიორგის „გადააბარებს". გიორგი პირობას აძლევს, რომ ყოველთვის ეყვარება ნესტანი. ყველაფერი ძალიან არეულად, არც თუ საზეიმოდ მიმდინარეობს, თუმცა შინაგანად ორივე ცდილობს, საუბარს რაღაც სიდიადე მიანიჭოს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია (ეს ის არის, რის გაკეთებაც მე მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. დიდი ხნის წინ ჩავიფიქრე, მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე).
48. ქორწილი. ძალიან კარგი შეფასებები აქვს ქალბატონ იანგაროზას.

საერთოდ, ხაზი უნდა გავუსვათ განსხვავებას, ბავშვებისა და უფროსების ქცევას შორის. ბავშვები თამაშობენ, თავიანთი მომავალი როლების, უფროსების როლების რეპეტიციას გადიან.

ბავშვები ბუნების ცხოვრებით ცხოვრობენ, მისგან სიამოვნებას იღებენ, ყურადღებას აქცევენ, ამჩნევენ, შეისწავლიან მათთვის საინტერესო ობიექტებს, შეუძლიათ საათობით დააკვირდნენ მათ.

ჩვენ, უფროსებს, საამისოდ დრო არ გვყოფნის, ძალიან ბევრი მოვალეობა გვაქვს ბავშვების მიმართ, ასე უგუნურად რომ არ ვხარჯოთ დრო. სულ ტყუილად. უფრო ახლოს უნდა ვიყოთ ბავშვებთან, მაშინ, შეიძლება რაღაც გამოგვივიდეს

ვინ ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის? ს... საკუთარი სიამოვნებისთვის ცხოვრობდა? ის ხომ მხოლოდ თავისთვის ცხოვრობდა, დროს ატარებდა, ა.... კი? მხოლოდ ბავშვებისთვის. ვინ უფრო ბედნიერი იყო? ვინ იცის?

III მოქმედება
(გავიდა 9 წელი)
თითქოს მიცვალებულები პირველად ისვენებენ. აქამდე გიჟებივით დარბოდნენ, ახლა კი მიჩუმდნენ, ისვენებენ.

49. თანაშემწე სიკვდილ-სიცოცხლეზე მსჯელობს.
50. გამვლელები – ბარნაბა, სასაფლაოს დირექტორი და პაპუნა, ქალბატონი ნინოს ნათესავი, საფლავებს ათვალიერებენ. ერთმანეთს „თანაუგრძნობენ". აქვე წუხილს გამოთქვამენ ნესტანის გარდაცვალების გამო.
51. სამგლოვიარო პროცესია. აქაა უბედურებით განადგურებული ქეთევანიც.
52. დაკრძალვა. ნესტანი გამუდმებით ლაპარაკობს თავისი დასაფლავების დროს. მშვიდად, ყოველგვარი განცდის გარეშე. დანარჩენები ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც წესი და რიგია. სასახლეს მიწაში უშვებენ – ისმის სიცარიელის შემზარავი ხმა (ყველა ხმა ძალზე ზუსტი უნდა იყოს), საფლავში ხელით მიწას ყრიან. მესაფლავეები საფლავს მიწას აყრიან. მიცვალებულთა გარდა, ყველა ტირის. შემზარავია. ნესტანი კი გაუჩერებლად ლაპარაკობს, მაგრამ უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს არაბუნებრივია. რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზას. თანდათან ყველა გადის.
53. დიმიტრი მეუღლის საფლავთან. ნესტანი ლაპარაკს აგრძელებს, მაგრამ უკვე არითმიულად, მხოლოდ თავისთვის, როგორც გიჟი. მას რაღაც ემართება. სიცოცხლის ინერციის შენელება.
54. მიცვალებულნი მარტო დარჩნენ (ბოსხი).
55. ნესტანის ამბოხი. სიცოცხლეში დაბრუნება უნდა. ყველა მის შეჩერებას ცდილობს, არ უშვებენ, უჭირავთ, მაგრამ...
56. გვირაბის გავლით სიზმარში გადასვლა. ნესტანის სული ჯერ კიდევ დაეხეტება, ვერ ისვენებს. თავის ქალაქს, სახლს ხედავს... შემდეგ ყველაფერი ძალიან სწრაფ ტემპში მიმდინარეობს, როგორც ძველ კინოფილმებში, მხოლოდ ნესტანს აქვს შენელებული ტემპი (2 ტემპი).
57. დიმიტრის საუბარი ისაკასთან არაფერზე. ეპიზოდი.
58. დილის ფაციფუცი ნესტანის სახლში 11 წლის წინ. ყველა ისე იქცევა, თითქოს ნესტანი სცენაზეა (ქეთევანი და თენგიზი მის არსებობას აფექტურად თამაშობენ), ის კი გვერდით დგას, თითქოს ყოველივე ამას და, საკუთარ თავსაც, წარმოიდგენს, მხოლოდ რეპლიკებს აწვდის. ქეთევანი წარმოსახულ ნესტანს მიმართავს. სცენის ბოლოს ყველანი მოჩვენებებივით ქრებიან.

59. ეპიზოდი „გახსენება“: სახლში დაბრუნებული დავითი საბას ელეპარაკება. არაფერზე. ნესტანი გვერდით დგას, ყველაფერს უყურებს.
60. დავითის შეხვედრა წარმოსახულ ნესტანთან.
61. ნესტანს ისტერიკა ემართება. ცუდად ხდება, თანაშემწე ძალით შეაგდებს მას „მოქმედებაში“ და იგი 12 წლის გოგონად იქცევა.
62. უცებ, მოქმედება ძალზე შენელებული ხდება, როგორც გულის წასვლის დროს. გულის წასვლა – ფიზიკური მდგომარეობაა. ხმის რევერბერაცია. ყველაფერი იწელება. ნესტანი კი, პირიქით – ძალიან ბობოქარი, მოუსვენარი, მშფოთვარეა.
63. და ყველა (ნესტანის გარდა) ისევ ამოძრავდა, როგორც კალეიდოსკოპში. ყველანი აქეთ-იქით დარბიან, ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ, ჩქარობენ, ჩქარობენ.
ნესტანის ამბოხი: გაჩერდით, ხალხო!
64. ნესტანის მუდარა – საფლავში დააბრუნონ.
65. მინასთან, სიცოცხლესთან განშორება, სიყვარულის ახსნა მშვიდად, უცრემლოდ, მელოდრამის გარეშე.
66. სულების სამყაროში დაბრუნება, სიჩუმე, სასაფლაო. მიცვალებულები აუჩქარებლად საუბრობენ, ჩურჩულებენ, როგორც ვარსკვლავები ან ფოთლები.
67. გიორგი ნესტანის საფლავზე. ყველაფერი – ძალიან ხმადაბლა. მუსიკა. იძინებენ.
68. რეჟისორის თანაშემწე ჩუმად ამთავრებს სპექტაკლს, რომ მიცვალებულები არ გააღვიძოს.

„ჩვენი პატარა ქალაქი“
I მოქმედების მოვლენათა რიგი

1. რეზო გაბრიაძე იხდის ბოდიშს
2. რეჟისორის თანაშემწე გვიჩვენებს ამერიკას.
3. თანაშემწე იხსენებს ბავშვობას (ქუთაისს).
4. ვუსმენთ სამყაროს.
5. მეეზოვე ქალაქს გვის (აფექტურად).
6. თანაშემწე გეგმავს სცენას.
7. სულების სვლა იმ ქვეყნისაკენ (ბოსხი).
8. ეტიუდები უსაგნო მოქმედებებზე (ნინოს გაღვიძება).

9. ზეწრების გაჭიმვა (ცოლ-ქმარი).
10. დიალოგი არაფერზე ისინკასთან.
11. ცხოვრება, დილა, ქალაქი იღვიძებს (ეტიუდი უსაგნო მოქმედებაზე: დიმიტრი – ნინო – ქეთევანი).
12. საუბარი ყრუსთან (თევდორე – დიმიტრი).
13. და დატრიალდა ცხოვრების ბორბალი (დიასახლისები მუშაობენ)
14. როგორი სიწყნარეა სახლში (ბავშვების წასვლის შემდეგ).
15. ჭორაობა (ქეთევანი – ნინო).
16. თანაშემწე ძველი საქართველოს რუკას ათვალიერებს. პატრიოტის ამბოხი.
17. ეტიუდი – დიასახლისების ყოველდღიური გიჟობანა.
18. ქუთაისის გიტარისტების ანსამბლი.
19. ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან.
20. შეხვედრა ქუჩაში (მამა – ქალიშვილი).
21. თითქმის პირველი კოცნა.
22. მიწაზე დაბრუნება (დედების შეფასება).
23. ბავშვები სკოლის შემდეგ სახლში საქმიანობენ (უთოს გაკეთება, სადილი).
24. ნესტანის ისტერიკა.
25. ყოველივე ამაოებაა.
26. აივნის სცენა (ოჰ, ეს მთვარე!)
27. დარიგება მთქნარებით.
28. პირველი კოცნა!
29. ფინალი.

II მოქმედების მოვლენათა რიგი

30. თანაშემწის შესავალი სიტყვა II მოქმედებისათვის.
31. ბაზარში წასასვლელად მზადება და წასვლა.
32. დილის შინაური საქმეები (N2 ეტიუდის გამეორება).
33. თავადაზნაურობის ტრაგედია.
34. ბაზრიდან დაბრუნება.
35. მშობლების განცდები ქორწინების დღეს, დილით.
36. აურზაური არაფრის გამო.
37. დაუპატიჟებელი სტუმარი.
38. მეგობრული საუბარი (ეტიუდი – ჩაის სმა)

39. სამოთხიდან განდევნა.
40. ნერვიულობა მმაჩის ბიუროში ნასვლის წინ.
41. თანაშემწის საქორწინო ფილოსოფია.
42. რეტროსპექცია, დაზავება.
43. ხელის თხოვნა.
44. თანაშემწე საქორწინო ცერემონიალისთვის ემზადება (უკვე მმაჩის ბიუროში ვიმყოფებით).
45. ქეთევანის გულახდილობა.
46. გიორგი ბავშვობას ეთხოვება.
47. ცერემონიალის მოლოდინში.
48. თავისუფლების ბოლო წამი (ხომ არ შევცდი?)
49. ნესტანი მამას ეთხოვება.
50. დავითი ქალიშვილს გიორგის აბარებს.
51. ცერემონია!!!

III მოქმედების მოვლენათა რიგი
(გავიდა 9 წელი)

52. თანაშემწე სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბრობს.
53. სასაფლაო, შეხვედრა წარსულთან.
54. პროცესია: დასაფლავება.
55. მიცვალებულები საუბრობენ.
56. გვირაბი. ნესტანის წარდგენა გარდაცვლილთა წინაშე.
57. ქმარი ცოლის საფლავთან.
58. სიჩუმე სასაფლაოზე.
59. აბსურდული სურვილის აღმოცენება.
60. ამბოხი.
61. ცდისთვის, სეანსისთვის მომზადება.
62. დაბრუნება.
63. სიცოცხლესთან გამოთხოვება.
64. გარდაცვლილთა მშვიდი ჩურჩული.
65. მე და სასაფლაო.
66. სპექტაკლის დასასრული.

მიხეილ თუბანიშვილი

თორნთონ უაილდერი
„ჩვენი პატარა ქალაქი“
(გადმოაქართულა რეზო გაბრიაძემ)

სარეჟისორო გეგმა – ექსპლიკაცია

მთვარე, მთვარის უკან, უფრო სწორად, მთვარეში – აჩრდილთა ქვეყანაა, ან იქნებ – ჩვენი სამყაროს ანარეკლი. ეს მთვარე ჩვეულებრივზე დიდია. იქნებ მთვარე კი არა, ის ქვეყანაა, რომელშიც ყველა მოკვდავი გვირაბის გავლით შედის? ზოგჯერ ეს წითლად მოგიზგიზე მზეა, ხან კი – უბრალოდ ის ხვრელი, რომლითაც მსახიობები შედიან და გამოდიან.

ზოგჯერ ეს არის ეკრანი სილუეტებისათვის, ჩრდილების თეატრისათვის, ხან კი მასზე იდილიური პეიზაჟის პროეცირება ხდება.

ზოგჯერ ეს კოსმოსში, გალაქტიკაში გასვლაა, ზოგჯერ კი მასზე პორტრეტი, სახის ნაწილი, დაღლილი ხელები აისახება.

სცენის იატაკზე კი კონცენტრული წრეებია. ან ორბიტები, ან – სამიზნე.

სცენის წინ კუბები დგას. მათზე – სიმბოლოები, ადამიანი-აჩრდილები სხედან. ისინი მკვდრები არიან, უფრო სწორად, მდუმარების სამყაროში გადასულნი. ეს ნინელია, დედაჩემი და სხვები. ისინი მუდამ ჩვენთან არიან. თავიანთი უძრაობით, ჩვენ მოძრაობას, სიცოცხლეს უსვამენ ხაზს, აუღელვებლობით კი – ჩვენს ფუსფუსს. ისინი ცოცხლებს „ახმოვანებენ“. წინ, რამპაზე, პატარა, გახვრეტილი გლობუსი დევს.



N1 გაბრიაძე ბოდიშს იხდის

მაყურებელთა დარბაზი სავსეა. მას პიესის მთარგმნელი რეზო გაბრიაძე მიმართავს. მას ძალიან რცხვენია. ბოდიშს უხდის მაყურებელს იმისათვის, რომ უაილდერის ნანარმოებს მოკიდა ხელი.

ამ დროს, სცენის სიღმრიდან გამოდის ორი „სული", აბსტრაქტულ კოსტიუმებში და თორნთონ უაილდერის დიდი ფოტო გამოაქვს. რ. გაბრიაძე მის წინაშე ბოდიშს იხდის, თავს უხრის. პორტრეტი გააქვთ. რ. გაბრიაძე მაყურებელს თავს უკრავს და გადის სამსახიობო ფოიეში.



N2 რეჟისორის თანაშემწე ამერიკას აჩვენებს

გერშვინის მელოდია, სამხრეთ-დასავლეთ ამერიკის მუსიკა, კოვბოები.

ახალთახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ეროსი მანჯგალაძე* გლობუსს იღებს. მის ნახვრეტში გაიხედავს, „20-იანი წლების ამერიკის ქალაქის" გამოსახულება ჩნდება (ფოტო ჟურნალ „ამერიკიდან" შეგვიძლია ავიღოთ). კარგი იქნება, რომ გამოსახულება დაწყვილებული იყოს, როგორც სტერეოსკოპში.

N3 ეროსი ქუთაისს იხსენებს

მუსიკა წყდება. ეროსი სცენაზე ადის, სამიზნის ცენტრში დგება, მაყურებელს ესაუბრება.

N4 ვუსმენთ სამყაროს

გამოდიან მსახიობები, რომლებიც მოქმედ პირებს და სულებს ასახიერებენ, ცოცხლები სანთლებით, მკვდრები – მათ გვერდით, ოდნავ უკან, ეს

---

* თავდაპირველად რეჟისორის თანაშემნის როლი ეროსი მანჯგალაძეს უნდა ეთამაშა, მაგრამ მსახიობი გარდაიცვალა და სპექტაკლში ეს გმირი გიორგი გეგეჭკორმა და ზაზა მიქაშავიძემ განასახიერეს.

სულებია. ყველა სამყაროს უსმენს. რაღაც ძველებური მეტრონომის ყრუ ხმა ისმის. იქნებ მუსიკა მექანიკურია? შემდეგ ცოცხლები გადიან, სულები რჩებიან (ბოსხი).

N5 მეეზოვე აფექტურად გვის ქალაქს

უსაგნო მოქმედების პირველი ეფექტი.

N6 ეროსი სცენას აწყობს, რეჟისორობს

რომელილაც სული უნდა მიეხმაროს. ან იქნებ სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი სცენის მუშები?

N7 სულების სვლა საიქიოსკენ

ზარების რეკვის ხმა ისმის, სულები სინათლის ფარდის უკან ჩაივლიან.

N8 ეტიუდი უსაგნო მოქმედებაზე

მოცარტის მუსიკა, ოღონდ – ძალიან ჩუმი. მსახიობმა ქალმა ისე უნდა იმუშაოს, რომ ხელი არ შეუშალოს ეროსის ნინოსა და დიმიტრის ქორწინების ამბის მოყოლაში.

N9 თეთრეულის გაჭიმვა

სცენის სილრმიდან ექიმი დიმიტრი მოდის. აქ თანაშემწის ტექსტი უნდა შეიცვალოს. ჯერ დიმიტრის შესახებ უნდა მოგვიყვეს, მერე კი „persicum"-ზე.

მოდის დიმიტრი. ნინო შეგვიანებულ მეუღლეს ხვდება, კოცნის. კვერცხებს გამოართმევს, სახლში შეაქვს. გამოაქვს თეთრეული, ცოლ-ქმარი ზენრებს ჭიმავს. შემდეგ ნინოს ისინი კვლავ სახლში შეაქვს.

N10 დიალოგი ისინკასთან – არაფერზე

N11 ცხოვრება. დილა

დიმიტრი ფოსტის ყუთს ხსნის და გაზეთს იღებს, ლაპარაკობს, კითხულობს. მარცხენა მხარეს ნინო მუშაობს.

მარჯვნივ ქეთევანის დღე იწყება.

თამაშდება ეტიუდი „დილა", „ადამიანები იღვიძებენ".

ეტიუდი იმიტომაა, რომ უტექსტოდ მიმდინარეობს. ეს ნომერია, მას დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული უნდა ჰქონდეს. ადრიანი დილაა.

N12 საუბარი ყრუსთან

დიმიტრი – არ ვანყენინო თევდორეს, თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს მასთან დაკავშირებული უსიამოვნო ამბავი მაღელვებს.

თევდორე – რბილად გამოვთქვა ჩემი წყენა. მაინც, სად გამგზავნა ექიმმა? მსუბუქად დავცინო ექიმებს. მინა ჩავსვა. იქნებ...

N13 ... და დატრიალდა ცხოვრების ბორბალი, მასში კი – ციყვები სხედან

დილა ორივე ოჯახში. „Alegro" – საკმაოდ ჩქარა.

მთავარი ამოცანა – მოვასწროთ.

ბავშვები დარბიან, უფროსები მათ ყველაფერს უმზადებენ. ყველას თავის საქმე აქვს, გზადაგზა ლაპარაკობენ. ეს ცალკე ნომერია – N2.

N14 რა სიჩუმეა სახლში!

ქეთევანი დიდხანს ათვალიერებს კინოფირიდან ამოჭრილ კადრს. ეროსი მასთან მიდის და თითქოს მისი შინაგანი მონოლოგის პასუხად – ამშვიდებს, არწმუნებს, რომ ნესტანისთვის კაბის შეკერვა საშიში არ არის. იგი მშობლებს არ შეარცხვენს. სიჩუმე.

სცენის მეორე მხარეს ნინო ტანსაცმელს კემსავს.

N15 მეზობლების თავყრილობა

შეიყარნენ მეზობლები. ჯერ ეზოში გავიდნენ, შემდეგ ქეთევანთან შევიდნენ, ბრინჯის რჩევა და ჭორაობა დაიწყეს. სხვადასხვა რამეზე ისაუბრეს. სიმღერაც გაიხსენეს.

წმინდა წყლის იმერული ეპიზოდია. აქ პირველად ისმის იმერული სიმღერა და იგი ქორწილის სცენამდე იჟღერებს.

N16 თანაშემწე ძველი საქართველოს რუკას ათვალიერებს

N17 მთვრალი არჩილი ძლივს დგას ფეხზე, ბარბაცით მოდის

გაბრაზებული, გაცოფებული პატრიოტი. თანაშემწეს უსმენს. მის საუბარში ერევა და საქართველოს წარსულზე ლექციის კითხვას იწყებს.

ამ სცენას ფონად გასდევს ბრძოლის ხმები ჰაერში (როგორც ფ. რაბლესთან). არჩილი ამტკიცებს, რომ ის და საქართველო დიადნი იყვნენ (ბარონი მ. გორკის პიესიდან „ფსკერზე").

შემდეგ თანაშემწის პროფილის გამოჭრას ცდილობს. არ გამოსდის. საქართველოს რუკას წამოავლებს ხელს, მასში გაეხვევა და ძლივ-ძლივობით გადის. თანაშემწე დანანებით ლაპარაკობს მშვიდ წარსულზე. მაშინ სიწყნარე იყო, ახლა კი...

N18 ეტიუდი

– დიასახლისების ყოველდღიური საგიჟეთი. დღის ბოლოს ძლივს დგანან ფეხზე, დაიღალნენ.

N19 ქუთაისელ გიტარისტთა ანსამბლი (დები იშხნელები)

თანაშემწე ბაღს იხსენებს (ნესტანისა და გიორგის დიალოგს ამზადებს).

N20 ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან

ეს სცენა – ეტიუდია. 10-15 კაცი შევაგროვო და დავდგა ეტიუდი: უფროსკლასელები სკოლიდან ბრუნდებიან. ლიზიკო (ნესტანის მეგობარი) ნესტანს თავისთან პატიჟებს, შესაძლოა – კინოშიც.

ამ სცენის აზრი ის არის, რომ ბავშვებს ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა და საქმე აქვთ. ისინი ერთმანეთს ეჩურჩულებიან, რაღაცას განიხილავენ, განიცდიან, საიდუმლოს ანდობენ. გოგონები გოგონებს, ბიჭები – ბიჭებს. ესაა ეპიზოდის არსი – საიდუმლოს განდობა.

სცენის მუშებს გრიფელის დაფა შემოაქვთ. ერთი ბიჭი სიცილით კვდება და დაფა-კედელზე წერს: „მიშა+ლილი=სიყვარულს".

N21 მამა-შვილის შეხვედრა ქუჩაში

ეს მამის გავლაა. იგი არ ჩერდება. ნესტანი და მამამისი ერთმანეთისთვის კი არ ლაპარაკობენ, არამედ – სხვებისთვის, უფრო ხმამაღლა, ვიდრე საჭიროა, ერთმანეთისგან გარკვეული მანძილით არიან დაშორებულნი. ეს არის ცხოვრებით აშკარად კმაყოფილი ადამიანების დიალოგი.

N22 ცხოვრებაში პირველი კოცნა

კიბეზე ფოთლები ჩნდება.

1. ნესტანი და გიორგი ნელა მიემართებიან ერთმანეთისკენ.
2. შეხვედრა. ერთმანეთს თვალებში ვერ უყურებენ. მიწას ჩაჰყურებენ. პაუზები
3. სახტუნაო, ნესტანი ხტუნაობს.
4. უკუსვლა – სიყვარულის ახსნა. ციებ-ცხელება. სისულელეებს ლაპარაკობენ. ზოგჯერ უაზროდ იცინიან.
5. პირველად დადიან ხელიხელგაყრილნი.
6. პირველი კოცნა (ოდნავი შეხებით). ნესტანი ლოყაზე კოცნის გიორგის.
7. ბედნიერებისგან ცუდად ხდებიან.
   ბრმებივით ბარბაცებენ. ბედნიერებისგან ორ ხმაში მღერიან.
8. შემდეგ, კვლავ პაუზები.

N23 პლანეტა დედამიწაზე დაბრუნება

დედები სხვადასხვა მხრიდან საქმიანად შემოვიდნენ. წყვილის დანახვაზე ადგილზე გაქვავდნენ. დააფიქსირეს.

დარცხვენილმა შვილებმა გვერდით ჩაუარეს, ფანჩატურში შევიდნენ, იქიდან კი – სხვა ოთახებში.

დედებმა ერთმანეთს გადახედეს, გაიღიმეს (პატარა გოგოს სიყვარული, ოჰ, რა ძნელია!)

N24 ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან (უსიტყვო ეტიუდი)

ბავშვები ორივე მხრიდან შემოდიან. საუზმობენ, თავიანთ საქმეებს აკეთებენ (ნესტანი უთოს შლის). ეტიუდი აფექტურ მოქმედებაზე. ნესტანმა უთო შეაკეთა. საუზმობს. დედები სადილს ამზადებენ. (გიორგი ტახტზე წევს).

N25 დიალოგი – გულის გადახსნა

ნესტანი ეძებს საშუალებას აღიაროს, რომ შეყვარებულია. დედა მას ყურადღებას არ აქცევს. უცებ ნესტანი მწარედ აქვითინდება. დედა ამშვიდებს. მან ყველაფერი გაიგო.

ნესტანს ბერეტი ახურავს.

გიორგი და ნესტანი კინოში (ეტიუდი) – ომის წინანდელი ფილმი.

ნესტანი აფექტურად უშვებს საპნის ბუშტებს.

გიორგი – ნესტანი – გიტარების დუეტი, თითოეული თავის სახლში.

ნესტანი გაკვეთილებს სწავლობს (ყურადღების მოკრება უჭირს) – ამ დროს კი ექიმი ვაჟიშვილს ესაუბრება.

ბურთს თამაშობენ.

ძაფების ქსელში იხლართებიან.

ნესტანი საქანელაზეა, გიორგი – მის გვერდით.

კლასობანა.

სახტუნაო – გიორგი მთიულურს ცეკვავს.

ჩაის სმა ორივე ოჯახში.

ნესტანი გიორგის წითელ ვაშლს აძლევს.

გიორგი ნესტანს სასიყვარულო წერილს გადასცემს („ო, ჩემო შავო რაინდო!").

N26 ამაოება, ყველაფერი ამაოებაა

თანაშემწე ამბობს, რომ ეს ყველაფერი უკვე იყო, იყო... ამ დროს კი... ქეთევანი და ნესტანი მიდიან... შემდეგ ნესტანი ისევ შემოდის, თან უკან-უკან იყურება.

მიხეილ თუმანიშვილი

გაკვეთილების მომზადებას ცდილობს, მაგრამ არ შეუძლია.
გიორგი ფანჯრის ქვეშ უსტვენს.
უზარმაზარი მთვარე (მასზე ადამისა და ევას ცხოვრების სურათები გამოისახება).
ნესტანი ფანჯარასთან.

N27 აივნის სცენა (აჰ, ეს მთვარე!)
აქ მთლიანი უკუსვლაა.
სიყვარულის ახსნა, ოლონდ – სხვა სიტყვებით, ოდნავი წამღერებით. ტანჯვა.

N28 ჭკუის დარიგება მთქნარებით
მამა ბაღში გამოვიდა. ვაჟიშვილს დაუძახა.
„შეყვარებულები" სწრაფად მოშორდნენ ფანჯარას.
დიმიტრი ამთქნარებს. რა მთქნარება აუტყდა!
გიორგი ნერვიულობს, იგი მთელი არსებით ნესტანთანაა.

N29 კოცნა, პირველი კოცნა
დიმიტრიმ კიდევ ერთხელ დაამთქნარა და დასაძინებლად წავიდა.
გიორგი ნესტანის ფანჯარასთან (კიბესთან) მიიჭრა.
დაუსტვინა.
ნესტანი წამოხტა, მაგრამ შემდეგ ნელა წავიდა.
გიორგიმ კიდევ ერთხელ დაუძახა: „ნესტან!.." ჩურჩულით.
ნესტანი გამოვიდა.
ისინი ქუჩაში სასეირნოდ წავიდნენ (როგორც მე და კიტი ახალქალაქში, მთვარის შუქზე).
მუსიკა – იმერული.
პირველი კოცნა.
ნესტანი გარბის.
გიორგი კიდევ დიდხანს დგას მის ფანჯარასთან.

N30 ფინალი

N31 თანაშემწის შესავალი II მოქმედებისათვის

N32 ავადმყოფი აბრამის „გზადაგზა“ მიღება

დიმიტრი და აბრამი ბაზარში მიდიან პროდუქტების საყიდლად, ორივეს ქოლგა უჭირავს.

N33 დილის საოჯახო საქმეები

N 2 ეტიუდის გამეორება, ზუსტად ისევე, I მოქმედების სცენის ასლი. როგორც დაქოქილი რობოტები! მაგრამ დღეს უბავშვებოდ. ქალები ძალიან დაძაბულნი, შეშინებულნი. გადიან.

N34 თავადაზნაურთა მოდგმის ტრაგედია

ფსკერზე.

შემოდის არჩილი. ჯერ კიდევ არაა ისეთი ნასვამი, როგორც I მოქმედებაში. ილლიაში თავისი რეკლამა ამოუჩრია.

მას კიბეზე ამაგრებს.

ა) სეანსისთვის მომზადება (ეძებს და იმზადებს: შავ და თეთრ ქაღალდებს წებოს, მაკრატელს). ყოველივე ამას აფექტურად ასრულებს.

ბ) სეანსი. შემოქმედებითი პროცესი არ შედგა.

გ) მთვრალის აღსარება (მე და ნინელი). მიწაზე ზის. სრულიად დაცლილია. მიწაზე მაკრატელს ეძებს. ტირის.

დ) სწრაფად აბარებს უვარგის შეკვეთას (ქაღალდზე აწებებს).

ე) სასონარკვეთილი მიჯნური („და დაეცა რამინ ქუეყანასა ზედა“). თეატრალური, ემოციური, უცნაური აქტიორული მონოლოგი.

N35 ბაზრიდან დაბრუნება

საქორწინო მზადება.

სანოვაგით დატვირთული დიმიტრი და აბრამი ბაზრიდან ბრუნდებიან, ეტიუდი.

N36 მშობელთა ფუსფუსი და განცდები

ქორწილის დილა.

დიმიტრი და ნინო საქმიანობენ. ქმარი ცოლს ეხმარება. თან სწრაფად ლაპარაკობენ. სცენის ბოლოს – ალერსიანი კოცნა – გამოთიშვის მომენტი (მარტონი დარჩნენ).

მიხეილ ბულაშვილი

N37 ჩხუბი რაღაც ნვრილმანის გამო

სიძე გამოვიდა, კი არ ლაპარაკობს – დეკლამაციას აკეთებს.

ყველა ღელავს!

ნინო ნერვიულობს.

ინციდენტი. აურზაური არაფრის გამო.

ყველა გიორგის დასდევს.

გიორგი გუბეებს ახტება და ასე ხტუნვა-ხტუნვით მიდის ნესტანთან, მშობლები კი სხვა ოთახებში გარბიან.

N38 დაუპატიჟებელი სტუმარი

ქეთევანი აქეთ-იქით დარბის, ემზადება, კიდევ იმდენი რამ უნდა მოასწროს! ეს სიძე კი, გიჟივით, პატარძლისკენ მიიწევს. ქეთევანი საშველად დავითს უხმობს. ისინი გიორგის საცოლესთან არ უშვებენ. სკამზე სვამენ, ზრდილობიანად ეკამათებიან. ქეთევანი ნერვიულობს, რამდენი საქმეა კიდევ, ეს გიორგი კი...

N39 ნდობით აღსავსე, მეგობრული საუბარი

ეტიუდი – ცხელ ჩაის სვამენ.

დავითი ნერვიულობს, მაგრამ მაინც გახუმრებას ცდილობს.

ეს იაშა ღოღობერიძეა.

დავითი – დავარწმუნო გიორგი, რომ ოჯახის უფროსი – ქალია (ნესტანი).

N40 სამოთხიდან განდევნა

ქეთევანმა გიორგი სახლიდან „გააბრძანა".

დავითი ქეთევანს ეხვევა, ეფერება, ამშვიდებს. წამით, ორივე გაქვავდა.

უკვე სადღესასწაულოდ აცვიათ.

საქორწინო ცერემონიაზე მიდიან.

N41 ნერვიულობა მმაჩის ბიუროში წასვლის წინ

იგივე მეორდება დიმიტრის სახლში.

ასე დგას მშობელთა 2 ნყვილი და დარდობს, დარდობს.

ორივეს სადღესასწაულოდ აცვია.

საქორწინო ცერემონიაზე მიდიან.

N42 თანაშემწის საქორწინო ფილოსოფია

N43 რეტროსპექცია. დაზავება

1. გიორგი მეგობრობის აღდგენას ცდილობს (ნესტანი ნაწყენია მისდამი გიორგის უყურადღებობის გამო. ის ხომ განსაკუთრებულ ყურადღებას კალათბურთს აქცევს). ვაჟი თითქმის ძალით აჩერებს ქალიშვილს. ნესტანი ეჭვიანობს.
2. მშვიდობა აღდგენილია – ორივე ბედნიერია.
3. ნესტანს კვლავ ეწყინა (გიორგი ისევ მეგობრებთან წავიდა).
4. ნესტანი ბობოქრობს (თავის წყენას გადმოანთხევს). გიორგი კიბოსავით წითლდება.
5. გიორგი ნესტანის დამშვიდებას ცდილობს, ბოდიშს უხდის. ნესტანი კი საკუთარი განერვიულების გამართლებას ცდილობს. ისინი „დაზავების გზებს" ეძებენ.
6. ნესტანი ბოდიშს იხდის თავისი უხეშობის გამო. გიორგი მას შერიგებას სთავაზობს.

N44 ხელის თხოვნა

1. ნესტანი ტირის.
   ივლიანემ ყველაფერი გაიგო. მის დამშვიდებას ცდილობს. უნდა, რომ გიორგი და ნესტანი, ურთიერთობის გასარკვევად, მარტო დატოვოს. აქ, რატომღაც, იანგაროზა გამოჩნდება.
   ივლიანეს იგი გაჰყავს და ყმაწვილებს მარტო ტოვებს.
2. შერიგება – რა ბედნიერებაა!
3. სიყვარულის ახსნა (მოუხერხებლად)
4. რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ახსნა.
5. ხელის თხოვნა.
6. გიორგის ფული არა აქვს. მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს.

N45 თანაშემწე ცერემონიისათვის ემზადება

ყველაფერს უხსნის მაყურებელს.
უკვე მმაჩის ბიუროში ვართ.
შემოდიან ადამიანები, ჯგუფებად დგებიან, ელიან.

N46 ქეთევანის აღიარება

იგი ალბათ ერთი წუთით გავიდა ტუალეტში, თუმცა იქ არავითარი საქმე არ ჰქონია. უბრალოდ, მარტო დარჩენა უნდოდა, რომ ხალხს მისი ცრემლები არ შეემჩნია. ტირილისგან თავს ვერ იკავებს – ის ხომ ქალიშვილს სასიკვდილოდ აგზავნის.

N47 გიორგის გამოთხოვება ბავშვობასთან

კალათბურთელები დასცინიან მას.

N48 ცერემონიის ლოდინი

მიზანსცენა – ყველა ელოდება.

თანაშემწე კალინიკე საყვარელიძეს ასახიერებს – უზარმაზარი წიგნი გამოაქვს.

N49 თავისუფლების უკანასკნელი წამი

ხომ არ მეშლება?

გიორგის ყველაფრის უკან დაბრუნება სურს. დედასთან ყოფნა უნდა. სხვები უძრავად დგანან.

N59 ნესტანის გამომშვიდობება მამასთან

ახლა ეს წყვილი გაცოცხლდა. ნესტანი ტირის.

N51 დავითი ქალიშვილს გიორგის აბარებს

ახალი მიზანსცენა. თითქოს ბლიც-ფოტოებს იღებენ. ცოცხალი სურათები. მიზანსცენა ყოველ ეპიზოდში იცვლება. ტინტორეტოს დიდი, მასობრივი ფერწერული კომპოზიციები.



N52 ცერემონია

მმაჩის ბიურო. ყველა ფარდა შუაგულისკენაა გადმონეული, მაგიდებიც. სკამები – ორ რიგად (ხელოვნური პერსპექტივა).

ცოცხალი სურათები (ფაზები).

1. მოლოდინი, ადამიანები ჯგუფებად დგანან. ბევრს ყვავილი უჭირავს, თითო ყვავილი.
2. მოლოდინი – სხვა მიზანსცენა.
3. მოლოდინი – მესამე მიზანსცენა.
   ხელმონერის ცერემონიის დროს ქარი ფარდებს ძლიერად არხევს (ამისთვის ვენტილატორი უნდა გამოვიყენოთ).
4. ოფიციალური მომენტი. მას იანგაროზაც ესწრება.
   (არჩილი სულ ცალკე დგას. შორიდან უყურებს ყველაფერს, მან საჩუქრად თავისი სურათი მოიტანა, რომელიც გაზეთითაა დაფარული).
   ა) რეგისტრატორთან მიდიან.
   ბ) იგი ემზადება, წიგნში რაღაცას წერს.
   გ) ლაპარაკობს, რაღაცას უხსნის.
   დ) ხელს აწერს გიორგი
   ე) ხელს აწერს ნესტანი. ნესტანს თითიდან საქორწინო ბეჭედი ჩამოუვარდა. ყველა მას ეძებს იატაკზე. სტოპ-კადრი. თანაშემწის ტექსტი.
   ვ) ხელს აწერენ მოწმეები.
   ზ) რეგისტრატორის მისალოცი სიტყვა (კანფეტები).
   თ) მილოცვა.
   ი) სამახსოვრო ფოტო – ადამიანთა ჯგუფი, ცენტრში – ახალდაქორწინებულნი. ცალკე – არჩილი.

III მოქმედება

(გავიდა 9 წელი)

N53 თანაშემწე სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ

N54 სასაფლაო. შეხვედრა წარსულთან

ჩიტები ჭიკჭიკებენ, ჭრიჭინები ჭრიჭინებენ... სიმშვიდეა.

ძველი ქართული სასაფლაო. პაპუნა (იურა ვასაძე) და ბარნაბა (შალვა ხერხეულიძე) ნაცნობებს ეძებენ. უცებ იგრძნეს, რა ხანმოკლეა სიცოცხლე, რომ აქ მხოლოდ გაჩერებაა და ყოველდღიურობა ამაოებაა მარადიულ სიმშვიდესა და სიჩუმესთან შედარებით.

N55 ნესტანის დაკრძალვა

ოთახი. აქეთ-იქით სკამები ყრია, მათზე სხვადასხვანაირი ჯვარი. თავის ქალა.

ოთახი ნახევრადაა განათებული, კარებს და ფანჯრებს მიღმა კი – ბევრი სინათლეა.

მიცვალებულნი მშვიდად სხედან სკამებზე. ელიან, საშინელ სამსჯავროს ელიან.

„Ave Maria"-ს მაღალი ხმა ასრულებს. პროცესია მოდის. საფლავის ქვა მოაქვთ. ყველა ქოლგას იფარებს. ოთახში ისე შედიან, როგორც სასაფლაოზე. სცენაზე გადაივლიან. სხვა კარში გადიან, მარცხნივ. მეორე მხრიდან შემოდიან, კარებისა და ფანჯრების უკან დგებიან. კარ-ფანჯრის ჩარჩოებს ავსებენ. კარის ჩარჩოში ზურგით ჩნდება ნესტანი. მას ახლობლები ემშვიდობებიან, კოცნიან (ქეთევანი, დავითი, თამაზი, გიორგი). ვიღაც ხელში თეთრ სუდარას აძლევს.



ნესტანი მაყურებლისკენ მობრუნდება. ცოცხლები დათრგუნულნი დგანან ისე, როგორც საფლავთან.

ხმები ისმის: კუბოს თავს აჭედებენ, სასახლეს მიწაში ჩაუშვებენ, თოკებს ამოიღებენ, მიწას აყრიან.

ნესტანი ოთახში შედის, მიცვალებულებთან მიდის და ჩუმად ეუბნება: „გამარჯობათ!" ვერდის რექვიემი.

N56 ნესტანი მიცვალებულთა წინაშე წარდგება. გვირაბი

ნესტანი ისტერიკაშია, კანკალებს, რაღაც სიშმაგემ მოიცვა. სულ არ ფიქრობს იმაზე, რასაც ლაპარაკობს. თითქოს, უფრო მეტად, თავისი შინაგანი მდგომარეობითაა დაკავებული. მისი შინაგანი გარდაქმნა ხდება.

N57 ქმარი ცოლის საფლავთან

აქ მთავარია, როგორ იქცევა დიმიტრი ნინოს საფლავთან.

ნინო და ნესტანი საფლავის ქვებს გვაგონებენ.

ნესტანი ჩურჩულებს.

ისევ ჩიტებისა და ჭრიჭინების ხმა. სიჩუმეა. და ხმა – ნიავის ქროლვა.

N58 აბსურდული სურვილის აღმოცენება

ნესტანი ბორგავს, რაღაცის გახსენებას, გაგებას, მოფიქრებას, რაიმეს შეცვლას – თავის გადარჩენას ცდილობს. სხვა ყველა უძრავადაა.

N59 ამბოხი

ნესტანს აქედან გაღწევა, ცოცხლებთან დაბრუნება უნდა, ეს ამბოხია. ცოცხლებისკენ მიისწრაფვის. მიცვალებულნი მის შეჩერებას ცდილობენ. ეს ნესტანის ისტერიკაა. ფონად – ლირიკული მუსიკა

N60 ცდისთვის, სეანსისთვის მომზადება

N61 დაბრუნება

იგი იმ სამყაროს დაუბრუნდა, სადაც ყველა ჩქარობს, როგორც ძველ კინოფილმებში. საშინელებაა.

მუსიკაც აჩქარებითაა ჩაწერილი.

შემზარავია. ადამიანი-მარიონეტები.

ნესტანი ყვირის, ტირის.

N62 დედამიწასთან, სიცოცხლესთან განშორება

ნესტანი რამპასთან დგას, დარბაზში იყურება. თანაშემწე მის გვერდითაა, მხარში უდგას. ჩუმი მუსიკა ფონად.

N63 მიცვალებულთა ჩურჩული

ჭრიჭინების ხმა, სიჩუმე, ვარსკვლავები. მარადისობა.

N64 მე და სასაფლაო

ეტიუდი ქვრივი მამაკაცის ცხოვრებიდან.

მუსიკა თითქოს მთელ სამყაროს ესმის.

N65 სპექტაკლის დასასრული

მიხეილ ბულაშვილი

რეჟისორის თანაშემწე სპექტაკლს ამთავრებს.

წარმოდგენის დასაწყისში ახალდაბადებული ბავშვის ხმა უნდა ისმოდეს. სად? ბოლოს კი ისევ ახალშობილის ტირილი.

„გესმით?“ – ამბობს თანაშემწე და ხელებს შლის – „ბავშვი დაიბადა (საკერავი მანქანის ხმა). ალბათ ბავშვს საცვალს უკერავენ...“

ყველა მონაწილე – ცოცხალიც და მიცვალებულიც – სამყაროს უსმენს!







„ჩვენი პატარა ქალაქი“
ინყება თხზულება-მოგზაურობა წარმოსახვის სამყაროში.
1982 წლის 1 აგვისტო

1. მაყურებელთა დარბაზი განათებულია. სცენაზე ბნელა. მხოლოდ ნავთის ერთი ლამფა ანთია. ოდნავაა განათებული კარისა და ფანჯრის ჩარჩოები. ერთ ჩარჩოზე აბლაბუდაა.
2. სპექტაკლის დასანყისის მაუწყებელი ზარების ხმა. დარბაზში სინათლე ქრება.
3. პენდერეცკის მუსიკა.
   ქარი უბერავს – დაჟანგულ ანჯამაზე დაკიდული, მოგლეჯილი კარი ჭრაჭუნებს.
4. სცენაზე აუჩქარებლად გამოდის გოგი* – რეჟისორის თანაშემწე. მოდის ავანსცენისკენ. ახალდაბადებული ჩვილის ტირილი. გოგი ჩერდება, თვალებით ჩვილს ეძებს. ნავთის ლამფასთან მიდის, იღებს მას, ფითილს უნევს, ლამფას ზემოთ ასწევს, ბავშვს ეძებს, შემდეგ დარბაზში იყურება – ათვალიერებს. ლამფა გაჩერებულ საათთან მიაქვს (ისეთთან, ჩვენ რომ გვქონდა სახლში), მიანათებს (იგი პისტოლეტით ნათდება). შემდეგ მიდის და გრიშა ბაბუას ოჯახური პორტრეტის დაბრეცილ ჩარჩოს ანათებს. მაგიდასთან მიდის და იქ კონვერტს პოულობს, რეზო გაბრიაძის წერილით. პენდერეცკის მუსიკა წყდება.
5. კონვერტს ხსნის. თავიდან ჩუმად კითხულობს. სინათლე თანდათან მატულობს და სცენა მთლიანად ნათდება.
6. გოგი ხმამაღლა კითხულობს რეზო გაბრიაძის წერილს, მაყურებელს უკითხავს. შემდეგ წერილს მაგიდაზე დებს.
7. გოგი სცენას ათვალიერებს, თითქოს რაღაცას ეძებს. შემდეგ პატარა გლობუსს იღებს, ცოტა ხანს – ათვალიერებს. ამბობს: „ახლა ასე მოვიქცეთ...“ მუსიკა – რეგთაიმი.
   გოგი აფექტურად ბურღავს გლობუსს და თავის ტექსტს ამბობს.
8. მაყურებელთა ფოიედან 4 თანამშრომელს ამერიკული ქალაქის, ჩარჩოში ჩასმული 4 გადიდებული ფოტო მოაქვს. სულ სხვადასხვანაირი. ერთდროულად დარბაზშიც ვაძლევთ სინათლეს. თანამშრომლები, რიგებს შორის დადიან და მაყურებლებს ფოტოებს უჩვენებენ. შემდეგ რამპის ხაზზე განლაგდებიან და კიდევ ერთხელ უჩვენებენ მაყურებელს ფოტოებს. გოგი მაყურებელს ეკითხება: „დაინახეთ? ძალიან კარგი!“

---

* რეჟისორის თანაშემწის როლის შემსრულებელი მსახიობი გიორგი გეგეჭკორი

9. მაყურებელთა დარბაზში სინათლე ქრება, თანამშრომლები ფოტოებით მაყურებელთა ფოიეში გადიან მარჯვენა და მარცხენა გასასვლელის გზით.
10. სცენაზე ფანჯრებიდან შემოსული განთიადის სინათლეა. გოგი ამბობს: „ახლა სამშობლოში დავბრუნდეთ“. ისევ პენდერეცკი.

Он все время присутствует
во время сцен. (Конечно не
песочные часы большие
в полметра размером
Их надо специально
сделать на заводе
из двух колб

Обязательно найти
в каждой сцене
конкретные элементы
бытия в декорации.
улица,
сцена,
дома-квартиры
город
и т.д.

იგი თითქმის სულ სცენაზეა. აქვეა დიდი, ნახევარი მეტრის სიმაღლის ქვიშის საათიც. იგი საგანგებოდ უნდა გავაკეთებინოთ ქარხანაში, ორი კოლბისაგან.

ყოველ სცენაში აუცილებლად ვიპოვოთ ყოფის კონკრეტული ელემენტები დეკორაციაში. ქუჩა, ბუფეტი, სახლი-ბინა, ქალაქი და ა. შ.

კონსტრუქციის გამჭოლი განათება.

1. როდესაც რეჟისორის თანაშემწე ქალაქს აღწერს – კონსტრუქცია ნაჭრის უკნიდან ნათდება. რას მოგვცემს ეს?
2. გამჭოლი განათება მიცვალებულთა გამოჩენის დროს.
3. მხოლოდ ფანჯრებიდან და კარებიდან გამომავალი სინათლე კულისების მხრიდან.
4. როდესაც ქუჩაში ვართ.
5. როდესაც სასაფლაოზე ვართ.
6. განათება ლიუკიდან.

ყოველივე ეს შუქ-ჩრდილის საინტერესო ტრანსფორმაციას გვაძლევს.

დები იშხნელების ანსამბლი.

თანაშემწე – პიესის მოქმედება იწყება ომამდე... სცენაზე გამოდის ოთხი მსახიობი ქალი გიტარით, სკამებზე სხდებიან და ომამდელ ქუთაისურ სიმღერას დები იშხნელების სტილში მღერიან. ოღონდ ყოველივე ეს ძალიან გრძელი არ უნდა იყოს. თანაშემწე ზის და უსმენს მათ. ღამის განათება: ლამფის შუქი და კარ-ფანჯრიდან შემომავალი სინათლე.

შემდეგ, როდესაც „დები" სიმღერას ამთავრებენ, მაყურებელს თავს უკრავენ და კულისებში გადიან. როგორც ესტრადაზეა.

სიმღერის შესრულების დროს, სცენის სიღრმეში, შეუმჩნევლად სხდებიან ფიგურები:

1. ღვთისმშობელი ყრმით. (თუ ცოცხალი ბავშვი იქნება, უკეთესია).
2. ქალი ძაძებში, სახე თითქმის მთლიანად დაფარული აქვს. მოტირალი.
3. ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი წნულ ღობესთან.
4. ადამიანი ბაგრატის ტაძრის მაკეტით. შემოქმედი. ტაძარი ხელში უჭირავს.

   ისინი ისე არიან განლაგებულნი, რომ მიცვალებულთა ფარდის დახურვის შემდეგ, მის უკან აღმოჩნდებიან. ყველას ტიპიური ქუთაისური ომამდელი კოსტიუმი უნდა ეცვას (კონსულტანტები – ნ. ლორთქიფანიძე ან რ. გაბრიაძე).
5. მოხუცი იმერელი ქვიშის საათითა და ფარნით, ფარდის წინ (იხილეთ მიზანსცენა), მაგრამ, გარკვეულ დრომდე, არ არის საჭირო მათი განათება და მაყურებლისთვის ჩვენება. ისხდნენ და თავიანთი საქმე აკეთონ. თითქოს ოდესღაც ამ ოთახში ცხოვრობდნენ. მათი ფიგურები „ჩამქრალია", თითქმის არ მოძრაობენ, თავიანთი ნვრილ-ნვრილი საქმეებით არიან დაკავებულნი. კარ-ფანჯრიდან განათებული, თავისებური „ცოცხალი სურათები".

იქნებ ოთახში რკინის საწოლი დავდგათ. მასზე მერე ვინმე დაწვება და დაჯდება. შესაძლოა – არჩილ გამრეკელი, პირველ სცენაში.

დაჟანგულ ანჯამაზე დაკიდულ, მოგლეჯილ კარს ქარი აჭრაჭუნებს. ეს ხელს უწყობს სიცარიელის ატმოსფეროს შექმნას, ყველაფერი წარსულშია.

თანაშემწე – გავერკვეთ ქალაქის გეოგრაფიაში...

მუსიკა – შორიდან არღნის ხმა ისმის.

თანაშემწე სიღრმეში შედის, ფანჯრიდან ან კარიდან ქუჩას გახედავს... მოგვითხრობს ბულვარზე, ქუთაისზე. აუჩქარებლად.

ამოცანა – მოგონებისგან სიამოვნება მივიღო. მის ინტონაციაში წარსულის მიმართ ერთგვარი ირონია იგრძნობა. ჩაის სვამს.

მეეზოვე

თანაშემწის თხრობის პარალელურად, მის უკან, მიტოვებული ოთახის უკანა კედელს მიღმა მეეზოვე დაგვას იწყებს. ცოცხის მოსმის ხმა ისმის.

იანგაროზა

ქალბატონი იანგაროზას ხსენებისას, იგი ხან ერთ ფანჯარაში შეიხედავს, ხან მეორეში, შემდეგ კარს შეაღებს. თითქოს ვიღაცას ეძებსო. ხელში ყვავილები უჭირავს. იგი ახლომხედველია, რაღაცით რუსუდან მიქელაძეს* ჩამოჰგავს. გაიარა, თავის თავს ელაპარაკება. არაამქვეყნიურ არსებას ჰგავს.

შემდეგ ოთახში შედის. გვის. N3 კარში გადის.

მეეზოვე სცენას ტოვებს.

მამლის ყივილი – დილა.

თანაშემწემ უცებ მიაყურადა:

– გესმით? არ გესმით? შემოდის დათო ერისთავი**. ფრაკში. მამალივით ყივის. მაყურებელს თავს დაუკრავს და გადის ისე, როგორც საესტრადო ნომრის შემდეგ.

თანაშემნე – საცაა გათენდება.

საფლავის ქვა ნათდება.

სცენაზე მსახიობები გამოდიან და სასაფლაოზე ჩიტების ჭიკჭიკის იმიტაციას აკეთებენ. სასაფლაოზე გამეფებული სიმშვიდის ატმოსფეროს ქმნიან. ყოველივე ეს – ოდნავი ირონიით. და არა სევდით. შემსრულებლები უნდა ილიმებოდნენ.

თანაშემწე – აი, ახლა თქვენს წინაშე ფარდა გაჩნდება. „ცოცხალი სურათის“ ყველა მონაწილე დგება. მსახიობები წინასწარ დალაგებულ სკამებზე სხდებიან და სიკვდილის „ცოცხალ სურათს“ ქმნიან. ოლონდ – იუმორით. ყოველგვარი შიშისა და მისტიკის გარეშე. ბავშვი, ცხადია, დედასთან ერთად აღარ არის.

თანაშემწე ფარდებს ორივე მხრიდან დახურავს და მათზე ძველებური ქართული საფლავის ქვის გამოსახულება ჩნდება. ფარდის მიღმა ფიგურები ოდნავაა განათებული.

მუსიკა – პენდერეცკი.

შემდეგ მხოლოდ საფლავის ქვის გამოსახულება რჩება, ფიგურები კი შეუმჩნევლად ტოვებენ სცენას.

---

* რუსუდან მიქელაძე – თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ყოფილი გამგე.

** დათო ერისთავი – ისინკას როლის პირველი შემსრულებელი.



ფოლაქი

ლინგვისტური ექსპერიმენტი, როგორც ფოკუსი, საესტრადო ნომერი.

მატარებელი

გამოდის სამი მსახიობი ფრაკში, შეიძლება – უფრაკოდაც და მატარებლის გავლას განასახიერებს (ძალზე ზუსტად). თავის დაკვრა.

(ჩანაწერი)

საკერავი მანქანა

იქნებ სცენაზე საკერავი მანქანა დავდგათ?

თანაშემწე ნავთის ლამფას აქრობს და სცენა მთლიანად ნათდება.

ჩვილის სახვევებს კერავენ.

მაგიდაზე თეფში დევს მსხლებით. აგრეთვე – სათამაშო მატარებელი.

თანაშემწე ზარს აწკარუნებს. ამის საპასუხოდ სპექტაკლის მონაწილე მსახიობები შემთხვევით ჯგუფებად ერთიანდებიან და მოლოდინით შეჰყურებენ თანაშემწეს.

თანაშემწე პატეფონზე ძველ ფირფიტას დებს, მსახიობებს თვალს ჩაუკრავს და პატეფონს ჩართავს. 20-იანი წლების ამერიკული რეგთაიმი ჟღერს.

თანაშემწე, მსახიობებთან ერთად სკამებს და მაგიდებს ალაგებს, ფარ-

დებს გადანევს. ყველანი „ძგიდეებში“ თამაშისთვის ემზადებიან.

შემდეგ ყველა მსახიობი გადის, 10-12 წლის გოგონას გარდა. იგი პიანისტია. პიანინოს მიუჯდება და იცდის.

II მამალი (საწინააღმდეგო მხრიდან გამოდის)

თანაშემწე იმ ფანჯარასთან მიდის, საიდანაც ლეღვის გამხმარ ტოტს თავი გამოუყვია. დავარდნილ მამალთან ჭორაობს.

მეორედ გამოდის მსახიობი დ. ერისთავი, ყივის, მაყურებელს თავს უკრავს და გადის.

თანაშემწე ფირფიტას აჩერებს, რეგთაიმი მთავრდება. სიჩუმეა, მეტრონომის ხმა ისმის.

მოთხრობა სიკვდილისა და გაპარტახების შესახებ

სპექტაკლის დეკორაცია ამ განწყობილებას შეესატყვისება, ორ მსახიობს ჰამაკი და წიგნი უჭირავს. თანაშემწე წიგნს იღებს. იგი ოთახის შუაში დგას, მიმოიხედავს, თითქოს ამციენებს.

აი, ის ამბობს: დო, რე, მი...

მუსიკა – მის საპასუხოდ გოგონა ფარდის უკან მოცარტის „ღამის პატარა სერენადას“ უკრავს.

განსვენებული გმირების გაცნობა

გოგონა მოცარტს უკრავს.

შემოდის ნინო (დარეჯან ხაჩიძე). მაგიდას მიუჯდება, შალს შემოიხვევს. ჩაფიქრდება.

სცენის სილრმიდან დიმიტრი (რეზო იმნაიშვილი) შემოდის. ცენტრში ჩერდება, გოგონას უყურებს, მის დაკვრას უსმენს. ერთ ხელში სამედიცინო ინსტრუმენტების ჩემოდანი უჭირავს, მეორეში – 5 კვერცხი.

ნინოს და დიმიტრის ისეთივე შავი ჩარჩოები უჭირავთ, როგორებიც კედლებზეა.

თანაშემწე ნინოსთან მიდის, მის ზურგსუკან დგება და იხსენებს, იხსენებს... რა სევდიანი ნეტარებაა ლამაზი წარსულის გახსენება, რომელიც შორიდან უფრო მშვენიერია, ვიდრე ახლოდან. იქნებ მხოლოდ გვეჩვენება? იქ კი, მაშინ, უსაზღვრო მღელვარება სუფევდა, რომელსაც სახელად სიცოცხლე ერქვა.

ამოცანები: თანაშემწე – გავამართლო მათი ახალგაზრდობა, გულუბრყვილობა, სიყვარული.

ხელში ნინოს საქორწინო კაბა უჭირავს. სკივრში დებს, ნაფტალინს აყრის და სკივრს თავს ახურავს.

ნინო – დეტალურად გავიხსენო, რა და როგორ იყო მაშინ. (რა დიდი ხნის წინათ იყო ყოველივე ეს). მას დიმიტრი ძალიან არ უყვარდა. არჩილ გამრეკელი უყვარდა, მაგრამ მისი ეშინოდა და ჯიბრზე დიმიტრის გაჰყვა ცოლად.

დიმიტრი – ხმების საშუალებით გავიხსენო, წარმოვიდგინო, რას ვგრძნობდი მაშინ. დანაღვლიანდა.

ეპიზოდი დამთავრდა. პიანისტი გოგონა სცენის შუაგულში გამოვიდა. მაყურებელს თავი დაუკრა. ლიუკში მჯდომმა ქრონოსმა ნაყინი ან კანფეტი მისცა. გოგონამ მადლობა გადაუხადა და წავიდა.

დილა

სცენის სიღრმეში, კედლის უკან კვლავ მეეზოვე ჩნდება, ქუჩას გვის.

ებრაელი ბიჭი ისინკა, მარჯვენა კარიდან შემოდის და დიმიტრის შესახვედრად მიემართება. წყლით სავსე დოქი მიაქვს, გზად ნინოს ესალმება.

(თანაშემწის ტექსტში შევცვალოთ სიტყვები ნაცვლად: „ერთად ამოვიდნენ ტელმანის ქუჩით", უნდა იყოს: „შეხვდნენ ტელმანის ქუჩაზე").

ნინო N2 ფანჯარასთან ფუსფუსებს. ისინკა N9 კარიდან შემოდის, კიბეზე ადის. გზად ნინოს ესალმება, სიღრმეში შედის და დიმიტრის N5 კართან ხვდება.

გზად ისინკა ჩუმად ამბობს: „ცივია, ცივია"... რომ ქალაქის მცხოვრებნი არ გააღვიძოს. დიმიტრის ხვდება და ხაზგასმული პატივისცემით ესალმება.

ამოცანები:

ისინკა – კარგ ადამიანს ვასიამოვნო, მოვემსახურო.

დიმიტრი – არ ვაწყენინო ისინკას. თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს ძალიან მაინტერესებს, რასაც მეუბნება.

თუმცა დიმიტრის ისინკას თავი არა აქვს. ძალიან ეძინება. ყველაფერს აუჩქარებლად აკეთებს, ჩუმად. ქალაქი ახლა იღვიძებს. ყველაფერი ნელა, უხმაუროდ კეთდება. მზე ჯერ არ ამოსულა.

დიასახლისების დილა

სარკისებური ასახვა

ნინოს და ქეთევანს ლანგრებით სერვიზები გამოაქვთ. ნინოს – N3 კარიდან, ქეთევანს – N8 კარიდან. ლანგრებს მაგიდებზე დგამენ.

აქ მთავარი სინქრონული ქმედების ეფექტია. მოძრაობა ძალზე ეფექტური და სინქრონული უნდა იყოს. ეტიუდი – სარკე.

მეშუშე თევდორე

ყრუსთან საუბარი. სანამ თანაშემწე თევდორეზე ლაპარაკობს, თავად მეშუშე N4 ფანჯარასთან დგას და მინას აზომებს. შუშა, ცხადია, პატარაა, ჩარჩოს ზომას არ ემთხვევა.

ამ დროს დიმიტრი კალოშებს იწმენდს, თავისი სახლის მახლობლად, N3 კართან.

შემდეგ თევდორე, N5 კარის გავლით ცენტრალურ ხაზზე მიდის და დიმიტრის ხვდება. თითქმის რამპაზე გამოდის და მათ შორის სასაცილო საუბარი იმართება.

ამოცანები:

თევდორე – უნდა, რომ დიმიტრის ფანჯარაში შუშა ჩაუდგას, ამიტომ იწყებს საუბარს. რბილად დავცინო პოლიკლინიკის ექიმებს.

დიმიტრი – არ ვაწყენინო თევდორეს.

შემდეგ ირკვევა, რომ შუშის ჩასმა საჭირო არ არის. თევდორეს ეწყინა. მუშტრის საძებნელად სხვაგან წავიდა. თევდორე N 5 კარში გადის და მარცხნივ მიდის.

... და დატრიალდა ცხოვრების ბორბალი

დაიწყო დღე, რომელიც ბევრ სხვა დღეს ჰგავდა. ყოველდღე ვდგებით, პირს ვიბანთ, ჩაის ვსვამთ, სკოლაში ან სამსახურში წასასვლელად ვემზადებით. ჩვენი მოქმედების ავტომატიკა იმდენად გათვლილია, რომ დადგენილი პროგრამიდან ვერაფერი ამოგვაგდებს. ზოგჯერ გვსიამოვნებს კიდეც ჩვენი აწყობილი მოქმედება, ის, რომ, არსებითად, არაფერზე უნდა ვიფიქროთ. ყოველდღე ერთი და იგივე საქციელი, მღელვარება, სურვილები.

დილაა. ადამიანები იღვიძებენ, ღამის ძილის შემდეგ, თანდათან ფხიზლდებიან და ყოველდღიური ცხოვრების ნაკადში, ავტომატურ ხაზში ერთვებიან. როდესაც ვაკვირდები, როგორ საქმიანობს ჩემი მეუღლე სამზარეულოში იმისათვის, რომ დაგვაპუროს, ვერ ვხვდები: როგორ უძლებს ყოველივე ამას. ხშირად ვფიქრობ: იგი ფუსფუსებს, ფორიაქობს, ციბრუტივით ტრიალებს, როგორც ციყვი ბორბალში... ეს არის ჩვენი ცხოვრება, რომელსაც ასე უკონტროლოდ ვხარჯავთ და გვავიწყდება, რომ იგი მხოლოდ ერთხელ გვეძლევა.

მომდევნო სცენები, რომლებიც, არსებითად, მზადაა, ყოველდღიური, ყველაზე ჩვეულებრივი, **შაბლონური მანქანის მუშაობამდე მიყვანილი ცხოვრების სურათები უნდა იყოს.**



საუბრები ქმართან ბავშვების, მისი ჯანმრთელობის, შვილების სკოლისათვის მომზადების, მა-

თი სასწავლებელში გაცილებისა და, საერთოდ, აღზრდის შესახებ. ერთი და იგივე პრობლემის გამო, ყოველდღე გულისცემა მიჩქარდება: აგვიანებენ ბავშვები თუ არა, კარგად სწავლობენ თუ არა, ცუდად ხომ არ გამოიყურებიან, არ გაცივდნენ... უამრავი პრობლემა, მღელვარება, ვიბადებით თუ არა, ჩვენი დედები ღელვას იწყებენ და ასე გრძელდება მათ სიკვდილამდე. მაშინაც კი, როდესაც პატარები აღარ ვართ.

ამ სურათებით უნდა ვაჩვენოთ, რა გიჟურ ცხოვრებას ვითმენთ. რაღაც საშინელებაა.

ამ „ყოველდღიური", ყველაზე ჩვეულებრივი სცენების დროს რამპაზე ზის მოხუცი ქრონოსი, თავისი ქვიშის საათითა და ფარნით, იგი ყურადღებას არავის აქცევს. მხოლოდ ერთი ჭურჭლიდან მეორეში გარდამავალი ქვიშა აინტერესებს. ქვიშა კი გამუდმებით იყრება, იყრება. იგი დროის ქონდრისკაცია.



რეჟისორის თანაშემწე – იმერელი საბაოთია. თავისებური ვასო ყუშიტაშვილი, პაპუნა წერეთელი. იგი სიკვდილ-სიცოცხლეზე მსჯელობს. ოდნავი ირონიით იმიტომ, რომ მწუხარება ხანმოკლე სიცოცხლის გამო – უაზრობაა. უბრალოდ დასანანია, რომ ჩვენთვის ბოძებულს ასე უყაირათოდ ვხარჯავთ. ხოლო როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი არსებობის აზრს ვაცნობიერებთ, რაიმეს შეცვლა უკვე დაგვიანებულია.

ყველაფერი ჩვენთან ერთად იცვლება. ვფიქრობ, უარესისკენ. მე-20 საუკუნის ტექნიკური რევოლუცია – ისტორიის დიდი გაუგებრობაა. არც გვესმის, თანდათან როგორ ვანადგურებთ სამყაროს იმ საოცრებას, პლანეტა დედამინა და მასზე ცხოვრება რომ ეწოდება. ეს ხომ ისტორიის განსაკუთრებული მოვლენაა.

თანაშემწემ ეს უკვე გაიგო. მან ბევრი რამ ნახა, წაიკითხა, გაარკვია. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში უბრალოდ გოგი გეგეჭკორი კი არ მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე, არამედ – ვიღაც ბრძენი იმერელი, შინ გამოჩეკილი ფილოსოფოსი.

შესაძლოა, მას იმერული პერანგი და რბილი ჩექმა აცვია?

„მეზობლების“ სცენის ბოლოს, ნინო და ქეთევანი იმერულ **სასიყვარულო** დუეტს მღერიან. სასაცილოდ, მაგრამ – კარგად.

Persicum – გაუცხოება

განათება იცვლება – სცენის შუაგულიდან კონსტრუქციის უკან გადაინაცვლებს. ნავთის ლამფა ინთება.

ეროსი მანჯგალაძის ზარის ხმა. სადღაც ბიჭი ვიოლინოზე სავარჯიშოებს უკრავს. მასში პენდერეცკის მუსიკა ერთვება, ან იქნებ ორივე მუსიკა ერთად ჟღერს, დამონტაჟებულია.

თანაშემწეს რამპაზე ნინო და დიმიტრი გამოჰყავს. ისინი ცხოვრებისეულ ვითარებებსა და სიტუაციას **ეთიშებიან.** ახლა ისინი გარდაცვლილნი არიან, აღარაფერი აინტერესებთ. მშვიდად გრძნობენ თავს.

„პისტოლეტის“ შუქი სცენაზე მოძრაობს, **გამოყოფს აბლაბუდას, ფანჯარას** გამხმარი ტოტით, **გაჩერებულ საათს, გარეთ გამოვარდნილი ზამბარით, ნინოსა და დიმიტრის სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტებს.** ჩარჩო დახრილია.

თანაშემწეს ატმის რტო უჭირავს. იგი მის მიერ წარმოთქმული სიტყვების შესატყვისად მოძრაობს.

გვერდით, ქრონოსი ქვიშის საათს აბრუნებს.

საუბრისას თანაშემწე ნინოსა და დიმიტრის შავ

მიხეილ თუმანიშვილი

ბოლოს ნინო და დიმიტრი სხვადასხვა მხარეს გადიან.
ეროსის ზარის ხმა სცენას ბოლომდე გასდევს.

წმინდა გიორგის სიშმაგე

თანაშემწეს სცენის შუაგულში გამოაქვს მე-11-12 საუკუნეების საქართველოს რუქა. მაშინ ხომ საქართველო დიდი იყო. თანაშემწე წარსულზე იწყებს საუბარს. მუსიკა – ძველი ქართული ქორალი, ძალიან ჩუმად, ფონად.

არჩილს სანოლზე ძინავს. გაბრაზებული იღვიძებს, პახმელიაზეა. სანოლი, ფარდასავით რუკა, დახლი-დაზგა, თოკზე – ბუზების საჭერი წებოვანი ქაღალდი. ადრე ასეთი ქაღალდი ყველა დუქანსა და მაღაზიაში იყო გამოფენილი.

არჩილი თანაშემწეს სიტყვას აწყვეტინებს, ეკამათება. სანოლიდან დგება, ჩხუბობს, რუკა-ფარდას სწრაფად გადაწევს. ბუფეტის დახლთან მიდის. ლუდი. არაყს ითხოვს. სამადლოდ უსხამენ, ეცოდებათ. რუსი დამლაგებელი ქართულად, აქცენტით ელაპარაკება, ალერსიანად ამშვიდებს. თლილ ჭიქაში სანთელია.

შემდეგ არჩილი რუკას ჩამოგლეჯს, მასში გაეხვევა და სადღაც მიდის. თან ვიღაცას დასტირის, ვიღაცას – ემუქრება.

ის არის წმინდა გიორგი, საქართველოს მფარველი, რომელიც დარდისგან გალოთდა. იქნებ რუკაზე წმინდა გიორგი უნდა იყოს გამოსახული.

ამ სცენას მუსიკალურ ფონად, ძალიან ჩუმად გასდევს ძველი ქართული ქორალი.

პირველი პაემანი

სასკოლო ზარის ხმა ისმის. ფარდები ისე უნდა გადაიწიოს, რომ არ ჩანდეს. ფანჯრებში ნინო და ქეთევანი ჩნდებიან. სახლებიდან იყურებიან. ქეთევანი ფანჯრის რაფაზე ყვავილებს რწყავს, ნინო ფანჯრის ჩარჩოს წმენდს.

გზად, N5 კართან ნესტანი მეგობარ გოგონას ეთხოვება, ისინი კარს უკან დგანან.

ეს გამავალი სცენაა.

ნესტანი სახლში მიდის, მას მამამისი, დავითი მიჰყვება.

ნესტანი კეკლუცობს, დავითი ვითომ უჯავრდება შვილს. იგი ჭკუას კარგავს ნესტანზე. თავის ახლანდელ ტექსტს, III მოქმედების რეპლიკას უმატებს: „სად არის ჩემი გოგო...“ და ა. შ. მასთან ერთად უნდა სახლში შესვლა, მაგრამ...

ნესტანი შეჩერდება, ვითომ ფეხსაცმელს ისწორებს.

ვიღაცას ელოდება.

როდესაც მარტო დარჩა, N5 კართან მივიდა, გაიხედა, თვალებით ვიღაცას ეძებს, დაიცადა. შემდეგ, უცებ დაინახა ეს „ვიღაც“ და სწრაფად წავიდა სახლისკენ.

გიორგი შემოვარდა, დაუძახა. ნესტანი ისე იქცევა, ვითომ ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს.

ჩუმად დგანან, ელიან. უბრალოდ დგანან. ზოგჯერ ერთმანეთს უყურებენ. სიყვარულის პაუზა. ვითომ არაფერი ხდება.

ფანჯრებიდან ნინო და ქეთევანი იყურებიან, N4 ფანჯრიდან – იანგაროზა. უთვალთვალებენ.

გიორგიმ რაღაც წარმოთქვა. ნესტანმა ჰკითხა: „რა?“ ვითომ ვერ გაიგო.

გიორგი მთლად დაიბნა. მხოლოდ გაიმეორა: „გაგიუდა ყველა“.

ნესტანმა რაღაცის ლაპარაკი დაიწყო ჯვაროსნებზე...

აქ ისე უნდა მოვახერხოთ, რომ მისი ტექსტის ჩანაწერი ოდნავი დაგვიანებით მისდევდეს მის მეტყველებას, მაგრამ ჩანაწერი ხმამაღალი უნდა იყოს, ხმამაღალი და გაწელილი. ასევე – გიორგის ტექსტიც, თითქოს დაფრინავსო. სულელური ტექსტია, მაგრამ აქ ხომ სიყვარულზეა საუბარი. ეს ეპიზოდი მატარებლის შორეული, მაგრამ ხშირი საყვირის ხმით მთავრდება, თითქოს სემაფორი დაკეტილია, მატარებელი კი სიგნალს აძლევს, რომ გზა გაუხსნან.

ცოცხალი რეევერბერაცია

ნესტანისა და გიორგის ყოველ სიტყვას, ქალები და კაცები ჩურჩულით იმეორებენ, რომ ექოს შეგრძნება გაჩნდეს, შესაძლოა – მიკროფონის საშუალებითაც.

თუ ცოცხალი ექო არ გამოვა, მაშინ მექანიკური რევერბერაციის ხერხი გამოვიყენოთ. ყოველი ფრაზის შემდეგ მატარებელი გუგუნებს, სიგნალს აძლევს. ეპიზოდის ბოლოს – ხანგრძლივი საყვირის ხმა.

აივნის სცენა (სიყვარულის ახსნა)

მუსიკა – „ცისფერი ტრიო“ სიყვარულზე მღერის.

კარგად დავამუშაო ამოცანები, რომ მკაფიოდ დავინახოთ და მოვისმინოთ ქვეტექსტები: „მე შენ მიყვარხარ (ბევრჯერ)!..“ და პასუხი: „უფრო „ჰო“-ს გეტყვი, ვიდრე...

ამოცანები:

გიორგი – დავარწმუნო ნესტანი იმაში, რომ იგი ჩემი უნდა იყოს.

ნესტანი – ისე მოვიქცე, ვითომ არ მესმის, რა უნდა. ვეცადო, რომ გული საგულედან არ ამომივარდეს.

ყველა გვერდით ფარდას ქარი არხევს. მსახიობები ყველა მხრიდან უნდა დადგნენ და ააფრიალონ ფარდები.

ფრენბურთი

გიორგის სიტყვების – „რას შეგედრები“ – შემდეგ, ნესტანი ფრთხილად უახლოვდება მას, ფრთხილად გამოართმევს ბურთს და...

გიორგის სიტყვების – „ბიძაჩემის წერილი მივიღე“ – შემდეგ, ნესტანი მას ბურთს ესვრის, გიორგი იგერიებს.

ფრენბურთის თამაში იწყება. სიტყვები „ყვირიან“, „სუნთქვას კარგავენ“.

მუსიკა – ფორტე.

ყველა ფანჯრიდან მეზობლები იყურებიან, ყველა მხრიდან. ყველა ღიმილით განიხილავს მათ თამაშს, სიჭაბუკეს, ისინი კი... თამაშობენ და ყვირიან. გიორგის სიტყვების – „მე ველად მინდა“ – შემდეგ, მუსიკა წყდება, მეზობლები ქრებიან, მხოლოდ ნესტანი და გიორგი რჩებიან.

პირველი კოცნა

გიორგი ჩუმად, ჩურჩულით იმეორებს, მხოლოდ ნესტანს ეუბნება: „მე ველად მინდა“... ნესტანი ლოყაზე ფრთხილად კოცნის. მერე დუეტს მღერიან(?)

ყველაფერი გააფუჭეს

უცებ თამუნა გამოხტება, მათ გარშემო ცალ ფეხზე ხტუნაობს და მღერის „ჩონგურ, ჩონგურ, გიტარა, სიძემ რა მოგიტანა?“

პარტერში ჩამოხტება და სცენას „შუბლზე“ აწერს: ნესტანი+გიორგი= სიყვარულს. ქეთევანი ქალიშვილს ეძახის. ნინო დაბნეული ხედება შვილს. „გავიქეცი, თორემ ვარჯიშზე მაგვიანდება“ – ეუბნება გიორგი დედას.

ღრუბლებიდან დედამინაზე, სახლში დაბრუნება.

მუსიკა – რეგთაიმი.

ახალგაზრდები სკოლიდან სახლში, მშობლებთან ბრუნდებიან. გიორგიმ დედას მიუგდო ჩანთა და ქამრიდან ამოღებული წიგნები, აკოცა, რაღაც ჩაიბურტყუნა და სხვადახსვანაირი საკალათბურთო ილეთების კეთებით, ვარჯიშზე წავიდა.

ქეთევანმა მეორე ფარდაც დახურა (გამართლება – მომაბეზრებელ ბუზებს აგდებს). ჯერ ორი ფარდა გამოვიდა, ერთად; ნესტანი ოთახში დარბის, უთოს შლის, ან იქნებ თავი წესრიგში მოჰყავს (ხელს იბანს, ტუალეტში მიდის და ა. შ. ყოველივე ამას მაყურებელი უნდა ხედავდეს). დედა საუზმეს უმზადებს – ხაჭაპურს ან ჭადს და რძეს, შეიძლება – მანონს.

ნესტან-დარეჯანის აღიარება.

ნესტანი დამშვიდებას ცდილობს. ახლახანს მომხდარ მოვლენაზე ლაპარაკი უნდა: იგი დღეს სულ რამდენიმე წუთის წინ, გიორგის ესაუბრა. ალბათ დღიურში ჩანერს: „მას ვესაუბრე". იმ მღელვარე ემოციების დახარჯვა სურს, რომლებიც მის არსებას მთლიანად მოიცავს. თითქოს, საუზმის დროს, სასხვათაშორისოდ ლაპარაკობს და უცებ... ტირილი... ცხარე ცრემლით ტირილი. რა უბედურია...

დედა ყველაფერს მიხვდა.

N1 ფანჯრიდან თამუნა საპნის ბუშტებს უშვებს.

სიყვარულის მარადიული ფორმულა.

ჩამობნელდა. პავილიონის უკანა კედელზე უზარმაზარი მთვარე ამოვიდა, ბლოკებზე, ძალიან ნელა, ნარნარად. ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი ფარნებით ნათდება. კარგი იქნება, თუ ამ სინათლეს დავუმატებთ პროექციას მთვარეზე – „ადამი და ევა ედემში".

თამუნა საპნის ბუშტების გაშვებას აგრძელებს.

გიორგი გამოჩნდა. იგი წევს და ხელში მათემატიკის სახელმძღვანელო უჭირავს. ვერ ისვენებს, ტრიალებს, ზოგჯერ თავს ბალიშის ქვეშ მალავს.

ნესტანი მაგიდასთან დაჯდა, მეცადინეობა დაიწყო. ჩანს, როგორ იტანჯება.

თანაშემწე პარტერში ჩამოდის და შუაში ჩერდება, წარწერასთან: „ნესტანი + გიორგი = სიყვარულს" (იქნებ იგი მაყურებელთა დარბაზიდან შემოვიდეს?).

თანაშემწე სიცოცხლეზე ფილოსოფოსობს.

რა არის სიცოცხლე? ცოცხლებს არ ესმით, რა ძვირფასია ეს ადამიანური სითბო, მჭიდრო ნათესაური, მეგობრული, სამეზობლო კავშირები, რა სწრაფად გადის ცხოვრება.

პავილიონი ფანჯრებიდან მთვარის შუქით განათდა. მანვე გაანათა ქრონოსი, რომელიც კიბეზე ამძვრალა და თავის საათს აბრუნებს. იგი პავილიონის სიღრმეშია.

სცენის შუაგულში, სკამებზე, კვლავ მოთავსდა „დები იშხნელების ანსამბლი". ისინი ფონს ქმნიან, სიყვარულზე მღერიან, ძალიან ჩუმად, ჩუმად.

N2 კარიდან გამოდის გიორგი სალამურით, სკამზე ჯდება, ნესტანის მხარეს იყურება.

თანაშემწის ტექსტის დამთავრების შემდეგ, „იშხნელები" დგებიან, მაყურებელს თავს უკრავენ და გადიან.

სერენადა

გიორგი სალამურზე უბრალო მოტივს უკრავს. სულ რამდენიმე ნოტს – სტვენის ნაცვლად.

N2 კარიდან დიმიტრი გამოდის, სკამზე დაჯდება, გაზეთს კითხულობს, ამთქნარებს.

გამოდის თამუნა, მამასთან მიდის, მოეხვევა, აკოცებს. მშვიდობის ღამეს უსურვებს. მამიკოს გოგოა.

შემოდის ნინო და ქალიშვილს დასაძინებლად უშვებს. ტექსტი – იმპროვიზირებული.

თამუნა: „დედა, ღამე მშვიდობისა!" ნინო პასუხობს, კოცნის გოგონას და გაჰყავს. ნინო მეორე ფარდას გადაწევს. ბავშვს დასაძინებლად ამზადებს. ფარდებს ხურავს. იგივეს აკეთებს სილრმეშიც.

ფარდები ისე უნდა დავკიდოთ, რომ გასასვლელი გამოვიდეს.

დიმიტრი ფარდის უკან აღმოჩნდება.

გიორგი ისევ სალამურზე უკრავს – ეს მისი და ნესტანის პირობითი ნიშანია (შემდეგ, სპექტაკლის ბოლოს, ნესტანის საფლავზე გიორგი კვლავ დაუკრავს ამ მელოდიას სალამურზე).

ტანჯვა

უზარმაზარი მთვარე.

შორიდან მატარებლის მოძრაობისა და საყვირის ხმები ისმის, როგორც ადრე, ბაკურიანის ხეობაში, წაღვერის მახლობლად.

ნესტანისა და გიორგის დიალოგი.

აქ მთლიანი უკუსვლაა. ეს არის სიყვარულის ახსნა სხვა სიტყვებით, ოდნავი ნამღერებით, ტანჯვა.

ვაჟიშვილის აღზრდა.

ჭკუის სწავლება მთქნარებით.

მამა ბაღში გამოვიდა. შვილს დაუძახა. „შეყვარებულები" უმალ დაცილდნენ ერთმანეთს.

დიმიტრი – ზემოქმედება მოვახდინო შვილზე.

გიორგი – თავი დავაღწიო მამას (ნესტანთან მინდა). მსურს ფანჯარასთან მივიდე, ქუჩაში გავიდე.

დიმიტრიმ კიდევ ერთხელ დაამთქნარა და დასაძინებლად წავიდა.

მომაჯადოებელი ღამე

ვარსკვლავები, მთვარე (ისინი ერთადაა ხოლმე ცაზე?)

მიხეილ თუმანიშვილი

ფანჯრებთან ხალხია, შეყვარებულები.

გიორგი N1 ფანჯარასთან, ნესტანი – N9-თან.

თამუნაც ძმის ფანჯარაში შემოძვრება. გიორგის მისი გაგდება უნდა, მაგრამ თამუნა არ მიდის. სისულელეებს ლაპარაკობს. ორივე ფანჯრიდან მოგუდული სიცილის ხმა ისმის. ე. ი. ერთმანეთს უსმენენ. ნესტანი ჩუმად ხითხითებს.

წმინდა გიორგი

დავითი სასეირნოდ გამოდის. ცენტრალურ ნაწილში, შუა ხაზზე სეირნობს. ბავშვები – ფანჯრებში.

შემოდის ძალიან მთვრალი არჩილი. მან ნესტანს თავისი ახალი სურათი მოუტანა. უნდა აჩუქოს. ეს ცუდად დახატული წმინდა გიორგია.

მაგრამ დავითს რომ შეხვდება, არჩილი ვეღარ ბედავს იმის გაკეთებას, რაც უნდოდა. ჯერ თითქოს დავითისთვის სურდა სურათის მიცემა, მაგრამ ვერ გაბედა.

დადგა. დაჟინებით უყურებს დავითს. შემდეგ, მოულოდნელად, ნადირივით ჯიქურ მოხვია ხელი.

ლაპარაკი დაიწყო. თავისი დარდის გამხელა უნდა. ლაპარაკობს... დავითი სთხოვს არჩილს, სახლში წავიდეს.

არჩილი უცებ მობრუნდა და წავიდა. გზად, სურათი ტროტუარზე დადო, შორიდან მხატვარივით იყურება, ღამე, მთვარის შუქზე. თითებს შორის იმზირება, როგორც მხატვარი.

შემდეგ, ძალიან ჩუმად და სევდიანად ამღერდა: ვაი, ლილეო... და წავიდა. სადღაც წავიდა. დავითი სახლში შევიდა.

თავ-თავიანთი სახლის ფანჯრებიდან ნესტანი და გიორგი გამოჩნდებიან.

მუსიკა – „ცისფერი ტრიო“ სიყვარულზე მღერის, ძალიან ჩუმად.

ზარის რეკვის ხმა.

ეს სიტყვები (როგორც გამრავლების ტაბულა) – სიყვარულის ახსნაა. უზარმაზარი, ნამდვილი მთვარე ამოვიდა, ისეთი, როგორსაც ასტრონომები ხედავენ – თავისი მთებითა და კრატერებით. მთვარე ერთია. ყველა კედელზე, ფანჯრების უკან, ყველგან გალაქტიკაა, ვარსკვლავები, ზოდიაქოს ნიშნები, სამყარო. ყველაფერი მოძრაობს.

ჭრიჭინობელების მთელი ორკესტრის ხმა ისმის.

N4 ფანჯრის რაფაზე გოგონა ჯდება.



თანაშემწე უხმაუროდ აჩერებს მოქმედებას, ეშინია ვინმე არ გააღვიძოს.

სრული სინათლე დარბაზში